# ტალიავინის ჰუკი

**ევროპული სიმართლე, გამარჯვებული პრეზიდენტი და დამარცხებული საქართველო**
16

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№33
14 – 20 ოქტომბერი, 2009
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
გამოდის ოთხშაბათობით
info@geworld.net

მერაბიშვილის „საკუთრებაში“ შედის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელიც პატარა ბომბივითაა, იქ მცხოვრები სომხების ფონზე. როდესაც უჭირს მიშას, სწორედ მაშინ ამოქმედებს ამ ბომბს ჯავახეთში ვანო და მაშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობის მახვილი მზერაც ჯავახეთზე გადადის...

2

რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის საპატიო წევრთა შორის, გივი თარგამაძესა და რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ვანო მერაბიშვილს, ჯაბა ებანოიძესა და გიგა ბოკერიასაც ვხვდებით. ჯაბა ებანოიძე ამჟამად იუსტიციის მინისტრის მოადგილეა.



# ვინ ვისი კაცია სააკაშვილის გარემოცვაში?

**SOS**

## შურისძიება ავღანურად

ორიოდ დღის წინათ ავსტრიის ლტოლვილთა ბანაკში ქართველები და ავღანელები ერთმანეთს დაერივნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ინციდენტთან დაკავშირებით ავსტრიის ხელისუფლებისგან განმარტებას ელოდება. ამ ეტაპზე აცხადებენ, რომ შეტაკების მიზეზი გახდა ავღანელების პროტესტი იმის გამო, რომ ერთ-ერთ მამაკაცს გული აერია.

სინამდვილეში რატომაც დაიწყებოდა ქართულ-ავღანური შეტაკება, ძნელი მისახვედრი არ არის, რადგან, ბუნებრივია, „ავღანურ ოპერაციაში“ საქართველოს ხელისუფლების უგუნური და წინდაუხედავი თავგამოდების შემდეგ, მსოფლიოს მოდებული ავღანელები აგვითვალწუნებდნენ. ბანაკის ხელმძღვანელობამ შეტაკება ჩაახშო, თუმცა ღამით რკინისა და ხის ხელკეტებით შეიარაღებული 80-მდე ავღანელი მძინარე ქართველებს თავს დაესხა და უმოწყალოდ სცემა. 10 ქართველი მძიმედ დაშავდა და წითელი ჯვრის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქართველოს ჯერ ჯვარი სწერია, ევროპაში გადახვეწილმა ქართველებმა კი უკვე გამოსცადეს ავღანური შურისძიება — ქართულ-ავღანური შეტაკება ავსტრიაში დაიწყო და სად და როგორ გაგრძელდება, ღმერთმა უწყის...

## თურქული ფირმის დაუდევრობამ ქართველი მუშა იმსხვერპლა

5

10

რამაზ კლიმიაშვილი:

## საქართველოს დაშლის გეგმა ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი კონფედერაციული სუბიექტების გაჩენას ითვალისწინებს



14 - 20 ოქტომბერი, 2009 წელი. №33
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ ვისი კაცია სააკაშვილის გარემოცვაში?

**«ვანო მერაბიშვილი საქართველოს სამ მეოთხედს აკონტროლებს, დანარჩენი დაკარგული გვაქვს, თორემ იმასაც გააკონტროლებდა»**

**შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, საჯარო რეესტრი — ეს იმ მნიშვნელოვანი სამსახურებისა და რეგიონების არასრული ჩამონათვალია, რომელიც, სავარაუდოდ, შს მინისტრს — ვანო მერაბიშვილს ექვემდებარება. როგორც ამბობენ, მათი ხელმძღვანელები მერაბიშვილის უშუალო მითითებებს ასრულებენ. ვინ არის სააკაშვილის მარჯვენა ხელი და ვის უფრო მეტი დასაყრდენი ძალა ჰყავს საქართველოში? მერაბიშვილი, უგულავა, ბოკერია, თარგამაძე, ცისკარიშვილი, ბაქრაძე — ვინ ვისი „კაცია“ და ვის უფრო მეტი გავლენა აქვს დაბალ სახელისუფლო რგოლებში? „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ამ სავარაუდო სქემას.**



**ქართველი რისი ქართველია, თუ თანამდებობაზე მოსვლისთანავე საკუთარი სამსახური და სტრუქტურა ნათესავ-მეგობრებით არ გაავსო. ეს სენი დღეს არ დაწყებულა და, ალბათ, არც დასრულდება. ასეთი ხელისუფლების ხელში თუკი რამეს გინდა, მიაღწიო, „კრიშის“ ძებნა უნდა დაიწყო. მარტო შევარდნაძისა და კახა თარგამაძის გახსენება რად ღირს. ყველას კარგად ემახსოვრება, მაშინდელ საქართველოში არათუ ბიზნესს, არამედ პატარა ჯიხურსაც ვერ გახსნიდი, თუ კახა თარგამაძე არ გეჯდა წილში და არ გმფარველობდა. ედუარდს მარჯვენა მხარეს თუ თარგამაძე ეჯდა, მარცხენას ნინო ბურჯანაძე, ვიტალი ხაზარაძე და სხვები უმშვენებდნენ, თუმცა „მეფქვილეთა“ ოჯახის წევრმა როგორ უღალატა პრეზიდენტს, ამას სიკვდილამდე ვერ მოინელებს ბერლინის კედლის დამანგრეველი.**

არც დღეს შეცვლილა რამე. სახელმწიფოს სათავეში მიხეილ სააკაშვილი დგას. მის მარჯვნივ კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრი ფიგურირებს; სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, დავინახავთ, რომ „სტაბილურად“ ქვეყნისა და პრეზიდენტის „შავ საქმეებს“ შს მინისტრები ასრულებენ.

ხშირად გაიგონებ, რომ ქართული სახელმწიფოს ხერხემალი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილია. ქვეყნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტის ფავორიტი და გამორჩეული მინისტრი ნამდვილად გახლავთ. სააკაშვილი ხომ თანამდებობის შენარჩუნებას, მთელ რიგ შემთხვევებში, მას უნდა უმადლოდეს.

**მაშ ასე, იერარქიულად პრეზიდენტზე ერთი საფეხურით დაბლა ადგილი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს მივაკუთვნეთ. იმედს დავიტოვებთ, რომ პროფესიით გეოდეზისტი მინისტრი არ გვიწყენს და გვაპატიებს, პრეზიდენტის გვერდით რომ არ გავამწესეთ.**

თავის მხრივ, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელია ამირან მესხელი. ეს ორი ძალოვანი თავის დროზე ახალციხეში არასამთავრობო ორგანიზაციაში ერთად მუშაობდა და მოგვიანებით მერაბიშვილმა, მინისტრად გადასვლის შემდეგ, მესხელი მოადგილედ დაისვა. საქართველოში, უხეშად რომ ვთქვათ, ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ — არა, მერაბიშვილთან ერთად მესხელი წყვეტს და ამ თანამდებობასაც სტაბილურად ინარჩუნებს.

**მერაბიშვილის „საკუთრებაში“ შედის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელიც პატარა ბომბივითაა, იქ მცხოვრები სომხების ფონზე. როდესაც უჭირს მიშას, სწორედ მაშინ ამოქმედებს ამ ბომბს ჯავახეთში ვანო და მაშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობის მახვილი მზერაც ჯავახეთზე გადადის. გავიხსენოთ თუნდაც შარშან, ომამდელ დაძაბულ პერიოდში, ჯავახეთში ადგილობრივი ორგანიზაცია „ჯავახქის“ წევრების მიერ ქართველი პოლიციელის მოკვლის ფაქტი. შემდეგ მოქმედება უკვე ამერიკული ბლოკბასტერის მსგავსად განვითარდა — ვანომ სპეცრაზმი ჯავახეთში გადაისროლა, რომელმაც „ჯავახქის“ წევრების დაჭერა-დარბევა დაიწყო. სამცხე-ჯავახეთში გუბერნატორად ვინც უნდა დაინიშნოს, მან იცის, რომ მისი ამ პოსტზე ყოფნა ფიქტიურია და რეგიონს რეალურად მერაბიშვილის ოჯახის წევრები მართავენ.**

თავდაცვის სამინისტროში საქმე ცოტა რთულად იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ოქრუაშვილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქართლის შვილმა არც აცია, არც აცხელა და საკუთარი კადრებით დააკომპლექტა შიდა ქართლის ხელისუფლება, ანუ ქართლში ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც ეს ოქრუაშვილს სურდა. ოქრუაშვილი მოიშორეს, მოიშორეს ქარელიც და „რკინის მინისტრის“ ყველა კადრი, ქართული თავდაცვა კი, ალბათ, ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო მინისტრს — დავით კეზერაშვილს გადააბარეს. თავდაცვის სისტემა რომ მთლად რიგზე და მწყობრში ვერ იყო, ეს აგვისტოს ომმა ყველაზე კარგად ცხადყო. დავით კეზერაშვილის საეჭვო საქმიანობით არავინ დაინტერესებულა, მაგრამ სამსახურიდან კი გაუშვეს და დროებით პოსტი დავით სიხარულიძეს ჩააბარეს. დიდხანს თანამდებობაზე არც სიხარულიძე ყოფილა, ყველაზე მოულოდნელი და სკანდალური კი თავდაცვის მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაიას დანიშვნა იყო. ასე გახდა თავდაცვის სამინისტროც ვანო მერაბიშვილზე დამოკიდებული, თუმცა — არამარტო თავდაცვა; „საახალაიოდ“ წოდებული სამეგრელოც ამით მერაბიშვილის დაქვემდებარებაში გადავიდა.

**ძმები ახალაიებიდან ერთ-ერთი — დათა კუდ-ის ხელმძღვანელი იყო, ხოლო ბაჩო — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის. ეს ორივე მნიშვნელოვანი სტრუქტურა შს სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის. უფროსმა ახალაიამ გირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის შემდეგ პოსტი ფიქტიურად „დატოვა“, მისი ძმის თავდაცვის მინისტრის პოსტზე გადაყვანის შემდეგ კი ძმის მოადგილედ დაინიშნა. როგორც კულუარებში ამბობენ, დათა ახალაია არაოფიციალურად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბს ხელმძღვანელობს. გენშტაბის ყოფილი უფროსი ჩაჩიბაია გოგი თუხარელმა ჩაანაცვლა, რომელიც შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი იყო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მანუჩარ ოსაშვილი ახლა თავდაცვაში გადაიყვანეს. გენშტაბის უფროსის მოადგილეები — ყურაშვილი და ნაირაშვილიც ახალაიების კადრებმა ჩაანაცვლეს. სოდის ახლანდელი შეფი კოდუა და მისი ძმაც ვანო მერაბიშვილის „ყურმოჭრილი მონები“ არიან... რაც შეეხება ახალაიების მამას, როლანდ ახალაიას, ის სამეგრელოს მთავარი პროკურორია.**

საპატრულო პოლიციაც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტრუქტურაა და ისიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, სამცხე ჯავახეთსა და ახლა უკვე სტაბილურად სამეგრელოსაც აერთიანებს ერთი კაცი — ვანო მერაბიშვილი.

არც **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** დაგვავიწყდეს; **თავის დროზე მას ვანო მერაბიშვილის დეიდაშვილი დავით ეგიაშვილი ხელმძღვანელობდა,** რომელმაც მოგვიანებით საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა და ეს პოსტი **ჯაბა ებანოიძემ** მიიღო. ერთი შეხედვით, აქ არაფერია ისეთი, რომ ვიფიქროთ ებანოიძის პრომერაბიშვილობაზე, თუმცა ერთ საინტერესო დეტალს ვაწყდებით ებანოიძის ბიოგრაფიაშიც: **რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის საპატიო წევრთა შორის, გივი თარგამაძესა და რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ვანო მერაბიშვილს, ჯაბა ებანოიძესა და გიგა ბოკერიასაც ვხვდებით. ჯაბა ებანოიძე ამჟამად იუსტიციის მინისტრის მოადგილეა.**

თუკი ბოკერიასა და მერაბიშვილს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის სიყვარული აერთიანებთ, არ გვგონია, რომ სხვა რამეში შეეწინააღმდეგონ ერთმანეთს. თავის მხრივ, ბოკერიას მამის ხელშია თბილისში არსებული სამშენებლო ბიზნესი და ვაკის რაიონში მონოპოლია აქვს აღებული. სამშენებლო ბიზნესს თავი დავანებოთ და, **კახეთის გუბერნატორის მოადგილე, მაშინდელი გენპროკურორის ძმა დავით ადეიშვილი იყო, რომელიც მოგვიანებით შს სამინისტროში გადმოიყვანეს; კახეთშიც, ებანოიძის მსგავსად, მერაბიშვილის კადრი დატოვეს, უფრო სწორად, ადეიშვილი-ცისკარიშვილის კადრები. ადეიშვილი ამჟამად იუსტიციის მინისტრია. ამ პოსტზე კი ვინ დაინიშნებოდა, თუ არა ვანო მერაბიშვილის მრწამსის გამზიარებელი.**

მნიშვნელოვანი ფიგურები არიან ძმები კუბლაშვილებიც. ერთი ძმა — კოტე . უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, ხოლო მეორე — პავლე — ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. მოკლედ, მათზე რომ ბევრი არ ვისაუბროთ, ნათელია, თუ „ვისკენ“ არიან კუბლაშვილები.

**მეორე მნიშვნელოვანი ფიგურა პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვიდან არის გიგი უგულავა, თუმცა არც თუ ძლიერი დასაყრდენით. უგულავას მერია, მერიას დაქვემდებარებული სამსახურები და ჩუმად სხვადასხვა სტრუქტურებიც თანაუგრძნობენ. ბევრის აზრით, მიხეილ სააკაშვილი გიგი უგულავას პრეზიდენტად ამზადებს, მაგრამ ფაქტია, რომ მას არც თუ ისე დიდი დასაყრდენი ძალა ჰყავს. იმასაც ამბობენ, მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე გიგი უგულავას კაციაო.**

**„პროკურატურაში ამბობენ, რომ საყვარელიძე უგულავას კაცია, მე ზუსტად არ ვიცი. ზოგადად, ყველა ერთმანეთის არის. დაბალ თანამდებობებზე პოლიტიკური ნიშნით და მეგობრობით არავინ ინიშნება. ეგ მცდარი შეხედულებაა, მაგრამ მე რომ ვიყო რომელიმე სტრუქტურის ხელმძღვანელი, განა ჩემს ხალხს არ მოვიყვან? კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ყველა ყველასია და ზურგს უკან ერთმანეთს რას უკეთებენ, ნამდვილად არ ვიცი“,** —აღნიშნა ჩემთან საუბარში პროკურატურის ერთმა თანამშრომელმა. მას კითხვა კირკიტაძესთან დაკავშირებითაც დავუსვი, რომელმაც ამ ბოლო დროს ზედმეტად „გაილაღა“ და მუშტიკრივზეც გადავიდა.

**„რა, ეგ პირველი იყო კირკიტაძის მხრიდან თუ? მისი უშუალო „პატრონი“ ვინაა, არ ვიცი, მაგრამ კირკიტაძის დროც მაშინ დასრულდება, როცა ეს ხელისუფლება წავა“.**

კიდევ ერთი კადრი ხელისუფლებიდან, რომელიც რეგიონებზე მუშაობს, **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი დავით ტყეშელაშვილია.** როგორც ამბობენ, რაჭა მთლიანად მას ექვემდებარება და არც სხვა რეგიონებში აქვს „ცუდად“ საქმე. მასთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომელს სხვა პოზიცია აქვს:

**„შეიძლება ტყეშელაშვილი მუშაობს რეგიონებზე, მაგრამ ის ყველაფერს სხვისი დავალებით აკეთებს, თავისი შეხედულებისამებრ კაცსაც კი ვერ დანიშნავს. მას შეიძლება გავლენა ჰქონდეს რაჭაში, მაგრამ ვერ ექნება იგივე სამცხე-ჯავახეთში, კახეთში ან სამეგრელოში. მას, როგორც ვიცი, თავისი ხალხი მის უბანში — ნახალოვკაში ჰყავს“.**

რამდენად სერიოზულია ის, რომ ტყეშელაშვილის გავლენა ნახალოვკაში, მის უბანში ვრცელდება, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, როგორც ჩანს, ტყეშელაშვილი მერაბიშვილივით თავის ჭკუაზე ვერ მოქმედებს.

**ამბობენ, გურიის რეგიონში მაღალ თანამდებობებზე ნიკა გვარამიას ახლობლები არიანო. ეტყობა, გვარამია მიხვდა, რომ სამეგრელო დიდი ხნით „დაკარგა“ და გურიაში მოსინჯა „ძალები“.**

რაც შეეხება ბათუმს, ხელმძღვანელი თანამდებობების 80% ვარშალომიძის ნათესავებს უჭირავთ და საზღვაო კურორტებსაც ისინი აკონტროლებენ.

ერთ პოლიტიკურ ფორუმზე ენამოსწრებული ხუმრობა წავიკითხე: **„ვანო მერაბიშვილი საქართველოს სამ მეოთხედს აკონტროლებს; დანარჩენი დაკარგული გვაქვს, თორემ იმასაც გააკონტროლებდა“.**

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, საქართველოს ყველაზე დიდი „ფეოდალი“ დღეს ვანო მერაბიშვილია.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ურშულა დოროშევსკა: საქართველო, ისევე, როგორც პალესტინა, ჩვენთვის პრიორიტეტულია

**საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსის წარმომადგენლებს შორის ორი ქალბატონია – გერმანიისა და პოლონეთის სრულუფლებიანი ელჩები. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი საქართველოში პოლონეთის ელჩი ურშულა დოროშევსკა გახლავთ. ელჩის კაბინეტში სტუმრობისას პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, საქართველოს ორი რუკაა. ერთ მათგანზე საქართველოს დაკარგული ტერიტორიები წითლადაა აღნიშნული, ზედ კი აწერია, რომ 2008 წელს რუსეთმა ამ ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.**



## როგორ აფასებს ტალიავინის დასკვნას პოლონეთის ელჩი და რატომ უწოდებს აგვისტოს ომს «სპეციფიკურ პიარს»

**ურშულა დოროშევსკა:**

— საქართველოს კარგად ვიცნობ. ჯერ კიდევ 90-იან წლებში აქ როგორც ჟურნალისტი, ისე ჩამოვედი. შემდეგ, როგორც „ენჯეოს" წევრი, კავკასიაში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს ვუწევდი კოორდინირებას.

**— რამდენად გიადვილდებათ თქვენი მისიის შესრულება ჩვენს ქვეყანაში, ქალისთვის ეს მძიმე ტვირთი ხომ არ არის?**

— არასდროს შემინიშნავს, რომ ჩემს ცხოვრებაში წარმატება ან მარცხი იმაზე ყოფილიყო დამოკიდებული, რომ ქალი ვარ. შეიძლება უფრო მეტ ყურადღებას ვიპყრობ და ეს კარგია, რადგან დიპკორპუსში მხოლოდ ორი ქალი ვართ — მე და გერმანიის ელჩი.

ვამაყობ იმით, რომ ვარ ელჩი საქართველოში.

**— როგორ აფასებთ საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს?**

— ზოგიერთი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, პრესასთან ჩემი პოზიცია არ დამიფიქსირებია, რადგან ელჩის მოვალეობად არ მიმაჩნია, აზრი გამოხატოს იმ ქვეყნის შიდა პრობლემებზე, სადაც მუშაობს. ვაფასებ ქართველ ერს და მინდა, სტაბილურად და დემოკრატიულად ცხოვრობდეს. როგორ ზომებს მიიღებს და რა გზას აირჩევს, მასზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, რჩევის მიცემა ზოგჯერ შეიძლება ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს. მე, რა თქმა უნდა, როგორც ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნის წარმომადგენელი, მოხარული ვიქნები, თუ საქართველო ამ სტრუქტურებს შეუერთდება.

საქართველოს მომავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რეფორმა. ამ კუთხით ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ხელისუფლებასთან. ამ დროისთვის შემუშავებულია დიდი პროექტი, რომელიც ერთობლივად ხორციელდება საქართველოს რეგიონული საკითხების სამინისტროს, ევროკომისიასა და პოლონეთის საელჩოსთან ერთად. ჩვენ, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ვალდებული ვართ, განვითარებად ქვეყნებს დავეხმაროთ და ამას ვაკეთებთ. **საქართველო, ისევე, როგორც პალესტინა, ჩვენთვის პრიორიტეტულია.** ვცდილობთ, ჩვენი გამოცდილება დემოკრატიის მშენებლობის კუთხით, მათ გავუზიაროთ.

**— აგვისტოს ომი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა, რამაც ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხი უკან დაწია..**

— ერთი მხრივ, ეს პროცესი გაჭიანურდა, რადგან **ნატოში შესასვლელად საჭიროა, კარგი ურთიერთობა იქონიო როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ასევე, შენს ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან. ამიტომ ახლა შედარებით რთულია საქართველოსთვის ამ დავალების შესრულება.** მეორე მხრივ, ეს ომი საქართველოსთვის სპეციფიკური პიარი იყო. **მართალია, ეს ტრაგედიაა, მაგრამ ამ ომის გამო საქართველოთი ყველა ქვეყანა დაინტერესდა. საქართველოს ნატოში გაწევრება-არგაწევრების საკითხი აქტიურად განიხილება საერთაშორისო ფორუმებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა საერთაშორისო შეთანხმების საგნად არის ქცეული და სხვა სახელმწიფოების მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფება.**

**— თუმცა ომის შემდეგ რუსეთი უარს აცხადებს სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგზე, როგორ ფიქრობთ, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს?**

— დღეს მსოფლიოში სახელმწიფოები ურთიერთთანამშრომლობას ცდილობენ. თუ კომუნიზმისა და ცივი ომის ხანაში მნიშვნელოვანი ის იყო, ვინ მოიგებდა ან ვინ წააგებდა, ახლა ასეთი აზროვნება წარსულს ჩაბარდა. **ნორმალურ, ეფექტურ პოლიტიკაში აუცილებელია დიალოგი. საერთოდ, დიპლომატიის პრინციპია, პოლიტიკაში ყველასთან ურთიერთობდე, თუნდაც ის თვალში არ მოგდიოდეს.**

**— როგორ შეაფასებთ ტალიავინის დასკვნას?**

— ტალიავინის დასკვნაში წერია ის, რაც სინამდვილეში მოხდა. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ამ დასკვნას სხვა ინტერპრეტაცია მისცენ, მაგრამ მსგავსი რამ ხდება იმის გამო, რომ

## დღევანდელ მსოფლიოში ხანდახან პროპაგანდას უფრო დიდი ადგილი უკავია, ვიდრე სიმართლეს.

**— მინდა, თქვენი ყურადღება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე — პოლონეთში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებზე შევაჩერო და შეგახსენოთ სექტემბერში გახმაურებული ფაქტიც..**

— არ ვიცი, რამდენი არალეგალი ქართველია პოლონეთში, მაგრამ თავად ამ ფაქტს უარყოფითად ვაფასებ. აქ ლაპარაკია არა მარტო ქართველებზე, არამედ აფრიკიდან, აზიიდან, მუსლიმანური ქვეყნებიდან ჩამოსულებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ ლტოლვილთა ბანაკებში, უჭირთ ინტეგრირება, თავს უბედურად გრძნობენ, იტანჯებიან. ისინი დასავლეთში გარბიან, სადაც არავინ ელოდებათ. ესაა მითი მდიდარი ქვეყნის შესახებ, რომელიც შეიძლება დაგემსხვრეს და იმედგაცრუებული დარჩე. ამიტომ ქართველები თავიანთ ქვეყანაში უნდა დარჩნენ, ისწავლონ უცხო ენები, აიმაღლონ კვალიფიკაცია, დასავლეთში კი მიწვევით ან სამუშაოდ, მაგრამ ლეგალურად გაემგზავრონ, რადგან არალეგალების ბედი ძალიან მძიმეა.

**ვიცი, რომ ქართველები ამაყები არიან და არ მინდა, თავი დამცირებულად იგრძნონ. მართალია, აქ სამუშაო არ აქვთ, მაგრამ მსოფლიოში მილიონობით ადამიანია უმუშევარი. საქართველოში, ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა. ამიტომ ჯობს, ღარიბი იყო, მაგრამ შენს ქვეყანაში იცხოვრო და ეცადო, საკუთარი ხელით შექმნა რაღაც ღირებული.** ამას ჩემი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარეც ვამბობ. წლების განმავლობაში არც ჩვენ გვილხინდა, მაგრამ გავიდა დრო და ფეხზე დავდექით. ვიმედოვნებ, საქართველოც აღორძინდება!

ესაუბრა
**სალომე გოგოხია**

---

სკანდალი

# «კოკას ეუბნებოდნენ, მაგრამ ლიტრა ყურს არ იბერტყავდაო»

## საქართველოში გერმანიის საელჩოს საგანგებო განცხადების გამო

**საქართველო საერთაშორისო სკანდალში გაეხვა და ჩვენი მწყაზარი ხელისუფალნი ვერ გრძნობენ, რა მოხდა ან ძალიან კარგადაც ხვდებიან, მაგრამ არ იმჩნევენ.**
**ქართული დიპლომატია მწვერვალს მწვერვალზე იპყრობს, ხან რომელ ევერესტზე აღმართავს გამარჯვების დროშას და ხან — რომელ კილიმანჯაროზე, თვლა არა აქვს. დიპლომატიის ენაც ხომ აითვისა და დახვეწა, ოღონდ პრაქსიტელის პრინციპით — რასაც ზედმეტად მიიჩნევს, ანუ სახელმწიფო იმიჯის დაკნინებად, ჩამოათლის, გადაყრის და ხელში შეგვრჩება აყვავებული ქვეყნის ქანდაკება. ისეთი, რომელიც, ბევრიც რომ ეძებო, ვერსად ნახავ, რადგან ასლია „არაჩვეულებრივი გამოფენის" გმირის — აგული ერისთავის დაპირებული „გაზაფხულის" — ვირტუალურია: ამაოებაა ამაოთა.**




აი, ახლაც მოიყრუეს სასმენელნი თვისნი საქართველოში გერმანიის საელჩოს მიერ გავრცელებული საგანგებო განცხადებისა გამო, რომლითაც იგი ქართული ტელევიზიებით — „რუსთავი 2"-ით, „იმედითა" და საზოგადოებრივი მაუწყებლით გადაცემულ სიუჟეტებში მოხმობილი მცდარი და ტენდენციური ინფორმაციის უარყოფას მოითხოვდა.

ლაპარაკია ცნობაზე, რომელიც ამ ტელეკომპანიებმა უკრიტიკოდ მიიღეს **და 7 ოქტომბერს ქართულ სამაუწყებლო სივრცეში გაავრცელეს როგორც დადასტურებული ფაქტი, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი აპირებს მაღალი თანამდებობის დაკავებას რუსულ სახელმწიფო კომპანია „გაზპრომში" და რომ ეს შეთავაზება „შტაინმაიერისთვის წარმოადგენდა ჯილდოს, რადგანაც მან ლობირება გაუწია რუსეთს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ აგვისტოს ომის შემსწავლელ კომისიაში".**

მკითხველს ბოდიშს ვუხდი ასეთი ჩიქორთულისთვის, რომლითაც სააგენტო „მედიანიუსი" ცდილობს, გადმოგვცეს აღნიშნული ფაქტი, და ვრჩებით იმედად იმისა, რომ იგი (მკითხველი) თვითონაც მიხვდება, რომ აგვისტოს ომი ევროკავშირის მიერ არ იყო დაფინანსებული და ტალიავინის კომისია აგვისტოს ომს კი არ შეისწავლიდა, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს.

კეთილი და პატიოსანი. ეს ერთი უხერხულობა გავარკვიეთ, მაგრამ მთავარ საკითხს რა ვუყოთ? ანუ ცრუ ბრალდებას, ეგებ, — შეგნებულ ტყუილს, რომელიც ჩვენმა ელექტრონულმა მედიამ ოპერატიულად გაავრცელა?

ტალიავინის ახალი კომისიის შექმნა სულაც არ არის საჭირო ამ სიცრუის წარმომავლობის დასადგენად.

როგორც ყველა ასეთი სადავიდარაბო საკითხის გარკვევა, ამისიც ტრადიციული შეკითხვით უნდა დავიწყოთ: ვის სჭირდებოდა ასეთი ცილისწამების გავრცელება, ვისი წისქვილი ამუშავდებოდა ბრალდების ასეთი ნაკადის მიშვებით?

რა თქმა უნდა, იმისა, ვისაც ამ ომში თავი მართალი ჰგონია, ვისაც ტალიავინის კომისიამ პირდაპირ დაადო ხელი — **შენ რომ ცხინვალის დაბომბვის ბრძანება გაეცი, ეგ იყო სწორედ აგვისტოს ომის დაწყების მიზეზიო.**

**დაწყების!** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გნოსეოლოგიური ფესვების ძიება ევროკავშირის კომისიის მიზანი არ ყოფილა.

როგორ შეიძლება ასეთი დასკვნით გამოწვეული ეფექტის შერბილება? უგულებელყოფა არ გამოვა, მაშასადამე, უნდა დაამტკიცო, რომ ეს დასკვნა ტენდენციურია ამა და ამ მიზეზებისა გამო.

იპოვეს მიზეზი — შტაინმაიერი. და დააბრალეს ცოდვათაგან უმძიმესი — ვერცხლისმოყვარეობა, სულის გაყიდვა და ათასი უბედურება.

ნახეს რა ამ ჩვენმა გოეთეებმა ახალი ფაუსტი, რომელმაც სული სატანას მიჰყიდა!

ითმინეს, ითმინეს გერმანელმა დიპლომატებმა, მაგრამ ბოლომდე ვერ მოითმინეს ასეთი უსამართლობა და განაცხადეს, რომ გერმანიის საელჩო (იგულისხმება გერმანიის მთავრობა) „კატეგორიულად უარყოფს" ამ „სპეკულაციებს".

უფრო მწარედ და უფრო მკაცრად სხვა რა და როგორ უნდა ეთქვათ?!

მაინც არ გაამწვავეს საკითხი და ჯოხი ჟურნალისტებზე გადატეხეს: საელჩო **„იმედოვნებს, რომ მომავალში აღარ ექნება ადგილი მსგავს ჟურნალისტურ შეცდომებს".**

კარგი რა, პატივცემულო დიპლომატებო, თქვენც და ჩვენც ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ ტელეეთერით ამ სიუჟეტის გადაცემა სულაც არ არის ჟურნალისტების ინიციატივა და მათი „შემოქმედების" ნაყოფი; თქვენც და ჩვენც შესანიშნავად ვიცით, ვინ შეუგდო ასეთი ტენდენციური მასალა ტელეკომპანიებს.

აქედან თქვენ გაულაწუნეთ ჟურნალისტებს, იქიდან კი ხელისუფლებამ გაწირა.

ჩვენი ნაციონალური ტელეკომპანიები კი არიან წარმატებულები, მაგრამ არა იმდენად, რომ რუსეთში და, კერძოდ, „გაზპრომში" თავიანთი რეზიდენტები ჰყავდეთ, რომლებსაც შტირლიცის მოხერხებულობით შეუძლიათ ასეთი ფაქტების მოპოვება.

მოგვიწევს, ალბათ, ბოდიშის მოხდა; რა თქმა უნდა, ჟურნალისტებს. მაგრამ, სადაც სამართალია, „კალმის თავმოყვარე მაშვრალნი", თუ ნაყიდები არ არიან, არზას უნდა წერდნენ მათდამი ასეთი უსამართლო დამოკიდებულებისა გამო.

მაგრამ ვისთან უჩივლებ? — „რუსთაველი მკვდარია!"

აი, ბატონო, უთხრეს კოკას, და ლიტრა, რაც გინდა დაამუნათო, არაფრის გამგონი არ არის.

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რევაზ მიშველაძე: მე არ მწამს და არც არასდროს მწამდა ნინო ბურჯანაძის ოპოზიციონერობისა

**მაშ ასე, ვაგრძელებთ საუბარს თემაზე: „რით სჯობიან ოპოზიციის ლიდერები მიხეილ სააკაშვილს“. ამჯერად რუბრიკის სტუმარია თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რეზო მიშველაძე.**






**— ბატონო რეზო, ამ ბოლო დროს ოპოზიციის უმოქმედობა საზოგადოებაში ერთგვარ გულისწყრომასა და ლიდერებისადმი გარკვეულ უნდობლობას იწვევს. ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა: ვინ ან რა იქნება სააკაშვილის შემდეგ?! თქვენი აზრით, რით სჯობია, ვთქვათ, ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ე. წ. რადიკალი ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს?**

— შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს სჯობია, უწინარესად, ეროვნულობით, თუმცა ხასიათის გარკვეული თვისებით ისინი ერთმანეთს ჰგვანან — ორივენი არიან ქარიზმატულნი, ენერგიულები და უკომპრომისონი. განსხვავება კი ის არის, რომ ნათელაშვილის უკომპრომისობა საქართველოსთვის სასარგებლოა, რაც შეეხება სააკაშვილს, მისი უკომპრომისობაც, სიმართლე გითხრათ, ბევრ რამეში საწალმართოა, ვთქვათ, კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ, როცა უკომპრომისო ხარ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლების, უნივერსიტეტისა და აკადემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ვერაფერი უკომპრომისობაა...

შალვა ნათელაშვილის ბრძოლა თანმიმდევრულია არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ თავისი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვისაც და ეს ლეიბორისტული პარტიის არაერთმა შედეგიანმა აქციამაც დაამტკიცა...

**— გასაგებია. რით სჯობია კოკო გამსახურდია მიხეილ სააკაშვილს?**

— სიმართლე გითხრათ, კოკო გამსახურდიასგან და მისი წარმოშობის კაცისგან უფრო მეტს მოველოდი. მას შთამომავლობით უნდა გადასცემოდა კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნე და ზვიადის თავგანწირულობა. მეტ-ნაკლებად, ალბათ, ორივე გადმოეცა, მაგრამ ძალიან მცირე დოზით. ასე რომ, ხანდახან ვფიქრობ, მართლა ხომ არ ისვენებს ნიჭი შთამომავლობაზე?!

კოკო გამსახურდია კონფრომისტულ გზებს ეძებს, აუტკივარი პოლიტიკის გზას ადგას. ამიტომ იგი, ალბათ, დიდხანს დარჩება პოლიტიკოსად, რომელსაც ხელს აძლევს, ითვლებოდეს პოლიტიკოსად, მაგრამ ვერ აღწევდეს დასახულ მიზანს; ისე ჩაგვაბერდება კოკო ხელში, რომ იგი თავისი დიდი ბაბუისა და დიდი მამის გზის ღირსეულ გამგრძელებლად აღარ ჩაითვლება ხალხის მიერ.

**— ნინო ბურჯანაძეზე რას გვეტყვით? მას, ალბათ, ვერ „დავწამებთ“ უპრინციპობას...**

— ცდებით, რადგან სწორედ უპრინციპობაა მთელი მისი მოღვაწეობის უპირველესი ნიშანი. მე მას კარგად ვიცნობ. პარლამენტშიც კარგა ხანს ერთად ვიყავით...

მახსოვს ერთი ეპიზოდი, როცა პარლამენტის დელეგაცია აზერბაიჯანში იმყოფებოდა. იქ კონფერენციაზე ერთი ჟურნალისტი წამოდგა და ბურჯანაძეს ჰკითხა: „ნინო ხანუმ, თქვენზე ამბობენ, გვარ-ტომით სომეხიაო, მართალია ეს თუ არა? ერთ-ერთ არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ როგორც კი აგირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ, პირველივე ვიზიტი სომხეთში გქონდათ“. ბურჯანაძე დაიბნა, ვერაფერი თქვა; მერე მიმოიხედა და დარბაზში რომ დამინახა, განაცხადა: „მე სომეხი ვარ თუ არა, აგერ არის ჩვენი დელეგაციის წევრი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მწერალი რეზო მიშველაძე და ჰკითხეთო. მე ავდექი და ვთქვი ის, რაც მართლა ვიცი — ნინო ბურჯანაძე ჩემ თვალწინ გაიზარდა, მისი ოჯახი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, კარგად ვიცნობ დედასაც, მამასაც და თქვენი ეჭვი ნინო ბურჯანაძის სომხობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება-მეთქი. ეს ვთქვი სრულიად გულწრფელად, რადგან მის სომხურ წარმოშობაზე არაფერი ვიცოდი და არც ახლა ვიცი, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ გამოაცხადეს, ბურჯანაძე ერთ-ერთი ცნობილი სომხური ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის ითვლებაო, სიმართლე გითხრათ, ცოტა დავეჭვდი — მართლა ხომ არ აქვს სომხური ფესვები-მეთქი, თუმცა ესეც ნაკლებად მაინტერესებს. მე არ ვარ ისეთი პატარა კაცი, რომ პოლიტიკოსების ძირებში არაქართული წარმოშობა ვეძებო. ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, აკეთებს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს და არის თუ არა მისთვის უპირველესი მიზანი ქართული ღირებულებების, თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

ნინო ბურჯანაძე პარლამენტში ყოფნის დროს დაუცხრომელი წინააღმდეგი იყო, რომ ეროვნება ქართველი საბუთებში ჩაწერილიყო. თავგადაკლულად ვებრძოდით მე, ცხონებული გურამ შარაძე და ელიზბარ ჯაველიძე, მაგრამ მან ერთი წუთითაც უკან არ დაიხია.




ამასთან, როცა ის ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ორივეჯერ მივედით მის კარზე მე და მაყვალა გონაშვილი და მიღება ვთხოვეთ. მან იცოდა, რისთვისაც ვიყავით მისული — მწერალთა კავშირის საკითხზე უნდა დავლაპარაკებოდით, ამიტომ პასუხს თავი აარიდა, დაგვემალა და მოიმიზეზა — არ მცალიაო.

მერე ანა კალანდაძის დასაფლავებაზე წერილი მე თვითონ გადავეცი. ერთი გენახათ, ისე ურცხვად შემომხედა და ისე გამომართვა ეს წერილი, თითქოს ზღარბი შემეჩეჩებინა ხელში. თუმცა ამასაც ვინ ჩივის — არანაირი გამოხმაურება, ყურადღება ან რამე პასუხი მისგან არ ყოფილა. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის ეროვნულობას მე ეჭვქვეშ ვაყენებ და როცა პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს არ აკეთებს, მას უფლება არ აქვს, პოლიტიკაში ყელყელაობდეს.

მე ერთი პერიოდი ვამბობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ — ხომ არ არიან ეს „ოპოზიციონერები“ დანიშნული პოლიტიკოსები?! ეს კითხვა ბუნებრივად იბადება იმიტომ, რომ, როცა ჩამოდიან ხოლმე მინისტრები ლიტვიდან, ამერიკიდან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოდან, ჯერ ხვდებიან პრეზიდენტს და შემდეგ თითქმის იმდენივე ხნით ხვდებიან „ოპოზიციის“ მხოლოდ სამ ლიდერს — ბურჯანაძეს, ალასანიასა და გაჩეჩილაძეს. ვსვამ კითხვას — რაშია საქმე, ოპოზიციონერობის მონოპოლია აქვს მოპოვებული ამ სამ პიროვნებას?

რა თქმა უნდა, არა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, ეს სამი ადამიანი — ბურჯანაძე, ალასანია და გაჩეჩილაძე — იმაზე კი არ ილაპარაკებს უცხოელთან, რაც ერს და ქვეყანას აწუხებს, არამედ იმაზე, რაც მათ თავიანთი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ მწამს და არც არასდროს მწამდა ნინო ბურჯანაძის ოპოზიციონერობისა...

**— ლევან გაჩეჩილაძის თუ გწამთ?**

— როცა ვამბობ, ოპოზიცია თითქმის არ არსებობს-მეთქი, ვგულისხმობ იმას, რომ მათი ეიფორიული მოღვაწეობა, გულზე ხელის ბრაგუნი, მიტინგებზე ომახიანი შეძახილები: „მიშა, მოვედი!“ და ა.შ. სასაცილოზე სასაცილოა. ჩვენს ტელევიზიებში უნიჭო ხალხია, თორემ ახლა სწორედ იმ მიტინგების ჩანაწერებს გავუშვებდი „პირველ არხზე“ და „რუსთავი 2“-ზე. თანაც ამ კადრებს არავითარი დამონტაჟება და კომენტარი არ სჭირდება; საკმარისია, ერთხელ უყურო, მიხვდები, რომ მართლა სასაცილოა და სატირალიც. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ დღე ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდნენ, იჭაჭებოდნენ, ატყუებდნენ ხალხს და არსად, არც ერთ გამოსვლაში არაფერს ამბობდნენ ეროვნულ სატკივარზე. ისინი არ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დღესდღეობით საქართველოში ადამიანთა დასაქმების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. არც თავიანთ გეგმებზე საუბრობდნენ, გააჩინათ თუ არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რამე სტრატეგია. ყურადღების მიღმა რჩებოდათ ის, რომ შობადობის დონემ კატასტროფულად იკლო, რომ ყველა საბუთში წაშლილია ეროვნება და ისპობა ქართული ეროვნული ფენომენი; რომ უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ფაქტობრივად, გაუქმებულია და მეტს რას ვემდურით ჩვენ სააკაშვილს?! სააკაშვილზე უკეთესები ესენი, ეს ე.წ. მომავლები, არაფრით არ არიან.

აი, მაგალითად ავიღოთ ყველაზე გახმაურებული ფაქტი — ტალიავინის კომისიის დასკვნა. ამ დოკუმენტს დააძლნენ ეს ჩვენი ე.წ. ოპოზიციონერები, თანაც სასაცილოა, რომ ყველას სხვადასხვანაირად ესმის და ყველას სხვადასხვა შინაარსი გამოაქვს ამ დასკვნიდან. ნუთუ ასეთი დაუნები ვართ ჩვენ, რომ ვერ გავიგეთ, რა წერია დოკუმენტში?! ერთნი იძახიან, ჩვენი საწინააღმდეგო არაფერი წერიაო, მეორე მხარე — ოპოზიცია — კი დაბეჯითებით გვარწმუნებს, ომის დაწყებაში სააკაშვილს დასდეს ბრალი და წუთი წუთზე ველოდებით მის დაპატიმრებასო. ჩემი აზრით, ორივე პოზიცია მცდარია, ორივე მოკლებულია რეალობას. ამ ე.წ. ოპოზიციის ლიდერებმა ვერაფერი მოუხერხეს სააკაშვილს, ყველა ნიუანსში დამარცხდნენ მასთან დაპირისპირებაში და ახლა გულზე სკდებიან სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღესდღეობით ხალხს ისევ სააკაშვილისკენ უბრუნდება გული. იმდენი ზიზღი და სიძულვილი დაგროვდა ამ გაყიდული ოპოზიციის მიმართ, ისეთი უნდობლობა და გულგატეხილობა გამოიწვია ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საზოგადოებაში, რომ ისევ სააკაშვილს ებღაუჭება ხალხი... „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, — ასეა ჩვენი საქმე.

რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, იქ მართლა წერია, რომ პირველმა ქართულმა ჯარმა გაისროლა, მაგრამ მე, პირადად, სააკაშვილს ამაში არამც და არამც არ ვადანაშაულებ. იცით თუ არა თქვენ, რომ ქართული ჯარი პირველი გადავიდა იერიშზე დიდგორის, კრწანისის, ასპინძის და თითქმის ყველა ომში, რაც კი ჩვენმა ისტორიამ იცის? ზოგი ომი მოვიგეთ, ზოგი — წავაგეთ. აი, მაგალითად: სამარცხვინოდ გაიქცა ერეკლე მეფე კრწანისის ომიდან, მაგრამ ქართველ ერს ფიქრადაც არ მოსვლია, ამის გამო გაესამართლებინა იგი. როგორ შეიძლება მეფე დაადანაშაულო იმაში, რომ ვთქვათ, ას ორმოცდაათი ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში?! ეს ხომ სისულულეა?!

## სააკაშვილის დანაშაული და სირცხვილი ის კი არ არის, რომ ომი დაიწყო, არამედ ის, რომ დღენახევარში დამთავრდა ყველაფერი.

ეს დილეტანტები — დავით კეზერაშვილი, კახა ლომაია — გამოდიოდნენ და რა განცხადებებს აკეთებდნენ? — ცხინვალი, როგორც ქალაქი, აღარ არსებობს, მიწასთანაა გასწორებულიო. ორი სახლი დაინგრა გორში და ორი დაინგრა ცხინვალში, ესენი კი ზეიმობდნენ. უკვე ცხინვალს და მთლიანად სამაჩაბლოს ვაკონტროლებთო. აი, სწორედ ამან დაგვღუპა და მიგვიყვანა კატასტროფამდე. ასე რომ, ჩვენ სააკაშვილის სხვა ნაკლი ჩამოვთვალოთ და სხვა შეცდომებზე ვილაპარაკოთ, რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებულ ომს, ეს იმის კისერზე იყოს, იმ ძია სემის, რომელმაც შეაგულიანა სააკაშვილი, თორემ დარწმუნებული ვარ, მას რომ ოდნავ მაინც ამერიკის იმედი არ ჰქონოდა, თვითონ, დამოუკიდებლად რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს არ დაიწყებდა.

ამერიკამ ყველაფერზე თვალი დახუჭა, ხმა არ ამოიღო, სანამ რუსულმა ტანკებმა წალმა-უკულმა არ გადახნეს საქართველო და მერე გამოაცხადა: ეს არ ჩაიდინა მთლად კარგი საქციელი რუსეთმაო.

თუ ქართული ჯარი არ არსებობდა და მოწინააღმდეგის ძალებისთვის თუნდაც ერთკვირიანი წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვეძლო, რა თქმა უნდა, ომი არ უნდა დაგვეწყო, მაგრამ ჩვენ აღლუმზე გვიჩვენებდნენ აურაცხელ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

იარაღს და ყურს გვიჭედავდნენ — აი, ქართული არმია ძლევამოსილიაო. თუ მართლა ძლევამოსილი იყო, მაშინ ბოლომდე უნდა მიგვეყვანა დაწყებული საქმე და ტერიტორიები უნდა დაგვებრუნებინა... თუ პირდაპირი შეტევისა და პასუხის გაცემის ძალა არ გვქონდა, სხვანაირად უნდა გვემოქმედა — უნდა დაწყებულიყო რაიმე საწინააღმდეგო მოძრაობა, როგორც საფრანგეთში იყო, როცა გერმანელებმა პარიზი აიღეს, მაგრამ ჩვენთან არანაირი მსგავსი მცდელობა არ ყოფილა. მართალია, სააკაშვილი კი გვამხნევებს, ომი ჯერ არ დამთავრებულა და ყველაფერი წინ არისო; მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველო დამარცხებულ, ოკუპირებულ ქვეყანას არ ჰგავს. არის შოუები, კონცერტები, ცეკვა-თამაში... შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს ქვეყანაში, რომელმაც ერთი წლის წინათ ომი წააგო?! ამიტომაა, რომ მსოფლიოს თვალში გიჟები და უჭკუოები ვჩანვართ.

**— მოდი, ისევ ოპოზიციის ლიდერებს დავუბრუნდეთ. რით სჯობია ირაკლი ალასანია მიხეილ სააკაშვილს? მასზე ხშირად ამბობენ, რომ მიშა ორია...**

— მიშა ორია თუ მიშა სამი, არ ვიცი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სააკაშვილი არის საქართველოს პრეზიდენტი და ყველა ქვეყანა იმის ღირსია, როგორი ხელისუფლებაც ჰყავს. ამიტომ ყოველგვარი ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ — შენ წადი და მე უნდა მოვიდეო — შეცდომად მიმაჩნია. ეს ერის გახლეჩის მცდელობაა.

## პოლიტიკოსი რომ ხარ, იქნება ეს ალასანია, თუ რომელიმე სხვა ოპოზიციონერი, ჭკუით როგორ უნდა გაჯობოს მექრთამეობაზე დაჭერილმა და გასამართლებულმა შალვა რამიშვილმა?!

რომელიც გამოდის და აცხადებს: ველაპარაკე ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს, არაფერი ამათ არ შეუძლიათ, ყველანი უნიჭოები არიან და არაფრის შნო არ აქვთო...

ხელისუფლების შეცვლა მიტინგზე გრძელი სიტყვის თქმითა და ხალხის მოტყუებით კი არ ხდება, არამედ მუხლჩაუხრელი, თანმიმდევრული ბრძოლით, გნებავთ, თავგანწირვითაც, რათა დაანახო მთელ ქვეყანას, რომ შენ უკეთესად მოუვლი შენს სამშობლოს, ვიდრე არსებული ხელისუფლება. მერე უკვე აღარაფერი აღარაა საჭირო, ხალხი თვითონ დანიშნავს არჩევნებს და მოახერხებს ხელისუფლების შეცვლას. ამათ, ალასანიამ და სხვა ლიდერებმა, ვერანაირი გეგმა ვერ წარმოადგინეს. მათ მხოლოდ სააკაშვილის შეცვლა უნდოდათ, მაგრამ იმასაც ვერ ამბობდნენ გასაგებად, თუ რატომ უნდა შეიცვალოს. საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, რომ სწორედ ამ ლიდერებმა: ბურჯანაძემ, გაჩეჩილაძემ, ზურაბიშვილმა, დავითაშვილმა, ძიძიგურმა და სხვებმა მოიყვანეს სააკაშვილი ხელისუფლებაში და დღეს, როცა ჟურნალისტები ეკითხებიან, რატომ არ გიწვევენ უცხოეთის დელეგაციებთან შეხვედრებზეო, რა ვიცითო, პასუხობენ ცრემლმორეულნი...

**— გუბაზ სანიკიძეზე და მის პარტიაზე რა აზრის ხართ?**

— გუბაზს ძალიან დიდ პატივს ვცემ სწორედ თავისი უკომპრომისობისა და ვაჟკაცობის გამო; აგრეთვე, იმის გამოც, რომ ჩემი უპირველესი მეგობრის — ლევან სანიკიძის შვილია, მაგრამ გზა, რომელსაც მისი პარტია დაადგა, არ იყო ტაძრისკენ მიმავალი. ეს უკვე ჩანს, უწინარესად, იმაში, რომ „ეროვნულ ფორუმს" იმ მომხრეების მეხუთედიც არ ჰყავს, რაც საპროტესტო აქციების დროს ჰყავდა. ამის მიუხედავად, გუბაზ სანიკიძეს მაინც აქვს უფლება, რომ ოპოზიციონერად იწოდებოდეს, ოღონდ ისიც ნუ გააკეთებს ისეთ ომახიან განცხადებებს, ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ მოვისმინეთ... ყველამ ვიცით, რომ ის ამის გამკეთებელი არ არის. საერთოდ, ტელევაჟკაცობა არაფერს ნიშნავს. საქმის გამკეთებელი ტელევიზორში არ ყვირის, ეს მხოლოდ „ორთქლის გამოშვებაა". მერე, შენ რომ სახლში მიხვალ, ჩემო საყვარელო გუბაზ, წყნარად დაიძინებ, ღამე ერთი სამჯერ გაგეღვიძება და ფანჯარაში ჩუმად გაიხედავ, ხომ არავინაა მოსული ჩემს დასაჭერადო, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ტყეში გავარდნის თავი არ გაქვს...

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ამ ოპოზიციას უნდა, საზოგადოების მხარდაჭერა ჰქონდეს და დასახულ მიზანს მიაღწიოს, უნდა წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა, ქვეყნის ხსნისა და კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ და რა გზით აპირებენ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უმუშევრობის დაძლევასა და ყველა იმ მთავარი საკითხის მოგვარებას, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე პრობლემურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. უფრო მეტიც, პირადად ჩემში უკვე ჩამქრალია ყოველგვარი რადიკალიზმი ხელისუფლების მიმართ, იმიტომ, რომ ბოლო დროს გაცილებით უფრო ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ამ ე. წ. ოპოზიციამ, ვიდრე — სააკაშვილმა.

ორივეს გასაგონად ვამბობ — ოპოზიციისა და, განსაკუთრებით, სააკაშვილის — თუ ჭკუით არ იქნებით, საქართველო დამთავრდება, შაგრენის ტყავივით შემოგველევა ხელში. ჩვენს ტერიტორიებს წაილებენ (უკვე მიაქვთ!) და ქართველი ერი მოისპობა, მოისრისება, როგორც ნაბუქოდონოსორმა მოსრისა ებრაელები. მერე შეიძლება ორი ათას ექვსასი წელი დასჭირდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რასაც მე ვერ მოვესწრები, ჩემო მიხეილ, მაგრამ შენ ნამდვილად მოესწრები, იმიტომ, რომ შენ უკვდავი და მარადიული ხარ!..

ამიტომ კიდევ ერთხელ მოგმართავ, გონს მოდი და დაფიქრდი: საით მიჰყავს ეს გაუბედურებული ქვეყანა შენს უჭკუობას, იმ წინდაუხედავ და აუწონ-დაუწონავ პოლიტიკას, რომელსაც შენ და შენი გარემოცვა ახორციელებთ!..

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

# თურქული ფირმის დაუდევრობამ ქართველი მუშა იმსხვერპლა

## გელა ნიკოლეიშვილი: გარდაცვლილ მუშაზე მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობა ფირმას ეკისრება

**გურიაში რამდენიმე დღის წინათ ფირმა „გულისტანის" დაუდევრობით გენადი ჩანტლაძე გარდაიცვალა. ფირმის საწყობში ხორბლის დიდი მარაგის მოთავსების გამო კედელი ჩამოინგრა. ნგრევის შედეგად დაძრული ხორბლის უზარმაზარი მასის ქვეშ „გულისტანში" დასაქმებული მუშა მოყვა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.**

როგორც დაღუპულის მეზობლები ვარაუდობენ, უბედური შემთხვევის მიზეზი საწყობში დიდი ოდენობით ხორბლის განთავსება იყო, რის გამოც კედლის კონსტრუქციამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩამოინგრა.

გენადი ჩანტლაძის ოჯახის წევრები კომენტარზე უარს აცხადებენ და ამბობენ, რომ მათთვის ზარალი აუნაზღაურებელია.

როგორც გენადი ჩანტლაძის მეუღლეს არ სურს ამ თემაზე საუბარი, რადგან მისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რა მატერიალურ ზარალს აუნაზღაურებს ფირმა.

„ეს თემა ტელეფონით სასაუბრო არ არის. გარდა ამისა, არანაირი კომენტარის გაკეთების სურვილი არ მაქვს. დაგვპირდა ფირმა, რომ გარკვეული სახის ზარალს აგვინაზღაურებს, თუმცა ახლა არც ამ თემაზე ლაპარაკი მინდა და არც ფაქტზე. რამდენიმე დღის წინათ დავასაფლავე მეუღლე და, როგორ ფიქრობთ, მაქვს საუბრის განწყობა?" — განაცხადა დაღუპულის მეუღლემ.

კომპანია „გულისტანში" ამ თემაზე ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, დავკავშირებოდით ხელმძღვანელობას და ოფიციალური კომენტარი მიგვეღო, უშედეგო აღმოჩნდა. მობილური ტელეფონი ან გათიშული იყო, ან არ პასუხობდნენ.

დიდი რაოდენობით ხორბლის მარაგის გამო კედლის ჩამონგრევის ფაქტი ეს მხოლოდ ერთი ვერსიაა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, გენადი ჩანტლაძის დაღუპვის მიზეზი სხვა ფაქტი იყოს, თუმცა რა — არ კონკრეტდება.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

იურისტების შეფასებით, მომხდარზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა ფირმას ეკისრება, თუმცა აქაც უნდა დადგინდეს პირი, რომლის უშუალო დაუდევრობის გამოც მოხდა ეს შემთხვევა. იურისტი და ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობა ფირმა „გულისტანს" ეკისრება.

„მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ფირმას ეკისრება. როცა მუშას ქირაობ ამა თუ იმ სამსახურში, იდება ორმხრივი ხელშეკრულება. ვერ გეტყვით, „გულისტანსა" და გენადი ჩანტლაძეს შორის დადებულ ხელშეკრულებაში რა პირობები იყო გათვალისწინებული, თუმცა ნებისმიერი სახის კონტრაქტში საწყობის ან დაწესებულების ტექნიკური უზრუნველყოფაც იდება. მიღებული უნდა იყოს მაქსიმალური უსაფრთხოების ზომები. ტექნიკური გაუმართაობის გამო პასუხისმგებლობა ფირმას ეკისრება. კანონი ითვალისწინებს არა მხოლოდ სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობას, რაც ნიშნავს სისხლის სამართლის პასუხისგებას, არამედ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასაც დაღუპული მუშის ოჯახის წევრებისათვის.

გარდა ამისა, მოხდება ამ საქმის პერსონიფიცირება ან გამოძიების პროცესში დადგინდება, უშუალოდ რომელი იურიდიული პირის დაუდევრობის გამო ჩამოინგრა კედელი და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი უკვე გადავა პერსონაზე", — განმარტა ნიკოლეიშვილმა.

მისივე თქმით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უნდა ხდებოდეს მონიტორინგი კომპანიების მუშაობასთან დაკავშირებით. ტექნიკური გაუმართაობა არ შეიძლება დარჩეს ადგილობრივი ხელისუფლების სპეციალური სამსახურების ყურადღების მიღმა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ფირმას — ფინანსური სანქცია, ასევე, დაზარალებულის ოჯახისთვის — სოლიდური თანხით კონპენსაცია, ხოლო დამნაშავე პირს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გენადი ჩანტლაძის შემთხვევა პირველი არ არის, როცა კონკრეტული ბიზნესკომპანიის დაუდევრობით დასაქმებული პირი იღუპება, თუმცა არც ერთი მსგავსი შემთხვევის დროს ფირმის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, რაც მათთვის სამუშაო ლიცენზიის ჩამორთმევას გამოიწვევდა.

**შორენა გოგოლაძე**

# რაც შეეხება „რუსთავი 2"-სა და მისნაირ ტელეკომპანიებს, მათ ყველაფერი განსხვავებულად ესმით

## საქართველოში ჯიბის სასამართლო ფუნქციონირებს

**ტელეკომპანია „მაესტრომ" სატელიტზე მაუწყებლობის უფლება მიიღო, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო დღემდე საკაბელო ტელევიზიად რჩება. ტელევიზიის გენერალური დირექტორის — მამუკა ღლონტის განცხადებით, „მაესტროს" წინააღმდეგ ზეწოლის ახალი მექანიზმი ამოქმედდა. მარეგულირებელი კომპანიის თავმჯდომარის — ირაკლი ჩიქოვანის მიერ საკაბელო ტელევიზიების შანტაჟი და შევიწროება მიმდინარეობს. „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბრისას მამუკა ღლონტმა აღნიშნა, რომ ბევრი რამ საზოგადოების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.**

**— ბატონო მამუკა, კარგა ხანია, „მაესტროს" წინააღმდეგ მიზანმიმართული ანტიკამპანია მიმდინარეობს. რას აკეთებთ ამის წინააღმდეგ?**

— რამდენიმე კვირაა, საკაბელო ტელევიზიების ხელმძღვანელები მიკავშირდებიან და მეუბნებიან, რომ მათზე ზეწოლა მიმდინარეობს; „მაესტროს" მაუწყებლობის შეწყვეტის შემთხვევაში კი მათ ყველა პრობლემა მოეხსნებათ. ეს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის კიდევ ერთი მცდელობაა. ჩვენ მიმართ განხორციელებული ზეწოლის თაობაზე ყოველთვის საქმის კურსში ვაყენებთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქართველ საზოგადოებას. ამასთან, რამდენიმე სარჩელი სასამართლოშიც შევიტანეთ. სხვა ბერკეტი ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია.

**— თუ გრძნობთ საზოგადოების მხარდაჭერას და რამდენად ეფექტურად მოქმედებს იგი?**

**— ქართველი საზოგადოების მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობთ — როგორც მაყურებლების, ასევე ორგანიზაციების მხრიდან. სამწუხაროა, რომ რუსთავისა და ახმეტის მოსახლეობამ, სადაც „მაესტროს" მაუწყებლობა გამორთეს, სათანადო აქტიურობა ვერ გამოიჩინა,** ამიტომ ხელისუფლებამ ახლა უფრო ფართოდ გაშალა ფრთები. თელავში ორჯერ იყო ჩვენი მაუწყებლობის შეწყვეტის მცდელობა, ორჯერვე საზოგადოების მოთხოვნით აღადგინეს.

**— მაშინ, როდესაც ქართული მედიის წარმომადგენლები, მხარს უჭერენ საერთაშორისო მედიას — უერთდებიან ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის ობიექტურად გამოძიების მოთხოვნას, სათანადო თანადგომას თუ იჩენენ „მაესტროსადმი"?**

— რაც შეეხება ჟურნალისტების დამოკიდებულებასა და სოლიდარობას თავისუფალი მედიისადმი და საერთოდ, სიტყვის თავისუფლებისადმი, საქართველოში რთული ვითარებაა. ჟურნალისტს ყველას ვერ ვუწოდებ, ვისაც ამ სტატუსით მოვიხსენიებ. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ ჩვენს გვერდით იდგნენ. ეს ეხება ტელეკომპანია კავკასიასა და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებს. რაც შეეხება „რუსთავი 2"-სა და მისნაირ ტელეკომპანიებს, მათ განსხვავებულად ესმით ჟურნალისტიკა და სიტყვის თავისუფლება, ამდენად, მათი მხრიდან კოლეგიალობაზე საუბარი ზედმეტია.

**— დასაწყისში აღნიშნეთ, რომ რამდენიმე სარჩელი შეიტანეთ სასამართლოში, რა შედეგს ელოდებით?**

— სასამართლოს მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღების იმედი არ გვაქვს. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ საქართველოში ჯიბის სასამართლო ფუნქციონირებს.

**— „მაესტროს" სტუდიაში მომხდარი აფეთქების გამოძიება დასრულდა?**

— ამ მიმართულებით გამოძიება ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. ეს განპირობებულია იმით, რომ ხელისუფლების ინტერესებში არ შედის ამ საქმის გამოძიება.

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «კულტურული ოკუპაციიდან» «ოდნოკლასნიკების» სისულელეებამდე




## ვაი, ასეთ ხელის ჩამორთმევას

„ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარე-გარე დარბოდაო". უხერხული შედარებაა, მაგრამ ასე დაემართა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც თავისი მთავრობის დავალებით, გაავრცელა განცხადება **უკრაინის მზადყოფნის შესახებ, იკისროს შუამავლობა თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის დასაწყებად.**

კეთილი სურვილია, ერთი გარემოება რომ არა: ელაპარაკება კი, ანუ „აწარმოებს კი დიალოგს" რუსეთი თავად უკრაინასთან?

თუ ყოველკვირეულ „არგუმენტი ი ფაქტის" ვენდობით, იუშჩენკოსა და მედვედევს შორის ისეთივე „გრილი ურთიერთობა" ჩამოყალიბდა, როგორც სააკაშვილსა და ობამას შორის. იუშჩენკოს ძალიან უნდოდა კიშინიოვში გამართულ დსთ ქვეყნების სამიტზე რუსეთის პრეზიდენტთან მოთათბირება ორმხრივ ურთიერთობათა საკითხებზე, მაგრამ **„მედვედევის გრაფიკში არ აღმოჩნდა თავისუფალი დრო ცალკე შეხვედრისათვის".**

ორივე დასახელებულ შემთხვევაში ურთიერთობა ხელის ჩამორთმევით ამოიწურა, ხოლო დაპირებული 5-მილიარდიანი კრედიტი, რომელიც უკრაინას რუსეთისგან უნდა მიეღო, ისე გაქრა, როგორც ნატოში ჩვენი მიღების იმედი.

სამაგიეროდ, უკრაინა რუსეთთან „საქმის ჩაწყობას" გვპირდება.

ამაზეა ნათქვამი ის ანდაზა, რომელიც ასეთ შემთხვევას მიესადაგება და რომლის გამოც, დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით, ბოდიში მოვიხადე.

ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ რუსეთთან დიალოგის დაწყების სურვილი ჩვენს ხელისუფლებას არანაირი ფორმით არ გამოუხატავს.

**ილუზორული პრობლემები გამოდის საერთაშორისო ურთიერთობათა ავანსცენაზე, თუნდაც ისეთი, თურქეთისა და რუსეთის გარიგების თაობაზე რომ გავრცელდა ამ დღეებში: თურქეთი ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რუსეთი — ჩრდილოეთ კვიპროსს აღიარებს.**

**ტყუილიაო, გვიმტკიცებენ. მაგრამ ხომ შემოგვიგდეს? მიდით და იმტვრიეთ თავი!**

## სად დავკარ და სად გასკდაო

ისევ მოქნეულ სიტყვათა სივრცეში ვტრიალებ. ჩვენი რეალობაა ასეთი.

დაჰკრა დაფდაფებს რუსეთის საელჩოს ცარიელი შენობის წინ ქართველ ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა. მიზანი კეთილშობილური — რუსი კოლეგის ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის მესამე წლისთავზე მისი ხსოვნისადმი პატივის მიგება და, როგორც სააგენტო „მედიანიუსი" იუწყება, „ჟურნალისტის მკვლელობის საქმის გამოძიება და მკვლელების დასჯა".

ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, სიმბოლური ხასიათისა იყო, მაგრამ ხომ უნდა იცოდე, რას მოითხოვ? მკვლელობის საქმის გამოძიებასო. მაგრამ სასამართლომ რომ გააუქმა ადრე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი და ძიებაში რომ დააბრუნა საქმე, ამ რეალობას რა ვუყოთ?

**რუსეთის ყოფილი საელჩოს შენობაში კაციშვილის ჭაჭანება რომ არ არის, ვის უმართავ საპროტესტო აქციას?!**

საპროტესტო და თავის შესაწუხებელი უამრავია! თუ ვინმეს მიმართ საჭიროა კორპორაციული სოლიდარობის გამოხატვა, აგერ ბურთი და აგერ — ტელეკომპანია „მაესტრო", რომლის ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი რამდენიმე დღეა, ჩვენს საზოგადოებრიობას თავისი შეშფოთების შესახებ შესჩივის. რაღაც არ ჩანს, რომ ქართველ ჟურნალისტთა აღშფოთების ტალღები ხელისუფლების მიუდგომელ ბასტიონებს ეხეთქებოდეს.

ან, იქნებ, ვინმეს სჯერა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის განცხადების, რომ ბრალდება, თითქოს „ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ტელეკომპანიას დახურვის რეალური საფრთხე ემუქრება, აბსურდულია"?

ვის ვერწმუნოთ?

**ამ კონფლიქტის გამოძიების მოთხოვნით რომ გამოვსულიყავით, ეგებ, ჩვენი დაკვრა მიზანშიც მოხვედრილიყო და შედეგიც მოეტანა.**

## ახალგორი როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაჩინოება

ცისკარიშვილის ფანდი, „თვითონ მამუკა ღლონტს აქვს გადაწყვეტილი ტელეკომპანიის დახურვაო", ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც ახალგორის რაიონის სეპარატისტული ადმინისტრაციის უფროსის — ალან ჯუსოევის ისტორიული ექსკურსი უახლოეს ისტორიაში: **„ხეთაგუროვის ძეგლის დადგმას ლენინგორის რაიონის მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იქ მცხოვრები ოსები დიდი ხნის მანძილზე სამხრეთ ოსეთისგან და ოსური კულტურისგან მოწყვეტილები იყვნენ".**

კოსტა ხეთაგათის ძეგლი რა შუაშია? მოგახსენებთ: ქართულ მედიასივრცეში გავრცელებული ინფორმაციით, **სეპარატისტები „ახალგორის ცენტრში ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვისა და პუშკინის ძეგლების დადგმას გეგმავენ".**

ვზივარ და ვფიქრობ, რომელია უფრო დიდი სისულელე, რაიონის გამგებლის ზემოთ ციტირებული განცხადება თუ ის დებულება, რომლითაც აღნიშნული ფაქტი მოგვაწოდეს — **„ახალგორის რაიონის კულტურული ოკუპაცია".**

*ექიმი პაციენტს ეუბნება: ორი ინფორმაცია მაქვს თქვენთვის: ერთი ცუდი, მეორე კარგი.*

*მითხარითო, იმედი გაუჩნდება ავადმყოფს.*

*— ცუდი ისაა, რომ თქვენი დაავადების მორჩენა შეუძლებელია, სამაგიეროდ, ამ ავადმყოფობას თქვენ სახელს დაარქმევენ.*

ვერ გეტყვით, რომელ ავადმყოფს მიაკუთვნებენ „კულტურული ოკუპაციის" აღმოჩენის პრიორიტეტს: პატივცემულ ალან ჯუსოევს, რომელიც, როგორც ჩანს, არ იცნობს კოსტა ხეთაგათის შემოქმედებით მემკვიდრეობას, თორემ აუცილებლად გაიხსენებდა მის დამოკიდებულებას ქართველ ხალხთან და ქართულ კულტურასთან, მის შეხედულებას საქართველოს როლზე ოსური თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარების საქმეში; თუ ჟურნალისტს, რომელმაც ეს ნოვაცია შემოგვთავაზა, ან იმას, ვინც უკარნახა, თუ ჰებელსის პროპაგანდისტულ არქივში ამოქექილი მეთოდების გახსენებით დაკმაყოფილდებიან?

მაგრამ ეს ყველაფერი საქმის მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარი, ჩვენი სახელოვანი პარლამენტის ინიციატივიანობაში ეძებეთ, რომელიც კერძო თავგამოდებაში გამოიხატა, ანუ უმრავლესობის თვალსაჩინო წევრის, ვინმე წიკლაურის გაბითურებულ წინადადებაში — თბილისის პუშკინის სკვერიდან პუშკინის ძეგლის, როგორც კომუნისტური გადმონაშთის, აღების შესახებ.

დადგმა და აღება — დაპირისპირებულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონის კიდევ ერთი დადასტურება.

ჯუსოევი და წიკლაური Два сапога пара! ანუ ალხანას და ჩალხანას დიალექტიკური ერთობლიობაა.

თანაც: ახალგორში თურმე შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმაც იგეგმება. ხოლო სულ ახლახან საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ალექსანდრე პუშკინის და ილია ჭავჭავაძის ლექსების რუსულ-ქართული კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

## ასე იწყებოდა პანკისი

სისულელე შეიძლება წამოგცდეს მეგობრებთან საუბრის დროს, ახლობელთა წრეში, ექსტრემალურ ვითარებაში, ბოლოს და ბოლოს, — მიტინგზე, მიკროფონთან... ვინც გინდა იყო — პარტმოძრაობის რიგითი აქტივისტი, ლიდერი ან, თუნდაც, ყველასგან მოძულებული და გამწარებული ბოგანო.

მაგრამ თანამდებობის პირი რომ ხარ, თანაც თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ბატონი ნიკოლოზ ვაშაკიძე, კი უნდა დაფიქრდე, სანამ რამის თქმას დააპირებ ისეთ საპასუხისმგებლო ღონისძიებაზე, როგორიც ნატოს კვირეულის ფარგლებში მოწყობილი ტელეხიდია.

მაშინ არ წამოგცდებოდა, რომ **„ქართული მხარე მზად არის, ავღანურ არმიას გამოცდილება გაუზიაროს".**

რომელ გამოცდილებაზეა ლაპარაკი? აგვისტოს ომის დროს რომ სრულად გამოვიყენეთ და პარლამენტის წინ გამარჯვების დროშა რომ ავაფრიალეთ?

**ასეთი ბაქიბუქის ბრალია, რომ ვრცელდება ხმები ჩვენი აგრესიულობის შესახებ, იმის შესახებ, რომ, როგორც რამდენიმე წლის წინათ, პანკისის ხეობაში ახლაც თითქოს ვამზადებთ ბოევიკებად წოდებულ ჩეჩენ მოთარეშეებს „საქართველოს რევანშისტული გეგმების განსახორციელებლად".**

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ — არკადიმ, რომლის გვარი ძალიან ჰგავს ალპურ ყვავილს ედელვაისს და არის ედელეევი, სააგენტო „ინტერფაქს-უკრაინას" განუცხადა: საქართველოში ჩასული უცხოელი ინსტრუქტორების ერთ-ერთი ამოცანა დივერსანტების მომზადებაა, რომელთაც შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიაში შეგზავნიან".

ჩვენ სრული უფლება გვაქვს, „ედელვაისის" ეს განცხადება ახირებად აღვიქვათ, მაგრამ თუ მინისტრის მოადგილე თავის სიმართლეში დარწმუნებულია, მაშინ შეიარაღებული პროვოკაცია არც ისე არარეალური ჩანს, როგორადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. სერიოზული პრობლემაა და სერიოზულ მიდგომასაც საჭიროებს და არავითარ შემთხვევაში ისეთს, როგორსაც კახელი ჩინოვნიკები დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას იჩენენ.

## „ოდნოკლასნიკები" ხელისუფლებანას თამაშობენ

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი იტყობინება, რომ აქაური ჩინოვნიკები სამუშაო საათებში ინტერნეტ-პორტალ „ოდნოკლასნიკებში" თამაშით ერთობიან.**

მაგალითად, 8 ოქტომბერს, როცა რამდენიმე თელაველი მოქალაქე საკრებულოს თავმჯდომარესთან — **ლევან ახალაურთან** შეხვედრას ცდილობდა, ეს პატივცემული გვამი, ისევე, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაქარია იაგანაშვილი** და სხვა ჩინოვნიკები — სიღნაღის გამგებლის პირველი მოადგილე **ლექსო მათეშვილი**, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი **ფიქრია წერეთელი,** თელავის საკრებულოს იურისტი **იმედა კევლიშვილი**, გურჯაანის გამგეობის პრესმდივანი **ნინო კოშაძე,** დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის მოადგილე **ნუკრი შანშიაშვილი** და სხვები პერსონალური კომპიუტერების ეკრანს იყვნენ მიჯაჭვულნი.

მითიური ამირანის კახეთის თვითმმართველობაში მიღებული ვარიანტი!

ესე იგი, დადგინდა, რომ ეს ჩინოვნიკები კომპიუტერს ფლობენ. ახლა ისლაა გასარკვევი, იციან თუ არა ამ ჯეელებმა ინგლისური და, თუ იციან, ხვალ დიდ ხელმძღვანელებად მოგვევლინებიან. ხომ ამბობდა კახა ლომაია, რომ დღეს განათლების გვირგვინი კომპიუტერის და ინგლისურის ცოდნააო.

„ოდნოკლასნიკი — ოდნოკლეტოჩნიკები?!"

## ქართველმა პარლამენტარებმა საბავშვო ბაღში საქველმოქმედო ღონისძიება მოაწყვეს, რომლის დამთავრების შემდეგ უკლებლივ ყველა იქვე, გახანგრძლივებულ ჯგუფში დატოვეს.

ამ ჯგუფს გარეთ დარჩენილები თუ მოიმოქმედებენ ისეთ საქმეს, რის შესახებაც გაავრცელეს ინფორმაცია საგენტოებმა „მიგნიუსმა" და „ნიუსრუმ" არაბულ პრესაზე, მათ შორის, ლონდონში გამომავალ არაბულენოვან გაზეთ „აშ-შაქრ ალ-აუსათზე" დაყრდნობით: **საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს ბირთვულ სფეროში მომუშავე ირანელი მეცნიერი არდებილი, რომელიც ქართულმა მხარემ აშშ-ს გადასცა.**

**გუანტანამოს პატიმრების საქართველოს ციხეებში მისაღებად მზადყოფნა რომ გამოვთქვით და ამის გამო მუსლიმანმა ექსტრემისტებმა ალმაცერად რომ დაგვიწყეს ყურება, ეს, ეტყობა, ეცოტავა ჩვენს ხელისუფლებას და ახლა უშუალოდ ირანზე გავედით, თანაც ისეთი საჩოთირო პრობლემის კუთხით, როგორიც ამ ქვეყნის ატომური პროგრამაა.**

ვრცელდება ინფორმაცია, რომ თეირანის მალექ აშთარის უნივერსიტეტის თანამშრომელი **ამირი** საუდის არაბეთში გაემგზავრა და უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მანუჩარ მოთაქიმ** გაეროს გენერალურ მდივანთან **პან გი მუნთან** შეხვედრისას ამირის მოტაცებაში აშშ დაადანაშაულა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა **იან კელიმ** განაცხადა, რომ ამერიკულმა მხარემ მომხდარის შესახებ არაფერი იცის.

გასათვალისწინებელი მაგალითია.

**არმაზ სანებლიძე**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მისმა უწმინდესობამ ტალიავინის დასკვნა შეაფასა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

# გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს

**არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, გასულ ხუთშაბათს, საპატრიარქოში პედაგოგებთან შეხვედრაზე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდი ტალიავინი არ უხსენებია, სხვა არაფერი იყო, თუ არა ტალიავინის დასკვნის შეფასება. კითხვის ნიშნები თუ ასოციაციები სხვა და სხვა გარემოებების მიმართ, სწორედ პატრიარქის სიტყვამ გააჩინა, რაზედაც აუცილებლად ქვემოთ ვისაუბრებ, აგრეთვე, იმაზე, თუ ვინ და რატომ გაალიზიანა პატრიარქის ნათქვამმა ჭეშმარიტებამ.**



მანამდე კი, სიტყვასიტყვით ვთავაზობ მკითხველს პატრიარქის ნათქვამს, რათა ჩემი „დახმარების“ გარეშე შეაფასოს იგი და, რაც მთავარია იმიტომაც, რომ არც ერთმა სამთავრობო ტელევიზიამ არ გააშუქა ეს ამბავი:

**„რაც მოხდა საქართველოში, — აფხაზეთში, ცხინვალში, მეტად დამთრგუნველია ჩვენი ხალხისთვის. ეს არ უნდა მომხდარიყო და ეს შეიძლებოდა, არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი მაგ პრობლემებისთვის... გემი როცა მიდის ზღვაში, ხელმძღვანელმა, გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს. იმ დროს, როცა შეიძლება ამ კედელს გვერდი აუარო, კარები იპოვნო და იქიდან გახვიდე. ასე რომ, არ არსებობს არც კედელი და არც ჩიხი, გამოსავალი მუდამ არის და ჩვენ მუდამ ამ უარყოფით მოვლენებს უკან მივდევთ; იმ დროს, როცა წინ უნდა ვიყოთ, უნდა პროგნოზირება გავაკეთოთ, რა შეიძლება მოხდეს და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მოხდეს ესა თუ ის მოვლენა“.**

ალბათ, შეუძლებელია ამაზე ამომწურავად და, ამავე დროს, ლაკონურად იმის შეფასება, თუ რა მოხდა შარშან აგვისტოში და რა ხდება დღესაც. ისიც ადვილი მისახვედრია, რომ პატრიარქის ეს „ქადაგება“, რბილად რომ ვთქვათ, არ ესიამოვნებოდათ სოროსის ძუძუნაწოვ მანქურთებს. უფრო „მაგრად“ თუ ვიტყვით, პატრიარქის ნათქვამი შოკის მომგვრელი იქნებოდა სოროსის თავლაში დაბმული სახედრებისთვის. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც შეძლეს და პატრიარქის ხელით უმაღლესი საეკლესიო ჯილდო — წმიდა გიორგის ორდენი დაჰკიდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორს, როლანდ ახალაიას.

**ალბათ, ეგონათ, რომ ამ აქტით საბოლოოდ და შეუქცევადად დასცეს პატრიარქის ავტორიტეტი. აქედან გამომდინარე, ალბათ, ელოდნენ, რომ საქართველოს სულიერი მამა მათთან შეთანხმების, მათი ცენზურის გარეშე, ნაბიჯს აღარ გადადგამდა! მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

ჟურნალისტებმა იქვე ოპერატიულად სცადეს ხელისუფალთა კომენტარების „აღება“. ბაჩო ახალაიამ — „არ ვიცი, არ მისმენიაო“... გიგი უგულავამაც იგივე წაილუღლუღა, თუმცა სიფათზე „ეწერა“, რომ ტყუოდა, მაგრამ რა ექნა? ეტყობა, მისი უწმინდესობის სტიქაროსნობის დროიდან, შუბლის ძარღვი თუ არა, მიკროკაპილარი მაინც აქვს შერჩენილი, რაც უარყოფითი კომენტარის საშუალებას არ აძლევდა.

აი, წუგზარ ნიკლაურმა, — **„პატრიარქის სიტყვის ბოლო ნაწილს ვუსმინეო“** და ათას სისულელეს მიედ-მოედო. საწყალს ინტერნეტზე არ მიუწვდება ხელი, რათა თავიდან ბოლომდე ეყურებინა, თუ მისმა ტელევიზიებმა ამის საშუალება არ მისცეს.

რაც შეეხება დავით დარჩიაშვილს, როგორც მოსალოდნელი იყო, ვრცელი, დემაგოგიური კომენტარი გააკეთა, რითაც, სულ ცოტა, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი შეურაცხყო, რომელთაც თქვენი მონამორჩილიც მიეკუთვნება. აღარაფერს ვამბობ საქართველოს დედაეკლესიის ეკლესიური ცხოვრებით მცხოვრებ მრევლზე. თუ არა და თავად განსაჯეთ.

**„შეფასებები შეუძლია ყველას თავისებური აკეთოს!..“** — სიტყვასიტყვით ასე დაიწყო სოროსის ბაგაზე დაბმულმა წვერებიანმა ვირმა. **რა უნდა უპასუხო ამაზე ამ ვირთხას? ის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი „ყველა“ არ არის? თუ ის, რომ**

## მისი უწმინდესობის ბაგეთაგან ნათქვამი ერთი სიტყვა ათასი ტალიავინების დასკვნებზე მნიშვნელოვანია ყოველი ქართველისათვის და არა მხოლოდ ქართველისათვის?

ტალიავინზე გამახსენდა და ტუტუცი დარჩიაშვილის კომენტარმა დამარწმუნა, რომ წერილის სათაური შეიძლებოდა კითხვის ნიშნის გარეშე მიმეცა, რადგანაც თავად ყოველივე ანტიეროვნულის „მამიდამ“, სოროსის ხლისტმა დარჩიაშვილმა დაუკავშირა პატრიარქის სიტყვა ტალიავინის კომისიის დასკვნას.

პატრიარქის **„თავისებური შეფასებები“** ბოლოს იმით განაქიქა ამ ჩიტირეკიამ, რომ მისი უწმინდესობა დაამუნათა: **„იმას რომ ამბობს, რა არ უნდა გაგვეკეთებინა, იქვე უნდა თქვას, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა!“**

რა უნდა უპასუხო ამ არაკაცს? ის, რომ **„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა?“** აიღოს დარჩიაშვილმა და არა მარტო მან, არამედ მთელმა „სახლისტეთმა“ და ნახოს სოროსელების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომი ეპისტოლეები, სადაც სახელმწიფოს განვითარების ყველა მიმართულებით ფორმულების სახით არის თუ არა ჩამოყალიბებული, როდის და როგორ უნდა გაკეთდეს შინ თუ გარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დარჩიაშვილის მსგავს ხლისტებს, პატრიარქის „უაზრო“ ეპისტოლეების კითხვას, სოროსის ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური დირექტივების უსიტყვოდ შესრულება ურჩევნიათ.

**და ბოლოს, ზემოთ ნახსენები ასოციაციების, გნებავთ პარალელების შესახებ.**

**გახსოვთ, ალბათ, პატრიარქის განცხადება, რომელიც მან 26 მაისს სამების ტაძარში გააკეთა, რამაც თავიდან საზოგადოების, უფრო მეტიც, მრევლის არც თუ უმნიშვნელო ნაწილში, უარყოფითი რეაქციები გამოიწვია, რაც ორი დღის მერე აბსოლუტურად საპირისპირო შინაარსის განცხადებით გაანეიტრალა მისმა უწმინდესობამ.**

ყველაფერთან ერთად, ეს იმის გზავნილი იყო, რომ მისი უწმინდესობა, ყოველთვის ვერ მოქმედებს საკუთარი ნების კარნახით, ანუ ოპოზიციისა თუ ხელისუფლების (ხანდახან ორივესი ერთად) აშკარა თუ ფარული ზეწოლის, გნებავთ შანტაჟის გამო, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ხალხის ფიზიკური უსაფრთხოების გამო უხდება ხოლმე არა პოპულარული ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ ადამიანის სიბრძნეზე და არა სისუსტეზე მეტყველებს, რაც, შეიძლება, ერთი შეხედვით ჩანდეს.

**ასე იყო 26-28 მაისს და ასე მოხდა ზუგდიდში, როცა ცნობილი ოდიოზი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა და მისი უწმინდესობის სიტყვა, რომელიც წინამდებარე წერილის მიზეზი გახდა,** ყველაფერთან ერთად, იმ „დაჯილდოვებით“ გამოწვეული გაუგებრობის, არაჯანსაღი მითქმა-მოთქმის ალაგმვის წარმატებული მცდელობაც იყო.

## საქართველოს ხომალდს კაპიტანი არ უვარგაო! ამაზე მეტი რაღა უნდა თქვას და გააკეთოს მისმა უწმინდესობამ?

**ის ხომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი კი არა, საქართველოს მწყემსმთავარია — სულიერი მამა ყველა ქართველისა, მათ შორის, უღმერთო დარჩიაშვილების, ლადარიების, თევზაძეებისა და სხვა ხლისტებისა, ახალი ფორმაციის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ გენური ინჟინრების მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშისა, უფრო სწორედ, უჯიშო ქართველებისა!!!**

მისი უწმინდესობის დაშანტაჟება, მასზე მუდმივი ზეწოლა, პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, სიმართლესთან ძალიან ახლოს არის პრესასა თუ პრივატულ საუბრებში რეზო ამაშუკელის მიერ არაერთგზის გაცხადებული აზრი, რომ საქართველოს პატრიარქი იზოლაციაში ჰყავთ ან ცდილობენ, რომ ჰყავდეთ!..

**ისიც ხომ ადამიანია და მისგან ყველა შველას რომ მოითხოვს, იქნებ, მასაც უჭირს და თავადაც სჭირდება შველა ან ელემენტარული თანაგრძნობა მაინც, რათა ნაჩქარევი დასკვნები არ გამოვიტანოთ ხოლმე მისი ამა თუ იმ, ერთი შეხედვით, გაუგებარი, აუხსნელი ქმედებებიდან.**

**ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამის დასტური მისი ეს უკანასკნელი სიტყვაც არის, რომელმაც ჩვენს გულებში ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და პირიქით, ყველაფერი თავდაყირა დააყენა სოროსის გრანტებით გამაძღარ, ქრისტეს ფეხისმკვნეტელთათვის!**

**დავით მხეიძე**

# მთაწმინდის პანთეონი ჭაბუა ამირეჯიბის გამო დახურეს?!



**ახლახანს მთაწმინდაზე აბრძანდა კიდევ ერთი დიდი მწერალი ოთარ ჭილაძე. ღმერთმა აცხონოს!.. ბატონი ოთარის გვამი ჯერ გაციებული არ იყო, რომ „ხმა გავარდა“ — ამ დაკრძალვით მთაწმინდის პანთეონი დაიკეტაო, რადგანაც იქ თურმე მეტი ადგილი აღარ ყოფილა!..**

ამ ცნობამ საზოგადოებაში მრავალი კითხვის ნიშანი გააჩინა, რაზედაც პასუხის გაცემას ქვემოთ შევეცდები. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ უხერხულ მომენტებს ვერ ავცდები...

მოდი გულზე ხელი დავიდოთ, მივიხედ-მოვიხედოთ და ვთქვათ — ვინ არის ჩვენ ირგვლივ ცოცხალთა შორის, როგორც იტყვიან, „სამთაწმინდე კაცი?“ არ მგონია, „ბრძენთა ხმობა“ დაგვჭირდეს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. ასეთი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანდება.

ზემოთ ნახსენებ უხერხულობაში სწორედ იმას ვგულისხმობდი, რომ ცოცხალი კაცის სიკვდილზე მიწევს საუბარი, მაგრამ ნუგეშად იმას ვიტოვებ, რომ ბატონი ჭაბუა არ დამძრახავს ამისთვის.

„ბოროტი“ ადამიანები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ხელისუფლებაც ემზადება ჭაბუა ამირეჯიბის „მიქცევისათვის“ და ამიტომაც დროულად „დაკეტა“ მთაწმინდის ძვალთშესალაგი. როგორც სისხლისმსმელი სვავები, ისე მოუთმენლად ელოდებიან მიხრწნილებაში გადამდგარი ბებერი ლომის აღსასრულს, ამ ლოდინში კი ერთი ვირეშმაკობაც მოიფიქრეს — მთაწმინდის პანთეონი დახურეს, რათა იქ ჭაბუა არ დაკრძალონ.

ილიას, აკაკის, ვაჟას, ტატოს და სხვა, მხოლოდ სახელით მოსახსენიებელ მამულიშვილთა გვერდით ერთ მშვენიერ დღეს ქართველობამ ჭაბუაც რომ არ ააბრძანოს „თავისუფლების ინსტიტუტის“ მანქურთები პანთეონის „დახურვას“ ესწრაფვიან, მაგრამ სულ ტყუილია მათი ეშმაკეული ზრახვანი, რადგანაც, ღვთის მადლით, ჭაბუა ამირეჯიბის მიქცევა ჯერ არ მოხდება. მჯერა, რომ უზენაესი, საქართველოს აყვავებულს თუ ვერა, აღმშენებლობის გზაზე შემდგარს მაინც მოესწრება ცოცხალი კლასიკოსი და საკუთარი თვალით იხილავს „ნაცების“ წაშავებას პოლიტიკურ მოუსავლეთში!

ბატონო ჭაბუა! ვერ შეგკადრებთ ისეთ სულელურ ფრაზას — კიდევ ასი წელი იცოცხლე! მაგრამ საქართველოს შინაური მტრების სურვილის საწინააღმდეგოდ, „ცოტა“ ხანს კიდევ უნდა იყოთ. როგორც თავად ბრძანებთ — თქვენი სიცოცხლის დარჩენილი, ერთი ფიორა ნაწილი ისე სჭირდება ჩვენს სამშობლოს, „ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!“ და როცა თქვენი ამასოფლიდან გასვლის ჟამი, თქვენივე თქმით, მიქცევის ჟამი დაჰკრავს, თქვენც მხოლოდ სახელით მოგიხსენიებენ წიგნიერი თუ უბირი ქართველნი!!!

**დავით მხეიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სიღნაღში მხოლოდ ცენტრია რესტავრირებული, სხვა ქუჩებში რომ გაიაროთ, სულ სხვა გარემოში აღმოჩნდებით

## ჩვენ რაღა? — ვირის ყურები! მეტი არაფერი!



**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს — ნოდარ კოჭლამაზაშვილს სიღნაღის საკრებულოში უჩივის. ორგანიზაციამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2009 წლის 29 ივლისს გამგეობაში დაცული სიღნაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, რაზეც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.**

სიღნაღის რეაბილიტაცია ტურიზმის განვითარების მხრივ ხელისუფლებამ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად გამოაცხადა. ტურისტებისთვის სასიამოვნო გარემო იქ შეიძლება მართლა შეიქმნა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემები არ მოჰკლებია. როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, სიღნაღის რეაბილიტაციაზე მომუშავე ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს კუთვნილი ხელფასი დღემდე არ მიუღია. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნით ბევრს ვერაფერს რომ ვერ მივაღწევდით, ეს დასაწყისში აღნიშნული ფაქტიდან ჩანს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ადგილზე გავცნობოდით ვითარებას.

**დამთვალიერებელთა სიმრავლე სიღნაღის შესასვლელშივე იგრძნობა. ხელისუფლების მიერ მრავალგზის „გაპიარებული“ სიღნაღის რეაბილიტაციის პროგრამის მიუხედავად, ამ ქალაქის ულამაზესი გალავნის შესასვლელთან არსებული ფეშენებელური, კეთილმოწყობილი სასტუმროდან ზუსტად ერთი მეტრის მოშორებით გასული საუკუნის საკმაოდ შელახული, სანახევროდ დანგრეული, სახურავმონგრეული ორსართულიანი ნასახლარი შევნიშნეთ, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ ფოტოობიექტივშიც მოხვდა.** კარიბჭესთან პირველივე ადგილობრივი მცხოვრებისგან შევიტყეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხალხს სიღნაღის ცენტრში, ბაზარში ვნახავდით და ჩვენც იქით გავუყევით ქვაფენილით მოპირკეთებულ ვიწრო ქუჩას. ბაზართან თავმოყრილ სიღნაღელებთან საუბარი არ გაგვჭირვებია, რადგან პრობლემებისგან შეწუხებულებმა, შეიძლება ითქვას, გული მოიოხეს; ფოტოკამერისგან კი, ქიზიყური მოკრძალებისა თუ ხელისუფლების რიდით, თავი შორს დაიჭირეს.

**ანზორ გელაშვილი (32 წლის):** — ისე გამოდის, თითქოს მადლობა უნდა ვუთხრათ სააკაშვილს, თითქოს აღორძინდა, გალამაზდა ქიზიყის ეს უძველესი ქალაქი, მაგრამ ჩემთვის და ჩემნაირებისთვის არანაირი სიკეთე არ მოუტანია. რომ გაიძახის, ამდენი და ამდენი სამუშაო ადგილი შევქმენითო, აბა, სად არის? მაგათ მარტო ლაპარაკი იციან, თან საქმეო? სად არის გაკეთებული საქმე? მე და ჩემი მეგობრები, როგორც აქამდე ვიდექით, ახლაც ისე ვდგავართ „ბირჟაზე“. ნეტავ, სამუშაო გამოგვიჩნდებოდეს, ვინ გაექცევა? ჩვენი ოცნებაც ეგ არის. მაგრამ რა გამოდის? რაღაცა ტენდერია თუ ოხრობა, მაგისი არაფერი გამეგება, მაგრამ მანდ ვიღაცები იმარჯვებენ თურმე და თავიანთი ხალხი მოჰყავთ სამუშაოდ და ჩვენ რაღა? — ვირის ყურები! მეტი არაფერი!

**გურამ სეხნიაშვილი (45 წლის):** — ამდენი ხალხი სიღნაღს არ ახსოვს. ყოველდღე ჩამოდიან და ჩამოდიან, შაბათ-კვირას — განსაკუთრებით. ამაზეა ნათქვამი, გარეთ მტერს უბრმავებს თვალს და შიგნით მოყვარესო. ეს ყველაფერი მხოლოდ გარედან არის გალამაზებული. აბა, შენობაში შედით, შიგნით შეიხედეთ! აქაურების უმრავლესობა სარემონტო სამუშაოებზე მუშაობდა. ამ სამუშაოებს სხვადასხვა კომპანია ასრულებდა. მათ თავიანთი მუშებიც ჰყავდათ, რომლებსაც უფრო მეტს უხდიდნენ, ვიდრე ჩვენ.

თუ ისინი დღიურად 40 ლარს იღებდნენ და საკვებიც უფასო ჰქონდათ, ჩვენ, სიღნაღელებს, მათხოვრულ ჯამაგირს — დღეში მარტო 10 ლარს გვაძლევდნენ; თანაც, არც გვაჭმევდნენ და გვეუბნებოდნენ, „ჭამაში ვერავინ გჯობიათ და მუშაობით კიდევ არაფერს აკეთებთო“. ნამდვილი უსამართლობა იყო. ათი ლარი ყოველდღიურად ჩვენთვის, ასე თუ ისე, საკმარისია, მაგრამ ვიღაცას 40 ლარს რომ აძლევ და მე — იმის მეოთხედს, ნამუსი არ არი? ნეტავ, სამუშაო იყოს და მაგ ათ ლარზეც სიამოვნებით ვიმუშავებ.

ხელფასი ჩვენ კი გადაგვიხადეს, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც დღემდე არ მიუღია კუთვნილი გასამრჯელო. შავი სამუშაოს შესრულებას არ ვთაკილობთ, მაგრამ სამუშაოები შეჩერდა. ეს ერთი უბანი — ცენტრია რესტავრირებული, ცოტა იქით, სხვა ქუჩებში რომ გაიაროთ, სულ სხვა გარემოში აღმოჩნდებით. თუმცა ცენტრშიც კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. აი, ამ ადგილს „ბებრების პარკს“ ვეძახით, უკვე მერამდენე წელია, ასე გადათხრილი და მიტოვებულია. დაიწყეს მუშაობა და მერე შეჩერდნენ. ვიღაცამ შეისყიდაო, ამბობენ.

**ზაზა ფოლადაშვილი (41 წლის): — თითქოს გამოცოცხლდა აქაურობა, მაგრამ მოსახლეობის ყოფა ბევრად არ შეცვლილა. დასაქმებულთა რაოდენობა არ გაზრდილა.** უამრავი სასტუმრო და რესტორანია გახსნილი. ადგილობრივ მოსახლეობას იმის საშუალება არ აქვს, თვითონ რომ გახსნას რაღაც. ამ სასტუმროებისა და რესტორნების მეპატრონეებს კი თითო-ოროლა ადგილობრივი ჰყავთ დასაქმებული, რადგან თავიანთი ხალხი ჰყავთ ჩამოყვანილი.

**ნათელა მესაბლიშვილი: (64 წლის): — ვინც ამ ქუჩაზე ცხოვრობდა, იმათი სახლები შეაკეთეს, დანარჩენს ჯერ კიდევ არ გვყავს პატრონი.** სახლში წვიმა ჩამომდის, გამგეობა მპირდება, რომ შევაკეთებთო. მარტო მე და ჩემი ქალიშვილი ვცხოვრობთ. არც ერთი არ ვმუშაობთ. აქ ჩურჩხელებს, მზესუმზირას და რაღაც წვრილმანებს ვყიდი, ეს არის ჩემი შემოსავლის წყარო. პურის ფულად ძლივს მყოფნის, სხვა რა უნდა გავაკეთო ამით.

აქვე გავარკვიეთ ერთ-ერთი სიღნაღელის მისამართი, ვინც კუთვნილი ფულის მიღებას დღემდე ელოდება და ჭავჭავაძის ქუჩისკენ გავემართეთ. სასტუმრო „სიღნაღიდან“ დაახლობით 50 მეტრი გავიარეთ და უკვე იმ სიღნაღში აღმოვჩნდით, რომელსაც რესტავრაცია არ შეხებია. **გალავანთან მიმოყრილი ცარიელი ბოთლების სიმრავლეში ხელისუფლებას ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ, ეს ქართული კულტურის შედევრია აშკარად.** ბატონი თემურ ფარანაზოვი, ჩვენდა საბედნიეროდ, სახლში დაგვხვდა. როდესაც „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმრობის მიზეზი შეიტყო, გაუკვირდა. „აქამდე არავინ დაინტერებულა ჩვენი ბედით და თქვენ ვინღა ხართ?“ — იკითხა; **გაზეთ „საქართველო და მსოფლიოდან“-თქო, რომ ვუთხარით,** „ვააა, გამიგია ეგ გაზეთი, ის არ არის, წითელი სათაური რომა აქვს?“ ავუხსენით, რომ მასთან მის პრობლემებზე გვსურდა საუბარი.

**თემურ ფარანაზოვი:** — ჩვენმა ჯგუფმა 2008 წლის მაისში მუზეუმის მახლობლად ერთ-ერთ ობიექტზე იმუშავა. დაგვპირდნენ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ კუთვნილ ანაზღაურებას მივიღებდით. მე რესტავრატორი ვარ, დაახლოებით თვენახევრის შემდეგ საქმე დავასრულეთ, ჩაატარეს აზომვითი სამუშაოები. მაგრამ გასამრჯელო — დაახლოებით 2000 ლარი, დღემდე არ მიმიღია.

— **იმ პეროდში რამდენიმე კომპანია ახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს, თქვენ რომელი კომპანიის დაკვეთით მუშაობდით?**

— კომპანია „თბილისის“. სამწუხაროდ, ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია, არც არავის უთქვამს ამის შესახებ. სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა. აქ ყველა ასე მუშაობდა.

**— დაახლოებით რამდენი კაცის დავალიანება აქვს კომპანიას და რა თანხას შეადგენს ეს დავალიანება?**

— ცამეტი კაცი ვართ ამ სიტუაციაში. სულ 6000 ლარამდე გვაქვს ასაღები. რამდენჯერმე მივაკითხეთ გამგეობას, დაგვპირდნენ, დაგეხმარებითო; გამგებელმა გვითხრა, რომ გუბერნატორიც კი ჩააყენა საქმის კურსში, მაგრამ ჯერ არაფერი შეცვლილა.

**— თქვენ და კომპანიას შორის ვინ იყო შუამავალი?**

— შუამავალი „პრარაბი“ იყო და მასაც ველარ ვუკავშირდებით. ილო ჰქვია, გვარი კი არ ვიცით.

ბატონ თემურს ჯერაც აქვს იმედი, რომ კუთვნილ თანხას მიიღებენ. ამ მოსაზრებას არ იზიარებს **ვასილ სეხნიაშვილი:**

— ეს ფული უკვე შეჭმული აქვთ. ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ. მე პირადად 738 ლარი მაქვს ასაღები. რაც ავიღეთ, ისიც ნაწილ-ნაწილ მოგვცეს. ერთი შილდელი „პრარაბი“ იყო, ჯემალი ერქვა. მეორე კი — ყვარლის რაიონიდან, ილო. მათი უფროსი თბილისიდან ვინმე გიორგი ზაქრაძე იყო. **ისიც უნდა ვთქვა, „პრარაბს“ ფული რომ მოჰქონდა, ზოგს აძლევდა, ჩვენ კი გვეუბნებოდა, ფული არ არისო. ერთხელ, როგორც თვითონ მითხრა, 600 ლარი თავისი ჯიბიდან მომცა (იქნებ, კომპანიამ მისცა და ჩვენ აღარ გადაგვიხადა?!).** სწორედ ამიტომ ვთხოვეთ გამგეობას, იმის გარკვევაში მაინც დაგვხმარებოდა, ვის მოეთხოვება პასუხი.

**— არ გიცდიათ, სასამართლოსთვის მიგემართათ და სამართლებრივი გზით მიგეღოთ ეს თანხა?**

— სასამართლოში რომ ვიჩივლოთ, უფრო მეტი დაგვეხარჯება და რა აზრი აქვს.

„პრარაბ“ ილოსთან დაკავშირებას „საქართველო და მსოფლიოც“ შეეცადა, მაგრამ მისი მობილური ტელეფონი ამჯერადაც მომსახურების ზონიდან გასული აღმოჩნდა.

**ნანა ლაღაძიშვილი**

## ხელისუფლების მიერ „გადაგდებული“ მუშები სამართალს ითხოვენ



სიღნაღის ბიგ-ბენი



ბებრების პარკი სიღნაღში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პრეზიდენტო, თქვენ დედა გყავთ? აი, ჩემს შვილს კი «აუორთქლეს»...

**უთქვამთ, „სიბერემდე სიქაჩლეო"... მართლაც, რას არ მოესწრება კაცი, განსაკუთრებით, „ახალ, დემოკრატიულ" (?!) საქართველოში.
ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ იმას ნამდვილად არა, რომ ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯებდი თუ არა, სიბერისკენ მიმავალ გზაზე შემხვდებოდა ჭიპგადმოგდებული ახალგაზრდა ქალი და საქართველოს სახელით მეტყოდა, „თქვენ ის არ ხართ, ვინც ამდენს ხანს გეგონათო" (?!).
მკითხველო, არ დაიბნე, მართალს ვამბობ.
მეორე თვეა, ვარკვევ — თუ მაყვალა ბერიანიძე არ ვარ, აბა, ვინ ვარ?..
ბენიანიძე ხარო (?!).
პირადობის მოწმობა მაქვს №01009008844 №ბ.0144936.**








На В/№ ——— от ———

В Ы П И С Ь

Из ——— регистрационной книги
за 19 93 г.
Фамилия
Имя
Отчество
Место рождения
Год и месяц
Акт
Национальность
Отец
Мать
Нач. респ. Архива
Тип. 11, зак. 340, тир. 1000000

დავყურებ... ჩემი სურათია, თითქოს **ბერიანიძეც** წერია, მაგრამ მეუბნებიან, შენ არ ხარ (?!); დაბეჭდილი კარგად არ არის (?!), **რ** ცოტა გაურკვევლად (?!) არის და ჩვენს კომპიუტერში **ბენიანიძე** ხარო (?!).

კი, მაგრამ, მე რა შუაში ვარ, თქვენს კომპიუტერს თუ „პირველად ჩანაწერს" ცოტა აურევია-მეთქი.

იწყინეს. ჩვენ „დემოკრატიული ქვეყანა" ვართ, ამას როგორ გვკადრებთო.

გავცეცხლდი...

— ეს სურათი ჩემია? — ვიკითხე... ამათვალიერეს და ჩამათვალიერეს...

— დიახ, თქვენია.

— **ბერიანიძე** წერია?

— თითქოს (?!). ჩვენ შეგვიძლია (?!), **ბერიანიძეც** დავწეროთ და **ბენიანიძეც**(?!), მაგრამ კომპიუტერში **ბენიანიძე** გვიწერია და ვერ შევასწორებთ (?!).

ღმერთო, დიდებულო! მოქალაქის პირადობის მოწმობა მაქვს, გაცემული თბილისში, ვაკის რაიონის შს სამმართველოს პირველ განყოფილებაში 1997 წლის 17 ივნისს, მოქმედების ვადა 2017 წლამდეა, მაგრამ აქ რომ მეგონა და ვარ (!) **ბერიანიძე**, იმ შეჩვენებულ კომპიუტერში **ბენიანიძე** ვყოფილვარ.

ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა „გადაყლაპა" და მერე როგორ.

ჯერ ეროვნების გრაფა გააქრეს პასპორტიდან, მერე — მამის სახელი. მერე ჩაწერის ინსტიტუტი გაუქმდა და რეგისტრაცია შემოიღეს. ეს მიხეილ სააკაშვილის წინადადება იყო, ეს ყველაფერი გადავყლაპეთ, ახლა კი...

საჯარო რეესტრში ყოფნისას იმდენი „უმისამართო" ვნახე, დავიბენი, განცხადებებში ვერ წერდნენ, სად ცხოვრობდნენ (?!).

ნეტა ასერიგად მომრავლებული ჩინელები თუ არიან სადმე რეგისტრირებული, თუ ისინიც ასე „უმისამართოდ დაეხეტებიან ქართულ „სამოთხეში", — გამკრა კითხვამ...

მე გვარი წამართვეს! ამათ სამოთხეს საჩუქრად აძლევენ...

ისევ საჯარო რეესტრში ვარ, აბაშიძის ქუჩაზე, ვაწვდი დოკუმენტებს... ათასნაირს(!). ყველგან **ბერიანიძეა**. არ გვაინტერესებს (?!), თქვენ **ბენიანიძე** ხართო.

„გადამამისამართეს"... ახალგორში „აირბინეთ" (?!), მტკიცებულებები მოიტანეთ, რომ **ბერიანიძე** ხართო (?!).

წამოდით, ერთად წავიდეთ სულ სირბილ-სირბილით, მე ახალგორში დავიბადე, ჩემი დოკუმენტების პირი იქაურ არქივშია, მაგრამ ახალგორი მტრის მიერ ოკუპირებულია-მეთქი...

ოო... დაგვავიწყდაო" (?!).

ცენტრალურ არქივში გამაგზავნეს. ვაკის რაიონიდან დიდუბისკენ, წერეთლის გამზირისკენ ავიღე გეზი. მგონი, სამი ტრანსპორტი გამოვიცვალე.

„სწრაფი" მომსახურების თანხა რომ არ მქონდა, ორლარიან ქვითარს და 50-თეთრიან საბანკო მომსახურებას დავჯერდი და დაველოდე 6 ოქტომბერს, როცა ნანატრი დოკუმენტი უნდა მიმეღო.

ლოდინმა არ გაამართლა. ავიღე ცნობა, რომ ჩემი დაბადების წლის მონაცემების ლენინგორის მასალა არქივში არ ინახება.

ახლა ამ ცნობით მივადექი ისევ აბაშიძის ქუჩას და კილომეტრიან რიგში პატიოსნად მოვინიშნე ჩემი ადგილი.

სული მეხუთებოდა. გარეთ გამოვედი, მიდამო მივათვალიერ-მოვათვალიერე. „ეროვნული ფორუმის" დროშები ფრიალებდა რეესტრის თავზე. ხომ არ მომეჩვენა-მეთქი... არა, მართლაც ასე იყო და ვიფიქრე, იქნებ, კარგის ნიშანია, უეროვნებო, უმამისსახელო რეესტრის რეგისტრაციის „არქივში" შეკრებილ ადამიანებს რომ „თავს დასტრიალებს და დაფრიალებს" „ეროვნული ფორუმის" დროშები-მეთქი.

ნაცნობს გავუზიარე ჩემი ნაფიქრი. სიცილით მოკვდა. „ჭკვიანად იყავი, მაგ დროშების ფონზე არ გადაგიღონ სურათები, სამსახურიდან არ გაგათავისუფლონ შენ და შენი მეუღლე ან არ დაგიჭირონ „ეროვნული ფორუმის" კარგად ხსენების გამოო".

**დავამშვიდე. ჩემი მეუღლე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ 23-ე (!) დღეს გაათავისუფლეს. ბრძანებაში მიზეზი არ წერია და დღემდე უმუშევარია.**

**დამოუკიდებელ საქართველოში ჩემთვის სამსახური (მით უფრო — სახელმწიფო) ვერავინ გაიმეტა.**

**საიდან გაგვათავისუფლებენ?**

**თუ დამიჭერენ, იმას მაინც დავადგენ, ბერიანიძე დაიჭირეს თუ ბენიანიძე.**

**ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. ერთმა მშვენიერმა გოგონამ, თუ არ ვცდები, სოფო ძაგანიამ და ახალგაზრდა ვაჟმა (მას ზურიკო ერქვა), სიმშვიდე დამიბრუნეს. ცდილობდნენ საქმეში ღრმად გარკვევას, ყველა დოკუმენტის გულდასმით გაანალიზებას.**

ამ ორმა ახალგაზრდამ ძველი წყენა დამავიწყა. სანამ ყველაფერი გაირკვეოდა, გულდასმით ვადევნებდი თვალს მათ მუშაობას. არავითარი აჩქარება, ტონის აწევა. განსაკუთრებით ხანდაზმულებს „ეფერებოდნენ", უხსნიდნენ, ეხმარებოდნენ დოკუმენტების შევსებაში, აკვალიანებდნენ.

ბრმა უნდა იყო, სიკეთე რომ არ დაინახო. სამოქალაქო რეესტრი ერთი დიდი ორგანიზმია და ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ თაფლში ერთი წვეთი შხამიც საკმარისია, რომ მთელი კასრი გაფუჭდეს.

ადამიანებს ყურადღება სჭირდებათ. ამ სამსახურს კი გულთბილი, პროფესიონალი და მოწესრიგებული თანამშრომლები. ისინი ქმნიან მის ავტორიტეტს. მე ერთიც ვნახე და მეორეც, კარგიც და ცუდიც.

## როგორ „აუორთქლეს" ჩემს შვილს დედა...

უარესი მელოდა წინ. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჩემი შვილის დაბადების მოწმობა დაიკარგა სასწავლებელში. აღდგენა გადავწყვიტე. მითხრეს, დაბადების მოწმობები დაბეჭდილი არ არის და ამონაწერს მოგცემთო.

დავუტოვე დაბადების მოწმობის ასლი, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურებულია (ორგზის!), რომ დედა **ბერიანიძეა**.

ორივე დოკუმენტი ჩავაბარე საჯარო რეესტრში. თან მივაყოლე ძველი და ახალი გადახდის ქვითრები და ისევ „ლოდინის რეჟიმში" ჩავდექი ერთი უბრალო მოკვდავი მოქალაქე.

მომცეს ახალი მოწმობა და, ჰოი, საოცრებავ, ჩემს შვილს დედა „აუორთქლეს"!

ჩემი შვილის დედა ვინმე **ბენიანიძე** ყოფილა. არსებობს კი ასეთი ქალი საქართველოში?

ქორწინების მოწმობაში, რომელიც 1992 წლის 9 ივლისს გაიცა, **მაყვალა ბერიანიძე** ვიყავი და ქმარსაც არ მოუნდომებია ამ გვარის „წართმევა" და დავრჩი **ბერიანიძედ**.

ამ კანონიერი ქორწინების კანონიერი შვილია ჩემი ბიჭი, მაგრამ ვიღაც იდიოტის (აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას), პირველადი თუ კომპიუტერული შეცდომის გამო, მოგონილი დედა გაუჩნდა.

ბუდაპეშტის ქ. №2. დილის 10 საათიდან 3 საათამდე ვარ. აგრესიულია ვინმე ნათია ბერაძე თუ ბერიძე (რა მნიშვნელობა აქვს (?!) **ა** თუ **ი**. „აი" ხომ გამოდის? მერე „იასაც" მიაყოლებს...

**ვეუბნები: ქალბატონო, ჩაგაბარეთ დაბადების მოწმობის ასლი, მმაჩის განყოფილების ამონაწერი. ამ ბავშვს დედა არ ჰყავს ბენიანიძე. მე ვარ დედა და შიგ წერია ბერიანიძე. ჩაასწორეთ, გთხოვთ...**

10 საათიდან 3 საათამდე ველოდე... რამდენიმე სტაჟიორი, შტატიანი თუ უშტატო თანამშრომელი „გამესაუბრა".

**3 საათზე კი ნათია ბერაძემ (იქნებ ბერიძემ) მომიგდო (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) მმაჩის ბიუროს ამონაწერი, დაბადების მოწმობის ასლი (იქ დედა ბერიანიძეა!) და თან მოაყოლა დაბადების ახალი მოწმობა, სადაც ბავშვის დედა ბენიანიძეა (?!).**

**— რა ვქნა ახლა მე? — ვიკითხე...**

**— რაც გინდათ, ქენით. არც ვაშაძეა ჩემი უფროსი და არც პრეზიდენტი, ჩვენ ასე ჩავწერეთ „პირველადი აქტით" (?!).**

**— აბა, ეს ამონაწერი რა არის?**

**— არ მაინტერესებს, წადი და გაიგე, ვინ არის ბავშვის დედა (?!).**

პრეზიდენტო, დედა ხომ გყავთ? ერთ დღეს რომ „აგიორთქლონ", რას იზამთ? გესიამოვნებათ, **ალასანიას** ნაცვლად **ალასარია** რომ ჩაგიწერონ და უხეშად გითხრან, **რ** და **ნ** კარგად არ ჩანდა და კომპიუტერში ასე და ასე შევიტანეთო?

ქალბატონმა გიულიმაც კი იცის, რომ მე **ბენიანიძე** არ ვარ.

მშვენიერი დედა და დეიდა ჰყავს გიორგი ვაშაძეს, მართლაც კარგ ხელმძღვანელს, მაგრამ მისმა დედამ და დეიდამაც იციან, რომ მე არა ვარ **ბენიანიძე**.

**რა ვქნა? ნათია ბერაძეს (თუ ბერიძეს) და ბუდაპეშტის ქ. №2-ის მესვეურებს არ სურთ ამის გაგება.**

ბუშმა ვერ „გააბუშა" საქართველო, მიუხედავად დიდი მცდელობისა.

ბუში ქართულად „ნაბიჭვარს" ნიშნავს. რა გინდათ ახლა, თქვენ, სუყველას? მე-9 შვილი ვარ. მამა **ბერიანიძე** იყო, შვილებიც... **8 შვილი ბერიანიძეა** და მე **„ნაბუშარი" — ბენიანიძე**?

სკოლაში — **ბერიანიძე**, შრომაში — **ბერიანიძე**, პასპორტში — **ბერიანიძე**, პირადობის მოწმობაში — **ბერიანიძე**, უმაღლესი სასწავლებლის 4 დიპლომში — **ბერიანიძე**, ყველა დოკუმენტში — **ბერიანიძე**, წიგნების ავტორი — **ბერიანიძე**, სტატიების ავტორი — **ბერიანიძე**, ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა (ბავშვის) **ბერიანიძე** და... მითხარით, ვინ არის ის ერთი იდიოტი, ვინც ასოების წერა ჩემს გვარზე ისწავლა? ვინც ჩემს შვილს დედა „აუორთქლა?"

ვიღაც იტყვის, ამ „ერთ ასოზე" რა ამბავი ატეხაო... ერთი „ასოა", რაც არის...

ბავშვობისდროინდელი ამბავი მახსენდება. არაჩვეულებრივი მასწავლებელი მყავდა, ნინო ხომერიკი. ქიმიას გვასწავლიდა. ერთხელ წარჩინებულ ბავშვებს თანაკლასელები მოგვამაგრა — თუ მაგათ ცოტას მაინც არ ასწავლით, თქვენი ფრიადოსნობა არაფერიაო. მე იზო შემხვდა. ოსი იყო, ძალიან ლამაზი. ბევრი ბიჭი ეტრფოდა. მას კი ქიმია არ მოსწონდა და, საერთოდ, სწავლა ეზარებოდა. დავიწყე მისი „განათლება" — ერთ გაკვეთილს მაინც ვასწავლი-მეთქი... ნატრიუმისა და წყლის მოქმედება და ა.შ.

**მართლა კარგად ისწავლა. მთელი კლასის წინაშე თავი გამოიჩინა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ნინო ხომერიკი განრისხდა და წიგნი თავზე დაადო... იქნებ, აქედან მაინც ჩაგივიდეს თავში, ფიქრები სადღაც რომ გაგირბისო...**

**ვერაფერს მივხვდი... ყველა ფორმულა სწორი იყო, მაგრამ ბიჭების ხარხარმა ყველაფერი გადაფარა. ნატრიუმისა და წყლის „ამბებში" იზომ რატომღაც ასო „წ" ააორთქლა და მთელი დაფა სავსე იყო ნატრიუმისა და ... (?!) მოქმედებით...**

ერთი ასო... „აორთქლდა" და... ვითომც არაფერი, ისეთი რამ გამოვიდა.

**ერთი ასოა „შეცდომით" — გული და გალი.**

**თხა** და **ფხა**... **ჰა** და **რა**...

ერთი ასოა „აორთქლებული" წყლის „საქმეში"...

**ერთი ასოა „აორთქლებული", ვთქვათ, პრეზიდენტის „საქმეში"... რჩება რეზიდენტი...**

ერთი ასოა „შეცდომით" ჩემს გვარში და არავინ იცის, ვინ არის **ბენიანიძე**, რომელმაც ჩემი ვაჟი „დაბადა" (?!).

**ერთი ასო! ღმერთო, შენ მიშველე, რომ ჩემს სამშობლოში „ნაბუშრად" არ დავრჩე... და არა მხოლოდ მე.**

**მაყვალა ბერიანიძე**
**2009 წლის 9 ოქტომბერი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


## რამაზ კლიმიაშვილი:

# საქართველოს დაშლის გეგმა ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი კონფედერაციული სუბიექტების გაჩენას ითვალისწინებს

**აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც დამარცხებული საქართველოს ტერიტორიების აღიარება მოხდა, ჩვენს მეზობლებში კვლავ გაჟღერდა საქართველოს შემდგომი დაშლის სხვადასხვა გეგმა. პირველი და მთავარი რუსეთისთვის კავკასიაში თავის მთავარ დასაყრდენთან – სომხეთთან პირდაპირი კავშირის არქონაა. ამისათვის ერთი ვარიანტია გოდერძის უღელტეხილზე ახალი თანამედროვე გზის მშენებლობა, რითაც სომხეთი თითქოს აისრულებდა დიდი ხნის ოცნებას და შავ ზღვაზე რაღაც გასასვლელს მოიპოვებდა, რითაც პირდაპირ დაუკავშირდებოდა რუსეთს. გავიხსენოთ, რომ 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გაეროს წინამორბედ ერთა ლიგაში არ მიიღეს და იმის გამო, რომ სომხეთმა ბათუმი მოითხოვა, მისი დამოუკიდებლობაც დე იურე არ აღიარეს! თუ რა შედეგი მოჰყვა ამას არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სომხებისთვისაც, ყველამ კარგად იცის.**




სხვათაშორის, ამ პირდაპირი გზის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ გაჟღერდა და მისი ერთ-ერთი ხმაურიანი მოწინააღმდეგე სწორედ სააკაშვილი იყო. ამ ცოტა ხნის წინათ კი მანვე ერევანში ხელი მოაწერა ამ გზის მშენებლობას, რისთვისაც სომხეთის უმაღლესი ჯილდოც მიიღო. და თუ რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ გზის მშენებლობას — ამის თაობაზე ქართულ პრესაში არაერთხელ ითქვა და ამჯერად აღარ შევჩერდები.

**მაგრამ თუ აგვისტოს ომამდე ეს გზა სომხებს სრულად დააკმაყოფილებდა, ახლა წაქცეული და დასუსტებული საქართველოსადმი ახალი, საკმაოდ ფანტასტიკური პრეტენზია გაუჩნდათ – მათ სურთ, სახმელეთო საზღვარი ჰქონდეთ რუსეთთან! და თუ ადრე რაღაც სახმელეთო „დერეფანზე“ იყო ლაპარაკი, რომელიც ჯავახეთს ცხინვალთან დააკავშირებდა, ახლა მათი ფანტაზია კიდევ უფრო შორს წავიდა!**

ამ შემთხვევაში, ცხადია, ჯავახეთი სომხეთის შემადგენლობაში იგულისხმება, მაგრამ გაურკვეველი რჩება, მაინც როგორ ექნებათ მათ საერთო საზღვარი, თუ, რასაკვირველია, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სრული იურიდიული ანექსია არ მოხდა რუსეთის მიერ და მისი ფსევდო „დამოუკიდებლობა“ არ გაუქმდა. მაგრამ მაშინაც კი მათ საერთო საზღვარი არ გამოსდით.

**აი, აქ გამახსენდა ორი რამ – როდესაც ბოლშევიკებმა გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა, ოსებმა დედაქალაქად გორი მოითხოვეს, რაც არ უნდა აბსურდულად ჟღერდეს ეს დღეს! და მეორე, კოკოითმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ „დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთს“ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს საქართველოსთან; ამასთან, ის მარტო თრუსოს ხეობას არ გულისხმობდა!**

აქ დამეხმარა ჩემ მიერ მოპოვებული რუკა, სადაც კარგად ჩანს, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში მთელი შიდა ქართლი იგულისხმება და საერთო საზღვარი სომხეთის შემადგენლობაში მყოფ სამცხე-ჯავახეთთან (ბორჯომისა და ბაკურიანის ჩათვლით) გორის სამხრეთითაა თრიალეთის ქედთან! კომენტარები აქ სრულიად ზედმეტია.

ამ რუკაზე სხვა მეზობლების მადაც კარგად ჩანს – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთმანეთსაა მოწყვეტილი, გაერთიანებული აჭარისა და გურის ავტონომია გაურკვეველია — თურქეთის შემადგენლობაშია, როგორც ეს ოსმალეთის იმპერიის დროს იყო თუ რუსეთისაა? სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი, როგორც ჩანს, აფხაზების ხელით რუსეთს უნდა დარჩეს (აფხაზეთის სვანეთი ხომ უკვე მიიღეს საჩუქრად სააკაშვილისაგან?!) და ა.შ. ამ რუკაზე რატომღაც მხოლოდ ქვემო ქართლი გაიმეტეს ჩვენთვის, როგორც ჩანს, აზერბაიჯანელები ჯერ მადაზე არ მოსულან, მაგრამ სცენარის ამგვარად განვითარების შემთხვევაში ეს რეგიონიც ხომ უნდა დავკარგოთ. რა გვრჩება ჩვენი ქვეყნიდან? ბევრი არაფერი. უბრალოდ, ასრულდება რუსების მუქარა: **„თუ ჩვენ არ გინდივართ, დაივიწყეთ საბჭოთა პერიოდის საზღვრები და ისე დაგტოვებთ, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატამდე იყავით!“**

რამდენად რეალურია ეს? სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტად სააკაშვილის ყოფნის ყოველი დღე გვაახლოებს ამ ზემოთ მოყვანილ სცენარსა და რუკასთან!

ხუთდღიანი ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში, 13 აგვისტოს, თურქეთის პრემიერ-მინისტრი მოსკოვს გაემგზავრა და იქ წარადგინა თავისი ხედვა — „კავკასიაში სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმა“. მას მოსკოვში პუტინმა დაუჭირა მხარი, ხოლო მეორე დღეს, 14 აგვისტოს, ის უკვე თბილისში იყო და ამ „პლატფორმას“ სააკაშვილმაც მისცა თანხმობა. იმავე წლის 26 სექტემბერს ნიუ-იორკში გაეროს სესიაზე ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები და ამჯერად მათ გამოხატეს თურქეთის ამ ინიციატივისადმი თანადგომა. მაგრამ ამ დოკუმენტში რაც წერია, არ გამოქვეყნებულა, გარდა იმისა, რომ ის მოიცავს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას, ხოლო მშვიდობის გარანტებად კვლავ თურქეთი და რუსეთი გამოდიან, როგორც ეს ყარსის ხელშეკრულებით იყო. გაუგებარია, რატომ იმალება ამ „პლატფორმის“ შინაარსი, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა წყაროებში კვლავ გააქტიურდა სამხრეთ კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეა.

**გასაგებია, რომ ბრიუსელში სამხრეთ კავკასიის რუკას რომ დახედავენ, ამ სამ პატარა სახელმწიფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეა გაუჩნდებათ, ისინი ხომ ჰომოგენიურად მიაჩნიათ, ვინაიდან არ ითვალისწინებენ დიდ სხვაობას ისტორიაში, კულტურასა და სარწმუნოებაში, ყველაფერ იმას, რაც საერთაშორისო სამართლის გარეთ არის დარჩენილი. ცალკე საკითხია ენა — ერთიან სახელმწიფოში ხომ სახელმწიფო ენა უნდა არსებობდეს. აქ ისინი აუცილებლად შვეიცარიის კონფედერაციის მაგალითს მოიყვანენ, მაგრამ ამ ქვეყანამ საუკუნეებს გაუძლო, ჩვენთან კი დროდადრო კვლავ ისვრიან! ამდაგვარი ფორმატი ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ, როდესაც 1918 წელს გერმანიის მოთხოვნით შეიქმნა მკვდრად შობილი „ამიერკავკასიის ფედერაცია“ სამი თანაბარუფლებიანი სუბიექტით, ერთ თვეში კი მათივე მოთხოვნით იგი გაუქმდა.**

ამჯერად საქმე უფრო შორს არის წასული და სამსუბიექტიანი ფედერაციის ნაცვლად მრავალსუბიექტიან კონფედერაციას გვთავაზობენ. უკვე გამოჩნდა მინიშნებები, რომ, თუ აფხაზებთან და ოსებთან ერთად გინდათ ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, კონფედერაცია თქვენი ერთადერთი შანსი არისო! **მაგრამ ამ მოდელით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა თანაბარ სუბიექტებად, ასევე, მოაზრებიან აჭარა და ჯავახეთი, რომლებსაც, ალბათ, იგივე სტატუსით მოიაზრებენ, როგორითაც საქართველოს დარჩენილ ტერიტორიას! თუ ამას დავუმატებთ, რომ ამ „კონფედერაციაში“ ჩამოთვლილ ხუთ სუბიექტთან ერთად კიდევ ოთხი თანაბარუფლებიანი სუბიექტი მოიაზრება – სომხეთი, ყარაბაღი, ნახჭევანი და აზერბაიჯანი – ისეთ დომხალს ვიღებთ, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში და ძაღლი პატრონს ვერ იცნობს!** როგორც ჩანს, 2008 წლის 14 აგვისტოს საკუთარ მხრებზე გადატანილი „მოგებული ომის“ შემდეგ ჩვენმა „სახელოვანმა მხედართმთავარმა“, მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამაზე მისცა თანხმობა.

**ამას თუ დავუმატებთ ორიოდე დღის წინათ რუსულ პრესაში გაჟღერებულ ფანტასტიკურ მოსაზრებას, რომ ამერიკელებს სურთ დასუსტებული საქართველოს სომხეთთან ერთ ფედერაციაში გაერთიანება – მხოლოდ ხელებს თუ გავშლით! მათი აზრით, ასეთ „ფედერაციაში“ პირველ ვიოლინოს ვინც დაუკრავს, მგონი, ძნელი მისახვედრი არაა.**

ამიტომ ცხადი ხდება, რომ ჩვენი დიდი თუ მცირე მეზობლების აზრით, საქართველოს დაშლა დღის წესრიგში დგას და ეს ჩვენი შესაძლო უახლოესი მომავალია. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვიდრე სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტად ზის, ეს საფრთხე უფრო და უფრო ახლოვდება.

**თუ კი არ გვინდა ნაწილებად დაშლილი და რუკიდან გამქრალი ერთიანი საქართველო, ამის შეჩერება ჯერ კიდევ შესაძლებელია ქართველი ხალხის მიერ ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილ სამხედრო დანაშაულებებში ბრალდებული მიხეილ სააკაშვილის გასამართლებით.**

# სააკაშვილს პარიზში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა აქციაზე საკნები მიუტანეს

**მას შემდეგ, რაც რადიკალურმა ოპოზიციამ ქვეყნის სამანიფესტაციო ცხოვრებაში ახალი და ნოვატორული იდეა — „საკნების ქალაქის“ პროექტი შემოიტანეს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებმა ეს იდეა ერთდროულად აიტაცეს. სამი თვის განმავლობაში რუსთაველის გამზირზე გამოფენილი საკნები ოპოზიციისა და საზოგადოების ერთი ნაწილის პროტესტს მმართველი გუნდისადმი ადეკვატურად გამოხატავდა. როგორც ჩანს, მანიფესტაციების დროს ეს არცთუ აპრობირებული მეთოდი ძალიან მოიწონეს ევროპელებმაც.**



რამდენიმე დღის წინათ სკაიპით მეგობრისგან შემთხვევით მისთვის ჩვეულებრივი, ჩემთვის კი არაჩვეულებრივი ამბავი შევიტყვე. მას შემდეგ, რაც ჩემმა მეგობარმა მაკა გაბისონიამ, რომელიც დროებით საფრანგეთში ცხოვრობს, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი პარიზული ვოიაჟის დროს მომხდარ ამბავზე მიამბო:

„ერთხელ, როდესაც სააკაშვილი პარიზში იმყოფებოდა, რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გაუმართავს. პრესა წერს, რომ უცხოური ვოიაჟების დროს სააკაშვილი დაგეგმილ ოფიციალურ შეხვედრებზე მეტად, არაოფიციალური შეხვედრებითაა დაკავებულიო. ერთ-ერთი ასეთი არაოფიციალური შეხვედრის დროს გარეთ გამოსულ პრეზიდენტსა და მის მასპინძლებს საპროტესტო აქცია დახვედრიათ. ეს ერთი ჩვეულებრივი აქცია იყო, რომელსაც პარიზში ქართული დიასპორის წევრები მართავენ. აქციის მონაწილე ქართველი ემიგრანტების ძირითადი მოთხოვნა საქართველოში დემოკრატიული რეფორმის სწორად წარმართვა და ადამიანის უფლებების დაცვა იყო. საინტერესო ის არის, რომ მათ აქციაზე საკნებიც ჰქონდათ წარმოდგენილი.“

ძნელია, გამოიცნო, რა გაიფიქრა იმ წამს პრეზიდენტმა მიშამ, ალბათ, აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს დაუწყო ძებნა. შესაძლოა, პრეზიდენტს თავი სიზმარშიაც კი ეგონა.

„პარიზში მცხოვრები ქართველები სამი თვის განმავლობაში თვალს ადევნებდნენ თბილისის მთავარ მოედანზე განვითარებულ მოვლენებს. ამიტომ მათთვის საკნების ქალაქის პროექტი კარგად ნაცნობია. ამიტომაც გადაწყვიტეს საპროტესტო აქციის სწორედ ამ ფორმით გამართვა. მართალია, ფრანგმა სამართალდამცავებმა საკნების განლაგებიდან დახლოებით 20 წუთში მათი დემონ-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

# გუბაზ სანიკიძის ერთ-ერთი ცენტრალური შტრიხი სიავე და უხეშობაა

**უკანასკნელ წლებში ქართული პოლიტიკა იმ სპექტაკლს დაემსგავსა, სადაც იცვლება დეკორაციები, კოსტუმები, წინამორბედთაგან დაფრთიანებული პოლიტიკოსები, ქვეყნის მდგომარეობა კი უცვლელი რჩება. ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნების გამძაფრებული და უკიდეგანო სურვილით შეპყრობილი კეთილდღეობის ფსევდოსცენებს დგამს, რასაც ხალხმა სააკაშვილის საპნის ოპერები უწოდა. ამ „სერიალებს“ ყველა ქართული ტელეარხი გადმოსცემს. პარალელურად საქართველოს მიწა ოფლით, სისხლითა და ცრემლით ირწყვება. ხალხი მიხვდა, რომ დემოკრატიის სახელით ხელისუფლების უზურპაცია მოხდა, ხოლო პარლამენტი სულაც არაა ნდობითა და უფლებებით აღჭურვილი საკანონმდებლო ორგანო. ყოველივე ამან კი ქართველთა პოლიტიკური აზროვნება და საპროტესტო აქტივობა გაზარდა. თომას ჯეფერსონს თუ დავუჯერებთ, ხელისუფლების სათავე ხალხის ნებაა, რომლის ფოკუსში ახალი დროის ყველა ლიდერი უნდა მოექცეს. თუ რამდენად პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს ეროვნული ფორუმის ლიდერის — გუბაზ სანიკიძის ფსიქოლოგიური მზაობა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი,
პროფესორი ზურაბ გაგნიძე გვესაუბრება.**



**— ბატონო ზურაბ, დიდია ინტერესი ეროვნული ფორუმის ლიდერის — გუბაზ სანიკიძის ფსიქოპორტრეტის მიმართ. რას მიიჩნევთ მისი ფსიქოსტრუქტურის ცენტრალურ შტრიხად?**

— ფორუმელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ პარტიული ეგოიზმით. 9 აპრილის საპროტესტო აქციების დროს ფორუმი აღმოჩნდა სააკაშვილის მთავრობიდან წამოსული, განაწყენებულ რევანშისტ-ოპოზიციონერებისა და უცხო ძალებით მართულ ოპოზიციურ პარტიებს შორის. ხალხისთვის ყოფილ სახელმწიფო მოხელეთა და შელანძღული რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსთა შორის ყველაზე მისაღებ ოპოზიციურ მხარედ ეროვნული ფორუმი დარჩა, ფორუმელებმა კი თავი ამ გარემოების გამო ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნიეს. ამან გამოიწვია მათი ლიდერების პირადი ამბიციების ზენიტი. ეს უარყოფითი შტრიხი განსაკუთრებით გუბაზ სანიკიძეში გამოიკვეთა, მას სულ წინსვლა და პატივი სურდა, ცდილობდა, ყველაზე წინ დამდგარიყო და საკუთარი „მე“ წარმოეჩინა. გუბაზი შესანიშნავად ახასიათებს თავის თავს ერთ-ერთ ინტერვიუში: „ამბიციური კაცი ვარ, მინდა, მართალი ვიყო ქართულ ისტორიასთან, საუკუნეებს ვეთამაშო და არა დღეებს, როგორც სხვები. ვიღაცამ შეიძლება თქვას — გუბაზ სანიკიძეს თავში აუვარდაო. არა, მე ეს გათავისებული მაქვს. ჩემზე თავმდაბალი ადამიანი საქართველოში არ დადის და თავმდაბლობა პირველი ნიშანია მაღალი წარმოდგენისა საკუთარ შესაძლებლობებზე“.

ამბიცია იმისა, რომ „საუკუნეებს ეთამაშო“, ჰიპერტროფირებული პატივმოყვარეობაა, ანუ სულიერების ავადმყოფური დაავადება, რომელიც შეიძლება განდიდების მანიაში გადაიზარდოს ან, რბილად რომ ვთქვათ, დონკიხოტობას დაემსგავსოს. ამ სურვილისთვის არავინ გაუკიცხავთ, მაგრამ გვახსოვდეს: ფსიქიკურად დაავადებულთა შორის ხშირია „საუკუნეებთან მოთამაშე“ სტალინი, ნაპოლეონი, მაკედონელი. პიროვნულ სიმწიფეს მიღწეულ სუბიექტს მეტნაკლები სიზუსტით უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების შეფასება, თორემ

## ხალხური სიბრძნე გვასწავლის, რა დაემართა ბაყაყს, რომელმაც ხარად გადაქცევა სცადა.

გაწონასწორების თვალსაზრისით, „საქართველოს პირველ თავმდაბალს“ საკუთარი პერსონისთვის იქნებ უფრო კრიტიკულად შეეხედა და განუწყვეტელი გარჯით სრულყოფისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც წასულიყო. სიტყვა, ანუ ლოგოსი, არის აზრი სულიერებისა. მისი სიტყვები სუბიექტის შინაგანი სინამდვილეა, რომელიც რაღაც გარემოებით მჟღავნდება. ამ შემთხვევაში ან არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავს და გაბუქებით სურს მისი გადაფარვა, ან საგნობრიობა აკლია თავის შინაარსში, ანუ გონებაში აკვიატებული სწრაფვა უტრიალებს, რაც იწვევს სინამდვილის უცნაურ და გაუმართლებელ აღქმას. ამას კი რეალობიდან ასხლეტა ჰქვია.

ამგვარი ფსიქოსტრუქტურის ლიდერი ხალხს სწორ კვალზე ვერ გაიყვანს. ადრე თუ გვიან დაინახავენ მის ნამდვილ სახეს და საკადრის ადგილს მიუჩენენ.

**— დღეს არავინ იცის, ფორუმი გაიშალა თუ დაიშალა. ეროვნული ფორუმის ხელისუფლებასთან ფარული გარიგების შესახებ ჭორიც დადის. ამბობენ, რომ ფორუმი ამერიკელებს შეეკრა (ამას თვით გუბაზიც არ უარყოფს), რომ ფორუმელებმა სამდღიანი ტრენინგი გაიარეს ამერიკელების ხელმძღვანელობით ბაზალეთში და ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონიდან ჩამოსულ დელეგაციასაც შეხვდნენ...**

— ამ ფაქტებში ყველაზე ცუდი ისაა, რომ აღნიშნული სამდღიანი ტრენინგი სრულიად გასაიდუმლოებულად ჩატარდა. როდესაც მალავ, რაღაცას ეშმაკობ, გაუმხელელი კი არაფერი რჩება. ერთი კი ცხადია, ისეთი ჰიპერამპარტავანი კაცი, როგორიც გუბაზია, ცხოვრებისეულ ცდუნებებს ვერ გაუძლებს, ხორცგალაღებული კაცი თავგანწირვით ვერ აღუდგება გზიდან გადაცდენით დახარბებას. ამისთვის მას სულიერი მხნეობა არ ეყოფა. ასეთი დასკვნის უფლებას სულიერი უნარების ცოდნა მაძლევს. სულიერი სიმტკიცე ჯანსაღი ფსიქიკის საყრდენია, აქედან მომდინარეობს პიროვნული ღირსებები და ნაკლოვანებები.

გუბაზი ამბობს: „როდესაც საზოგადოებას ვესაუბრები, ინტერვიუს ვაძლევ, შეხვედრებზე დავდივარ, გულწრფელი ვარ. ალბათ, ხალხი ამას ხედავს და ფორუმიც ამიტომაა რეიტინგული“. თვითრეკლამა ადამიანის სულიერი კნინობის ნიშანია. პარტიის რეიტინგზე განუწყვეტელი ხაზგასმა გვეუბნება, რომ ქვეცნობიერი დაცვითი მდგომარეობისკენ უბიძგებს. მას სურს იმ იმიჯის განმტკიცება, რასაც ფორუმელებმა დროებით მიაღწიეს.

## საწყენია, რომ ასეთი განათლებული და ტრადიციებზე აღზრდილი პიროვნება განუწყვეტლივ აცხადებს, „გულწრფელი ვარო“. ამით ის ეჭვის საბაბს იძლევა.

გუბაზი ამბობს: „როცა ამერიკელებმა ნახეს, რომ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომლის სახელი და გვარი ეროვნული ფორუმია და რომლის რეიტინგიც დანარჩენზე მზარდია, გადაწყვიტეს ჩვენთან შეხვედრა და ამერიკელებთან სერიოზული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა“. აქ ის აშკარად ცრუობს, რადგან კარგად იცის, ამგვარი „სერიოზული ურთიერთობების“ შედეგს საქართველო, კარგახანია, იმკის... პოლიტიკაში ლიდერობის პრეტენზია თუ გაქვს, სწორი ანალიზი უნდა გააკეთო, თუ გამხელა არ გსურს, გაურკვეველი კომენტარი უნდა შეძლო, თუ არადა — „დუმილი ოქროა რჩეული“. ამიტომაც საპნის ბუშტივით გაქრა მათი დროებითი რეიტინგი.

ამასთან, სანიკიძის ფსიქოსტრუქტურის ერთ-ერთი ცენტრალური შტრიხი სიავე და უხეშობაა. მან თავისი ზნეობრივი მენტორობით არაერთხელ შეურაცხყო ერი. ალბათ, გახსოვთ, როგორ ამკობდა ქართველ ხალხს, როცა სააკაშვილმა გაყალბებებით არჩევნები მოიგო. გუბაზმა ქართველ ამომრჩეველს საქონელიც კი უწოდა. მისმა ასეთმა გამოსვლამ ერთი ანდაზა გამახსენა: „ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირი დაამტვრიაო“ — უმისამართო აგრესია მხოლოდ იმპულსურებს და მხდალებს ახასიათებს.

პრინციპულობა, რწმენაში ურყეობა, პიროვნული სიმწიფის სულიერი სიმტკიცე მყარი ფსიქიკის მახასიათებელია. ზემოთქმულის დასადასტურებლად მოგიყვანთ მაგალითს მისივე ინტერვიუებიდან: „არ მაქვს უფლება, ვიყო ვინმეს მსაჯული, რადგან ეს წმინდა ზნეობრივი საკითხია, ხოლო ზნეობრივ საკითხებს კი არკვევს საზოგადოება!!!“ ეს ჭეშმარიტება მაშინ დაიცვა და გაიხსენა, როდესაც ჟურნალისტმა პრეზიდენტთან დიალოგზე წამსვლელთა შესახებ აზრი ჰკითხა, მათ შორის იყო ფორუმის ლიდერი კახა შარტავაც. ცხადია, ფარისეველ სანიკიძეს ამ შემთხვევაში არც ზნეობრივი მენტორის როლის აღება სურდა და არც ის აინტერესებდა, მართალი იქნებოდა თუ არა „ქართულ ისტორიასთან“. სხვა შემთხვევაში ეს გულწრფელი პოლიტიკოსი ქართველი ერის გალანძღვასაც არ ერიდებოდა. ბატონ გუბაზს შევახსენებთ: ხალხს რომ მიმართო, წინ გაუძღვე, იქცე ლიდერად და მის განმკითხველად, ამ უფლების მოპოვებას წლები, უდიდესი რუდუნება, ღვაწლი და ღვთიური ძალა სჭირდება. ზემონახსენებ ზნეობრივ საკითხებზე ბატონი გუბაზი უსინდისოდ ტყუის. აი, ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი ფრაგმენტი: „ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ათასი ტვინნაღრძობი ისევ აღმოჩნდება... ქვეყანაში სულელს რა დალევს. საქართველო არის კრეტინიზმის მადანი“... ამით მან მთელი ერი შეურაცხყო. აფერუმ, ერისკაცო! მაღალრეიტინგული პარტიის ლიდერო, საქართველოს ჭირისუფალო, „საუკუნეებთან მოჭიდავე“ ფალავანო... და ყოველივე ამის შემდეგ ისევ ირწმუნები, „რომ „ეროვნული ფორუმი“ ყველაზე მასშტაბური და ანგარიშგასაწევი ძალაა და ვინმეს მოსწონს თუ არა, ჩემი ბრალი არ არის“... ბატონო გუბაზ, ფსიქოკორექტორის რჩევით, იქნებ ოდნავ მაინც გამოგეჩინათ თქვენი ნათქვამისათვის კრიტიკული დამოკიდებულება თქვენსავე სასიკეთოდ, თუ იმდენად მაღლა მდგომად მიგაჩნიათ თავი, რომ, თქვენი აზრით, „კრეტინიზმის მადანს“ ეს არ სჭირდება.

**— რატომ აქვს ამ ახალგაზრდა მეცნიერს ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ერის მიმართ?**

— გუბაზ სანიკიძის ფსიქოსტრუქტურა მრავალპლანიანია, მაგრამ მისი მიზანი ყველა ვითარებაში თვითდამკვიდრება და საზოგადოებაში გავლენის მიღწევაა. ღვარძლი კი შინაგანად გვამში აქვს და „კოკასა შიგან რაცა დგას“, ის მოდის. ამას ემატება მის სულიერებაში გამეფებული ავადმყოფური პატივმოყვარეობა. მას სულიერების ანულირების ხარჯზე ნიჭიერი და ზარმაცი გონება აქვს.

საქართველოს პოლიტიკური ამინდი იწვევს პოლიტიკოს ლიდერთა ახალი ტიპის შექმნას, როგორიცაა გუბაზ სანიკიძე. ის ვერ ახერხებს, იცხოვროს ფხიზლად, სიცხადით, რადგან ირგვლივ ყველაფერი სიცრუითაა გაჯერებული, ხოლო მისი ნებელობა იმუნიტეტის გარეშეა დარჩენილი.

სამწუხაროა, რომ ეროვნულ მოტივებზე გაზრდილი, ტრადიციული ოჯახის შვილი პოლიტიკაში ჩაბმამ ასე დაამცირა, დაშალა მისი პიროვნული ღირსებები, რადგან ცდუნების ძალამ მის სუსტ სულიერებას ყოველმხრივ შეუტია.

სანიკიძე გონებრივი უნარებით სხვის თვალში ხიწვს ამჩნევს: „ჩვენს ხალხს აქვს გაორებული ფსიქიკა. დილით ეკლესიაში დადიან, საღამოს — მკითხავებთან“. საინტერესოა, საკუთარ პერსონაზე რას იტყვის?

იგი ამბობდა, „ხელისუფლებასთან დიალოგით არაფერი გამოვაო“. დღეს კი ხელისუფლებასთან ერთად რეგიონებში არსებულ პრობლემებს ეცნობა.

იმასაც ამბობდა, „7 აგვისტოს ერთ მილიონ კაცს გამოვიყვანთ ქუჩაში, რითაც ამ საშინელ რეჟიმს დავამხობო“.

ერმა ნახა 7 აგვისტოს ერთი მილიონი კაცი ქუჩაში? გუბაზიც გვპირდებოდა პოლიტიკურ დილას, მერე კი აღარც ახსოვს და უკვირს: „ფორუმმა გვიღალატაო, რას და ვის ვუღალატე, ერთი ამიხსნას ვინმემ, მაინტერესებს, ვისზე მაქვს ფიცი მიცემული“...

მე აგიხსნით, ბატონო გუბაზ: თქვენ გაორებული ფსიქიკა გაქვთ. იმასაც გეტყვით, რომ უდიდეს ნიჭთან ერთად ლიდერობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. ლიდერი ქვეყნისა და ერის პრობლემებზე მგზნებარე აზროვნებით მუშაობს. ვის მიეცით ფიცი? აქ უკვე ცენზორი ხალხია, რადგან ლიდერი ხალხის ნების გამოხატულებაა, რომელიც ყველგან და მარად ერის გვერდით უნდა იდგეს.

ასე რომ,

## ეროვნულმა ფორუმმა და მისმა ლიდერებმაც სულ მოკლე დროში მნიშვნელოვანი ტრანსფორმირება განიცადეს. ფსიქოლოგია გვასწავლის: გარემოება ცოტას ნიშნავს, ხასიათია ყველაფერი! ანუ თუ გველი არ ხარ, ვერც პერანგს გამოიცვლი.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

---

...ტაჟი დაიწყეს, მაგრამ მთავარია, რომ პრეზიდენტმა ეს ნახა,“ — აღნიშნა მ. გაბისონიამ.

როგორც საფრანგეთში მცხოვრები ქართველები ამბობენ, პრეზიდენტის ტყუილები დამღლელია და ამიტომ გადაწყვიტეს, თავიანთი აზრი სამშობლოდან რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით დაეფიქსირებინათ.

მიხეილ სააკაშვილმა ემიგრანტ ქართველებს ქვეყნიდან წასული ყველა ქართველის შინ დაბრუნდება აღუთქვა; დაჰპირდა, რომ საქართველოში საამისო გარემოს შექმნიდა. თუმცა ისიც განაცხადა, რომ საქართველოში უკვე ისეთი მდგომარეობაა, რომ ქართველებს საკუთარ ქვეყანაში უფრო აქვთ უკეთ ცხოვრების შანსი, ვიდრე უცხოეთშიო. რამდენიმე ქართველმა დაიჯერა პრეზიდენტის სიტყვა და საქართველოში დაბრუნდა. ზოგიერთი მათგანი მაშინვე უკან გაბრუნდა, ზოგს კი საამისო თანხა აღარ შეექნა და სამშობლოში დარჩა,“ — ამბობს ქართველი ემიგრანტი.

ჩვენ შევეცადეთ, ოპოზიციის ლიდერებთან გაგვერკვია, რა ინფორმაცია ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ რადიკალებს მსგავსი რამ არ სმენიათ.

დავით საგანელიძის თქმით, ასეთი რამ გამორიცხული არ არის, რადგან პრეზიდენტის პოლიტიკა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვისაც დამღუპველია.

ამ ფაქტს არც უმრავლესობის წევრები ახმაურებენ. მათ არც არაფერი დაუნახავთ, არც არაფერი სმენიათ და არც არაფერი იციან.

ფაქტი კი ერთია — მიხეილ სააკაშვილს ემიგრანტი ქართველებისგან მსგავსი სიურპრიზები კვლავაც ელის.

**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# შადიმანა!..

## ანუ «ჰალსტუხიანი ხვლიკი» და ღია წერილი «მამობილ მერაბიშვილს»



**ბავშვობაში ეზოსა თუ ქუჩაში ზედმეტი სახელი ე.წ. კლიჩკა ბევრისთვის შეურქმევიათ. ეს ზედმეტი სახელები, როგორც წესი, პიროვნების, ბავშვის უწყინარი თვისებებიდან გამომდინარეობს ხოლმე, როგორიცაა, მაგალითად: ცელქობა, სიზარმაცე ან ბეჯითობა, სიგამხდრე ან სიმსუქნე და რა ვიცი, კიდევ სხვა მრავალი, მაგრამ „შადიმანა?" ასეთი ღრმა შინაარსობრივი დატვირთვის „კლიჩკა" რომ შეარქვან მოზარდს, ხომ წარმოგიდგენიათ, თუ რა „კეთილი" თვისებების მატარებელი უნდა იყოს ადამიანი იმთავითვე, ანუ ბავშვობიდან, ანუ მაშინ, როდესაც „შადიმანა" შეურქმევიათ სკოლაში გიორგი თარგამაძისათვის. ამაზეა, ალბათ, ნათქვამი — არ შემცდარა შენი ნათლიაო!**

კარიერიზმი, სულმოკლეობა, უმადურობა, კომფორმიზმი — აი, არასრული ნუსხა ამ ახალგაზრდა, უდაოდ ნიჭიერი კაცის ქვენა თვისებებისა და ამ კონგლომერატის მწვერვალი — ღალატის საოცარი, მართლაც, შადიმანისებური უნარი! ნიჭიერია-მეთქი და გიორგი თარგამაძის შემთხვევა დასტურია იმისა, რომ ნიჭი, ყოველთვის არ ნიშნავს სიკეთეს. შესანიშნავად ბრძანებს დიდი ჭაბუა ამირეჯიბი ეფემია წინამძღვრის ენით„დათა თუთაშხიაში": „უნიჭობაზე საშიში ნიჭიერებაა, თუ მას მაღალი ზნეობა არ ახლავს თან!"

**თუ არ ვცდები და მეხსიერება არ მღალატობს, ჯერ კიდევ „პირყვითელა" გიორგი თარგამაძემ მოღვაწეობა „იბვერვიზიაში" დაიწყო. როდის, რატომ და რისთვის დაიმსახურა ასლან აბაშიძის ყურადღება, ჩემთვის უცნობიც არის და უფრო მეტად — გაუგებარიც. სავარაუდოდ, როგორც რუსები იტყვიან — „в нужном месте, в нужное время" მიიყვანა განგებამ ჩვენი შადიმანა და ბავშვობიდანვე სულში ჩაბუდებული კონფორმიზმი, ყალბ პათეტიკაში შეფუთული, ოსტატურად შეაპარა აჭარის ლომს.**

ამბობენ, რომ, როგორც ღვიძლი შვილი, ისე მიიღეს ოჯახში, იქამდეც კი, რომ ასლან ბაბუს სათნო მეუღლე, აწ გარდაცვლილი (ღმერთმა აცხონოს) ქალბატონი მაგული, ღამით საბანს უსწორებდაო. ეს, რა თქმა უნდა, ფიგურალურად ნათქვამია.

**ასე იყო თუ ისე, ასლან აბაშიძის კეთილი ნების გამო გიორგი თარგამაძე აღორძინების სიით არა თუ პარლამენტში შეძვრა, ფრაქციის ლიდერადაც მოგვევლინა. ნორჩი პარლამენტარის მგზნებარე, პათეტიკური გამოსვლები, სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე ბოლომდე არასოდეს მჯეროდა, მისი ასაკიდან გამომდინარე, ნაადრევად ყელში ჰალსტუხწაყრონჭილი შადიმანასი, რადგანაც მის პათეტიკაში სიყალბის ნოტებს ხშირად ვიჭერდი.**

ამასობაში საქართველოში დაბრუნდა რუსეთის მიერ ძებნილი ბადრი პატარკაციშვილი და იმ დროს, ბევრისთვის მოულოდნელად, ალბათ, პირველ რიგში, აჭარის ლომისთვის, **გიორგი (შადიმან) თარგამაძე დეპუტატის მანდატზე საკუთარი ნებით აცხადებს უარს და სათავეში უდგება მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფ ტელეკომპანია „იმედს". მიუხედავად იმისა, რომ შადიმანის ეს ნაბიჯი კლასიკურ ღალატად ცოტა ვინმემ თუ აღიქვა, მაგრამ ასლან ბაბუს მიმართ აშკარა უმადურობა ცხადი იყო. თურმე ყველაფერი წინ ჰქონდა შადიმანას, მათ შორის ღალატის კვინტესენციაც, რაც არა მხოლოდ პირადად ბადრი პატარკაციშვილს დაუჯდა ძვირად, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელს ქვეყანასაც, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

მოკლე ხანში „იმედი", მართლაც, ერთადერთ იმედად იქცა მთელი ქვეყნისთვის. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილს ძებნილის სტატუსი მოეხსნა და მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, ანუ მოიხსნა იმის შიში, რომ, თუ „ჭკვიანად" არ იქნებოდა ბატონი ბადრი, შეიძლებოდა გაეწირა ხელისუფლებას და რუსეთის მართლმსაჯულებისთვის გადაეცათ. ასე იყო შევარდნაძის დროსაც და განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის" შემდეგ — ცხონებული ბადრი მარჯვნივ და ▶

# P.S.



პროსპერ მერიმე

...უკვე რამდენიმე საათი გავიდა, რაც მატეო წავიდა; პაწია ფორტუნატო მზის გულზე იწვა, ლურჯ მთებს გასცქეროდა და ოცნებობდა — მომავალ კვირას სადილად ბიძია კაპრალს ვესტუმრები ქალაქშიო. უცებ, მისი ოცნება თოფის ხმამ შეწყვიტა. ზეზე წამოხტა და იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა მოისმა. თოფის სროლა უფრო და უფრო ახლო განმეორდა. ბოლოს ბილიკზე მამაკაცი გამოჩნდა; მას მთიელის წვეტიანი ქუდი ეხურა, გრძელი წვერი ჰქონდა და ძონძებში იყო გახვეული, თოფს დაყრდნობოდა ყავარჯენივით, მაგრამ მაინც ძლივს მოაბიჯებდა: ეს-ეს იყო ტყვია მოხვედროდა ბარძაყში. ეს კაცი ფირალი იყო. იგი ღამით ქალაქში წასულიყო ტყვია-წამლის საყიდლად, მაგრამ გზად კორსიკელი ვოლტიჟერების რაზმის საფარს წასწყდომოდა. განწირული შეტაკების შემდეგ მას თავი დაეღწია თავისი მდევრებისა და მათი ტყვიებისათვის და ისეთი ციცაბო კლდეები გადაელახა, სადაც მხოლოდ მთიულსა და გარეულ ნადირს შეუძლია სიარული. მაგრამ ვოლტიჟერები ფეხდაფეხ მოსდევდნენ და ჭრილობაც ნებას არ აძლევდა, გზა განეგრძო ტევრისკენ.

ის ფორტუნატოს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— მატეო ფალკონეს შვილი ხარ?

— დიახ.

— მე ჯიანეტო სანპიეროს მეძახიან. ყვითელსაყელოიანები მომდევენ. სადმე დამმალე, მეტი სიარული აღარ შემიძლია.

— რას მეტყვის მამა, თუ მის ნებადაურთველად დაგმალე?

— გეტყვის, კარგი გიქნიაო.

— ვინ იცის?

— ჩქარა დამმალე, შორს აღარ არიან.

— დაიცა, სანამ მამა დაბრუნდებოდეს.

— როგორ თუ დავიცადო? ხუთ წუთში აქ იქნებიან. დამმალე, თორემ მოგკლავ.

— შენი თოფი დაცლილია, სამასრეში კი ტყვიები აღარ გაქვს.

— სატევარი ხომ მაქვს.

— ჰო, მაგრამ განა შეგიძლია დამეწიო?

ბავშვი განზე გადახტა.

— არა, შენ მატეო ფალკონეს შვილი არა ხარ! ნუთუ ჩემს თავს შენი სახლის წინ დააჭერინებ?

ფორტუნატო, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

— რას მომცემ, რომ დაგმალო? — თქვა მან და ჯიანეტოს მიუახლოვდა.

ფირალმა ხელი ჩაჰყო ტყავის ჩანთაში, რომელიც სარტყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული და ხუთფრანკიანი ამოიღო. ეს ფული, ალბათ, თოფის წამლის საყიდლად ჰქონდა გადანახული. ვერცხლის ფულის დანახვაზე ფორტუნატომ გაიღიმა, ბრჭყვიალა ლითონს ხელი სტაცა და ჯიანეტოს წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია.

მაშინვე შესაძრომი გააკეთა თივის ზვინში, რომელიც იქვე იდგა სახლის გვერდით. ფირალი შიგ შეძვრა, ბავშვმა თივა ისე მიაყარა, რომ უჰაერობისაგან არ დამხრჩვალიყო და გარედან არც არაფერი გამოჩენილიყო. გარდა ამისა, პაწია ველური ადამიანის ოინს მიმართა: მოათრია კნუტებიანი კატა და ზვინზე დასვა, რათა კაცს სჩვენებოდა, თივას დიდი ხანია არავინ მიჰკარებიაო. ბოლოს მიწა დააყარა სისხლის კვალს ბილიკზე და ხელახლა მზეზე წამოწვა სრულიად დამშვიდებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატეოს სახლთან ექვსი ყვითელსაყელოიანი ყავისფერტანისამოსიანი მამაკაცი გაჩნდა ათისთავის მეთაურობით. ეს ათისთავი ფალკონეს შორეული ნათესავი იყო. კორსიკის მთებში ნათესაური კავშირი უფრო შორს მიდის, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში. მას ტეოდორ გამბას ეძახდნენ. იგი ძალიან ყოჩაღი იყო, ფირალები დაშინებული ჰყავდა, მრავალი მათგანი დაეჭრა კიდეც.

— გამარჯობა, ძმისწულო, — უთხრა ფორტუნატოს, — როგორ გაზრდილხარ! აქ გავლილი კაცი ხომ არ დაგინახავს?

— ხომ არ დამინახავს?

— ჰო, მამაკაცი, რომელსაც შავი ხავერდის გიდელა ქუდი ახურავს და წითელ-ყვითელი ძაფით ამოქარგული ხალათი აცვია.

— მამაკაცი, რომელსაც შავი ხავერდის გიდელა ქუდი ახურავს და წითელ-ყვითელი ძაფით ამოქარგული ხალათი აცვია?

— ჰო, ჰო, ჩქარა მიპასუხე და ჩემს კითხვებს ნუ იმეორებ.

— დღეს დილით ჭიშკართან მღვდელმა გაიარა, ცხენზე იჯდა. მკითხა, მამა როგორ არისო, მე ვუპასუხე...

— ეი, მატყუარავ, (რაღაცას ეშმაკობ), ჩქარა მითხარი, საით წავიდა ჯიანეტო. ჩვენ მას ვეძებთ და ნამდვილად ვიცი, რომ აქ გაიარა.

— განა ვისმე დაინახავ, როცა გძინავს?

— შენ არ გძინებია, ეშმაკის ფეხო! თოფის ხმამ გაგაღვიძა.

— მაშ თქვენ გგონიათ, თქვენი თოფები აგრე სჭექენ? მამაჩემის კარაბინი ზარბაზანივით ქუხს.

— ეშმაკმა წაგიღოს, შეჩვენებულო ბიჭო! დარწმუნებული ვარ, რომ ჯიანეტო დაინახე. შეიძლება დამალულიც გყავს. ამხანაგებო, — მიმართა ათისთავმა ჯარისკაცებს, — შედით სახლში და კარგად გაჩხრიკეთ, შეიძლება იქ იმალებოდეს. მას ერთი თათილა დარჩა ჯანსაღი. იმ არამზადას იმდენი ჭკუა კი აქვს, რომ კოჭლობით გზას არ გაუდგეს ტევრისაკენ. გარდა ამისა, სისხლის ნაკვალევი აქ თავდება.

— რას იტყვის მამა, როცა გაიგებს, რომ ჩვენს სახლში ნებადაურთველად შეხვედით?

— გარეწარო, დაუყვირა ათისთავმა გამბამ და ყურში ხელი სტაცა, — თუ მოვისურვე, სხვანაირად აგამღერებ! საკმაოა, ოცჯერ ხმალი შემოგკრა სიბრტყით და სიმართლეს მეტყვი.

— მამაჩემი მატეო ფალკონეა! — თქვა ხმის აწევით.

— იცი თუ არა შენ, ჭინკავ, რომ შემიძლია ქალაქში ჩაგიყვანო? იქ ვუბრძანებ, ციხეში ჩაგსვან, ჩალაზე დაგაგდონ, ბორკილები დაგადონ და თავიც მოგჭრან, თუ არ მეტყვი, სად იმალება ჯიანეტო სანპიერო. გაიმეორა:

— მამაჩემი მატეო ფალკონეა.

— ათისთავო, — თქვა ხმადაბლა ერთმა ჯარისკაცმა, — ნუ გადავიმტერებთ მატეოს.

გამბას აშკარად შეშფოთება ეტყობოდა. იგი ხმადაბლა ესაუბრებოდა ჯარისკაცებს, რომელთაც უკვე მთელი სახლი გაჩხრიკეს. ამას ბევრი დრო არ დასჭირვებია, იმიტომ რომ ყოველი კორსიკელის ბინა ერთ ოთახს შეიცავს. მთელი მისი მოწყობილობა ერთი მაგიდისა, ორიოდე სკამისა, ზანდუკებისა და თოფ-იარაღისაგან შედგება. იმავე დროს, პაწია ფორტუნატო კატას ეფერებოდა და, როგორც ეტყობოდა, კმაყოფილი იყო თავისი ნათესავისა და მისი ჯარისკაცების შეშფოთებით.

ერთი ჯარისკაცი თივის ზვინს მიუახლოვდა. კატას შეხედა და ხიშტი ჰკრა თივას, მხრები აიჩეჩა, თითქოს გრძნობდა, ეს სიფრთხილე სასაცილოაო. არაფერი განძრეულა და ბავშვის სახეზეც არავითარი მღელვარება არ გამოხატულა.

ათისთავმა და მისმა რაზმმა მოთმინება დაჰკარგეს; ისინი უკვე დაბლობისაკენ იცქირებოდნენ, თითქოს უკან დაბრუნებას ფიქრობდნენ; მაგრამ უცებ გამბამ გადაწყვიტა, უკანასკნელი ღონისძიებისათვის მიემართა და ალერსითა და საჩუქრებით მოენადირა უშიშარი ბავშვის გული.

— ძმისწულო, — თქვა მან, — შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, კარგი მომავალი გელის, მაგრამ შენი დღევანდელი საქციელი დასაძრახია. ჩემი ნათესავის, მატეოს გაჯავრებისა რომ არ მეშინოდეს, ეშმაკს ვფიცავ, თან წაგიყვანდი... მაგრამ, როცა მატეო დაბრუნდება, ყველაფერს ვუამბობ და ისე გცემს ტყუილის თქმისთვის, რომ სისხლს გადენს.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— აი, ნახავ... მაგრამ მისმინე... თუ კარგად მოიქცევი, რაღაცას გაჩუქებ.

— მე კი, ბიძია, ერთ რჩევას გაძლევ. თუ კიდევ დააყოვნებ, ჯიანეტო ტევრს შეაფარებს თავს, და მაშინ კიდევ რამდენიმე თქვენისთანა ძმაბიჭი დაგჭირდებათ მის დასაჭერად.

ათისთავმა ჯიბიდან ძეწკვიანი ვერცხლის საათი ამოიღო და ხელში დაიჭირა. იგი ათი ეკიუ მაინც ღირდა. პატარა ფორტუნატოს თვალები გაუბრწყინდა.

— ეშმაკის ფეხო, შენ, ალბათ, ასეთი საათის ჩამოკიდება გინდა გულზე. ფარშავანგივით ამაყად გაივლი პორტოვეკიოს ქუჩებში; გამვლელები გკითხავენ: რომელი საათია, ფორტუნატო? შენც უპასუხებდი: დახედეთ ჩემს საათსო.

— როცა დიდი გავიზრდები, ქალაქელი ბიძია ისედაც მაჩუქებს საათს.

— ჰო, მაგრამ შენი ქალაქელი ბიძის ვაჟს უკვე აქვს საათი. ის კი შენზე პატარაა.

ბავშვმა ამოიოხრა.

— მაშ, გინდა თუ არა ეს საათი?

ფორტუნატომ ალმარეცად შეხედა ძვირფას ნივთს, როგორც კატამ, რომელსაც ეშინია ბრჭყალებით შეეხოს გემრიელ ლუკმას და პირს არიდებს მას, თითქოს პატრონს ეუბნებოდეს, რა სასტიკია შენი ხუმრობაო!

ათისთავ გამბას, ეტყობოდა, მართლაც უნდოდა საათის ჩუქება. ფორტუნატოს ხელი არ გაუწვდია, მხოლოდ მწარე ღიმილით უთხრა:

— რად დამცინით?

— გეფიცები, არ დაგცინი! მხოლოდ მითხარი, სადაა ჯიანეტო და საათი შენი იქნება.

ფორტუნატომ თვალი თვალში გაუყარა ათისთავს, ცდილობდა, გამოეცნო, შეიძლება თუ არა მის სიტყვებს ვერწმუნოო.

— ჯარისკაცის პატიოსან სიტყვას გაძლევ, — წამოიძახა ათისთავმა, — საათს მოგცემ ამისთვის: ჯარისკაცები მოწმეები არიან; მე არ შემიძლია სიტყვა გავტეხო.

საათი სახესთან მიუტანა, თითქმის ეხებოდა ბავშვის გაფითრებულ ლოყას. ბავშვს სახეზე ეხატებოდა ბრძოლა, რომელიც მის სულში წარმოებდა საათის მიღების მძაფრ სურვილსა და სტუმართმოყვარეობის ვალდებულებას შორის. გაღელილი მკერდი უთრთოდა, გული ყელში ებჯინებოდა. ამავე დროს საათი მის თვალწინ ტრიალებდა და რამდენჯერმე ცხვირის წვერს მოხვდა. ბოლოს ნელნელა ხელი გაიწოდა საათისაკენ, შეეხო მას... ციფერბლატი ცისფერი იყო, ახლად გაწმენდილი. ვერცხლის სახურავი მზეზე ბრჭყვიალებდა... მეტად დიდი იყო ცდუნება.

ფორტუნატომ მარცხენა ხელი ასწია და ცერით მიუთითა უკან, ზვინის- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ მარცხნივ იხდიდა, იხდიდა, იხდიდა!

**ხელისუფლებამ პირველად მაშინ იგრძნო, რომ ბადრი აღარ ხუმრობდა, როდესაც „იმედმა“ სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობის შესახებ აუწყა საზოგადოებას. ამას მოჰყვა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის თავის დროზე „მიჩქმალული“ ფაქტების გახმაურება. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, „იმედი“ ის ერთადერთი ტელევიზია გახდა, რომელიც მთელ საქართველოში (და არა მარტო) მაუწყებლობდა, რის გამოც საზოგადოებრივმა აზრმა ნელნელა, მაგრამ შეუქცევადად იწყო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ფორმირება.**

და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ნაცების“ პროპაგანდას კვლავაც ემსახურებოდნენ I არხი და „რუსთავი 2“. ხალხი მაინც „იმედის“ ინფორმაციებს ენდობოდა, რის გამოც „ნაცების“ მამებს „გველის კაჭრობა“ დაემართათ.

**ამ ყველაფერში, პატარკაციშვილის ამოუწურავ ფინანსებთან ერთად, „იმედის“ კოლექტივისა და პირადად გიორგი (შადიმან) თარგამაძის დამსახურებაც იყო. პრაქტიკულად, ყველა ნიჭიერი ტელეწამყვანი „იმედში“ აღმოჩნდა. ტელევიზიაში, რომელსაც ლომის წვლილი მიუძღვის („ნაცების“ ერთ დროს კი არა, როგორც თავად სჯეროდათ) მინიმუმ 30 წლის განმავლობაში შეურყეველი ხელისუფლების ისე მძლავრად შეზანზარებაში, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს მიშამ დემოკრატიულობის ნიღაბი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიგლიჯა!**

„იმედი“ და მისი ჟურნალისტები, ისე სასტიკად დაარბიეს, რომ თვით მიშას უპირობოდ მხარდამჭერი ბუშის ადმინისტრაციაც კი იძულებული გახდა, დემოკრატიის შუქურა ვარსკვლავ ბიჭუნასათვის „ყური აეწია“.

სწორედ ამიტომ იყო, რომ დარბეულ-დალეწილმა ტელევიზიამ შედარებით მოკლე ხანში მაუწყებლობა განაახლა, მაგრამ...

**აი, აქედან იწყება გიორგი თარგამაძის ჭეშმარიტი სახის, შადიმანობის წარმოჩენა. ისევე, როგორც ტელეიმედის ღამის მთელი კოლექტივისა. „იმედის“ მაუწყებლობის განახლებიდან ორიოდე დღის შემდეგ შადიმანა პირდაპირ ეთერში აკეთებს განცხადებას, რომ „იმედი“ მაუწყებლობას წყვეტს იმიტომ, რომ მის ჟურნალისტებზე ზეწოლა ხორციელდებაო...**

აბა, ამაზე კარგ და ფასეულ საჩუქარს ინატრებდა პრეზიდენტობიდან გადამდგარი მიშიკო? და პირიქით — ამაზე მუხანათურად ზურგში დანის დარტყმას წარმოიდგენდა ლონდონში გადახვეწილი, დასაპატიმრებლად გამზადებული პატარკაციშვილი? ამ უთანასწორო ბრძოლაში ბადრის ერთადერთი იმედი „იმედი“ იყო და ჯერ ასლანის კალთაში დაფრთიანებულმა ბარტყმა, და შემდეგ პატარკაციშვილის კალთაში გაზრდილმა თარგამაძემ კი არა თუ „იმედი“ დახურა, ბადრის გამოგზავნილი კასეტა მერაბიშვილს კაბინეტში მიუცუნცულა.

სოლოლაკში გაზრდილ ებრაელ ქართველს (თუ პირიქით), ალბათ, გაახსენდებოდა თბილისური გამოთქმა თუ ანდაზა — „ობოლო, ვის მ....ო და ჩემს გამზრდელსო!“ **როდესაც სახელისუფლებო ტელევიზიებმა იმ კასეტის დამონტაჟებული ვარიანტი შესთავაზეს საზოგადოებას, რის შემდეგაც უტვინო ობივატელმა, რაც, სამწუხაროდ, საზოგადოების (და არა მხოლოდ ქართველის) უმრავლესობას შეადგენს, ირწმუნა, რომ ბადრი პატარკაციშვილი მხოლოდ საკუთარი, ოლიგარქიული ინტერესების გამო იბრძოდა და არა — საქართველოსთვის; იგი არ იყო სამშობლოსთვის გულანთებული პატრიოტი. და თუ არსებობს მცირე ალბათობა იმისა, რომ ბადრის სხვის დაუხმარებლად გაუსკდა გული, ალბათ, — შადიმანას გამო!**

ეს ავკაცობა, სიმდაბლე, უსინდისობა, კლასიკური შადიმანისეული ღალატი, ჯეროვნად და ოპერატიულად დაუფასეს გიორგი თარგამაძეს. როგორც ამბობენ, მერაბიშვილის კაბინეტში დაწერეს ის პროცენტები, რომლითაც ე. წ. ქრისტიან-დემოკრატები 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „შესრიალდნენ“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. აი, ამაშია არჩევნების წინ ორიოდე დღით ადრე შექმნილი პარტიის, ქრისტიან დემოკრატების წარმატების საიდუმლო!

„როდესაც ჰალსტუხს წაიყრონჭავს, ჰალსტუხიან ხვლიკს ჰგავს და უჰალსტუხოდ ნამდვილი შადიმანიაო!“ — მოსწრებულად შენიშნა ენამწარე, „უკონტროლო“ რეზო ამაშუკელმა და, შადიმანას გარდა, მეორე „კლიჩკაც“ მიეკერა გიორგი თარგამაძეს.

ჰოდა, როდესაც ეს „ჰალსტუხიანი ხვლიკი“, პატრიოტულ-ეროვნული პათოსით დაახეთქებს ხოლმე: **„ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები!“**, სურვილი გიჩნდება, იმ ჰალსტუხში სწვდე და ისე მოუყრონჭო კისერი, თვალები გადმოაყრევინო!

**ამას წინათ, „კავკასიის“ ეთერში, შადიმანას ერთი თანაპარტიელი, თავის დროზე „იმედის“ ჟურნალისტი და დღეს ე. წ. ქრისტიან-დემოკრატი, გამობრძანდა და იმ ბრალდების პასუხად, რომ პარლამენტში შესვლით, მიშას გაყალბებული არჩევნები „გაუპრავეთო“, სრული სერიოზულობით დაახეთქა, რომ თურმე ქრისტიან-დემოკრატები იმისთვის შესულან პარლამენტში, რომ იმ მაღალი მიკროფონიდან საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ნდომებიათ (?!).**

რა ვიცი, აქამდე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ე. წ. საზოგადოებრივ აზრს, სწორედ ჟურნალისტები, მითუმეტეს, ტელეჟურნალისტები აყალიბებენ, ანუ იმ პროფესიის ხალხი, რომლის წარმომადგენლებიც ახლო წარსულში თავად ბრძანდებოდნენ. ისე, რომ იცოდნენ ე.წ. ქრისტიან-დემოკრატებმა, არა მხოლოდ ჟურნალისტები აყალიბებენ ე.წ. საზოგადოებრივ აზრს, არამედ, ჟურნალისტების მიმართაც აქვს ხოლმე საზოგადოებას საკუთარი აზრი და აქედან, ჩემი აზრით, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ცხადია, რომ ერთ დროს ჟურნალისტები და დღეს ე. წ. ქრისტიან-დემოკრატები, თვით ყველაზე ოდიოზურ „ნაცებზე“ საძულველნი და საშიშნი არიან, რადგანაც „ნაცები“ რისი და რა დროს მკადრებლები არიან, ასე თუ ისე, ამის პროგნოზირება შესაძლებელია. აი, რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატიულ „პოზიციას“, კაცმა არ იცის, რა და როდის მოუვათ თავში, რადგან, როგორც იტყვიან — „ნა ვსიო სპასობნები“ არიან!

**ჰალსტუხიანი ხვლიკის, იგივე შადიმანას ფანტაზიები, უკეთურობის, უნამუსობის, უტიფრობის, გველაძუობის კუთხით, ალბათ, ამოუწურავია!!!**

**დავით მხეიძე**

**ბოლოთქმა: მინდა, მის ახალ მამობილს, ვანო მერაბიშვილს შევახსენო — გიორგი თარგამაძის ორ წინამორბედ კეთილისმყოფელსა და მამობილს — აბაშიძესა და პატარკაციშვილს — შეეშალა. მათ არც ხევისბერი გოჩას გამოცდილება გაიზიარეს და არც მისი ევროპული ანალოგის. სწორედ ამიტომ, ვინაიდან ყოველივე ევროპულს ჩვენში მაღალი ფასი აქვს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ღია წერილისა და კეთილი რჩევის სახით პოსტსკრიპტუმ ვთავაზობ ნაწყვეტს პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონედან“:**

◀ კენ, რომელსაც თვით იყო მიყრდნობილი. ათისთავი მაშინვე მიხვდა. ძეწკვს ხელი გაუშვა და ფორტუნატო საათის ერთადერთი მფლობელი გახდა. იგი ქურციკივით განზე გახტა. ვოლტიჟერები იმწუთშივე ზვინის დაშლას შეუდგნენ. თივა შეინძრა და თავი გამოჰყო სისხლში მოსვრილმა ხანჯლიანმა მამაკაცმა. მაგრამ, როცა ფეხზე წამოდგომა დააპირა, ძალ-ღონემ ულალატა და მიწაზე დაეცა. ათისთავი ეცა და სატევარი გამოჰგლიჯა, მაშინვე მაგრად გაბაწრეს.

ჯიანეტო მიწაზე ეგდო, როცა ფორტუნატო მიუახლოვდა.

— არამზადავ! — უთხრა მას ფირალმა უფრო ზიზღით, ვიდრე გულისწყრომით.

ბავშვმა უკან გადაუგდო ვერცხლის ფული, რადგან იფიქრა, არ დამიმსახურებიაო, მაგრამ ფირალმა ამას, როგორც ეტყობა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მან სრულიად დამშვიდებულად მიმართა ათისთავს:

— ძვირფასო გამბა, სიარული აღარ შემიძლია; ჩემი ხელით წაღება მოგიხდებათ ქალაქში.

— ეს არის ჯიხვის სისწრაფით გაგვირბოდი, — უპასუხა ათისთავმა, — მაგრამ არა უშავს, მე ისე მიხარია შენი დაჭერა, რომ ზურგით გატარებ და დაღლილობას არ ვიგრძნობ. ჩვენ, მეგობარო, ტახტრევანს გაგიმართავთ შტოებისა და შენივე წამოსასხამისაგან, ხოლო კრესპოდის ფერმაში ჩასვლილას ცხენებს ვიშოვით.

— ძალიან კარგი, — თქვა დატყვევებულმა, — მხოლოდ ცოტა ჩალა დასდეთ ტახტრევანზე, რომ გვერდები არ მეტკინოს.

სანამ ვოლტიჟერები ფუსფუსებდნენ, ტევრისკენ მიმავალი ბილიკის მოსახვევში მატეო ფალკონე გამოჩნდა ცოლითურთ. დედაკაცი ქედმოხრილი მოდიოდა, ზურგზე უზარმაზარი, წაბლით სავსე ტომარა მოეკიდებინა. ქმარი კი მსუბუქად მოაბიჯებდა; ერთი თოფი ხელში ეჭირა, ხოლო მეორე მხარზე ეკიდა, რადგანაც ვაჟკაცს არ შეჰფერის რაიმე ტვირთი ზიდოს, გარდა თოფ-იარაღისა.

ჯარისკაცების დანახვაზე მატეოს თავში აზრმა გაუელვა, ალბათ, ჩემს დასაჭერად არიან მოსულიო. მაგრამ რა? განა რაიმე უთანხმოება ჰქონდა პოლიციასთან? არა, მას არც მთავრობის, არც ხალხის თვალში სახელი არ ჰქონია გატეხილი; მაგრამ იგი კორსიკელი მთიელი იყო, კორსიკელ მთიელებს შორის კი იშვიათია ისეთი ვაჟკაცი, რომელსაც წარსულში რაიმე პაწია ცოდვა არ ჩაედინოს, ვისმესთვის თოფი არ ესროლოს ან სატევარი არ ჩაეცეს. მატეოს სხვებზე უფრო სუფთა სინდისი ჰქონდა, რადგან ათ წელიწადზე მეტია, მისი თოფი კაცისკენ არ მიმართულიყო; მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა და ვოლტიჟერების დანახვაზე, ყოველი შემთხვევისათვის, თავის დასაცავად მოემზადა.

— დედაკაცო, — უთხრა მან ჯუზეპას, — ტომარა მიწაზე დასდე და მზად იყავ.

ცოლმა მაშინვე შეასრულა მისი ბრძანება. მატეომ ერთი თოფი ქალს გადასცა, მეორე გატენა და ნელის ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ, მხოლოდ გზის პირად ჩამწკრივებულ ხეებს მიჰყვებოდა, რათა მტრული მოქმედების დაწყებისთანავე რომელიმე მსხვილ წაბლის ხეს ან წიფელს ამოჰფარებოდა და პასუხი გაეცა. ცოლი ფეხდაფეხ მისდევდა, ხელში სათადარიგო თოფი და სამასრე ეჭირა. ბრძოლის დროს კარგი დიაცის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ქმარს თოფი დაუტენოს.

მეორე მხრივ, არც ათისთავს ესიამოვნა, როცა თვალი მოჰკრა მატეოს, რომელიც ჩახმახშეყენებული თოფით მოდიოდა ფეხაკრეფით.

— ვაი თუ მატეო ჯიანეტოს მოკეთე ან მეგობარია და მისი დაცვა მოისურვოს, — გაიფიქრა ვოლტიჟერთა მეთაურმა: — მაშინ მისი ორი თოფის ორ ტყვიას ორი ჩვენგანი ისევე სწორად მიიღებს, როგორც ფოსტით გამოგზავნილ წერილს. შეიძლება არც მე დამინდოს, სისხლის ნათესაობის მიუხედავად!

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მან ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო, პირდაპირ წასულიყო მატეოსაკენ და ყოველივე ეამბნა, როგორც ძველი ნაცნობისათვის, მაგრამ მოკლე მანძილი, რომელიც მატეოსგან ჰყოფდა, დაუსრულებლად ეჩვენა.

— ეჰეი, ძველო მეგობარო! — დაუძახა მან, — როგორ ცხოვრობ? ეს მე ვარ, გამბა, შენი ნათესავი!

მატეო უსიტყვოდ გაჩერდა და თოფი ნელა ამართა, ისე, რომ, როცა ათისთავი მიუახლოვდა, პირი სწორედ მისკენ იყო დამიზნებული.

— გამარჯობა, ძმაო, — უთხრა ათისთავმა და ხელი გაუწოდა... — დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

— გაგიმარჯოს, ძმაო.

— გზად გამოვიარე შენი და ჯუზეპას სანახავად. დღეს კარგი ნადირობა გვქონდა და, თუმცა დავიღალეთ, დიდი ფრინველი დავიჭირეთ. ესაა ჯიანეტო სანპიერო ვიგდეთ ხელში.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა ჯუზეპამ, — მეწველი თხა მოგვტაცა გასულ კვირაში.

ეს სიტყვები ესიამოვნა გამბას.

— საბრალოს შიოდა და რა უნდა ექნა, — ჩაილაპარაკა მატეომ.

— იგი ლომივით იცავდა თავს, — განაგრძო ათისთავმა ცოტა არ იყოს ნაწყენი კილოთი, — ერთი ჯარისკაცი მოგვიკლა, ერთსაც ტყვიით ხელი დაუჩეჩქვა... შემდეგ ისე მიიმალა, ეშმაკიც ვერ იპოვნიდა. შენი პატარა ფორტუნატო რომ არ ყოფილიყო, ვერასოდეს აღმოვაჩენდით.

— ფორტუნატო! — წამოიძახა მატეომ.

— ფორტუნატო! — გაიმეორა ჯუზეპამ.

— დიახ! ჯიანეტო ამ ზვინში დამალულიყო; მაგრამ ჩემმა პატარა ძმისწულმა გვიჩვენა მისი ბუნაგი. ქალაქიდან რაიმე საჩუქარს გამოვაგზავნინებ მისთვის. ამას გარდა, შენი და მისი სახელი აღინიშნება მოხსენებაში, რომელსაც მთავარ მსაჯულს წარვუდგენ.

— შეჩვენებული! — ხმადაბლა წარმოთქვა მატეომ.

სამივენი სახლთან მივიდნენ. ჯიანეტო საკაცეზე იწვა, წაყვანას უპირებდნენ კიდეც. როცა გამბას გვერდით მატეო დაინახა, უცნაურად გაიღიმა, სახლისკენ მიბრუნდა, ზღურბლს მიაფურთხა და თქვა:

— გამცემლის სახლი!

მხოლოდ სასიკვდილოდ განწირული კაცი თუ გაბედავდა, მატეოსთვის გამცემელი ეწოდებინა. სატევრის ჩაცემა, რომელსაც განმეორება აღარ სჭირია, დაუყოვნებლივ შურს იძიებდა შეურაცხყოფისათვის, მაგრამ ახლა მატეომ მხოლოდ შუბლზე მოისვა ხელი, როგორც ადამიანმა, რომელიც განადგურებულია მომხდარი ამბით და ვერ გამორკვეულა.

ფორტუნატო სახლში შევიდა მამის დანახვისთანავე. ჩქარა დაბრუნდა, ხელში რძით სავსე დოქი ეჭირა, ჯიანეტოს მიაწოდა, ისე, რომ მისთვის თვალი არ გაუსწორებია.

— გამეცალე აქედან! — დაიღრიალა დატყვევებულმა საშინელი ხმით.

შემდეგ ერთ ჯარისკაცს მიუბრუნდა და უთხრა:

— ამხანაგო, წყალი დამალევინე.

ჯარისკაცმა თავისი თასი მიაწოდა, და ფირალმა წყალი მიიღო იმ ადამიანის ხელიდან, რომელიც ცოტა ხნის წინათ ცხელ ტყვიებს სთავაზობდა. შემდეგ ითხოვა, ზურგზე კი არა, გულზე შემიკარით ხელებიო.

მისი სურვილი შესრულებულ იქნა. ათისთავმა ნიშანი მისცა, ავიშალოთო, გამოემშვიდობა მატეოს, რომელსაც პასუხი არ გაუცია, და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა დაბლობისაკენ.

ათმა წუთმა განვლო, სანამ მატეო კრინტს დაძრავდა. შეშფოთებული ბავშვი ხან დედას უცქეროდა, ხან მამას, რომელიც თოფს იყო დაყრდნობილი და თავშეკავებული გულისწყრომით უცქეროდა.

— კარგად იწყებ ცხოვრებას! — თქვა ბოლოს მატეომ დამშვიდებული ხმით, მაგრამ ვინც მას იცნობდა, ამ ხმაში მუქარას გაიგონებდა.

— მამა! — წამოიძახა ბავშვმა, თვალცრემლიანი მივარდა და დაჩოქებას აპირებდა.

— უკან დაიწი! — შეჰყვირა მატეომ.

ბავშვი უმოძრაოდ გაჩერდა რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე; იგი უხმოდ ქვითინებდა.

ჯუზეპა მიუახლოვდა ქმარშვილს. მან ფორტუნატოს ძეწკვი დაუნახა ხალათქვეშ.

— ვინ მოგცა ეს საათი? — ჰკითხა მკაცრად თავის შვილს.

— ჩემმა ბიძამ ათისთავმა.

ფალკონემ ხელი სტაცა საათს, ქვაზე დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია.

— დედაკაცო, ჩემია თუ არა ეს ბიჭი?

ჯუზეპას შავგვრემანი სახე შეუფაკლდა.

— რას ამბობ, მატეო? დაფიქრდი, ვის ეუბნები ამას.

— მაშინ ეს ბიჭი პირველია, რომელმაც ღალატი ჩაიდინა ჩვენს გვარში.

ფორტუნატო კვლავ ცრემლებს ღვრიდა, ხოლო მატეოს ფოცხვერისებური თვალები მას მიშტერებოდა. ბოლოს მატეომ თოფის დუმა მიწას დაარტყა, მოტრიალდა, თოფი მხარზე გადაიდო და ფორტუნატოს უბრძანა, უკან გამომყევ ტევრისკენო. ბავშვი უსიტყვოდ დაემორჩილა.

ჯუზეპა ქმარს უკან დაედევნა და სახელოში ჩაეჭიდა.

— ეს ხომ შენი შვილია, — შესძახა მან მთრთოლვარე ხმით და თავისი შავი თვალებით თვალებში ჩააცქერდა, თითქოს მისი სულის წაკითხვას ლამობსო.

— თავი დამანებე! მე მამა ვარ! — უპასუხა მატეომ.

ჯუზეპამ ვაჟი გულში ჩაიკრა, აკოცა და ტირილით დაბრუნდა შინისკენ. იქ ღვთისშობლის ხატის წინაშე დაემხო და გულმხურვალე ლოცვა დაიწყო.

მატეომ ორასიოდე ნაბიჯი განვლო ბილიკზე და პატარა ხრამის ნაპირას შეჩერდა. ნიადაგი მოსინჯა თოფის დუმით, რბილი აღმოჩნდა, ადვილი იყო მისი გათხრა. ეს ადგილი შესაფერისად ეჩვენა თავის განზრახვის შესასრულებლად.

— ფორტუნატო, გაჩერდი იმ დიდი ლოდის მახლობლად!

ბავშვმა ბრძანება შეასრულა, შემდეგ მუხლებზე დაეცა.

— ლოცვები წაიკითხე!

— მამა, მამა, ნუ მომკლავ!

— ლოცვები წაიკითხე! — გაუმეორა მატეომ საშინელი ხმით.

ბავშვმა ცახცახით და ქვითინით წაიკითხა „მამაო ჩვენო“ და „მრწამსი“. მამამ მტკიცე ხმით „ამინ“ დაუმატა თვითეულ მათგანს.

— სხვა ლოცვები არ იცი?

— მამა, ვიცი კიდევ ქალწულის ლოცვა და ლიტანია, რომელიც ძალუამ მასწავლა.

— ეს გრძელია, მაგრამ არა უშავს, წაიკითხე.

ბავშვი სუსტი ხმით ათავებდა ლიტანიას.

— გაათავე?

— მამა, შემიბრალე. არასოდეს ამას აღარ ვიზამ! ბიძია კაპრალს შევეხვეწები, აპატიოს ჯიანეტოს!

იგი კიდევ რაღაცას ლუღლუღებდა. მატეომ თოფი დაუმიზნა და უთხრა:

— ღმერთმა გაპატიოს!

ბავშვმა სასოწარკვეთილად ძალა მოიკრიბა, უნდოდა, წამომდგარიყო და მუხლებში ჩავარდნოდა მამას, მაგრამ გვიანღა იყო. მატეომ გაისროლა და ფორტუნატო უსულოდ დაეცა.

მატეოს გვამისთვის არ შეუხედავს, სახლისკენ გაემართა, რათა ნიჩაბი მოეტანა და საფლავი გაეთხარა. ორიოდე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, წინ ცოლი გადაეღობა, სროლის ხმას შეეშფოთებინა.

— რა ჩაიდინე? — შეჰბღავლა ქალმა.

— მართლმსაჯულება შევასრულე დამნაშავის მიმართ.

— სად არის?

— ხრამის პირას, ახლავე დავასაფლავებ. მოკვდა როგორც ქრისტიანი; მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს, ტეოდორო ბიანკის, უნდა შევუთვალოთ, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად.

**პროსპერ მერიმე**

**„მატეო ფალკონე“**

**გერონტი ქიქოძის**

**თარგმანი ესპანურიდან**

14 - 20 ოქტომბერი, 2009 წელი. №33
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# არნო ხიდირბეგიშვილი: ნატოწაღებულნი და გაბაიბურთებული სიმონსი...

**„რა მოხდება?“** — საქართველოში ეს კითხვა ყველას პირზე აკერია: მედიისა და ცრუექსპერტების მიერ დეზინფორმირებულ ჰიპერპოლიტიზებულ საზოგადოებაში დღეს მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, თუ რა გველის...

**„უშეცდომო პასუხი“** ამ კითხვაზე აქვთ მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასა და ზემონახსენებ ცრუექსპერტებს, რომლებსაც მე არ მივეკუთვნები, ამიტომ, პატივცემულო მკითხველო, მოდი, როგორც ყოველთვის, ერთად დავფიქრდეთ და შევეცადოთ, დასაწყისისთვის, გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით ვუპასუხოთ კითხვას: **„რა არ მოხდება?“**

1) აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა,** რომელსაც გასულ კვირას 2009 წლის ნობელის პრემია მიანიჭეს მშვიდობის დარგში, *„საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი კლიმატის შექმნის, საერთაშორისო დიპლომატიის განმტკიცებაში ექსტრაორდინარული ძალისხმევისა და ბირთვული იარაღის გარეშე სამყაროს შექმნისთვის“* ***(იგულისხმება — ბუშის პოლიტიკის უგულებელყოფისთვის, რუსეთის ფედერაციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების (ПРО)განთავსებაზე უარის თქმისა და მზაობისთვის СНВ-3 ხელშეკრულების დადების გამო)*** **საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ახირებების გამო კრემლთან კონფლიქტს არ გააჩაღებს!** ამერიკის ლიდერის თქმით, *„მას და ნატოს ხელმძღვანელს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ერთნაირი პოზიცია უკავიათ“*

(ვფიქრობ, არაა აუცილებელი იმ მიზეზების ჩამოთვლა, რომელთა გამოც ევროპა საქართველოს გულისთვის კრემლთან კონფლიქტს არ გააჩაღებს);

**2) ნატო საქართველო-რუსეთის კონფლიქტში, მისი წარმოქმნის შემთხვევაში, არ ჩაერევა (ისევე, როგორც გასული წლის აგვისტოში), მით უფრო არ დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს:** ნატოს გენერალური მდივანი **ანდერს ფონ რასმუსენი** მიიჩნევს, რომ რუსეთი ბალტიის ქვეყნების ან ნატოს სხვა მოკავშირეებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და სურს რუსების დარწმუნება იმაში, რომ ნატო რუსეთის მტერი არაა: *„ნატო რუსეთს არ ამხედრებია. ჩვენი პარტნიორობა აუცილებელია. თუ რუსეთს რაიმე ემუქრება, ეს საფრთხე დასავლეთიდან კი არა, სამხრეთიდან მომდინარეობს. ვფიქრობ, რუსეთის ხელმძღვანელობას ეს კარგად ესმის“*;

**3) საქართველო, მისი ამბიციური ხელისუფლებითა და ტერიტორიული პრობლემებით, ვერ გაწევრდება ნატოში. იმ პირობებში, როცა თბილისიდან 30 კმ-ში რუსული ტანკები დგას, ხოლო საპრეზიდენტო სასახლე — რუსული არტილერიის მისაწვდომობის ზონაში, საქართველოში ნატოს ბაზები არ იქნება** (ვფიქრობ, აუცილებელი არაა იმ მიზეზების ჩამოთვლა, რომელთა გამოც საქართველო ევროკავშირში ვერ გაწევრდება);

**4) რუსეთთან კონფლიქტი არ დარეგულირდება საზოგადოებრივი სექტორის ძალისხმევით** — **საზოგადო და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთვიზიტებით, ერთობლივი კომისიებით, „მრგვალი მაგიდებითა“ და კონფერენციებით, ასევე, საეკლესიო დელეგაციებით. თანამედროვე ისტორიაში არ მოიძებნება პრეცედენტი, რომ სამხედრო კონფლიქტისა და სისხლისღვრის, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტისა და ხელისუფლებათა ამგვარი ანტაგონიზმის შემდეგ, მხარეები ე. წ. სახალხო დიპლომატიის მეთოდებით დაზავებულიყვნენ!**




როგორც სამართლიანად აღნიშნავს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია,** ***„საზოგადოებრივ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა არსებობენ პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც ამ საზოგადოებრივ აზრს გამოხატავენ. საქართველოში არ არსებობს არხები ამგვარი სქემის რეალიზებისთვის — პოლიტიკურ ორგანიზაციათა არსებული ქსელი ანგაჟირებულია, ეს კი ეროვნულად ორიენტირებული ქსელი არ არის! პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნილია და ფუნქციონირებს ამერიკელ კურატორთა ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ და მათ მიერვე ფინანსდება. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ეს პოლიტიკური სტრუქტურები და ორგანიზაციები საზოგადოებრივ აზრს გამოხატავენ“.***

ყველაზე „ახალი“ და ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, ნაცნობი მაგალითი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაა, რომელიც ფინალისკენ მიიწევს **არა საზოგადოებრიობის ძალისხმევით (ხშირად მის საწინააღმდეგოდაც!), არამედ ოფიციალური ხელისუფლების რესურსის გამოისობით — აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლების, მათი პრეზიდენტების პოლიტიკური ნების, რუსეთისა და აშშ-ის გარანტიებისა და შუამდგომლობის ხარჯზე!**

ახლა კი მივენდოთ ფხიზელ ლოგიკას და არა ქართული პოლიტისტებლიშმენტისთვის დამახასიათებელ ფსევდოპატრიოტულ ემოციებს და ვივარაუდოთ, თუ **„რა მოხდება“.**

**დასაწყისისთვის აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანს საქართველოში ჩვენი ახალი ძველი „მეგობრების“ ვიზიტების კასკადი** (აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის **ჯო ბაიდენის,** აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის **ფილიპ გორდონის,** სამხრეთ კავკასიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენლის **რობერტ სიმონსისა** და მოსალოდნელი — აშშ-ის თავდაცვის მინისტრის **ალექსანდრ ვერბშოუს,** რესპუბლიკელი სენატორის **ჯონ მაკეინის**) **ძალზე წააგავს შარშანდელ აგვისტოსწინა პერიოდს, როცა ომამდე ჩვენს ქვეყანას კონდოლიზა რაისი ეწვია და მეთიუ ბრაიზა ხშირად სტუმრობდა.** მართალია, დღეს ამ ნუსხაში არ არიან აშშ სახელმწიფო მდივანი და სხვა პირველი პირები (ეტყობა, მავანისთვის ხელის ჩამორთმევა არ სურთ...), უპრიანია მასზე გავჩერდეთ და, რადგანაც **ბაიდენისა** და **გორდონის** ვიზიტები უკვე განვიხილე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, დანარჩენებზე ვილაპარაკოთ.

მაშ ასე, ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში **რობერტ სიმონსი:** *„ამგვარ რთულ ვითარებაში, რომელიც ბოლო ხანს ავღანეთში შეიქმნა, ნატოს ეგიდით განხორციელებულ ISAF-ის ოპერაციებში ისეთი ქვეყნის მონაწილეობა, როგორიც საქართველოა, ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს... ბუქარესტის სამიტზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველო, საბოლოო ჯამში, ნატოს წევრი გახდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ბევრი მუშაობა ნაციონალური პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ჩამოვედი, რათა გავარკვიო — როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და მოვამზადო შესაბამისი მოხსენება. ნატოში გაწევრების ზუსტი თარიღის დასახელება ჯერჯერობით არ შემიძლია“.*

ეს კი ავღანეთში აშშ-ისა და ნატოს კოალიციური ჯარების სარდლის, არმიის გენერლის **სტენლი მაკრისტალის** სიტყვებია: *„ავღანური დაჯგუფება „თალიბანის“ წინააღმდეგ წარმოებულ ომს, ალბათ, წავაგებთ, თუ აშშ ვერ გამონახავს დამატებით ძალებს და არ შეცვლის სტრატეგიას... რესურსების უკმარისობა, სავარაუდოდ, დამარცხებამდე მიგვიყვანს“.* ეს **კრისტალურად სუფთა** კაცი რეკომენდაციას იძლევა, აშშ-ის ჯარების რიცხოვნობა 40.000 სამხედროთი გაიზარდოს (დაემატოს იქ მყოფ 77.000-ს), თუმცაღა **ობამას დემოკრატიული პარტია, რომელიც კონგრესს აკონტროლებს, შესაძლოა, წინ აღუდგეს ავღანეთში ახალი ძალების გაგზავნას,** ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მიუთითებს, რომ ამერიკელებს არ სურთ ამ 8-წლიანი ომის გაგრძელება!

**ახლა ნათელია?! სიმონსი ომში ჩვენი ბიჭების გულისთვის ჩამოსულა, რადგან აშშ ახალ ჯარისკაცებს აღარ იძლევა!** ამავე მიზნით, **სიმონსის** ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ა. წ. ოქტომბერში თბილისს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი **ალექსანდრ ვერბშოუ** ესტუმრება, თუმცა ქართველ ხალხს ამას პოლიტკორექტულად მიაწვდიან როგორც *„საქართველო-ამერიკის ურთიერთობების თანამშრომლობის გაღრმავებას მხარეთა მიერ ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში“*... როგორც ჩანს, ამ მისტერების „პარტნიორობა“ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაა...

**სიმონსი,** რომელიც საქართველოს გარდა, კავკასიაში ბრიყვებს ვერსად გამოიჭერს, **საქართველოში ნატოს ცენტრის** მიერ მისთვის სპეციალურად ორგანიზებული **„ნატოს კვირეულის“** დღეებში, **როგორც ეგონა,** აქ მცხოვრებ **ეროვნულ უმცირესობას** შეხვდა. **თუმცა, ის გააბაიბურთეს** — ***„ეროვნულ უმცირესობათა და ნატოს“*** კონფერენციაზე, სადაც ნატოში საქართველოს ინტეგრაციისადმი ეროვნულ უმცირესობათა დამოკიდებულების საკითხი განიხილებოდა, **დიასპორათა ლიდერებად რენეგატ-გრანტიმჭამელთა ჯგუფი შეარჩიეს** (ისევე, როგორც ბუშს 2005 წელს, საქართველოში ვიზიტისას!), **რომელსაც ფხიზლად ადევნებდა თვალს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში** (1999-დან 2008 წლამდე პარლამენტის წევრი და, იმავდროულად, კონსტიტუციის დარღვევით — სომხური გაზეთის *„ვრასტანის“* მთავარი რედაქტორი) **ვან ბაიბურთი, რომლის გვარის წარმოთქმა თბილისში — არასასურველი, ხოლო სომხებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთში არც თუ უსაფრთხოა... სომეხთა, უფრო მეტიც, აზერბაიჯანელთა და სხვა აქ მცხოვრებ 800.000 არაქართველთა სახელით (?!), მან სიტყვა მისცა სიმონსს, რომ საქართველოს ეროვნული უმცირესობანი თანახმა არიან ნატოში საქართველოს გაწევრებაზე! თანახმა არიან, რომ ახალგაზრდა ქართველები საზარბაზნე ხორცად გადაიქცნენ, რათა უცხო მიწაზე უცხო ინტერესებს შეეწირონ! მან, ასევე, დასძინა, რომ საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, გამუდმებით გრძნობს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს... (?!)**

რა თქმა უნდა, ასაკსა და **ჭაღარას** პატივი უნდა ვცეთ, **თუნდაც მას გულდასმით მალავდნენ,** მაგრამ ერთი სული მაქვს, ვკითხო: **გააგზავნიდა კი ვან ბაიბურთი ავღანეთში საკუთარ ვაჟს — გრიშას** (ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსანს) **ნატოსთან პარტნიორობისთვის?! რატომ „დაავიწყდა“, რომ მისი ისტორიული სამშობლო – სომხეთი (და ახლა უკვე აზერბაიჯანიც) რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან?! საერთოდ, ვინ მისცა სომხების, აზერბაიჯანელებისა და ქართველების სახელით ლაპარაკის უფლება?!**

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლად **სიმონსს** წარუდგინეს ელენე თევდო-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)

1225 Eye Street,
NW, Suite 700
Washington DC 20005
Tel: 1 (202) 408 94 50
Fax: 1 (202) 408 94 62
Website: www.iri.org

Website: www.iri.org.ge



**რაძეც** (სამი მოწვევის პარლამენტის წევრი, „მიშას დედა“, როგორც ის საკუთარ თავს უწოდებდა, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების მინისტრის მოადგილე და შეწყალების კომისიის წევრი). **ბაიბურთისგან განსხვავებით, ის ჭაღარას არ მალავს, მაგრამ მასავით ვერასგზით უსწავლია ქართული...**

ხოლო **„ამერიკელ ქართველს თუ ქართველ ამერიკელს“** თბილისის აეროპორტში **კობა სუბელიანი** (ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების მინისტრი) დახვდება საკუთარი „ჯიპით,“ რომლის სანომრე ნიშნებია «**McKAIN**»-ი (მე მათ, როგორც „ჭეშმარიტი ევროპელი“, ლათინურად ვკითხულობ და გამომდის... **კაენი**!). და ის ამის ღირსია — **ვიეტნამის გმირი, აშშ-ის სენატორი არიზონას შტატიდან ჯონ მაკეინი, რომელიც 2006 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წმიდა გიორგის სახელობის ორდენით დააჯილდოვა *„საქართველოსთვის მიღწეულ გამარჯვებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“*,** ამავდროულად ხომ აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს წევრია; **იმ ინსტიტუტისა, „ვარდების რევოლუციაში“ ერთ-ერთი მთავარი როლი რომ შეასრულა!**

მცირე ცნობა: **საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი** — ინგლ. **International Republican Institute (IRI)** არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა ცალკეული ქვეყნების „დემოკრატიის მშენებლობაში“ დახმარების აღმოჩენის მიზნით. დაარსდა 1984 წელს. მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ზოგიერთ ფონდთან (მაგალითად, **სოროსის ფონდთან!**), რომელიც **პროამერიკულ პოლიტიკურ ძალებს აფინანსებს მთელ მსოფლიოში.** ცივი ომის ხანაში **ამ ინსტიტუტის მეშვეობით ფინანსდებოდა მრავალრიცხოვანი სახელმწიფო გადატრიალებები ლათინურ ამერიკაში. IRI**-ს საქმიანობას ამერიკის მთავრობა, აშშ-ის კონგრესი აფინანსებს, ასევე, ის შემოწირულობებს იღებს კერძო კორპორაციებისა და ფონდებისაგან. რესპუბლიკურ ინსტიტუტს მსოფლიოს 56 ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა.

საქართველოში ინსტიტუტმა ფუნქციონირება 1998 წლიდან დაიწყო, **მისი ფავორიტის, ზურაბ ჟვანიას ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. საქართველოში IRI-ს მისიის ამჟამინდელი ხელმძღვანელი, ზურაბ ჟვანიას აღზრდილი და პროტეჟე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინია,** რომელსაც აშშ-ში მისი ამასწინანდელი ვიზიტისას (ღონისძიებაზე, რომელიც **IRI**-ს 20 წლისთავს მიეძღვნა) **საქართველოს დემოკრატიზაციის მინისტრი** უწოდეს (?!). და მართლაც, მასწავლებლის იდუმალებით მოცული აღსასრულის შემდეგ, **ფიზიკურ და პოლიტიკურ წონამომატებული „საქართველოს დემოკრატორი“** (თანამდებობით კი — **ციხეების მინისტრი**) მონაწილეობს ყველა პოლიტიკურ პროცესში, მონაწილეობს პრეზიდენტისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებში, წყვეტს „დასჯა-არდასჯის“ კატეგორიის საკითხებს და ამბობენ, რომ შესაძლოა, ის საქართველოს **პიარ-მინისტრის**, უფრო სწორად, **პრემიერ-მინისტრის** პოსტზეც დანიშნონ, რაც ჩვენში, არსებითად, ერთი და იგივეა...

და აი, ძვირფასო მკითხველო, ზემონათქვამის გათვალისწინებით, დადგა დრო, პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას: **„რა მოხდება?“**

**1) დაიწყება აქტიური ოპერაცია — „პროექტ საქართველოს“ მისი ხელმძღვანელისგან — მიხეილ სააკაშვილისგან განცალკევების მიზნით (რაც, პრაქტიკულად, უკვე დაწყებულია!), რათა გადარჩეს თუ მთელი პროექტი არა, მისი ნაწილი მაინც — კადრები, რომელთა გაწვრთნა აშშ-ს სოლიდური თანხები დაუჯდა და რომელთა ინტერესები უკვე ეწინააღმდეგება თავად სააკაშვილის ინტერესებს;**

**2) ახალ საარჩევნო კოდექსზე მუშაობის დასრულებისთანავე დაინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო, შემდეგ კი — საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებზეც აშშ ლობირებას გაუწევს ამჟამინდელი „ოპოზიციონერის“ — ირაკლი ალასანიას კანდიდატურას („ალიანსი საქართველოსთვის“) და IRI -ს მთელი რესურსიც მასზე იმუშავებს.** ხოლო ადგილობრივი არჩევნები და თბილისის მერის სავარძლისთვის ბრძოლა მხოლოდ ბლეფია: სად გაგონილა, რომ თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ალიანსის ლიდერი („ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები,“ „რესპუბლიკური პარტია,“ „ახალი მემარჯვენეები,“ „ტრადიციონალისტები“, “საქართველოს გზა“ და სხვ.), რომელიც სულ ახლახან პრეზიდენტობის პრეტენდენტი გახლდათ, დედაქალაქის მერის სავარძლისთვის ბრძოლით დაკმაყოფილდეს, თანაც საქართველოს ექს-ომბუდსმენთან — სოზარ სუბართან ერთად?!

## ალასანია არაფრით განსხვავდება სააკაშვილისგან ოკეანისგაღმა ჩანერგილი ღირებულებებითა და „გაგებით,“ თუმცა ქარიზმატულობით, მოქნილობითა და „Public Relations“-ის, ანუ პიარის კეთების უნარით გვარიანად ჩამორჩება. ამიტომ ალასანია ვერასდროს გახდება პრეზიდენტი.

ის, უბრალოდ, გარდამავალი ეტაპი იქნება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა, შესაძლოა, მომავალში **პროამერიკული საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელად** მოგვევლინოს. ***„ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც პროამერიკული არ იყოს. სააკაშვილმა ამერიკელთა თანხმობით დაამხო შევარდნაძე, სასტიკად გააკრიტიკა ყველაფრისთვის, საგარეო პოლიტიკის გარდა — ამჟამინდელი ოპოზიციონერებიც გაჰყვირიან „ძირს!“, მაგრამ არ ეხებიან საგარეო პოლიტიკურ კურსს. მთელ პოლიტიკურ სპექტრს ხომ ამერიკელები აკონტროლებენ, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 90 პროცენტი მათი სახსრებით ფუნქციონირებს. ისინი კვლავაც ჩამოვლენ და დაგვიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ქართველი ხალხის მეგობრები არიან, თუმცა ანტიამერიკული განწყობა საზოგადოებაში ისეთი ძლიერია, როგორც არსად პოსტსაბჭოთა სივრცეში!“*** — სამართლიანად შენიშნავს **ა. ჭაჭია.**

რიგგარეშე არჩევნების მოახლოებაზე მეტყველებს, **პრაქტიკულად, დაწყებული საარჩევნო კამპანიაც:**

— უბნის ინსპექტორებმა დაიწყეს საყოველთაო შემოვლა, რომლის დროსაც რამდენჯერმე აზუსტებენ მოქალაქეთა კუთვნილებას ამა თუ იმ პარტიისადმი;

— დიდი ძალისხმევით მიმდინარეობს საშუალო სკოლებში მეთორმეტეკლასელთა „დამუშავება“;

— დაიწყო ნანი **ბრეგვაძისა** და **ბუბა კიკაბიძის „პოლიტკონცერტები“;**

— მთავრობა და პრეზიდენტი გამუდმებით ხვდებიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენას და ხშირად ჩადიან რეგიონებში;

— საქართველოში ჩამოდის უდიდესი სპეციალისტი არჩევნებისა (უფრო სწორად, მათი გაყალბებისა!) და გადატრიალებების დარგში **მაკეინი.**

**3)** თუ ყურად ვიღეთ რუსეთის პრეზიდენტის — **დიმიტრი მედვედევის** ამასწინანდელი განცხადება: *„დარწმუნებული ვარ, რომ ეს ურთიერთობები (საქართველოსთან, — ა. ხ.) დაეფუძნება ასწლიან მეგობრობას, საერთო ისტორიას, ტრადიციებს, მათ შორის — რელიგიურს და ისეთივე იქნება, როგორიც ბოლო ხანებამდე იყო. დღეს საკითხი ეხება არა იმას, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებითი სირთულეები წარმოიქმნა, არამედ იმას, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარად ვაფასებთ ერთსა და იმავე პერიოდს, გულწრფელად რომ ვთქვათ, საუბარია იმ აგრესიაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის აგვისტოში. და, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან ეს შეფასება არ ვრცელდება **საქართველოს მოსახლეობასა და ქართულ სახელმწიფოზე.*** ეს შეფასება ვრცელდება მხოლოდ ერთი პირის — საქართველოს პრეზიდენტის — მოღვაწეობაზე. ერთხელ უკვე ვუპასუხე ამ კითხვას და ახლაც შემიძლია გითხრათ: **რუსეთი საუკეთესო ურთიერთობებს დაამყარებს საქართველოსთან, მის მთავრობასა და ხელმძღვანელობასთან,** თუმცა მე, პირადად, არაფერი მესაქმება პრეზიდენტ სააკაშვილთან, რადგან მიმაჩნია, რომ მან დანაშაული ჩაიდინა როგორც საკუთარი ხალხის, ასევე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხების მიმართ.“ **შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ადგილი ექნება *„საქართველოსთან, მის მთავრობასა და ხელმძღვანელობასთან საუკეთესო ურთიერთობების დამყარების“*** მცდელობას.

**4) მოვლენები შესაძლოა, ნაკლებად მშვიდობიანი სცენარითაც განვითარდეს:** გასულ კვირას **რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა** განაცხადა, რომ საქართველოდან, პანკისის გავლით, ჩეჩნეთში იარაღი გადააქვთ და უცხოელ ინსტრუქტორთა მიერ გაწვრთნილი ბოევიკ-ტერორისტთა ჯგუფები გადადიან, გუშინ კი ფე-ეს-ბეს დირექტორმა **ალექსანდრე ბორტნიკოვმა** დაადანაშაულა ქართული სპეცსამსახურები ***„ალ-ქაიდას“*** ემისრებთან თანამშრომლობაში და შეიარაღებული ტერორისტების გადასროლაში ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

**ჰოდა, თუკი ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყება და ბოევიკები საქართველოს ტერიტორიაზე გადავლენ, რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ტერორისტული საქმიანობის აღკვეთის მიზნით ქვეყნის საზღვრებს გარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენებას ითვალისწინებს, რუსეთი მათ დევნას დაუწყებს სრულ განადგურებამდე!** შემდგომში როგორ განვითარდება მოვლენები, იოლი განსაჭვრეტია — **სავარაუდოდ, თეთრი სახლის მითითებით, პრეზიდენტი სააკაშვილი ვადამდე გადადგება „სამართლიანობისათვის მებრძოლი გმირის შარავანდედით“;**

**5)** თუ გავითვალისწინებთ, რომ რფ-ის სახელმწიფო დუმამ უკვე მიიღო მარეგლამენტირებელი კანონპროექტი **ქვეყნის საზღვრებს გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების** საფუძველთა კორექტირებული ჩამონათვალით; კერძოდ, დაამატა პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ *„საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და „თავდაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ფორმირებების ოპერატიულად გამოყენება შესაძლებელია რფ-ის ტერიტორიის მიღმა რიგი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც განეკუთვნება **რუსეთის სამხედრო ძალებს ან რფ-ის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ დისლოცირებულ სხვა ჯარებზე თავდასხმის მოგიერიება, ასევე, სხვა სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული აგრესიის აღკვეთა და მოგერიება, რფ-ის მოქალაქეთა დაცვა საზღვარგარეთ, მეკობრეობასთან ბრძოლა და გემთამიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა***“ („**თავდაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი),** იოლი განსაჭვრეტია, რომ **აფხაზეთისკენ მიმავალი გემის მორიგი დაკავებისას, კონფლიქტი გაჩაღდება შავი ზღვის აკვატორიაში, სადაც საქართველოს პატარა საბრძოლო გემების მცირე ფლოტილიას რუსეთის სამხედრო ხომალდები შეუტევენ. კონფლიქტის შედეგად, პრეზიდენტი სააკაშვილი, თეთრი სახლის ზეწოლით, იძულებული შეიქნება, გადადგეს, როგორც ზემომოყვანილ შემთხვევაში;**

**6) თუ დადასტურდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ამერიკულ-ქართულ ბიოლაბორატორიაში (თბილისის გარეუბანში) შექმნილი ეპიდემიოლოგიური იარაღი და აშშ-დან შემოტანილი, მწვავედ მიმდინარე და სახიფათო დაავადებების გამომწვევთა ბანკი აქვს,** რომლებზეც უწინ შექმნილი ვაქცინები არ მოქმედებს და რომელთა ანალოგებიც სსრკ-ში არ არსებობდა, **პრეზიდენტ სააკაშვილს აკრძალული იარაღის გამოყენებით რევანშისტულ ზრახვებში დაადანაშაულებენ, რის შემდეგაც თეთრი სახლი ვერ შეძლებს (და არც მოისურვებს!) მის დაცვას: ეს დანაშაულებრივი, ერაყული ავანტიურისთვის მომზადებული პროექტი ხომ (ისევე, როგორც გუანტანამოს ციხე!) ბუშის ადმინისტრაციის დამსახურება და ობამასთვის წინამორბედისგან განდგომის კიდევ ერთი საბაბია!** შედეგები, რომლებიც შესაძლოა, სასიკვდილო სნეულებების შემთხვევით ან წინასწარგანზრახულ გავრცელებას მოჰყვეს **(სიტყვამ მოიტანა და, ამას ხომ არ უკავშირდება საქართველოში ყანებისა და მოსავლის გამანადგურებელი მუტანტი კალიების გამოჩენა, რომლებსაც ცეცხლი ვერაფერს აკლებს და საოცარი სისწრაფით მრავლდებიან?!),** კატასტროფული იქნება, — ეპიდემიის ზონაში მოჰყვება არა მხოლოდ კავკასიის სახელმწიფოები, არამედ ნატოს აქტიური წევრი თურქეთის ნაწილიც! **ამიტომ მოცემულ შემთხვევაში**

## ერთი ვადამდელი გადადგომით საქმე არ შემოიფარგლება — მიხეილ ნიკოლოზის ძეს მთელი სიმკაცრით მოსთხოვენ პასუხს და ტალიავინის დასკვნასაც გაუხსენებენ...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტალიავინის ჰუკი

ევროპის კავშირის ეგიდით შექმნილი საქართველო-რუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის მიზეზების დამდგენი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინი გონიერი ქალბატონია. ევროპის ლიდერებმა ამიტომაც სწორედ მას მიანდეს ერთობ საჩოთირო დასკვნის მომზადება. ტალიავინის დიპლომატიური ნიჭის დასტურია ის ფაქტი, რომ იგი მთელი წლის მანძილზე წარმოუდგენელ თავშეკავებას იჩენდა და ერთხელაც არ გაუკეთებია კომენტარი, რომელშიც თუნდაც მინიშნებული იქნებოდა რომელიმე მხარის ბრალეულობა.

## ევროპული სიმართლე, გამარჯვებული სააკაშვილი და დამარცხებული საქართველო

დასკვნის ოფიციალურად გამოქვეყნებამდე ორიოდე დღით ადრე კი ჰაიდი ტალიავინმა ინტერვიუს ფორმას ამჯობინა, საკუთარი სტატია გამოექვეყნებინა ავტორიტეტულ „ნიუ იორკ თაიმსში“. იგი ამ სტატიაში ხაზგასმით აცხადებს: **„დღეს ყველა დამარცხდა: საქართველო გაყოფილია, სეპარატისტული რესპუბლიკების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის — დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთი მუჭა სახელმწიფოებმა აღიარეს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, 35 ათას ადამიანზე მეტი გაურკვეველი დროით იძულებით გადაადგილებულად იქცა“.** ტალიავინი ამ კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად ყველაზე კარგ გადაწყვეტილებად პროცესში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვას მიიჩნევს, თუმცა ეს ყველა მონაწილის მიერ თავისი ვალდებულების სრულად შესრულებას მოითხოვდა, ანუ იმას, რასაც ევროკავშირი **„ეფექტიან მულტილატერალიზმს“** უწოდებს.

ევროკავშირის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი დიპლომატი აცხადებს, რომ **„საქართველოს შემთხვევაში გარე სახელმწიფოების ჩარევამ, სამწუხაროდ, საერთო პოზიციების მოძიების ნაცვლად მიდგომათა გამკაცრება გამოიწვია... საერთაშორისო საზოგადოებას მეტის გაკეთება შეეძლო და ამისთვის ბორბლის გამოგონება არ სჭირდებოდა. ის, უბრალოდ, უნდა მიბრუნებოდა გაერთიანებული ორგანიზაციის იმ პრინციპს, რომელიც 1975 წელს შეთანხმდა. კარგი მეზობლობა, უპირველეს ყოვლისა, იმას მოითხოვს, რომ მუქარა და ძალის გამოყენება, რომ არაფერი ვთქვათ სამხედრო დანაშაულზე, ისე, როგორც ეს 2008 წლის ომის დროს იყო ჩადენილი, მთლიანად აკრძალული უნდა იყოს, ისევე, როგორც დიდი ქვეყნების მიერ პატარების დაშინება“.** წერილის ამ ნაწილს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი, ყურადღებას გავამახვილებთ, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პასაჟზე ამ სტატიიდან: **„ჩვენი ანგარიში ადასტურებს, რომ უნილატერალიზმი და ძალადობა ჯერ კიდევ დიდ ადგილს იკავებს ევროპის პოლიტიკურ ლანდშაფტზე. სტაბილური ევროპული წესრიგი კი კანონის უზენაესობასა და მულტილატერალიზმისადმი ჭეშმარიტ ერთგულებას უნდა ეფუძნებოდეს“.**





ახლა კი, თვით დასკვნის შესახებ, რომელიც ერთნაირი აღტაცებით მიიღო დასკვნაში მოხსენიებულმა ყველა მხარემ, თუმცა, ალბათ, ნაკლებად მიაქციეს ყურადღება იმ პუნქტებს, რომლებშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული არა მხოლოდ ომის წინაპირობები, არამედ ისიც, თუ ვინ დაიწყო და რით დამთავრდა ეს სისხლიანი ავანტიურა. ზემოთ შეგპირდით, რომ დავუბრუნდებოდით ტალიავინის სტატიის ერთ ფრაგმენტს, რომელშიც ლაპარაკია სამხედრო დანაშაულზე. დასკვნაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ამ სტატიაშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ 2008 წლის ომის დროს **ქართულმა მხარემ ჩაიდინა სამხედრო დანაშაული,** ხოლო **დიდმა ქვეყანამ პატარა დააშინა.** დამაიმედებლად ჟღერს ტალიავინის განცხადება **„ერთი მუჭა სახელმწიფოების“** შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, ამ სახელმწიფოების რაოდენობა იგულისხმება და არა მათი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. ისეთი მართლა ერთი მუჭა სახელმწიფოსთვის (რომლის სუვერენიტეტიც ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რომ აღარაფერი ვთქვათ ტერიტორიულ მთლიანობაზე!), როგორიც საქართველოა, ამ დასკვნაში სანუგეშოს ვერაფერს იპოვით. ატირებულ ბავშვს რომ თავზე ხელს გადაუსვამენ და დაუყვავებენ, დაახლოებით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს დასკვნის პათოსი და ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რუსეთს ამ შემთხვევაში ნაკლებად მოელის საფრთხე, რომლის შესახებაც თავდაჯერებული საუბრობდნენ უწვერული თუ ჭაღარაწვეროსანი ქართველი პოლიტიკოსები.

პრეზიდენტი სააკაშვილიც თავის სტიქიაშია. თითქმის ყოველდღე დაუზარებლად აკეთებს განცხადებებს, რომელთა მიხედვითაც საქართველო გამართლდა და **„ეს არის საქართველოს დიდი დიპლომატიური გამარჯვება“.** მისი ოპტიმიზმი გასაგებია, თუმცა ამ ოპტიმიზმში ძალუმად იგრძნობა ყალბი ნოტები. როგორი წარმოდგენაც უნდა გვქონდეს საქართველოს პრეზიდენტის გონებრივ შესაძლებლობებზე, ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი ვერ გრძნობდეს საფრთხეებს, რომლებიც ამ დასკვნის თითოეული პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს. ამას ადასტურებს მისი განცხადებაც, რომ **„ყველა ევროპულ ქვეყანას სჭირდება რუსეთი, სჭირდება გაზი და პატარა საქართველოს გულისთვის არავინ აიტკიებს თავს“.** ასევე, ალბათ, წინასწარმეტყველურად ჟღერს სააკაშვილის სიტყვები, რომ ეს დოკუმენტი **„ხუთი წლის შემდეგაც საკმარისია საბრალდებო საფუძველი იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას“.** ამ აბდაუბდა წინადადებიდან აზრის გამოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ძალიან ძნელია, მიხვდე, რას გულისხმობს, როცა აცხადებს: **„რუსებმა მოიპოვეს ეხლა ვენესუელას მხარდაჭერა, მაგრამ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც რუსეთი აღიარებს თავისი ოკუპაციის შედეგებს, აფხაზეთი უფრო დამოუკიდებელი კი ვერ გახდება ან სამხრეთ ოსეთი“.**

თავს ნუ იმტვრევთ ამ რებუსის ამოხსნით, მაინც ვერ იპოვით ლოგიკას, ისევე, როგორც თემიდან თემაზე გადასვლაში: **„როცა ვლაპარაკობთ ჩვენი სიმართლის ბოლომდე გატანაში, ჩვენი მთავარი გამოწვევა დღეს არის განვითარება. ჩავედი ანაკლიაში და ვაშენებთ მაგარ კურორტს“.**

ახლა უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა. კაცს ეუბნებიან, რატომ ისროლე, მიხეილო. ეს პასუხობს, მაგარ კურორტს ვაშენებთო. მიხეილ, ცხინვალი ღამით რატომ დაბომბე, იმას გეკითხებითო და ეს — **„რამდენიმე ათას პალმას დავრგავთ ანაკლიაში და დავიწყებთ დიდი ბულვარის მშენებლობას. ყველაზე მაგარი ადგილი იქნება მთელ შავ ზღვაზე, ყველაზე მაგარი ავტობანით ჩავალთ, ყველაზე მაგარ აეროპორტს ვაშენებთ“.**

ღმერთო, შენ გვიშველე!

ჯერ მთელი წლის მანძილზე იმას გვიმტკიცებდა, ომი ჩვენ მოვიგეთო, რუსებს ნილაბი ჩამოვგლიჯეთო, მერე გაუშიშვლებიათ კიდეც და ახლა, ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყოს სახელმწიფოს მეთაურის უპირველესი საზრუნავი, რამდენიმე ათას პალმასა და ანაკლიის ბულვარზე ლაპარაკობენ.

ჰაიდი ტალიავინმა თავის სტატიაში და დასკვნაშიც გარკვევით დაწერა, რომ **„აგვისტოს ომის გამო დღეს ყველა დამარცხდა“** და **„ამ კონფლიქტში გამარჯვებული არ არსებობს. ყველა წაგებული დარჩა სიცოცხლისა და საკუთრების დაკარგვის თუ, სულ მცირე, მომავლის იმედის დაკარგვის თვალსაზრისით“.** ჩვენ კი, ჩვენ ხომ შარშანვე ვიცოდით, რომ გავიმარჯვეთ! ამიტომ ომის წლისთავზე არაბმა შეიხმა საჩუქრად ერთი თვითმფრინავი პალმა გამოგვიგზავნა — გამარჯვებულ ქვეყანას ერთი ლაზათიანი ბულვარი მოუხდება და, აბა, თქვენ იცით, შავ ზღვაზე ყველაზე მაგარი ადგილი მოაწყეთო.

საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, შიდა მოხმარებისთვის საჩვენოდ გაასაღოს ტალიავინის დასკვნა, სასაცილოდაც არ ჰყოფნით საქმეში ღრმად ჩახედულ ადამიანებს. თავი დავანებოთ პრეზიდენტ სააკაშვილის გამონათქვამების ციტირებას; სად სცალია ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად, ბულვარებს, გზებს, გვირაბებს და აეროპორტებს აშენებს. მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით მის ერთ გამონათქვამს: **„ჩვენ ეს გავაკეთეთ და მე ამას ერთი წუთით არ ვნანობ“.**

მაინც რა გავაკეთეთ **„ჩვენ“**, უფრო სწორად, რა გააკეთა და რას არ ნანობს პრეზიდენტი სააკაშვილი?

დასკვნის მესამე პუნქტში შავით თეთრზე წერია, რომ **„ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვა 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს საქართველოში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების აღმნიშვნელი იყო, თუმცა იგი იყო ხანგრძლივი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაციის წერტილი“.** დასკვნაში ისიც არის აღნიშნული, რომ ამ დროისთვის **„ქართული შეიარაღებული ძალების სხვა ქმედებები ცხინვალის რეგიონისა და მისი შემოგარენის მიმართულებით მომზადების ფაზაში იყო“.** კი შეგპირდით, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის გამონათქვამებს აღარ მოვიშველიებდი, მაგრამ იძულებული ვარ, სრული სიცხადისთვის მაინც დავიმოწმო. სააკაშვილის განცხადებით, ჰაიდი ტალიავინის კომისიამ დაადასტურა, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ შარშან ვამბობდით, სიმართლე იყო. კომისიამ რაც დაადასტურა, უკვე გითხარით. სააკაშვილი კი აცხადებს: **„ვამბობდით, რომ რუსული რეგულარული ჯარი შემოვიდა საქართველოში 7 აგვისტომდე და ესეც დადასტურდა“.** ახლა ვნახოთ, რა წერია კომისიის დასკვნაში. ცხინვალის დაბომბვის შემდეგ **„მალე ბრძოლაში ჩაება რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ელემენტები. დიდხანს არ გაგრძელებულა ქართველების წარმატება სამხრეთ ოსეთში, იგი მალევე შეაჩერა კონტრიერიშზე წამოსულმა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა...“**

ძალიან ძნელია ამ დასკვნის უემოციოდ წაკითხვა. მით უფრო, როცა საქმე შენს სამშობლოს (და არა ტერიტორიას!) ეხება და როდესაც კონკრეტულად ქვეყნის ხელისუფლებას კი არა, სახელმწიფოს ადანაშაულებენ სისხლიანი კონფლიქტის დაწყებაში. და ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელია, უემოციოდ მიიღო იმ ხელისუფლების მეთაურის განცხადებები, რომელმაც ვერ შეძლო კარგად დაგეგმილი პროვოკაციის თავიდან აცილება და საკუთარ სამშობლოში დევნილად აქცია კიდევ 35 ათასი ადამიანი.

ტალიავინის კომისიის დასკვნის მე-14 პუნქტშიც გარკვევით წერია, რომ **„ღია საომარი მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს. ოპერაციები დაიწყო ქართული არტილერიის მასობრივი შეტევით. ოპერაციის დასაწყისში ქართული კონტინგენტის სამშვიდობო ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“.**

როგორ აღდგა სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგი, უკვე ვნახეთ. ასევე, კარგად გვახსოვს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებიც 8 აგვისტოს ტელეეთერით გადაიცემოდა და ახლაც ყურში ჩაგვესმის მათი კუდით ნასროლი ქვის ზუზუნი, როცა გორიდან თბილისისკენ ერთმანეთს ასწრებდნენ. თბილისიდან აღმოსავლეთით გაჭიმული „ჯიპების“ ქარავანიც არ ყოფილა მოლანდებათა სფეროდან. პრეზიდენტ

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სააკაშვილის სასახელოდაც ვთქვათ, რომ მას თავისი რეზიდენცია არ მიუტოვებია, განსხვავებით ზოგიერთი მინისტრისა თუ დეპუტატისგან. უფრო მეტიც, მაშინდელი არც თუ დაუჯერებელი ხმების მიხედვით, ზოგიერთ მაღალჩინოსან დეზერტირს დახვრეტითაც დაემუქრა.

მაგრამ ეს ვერ ამართლებს მისი, როგორც ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის უპასუხისმგებლობასა და შიშს, რომლის მომსწრე და მნახველიც არა მხოლოდ გორის მოსახლეობა, არამედ მთელი მსოფლიო გახდა.

თუმცა დავუბრუნდეთ ტალიავინის კომისიის დასკვნას, რომელიც სვამს კითხვას: **„იყო თუ არა საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით გამოყენებული ძალა, რაც ცხინვალის დაბომბვით დაიწყო, საერთაშორისო კანონით გამართლებული?“** და იქვე პასუხობს, რომ **„არ იყო. საქართველომ დაადასტურა, რომ კონკრეტული იურიდიული საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორიცაა სოჭის 1992 წლის შეთანხმება ან 1996 წლის მემორანდუმი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და ორმხრივი ნდობის გაძლიერებას მხარეებს შორის, ქართულ-ოსურ კონფლიქტში აკრძალული იყო ძალის გამოყენება მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველო მტრის იერიშს იგერიებდა; მაგალითად, რეგიონის ქართველებით დასახლებულ სოფლებში სამხრეთ ოსეთის მხრიდან ცეცხლის საპასუხოდ, საერთაშორისო კანონის თანახმად, მისი შეიარაღებული კონტრიერიში ერთდროულად უნდა ყოფილიყო აუცილებელიცა და პროპორციულიც. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ცხინვალის დაბომბვა ღამის განმავლობაში „გრადის“ მრავალჯერადი ბომბდამშენი რაკეტებითა (MRLS) და მძიმე არტილერიით აკმაყოფილებდა აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს აღნიშნული სოფლების დაცვის მიზნით. ქართულმა უკანონო სამხედრო იერიშმა გამოიწვია ის, რომ სამხრეთ ოსეთის საპასუხო თავდაცვითი მოქმედებები შეესაბამებოდა თავდაცვის ლეგიტიმაციის საერთაშორისო კანონის ნორმებს“.**

როგორც ხედავთ, ევროკავშირის ეგიდით შექმნილი კომისია საქართველოს მოქმედებას **„უკანონო სამხედრო იერიშს“** უწოდებს და სამხრეთ ოსეთის საპასუხო რეაქციას კანონიერად მიიჩნევს. ეს ძალიან სამწუხარო რეალობაა და გონიერ ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ ძალის პოზიციიდან **„კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“** ადეკვატურ მოქმედებებს გამოიწვევდა. კომისიის ობიექტურობას ადასტურებს მე-19 პუნქტში ნათქვამიც, რომ **„სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების ნებისმიერი ოპერაციები საზღვრებს გარეთ ქართული შეიარაღებული ძალების მოგერიების მიზნით, განსაკუთრებით ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ უნდა ჩაითვალოს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა და, აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დაცვის კანონის დარღვევად. გარდა ამისა, ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მიმართული სამხრეთ ოსეთის ყველა სამხედრო მოქმედება გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ძალაში შევიდა 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რაც, აგრეთვე, იყო კანონდარღვევა“.**

კომისია კონფლიქტის დაწყებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ სამართლებრივ შეკითხვას სვამს: **„გამართლებული იყო თუ არა საქართველოს მიერ რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთში, შეიარაღებული ძალის გამოყენება? პასუხი ისევ უარყოფითია. რუსეთის მხრიდან არანაირ შეიარაღებულ სამხედრო იერიშს არ ჰქონია ადგილი საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე“.** იძულებული ვარ, დაპირების მიუხედავად, მაინც მოვიშველიო პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები: **„ვამბობდით, რომ რუსული რეგულარული ჯარი შემოვიდა საქართველოში 7 აგვისტომდე და ესეც დადასტურდა“.** ახლა ვნახოთ, რა დაადასტურა ტალიავინის კომისიამ: **„საქართველო ამტკიცებს, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული სამხედრო ძალები სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდნენ 7-8 აგვისტოს საქართველოს მიერ განხორციელებულ თავდასხმამდე, რაზეც კომისიამ ვერ მიიღო საკმარისი დამადასტურებელი ფაქტები. ასევე, არ მტკიცდება, რომ რუსეთი იყო ასეთი მნიშვნელოვანი შეტევების მიჯნაზე, ზოგიერთი უკვე მომზადებული ელემენტისა და აღჭურვილობის მიუხედავად. არ არსებობს, ასევე, მტკიცებულება, რომ სამხრეთ ოსეთში არსებულმა რუსეთის მშვიდობისმყოფელების შენაერთებმა დაარღვიეს საერთაშორისო ხელშეკრულების სოჭის შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებები და რომ ამგვარად მოახდინეს საერთაშორისო იურიდიული სტატუსის გაძლიერება. შესაბამისად, 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს საქართველოს მიერ რუსეთის მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას“.**

შესაძლოა, მკითხველი გადავღალეთ დასკვნის პუნქტების ციტირებით, მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გაეცნოთ 21-ე პუნქტს, რომელსაც სრულად გთავაზობთ:

**„21) საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ საუბრისას პასუხი იქნება დიფერენცირებული. რუსეთის რეაქცია საქართველოს შეტევის წინააღმდეგ, შესაძლოა, დაიყოს ორ ფაზად: პირველი, უცაბედი რეაქცია რუსი მშვიდობისმყოფელების დასაცავად და მეორე, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა. პირველ შემთხვევაში, არსებობს მცირედი ეჭვი, რომ, თუ რუსეთის მშვიდობისმყოფელებზე განხორციელდა შეტაკება, რუსეთს უფლება ჰქონდა, თავი დაეცვა შეტევის შესაბამისი პროპორციული სამხედრო ძალით. ამ შემთხვევაში კონფლიქტის პირველი ფაზის დროს რუსეთის მიერ თავდაცვითი მიზნით ძალის გამოყენება კანონიერი იქნებოდა. მეორე შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა რუსეთის სამხედრო კამპანია, რომელიც ღრმად შეიჭრა საქართველოში, საჭირო და პროპორციული, იყო თუ არა საქართველოს წინააღმდეგ დაცვითი მოქმედებები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მარტივი არაა, განისაზღვროს, თუ სად არის ხაზის დასასრული; ჩანს, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებები გასცდა თავდაცვის საზღვრებს. ეს ეხება ყველა სახის მასობრივ და გახანგრძლივებულ სამხედრო ქმედებას, რომელიც გავრცელდა ზემო კოდორის ხეობის დაბომბვისას საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების ფართოდ გაშლის მცდელობით, საქართველოში არსებულ ყველა ახლომდებარე ძირითად ქალაქებში სამხედრო პოზიციების შენარჩუნებით, ასევე, ძირითადი მაგისტრალების გაკონტროლებითა და შავ ზღვაზე საზღვაო ძალების გაშლით. ეს ყოველივე არ უნდა იქნეს განხილული როგორც სამხრეთ ოსეთში არსებული რუსეთის მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ მიმართული საშიშროების პროპორციული ზომა. გარდა ამისა, მათი უწყვეტი განადგურება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც გაგრძელდა, არანაირად არ იყო გამართლებული. აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებული სამხედრო ქმედებებით დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა. საქართველოს სამხედრო ძალები ახორციელებდნენ ლეგიტიმურ თავდაცვას გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის თანახმად. რამდენიმე დღეში ლეგიტიმური და არალეგიტიმური სამხედრო ქმედებების საკითხი დადგა ორ მთავარ მოქმედ პირს — საქართველოსა და რუსეთს შორის“.**

ალბათ, სწორედ ამ პუნქტს გულისხმობდა პრეზიდენტი სააკაშვილი, როცა აცხადებდა: **„გამზადებულია საბრალდებო დასკვნა, პირველად ისტორიაში გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი დაადანაშაულეს ეთნიკურ წმენდასა და აგრესიაში“.** არადა, ეს პუნქტი სრულად სწორედ იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ ყურადღება გაგემახვილებინათ ერთ წინადადებაზე, კერძოდ: **„უნდა დადგინდეს, იყო თუ არა რუსეთის სამხედრო კამპანია, როცა ღრმად შეიჭრა საქართველოში, საჭირო და იყო თუ არა პროპორციული საქართველოს წინააღმდეგ დაცვითი მოქმედებებისა“.** როგორც ჩანს, ტალიავინის კომისიისთვისაც კი **„უნდა დადგინდეს“** ის, რაც პრეზიდენტ სააკაშვილისთვის უკვე დადგენილია. კომისიისთვის **„მარტივი არაა, განისაზღვროს, თუ სად არის ხაზის დასასრული“**, პრეზიდენტი სააკაშვილი კი უკვე ხედავს ამ დასასრულს, თუმცა გასაოცარია მისი თავდაჯერებულობა, თუნდაც ყალბი. და, ეს მაშინ, როცა კარგად იცის — **„ყველა ევროპულ ქვეყანას სჭირდება რუსეთი, სჭირდება გაზი და პატარა საქართველოს გულისთვის არავინ აიტკიებს თავს“.**



პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას, თითქოს **„კომისიამ თქვა, რომ რუსეთმა ჩაიდინა ეთნიკური წმენდა და ჩვენ არ ჩაგვიდენია არც ერთი დანაშაული“**, აბათილებს დასკვნის 26-ე პუნქტი, რომელშიც გარკვევით წერია: **„კომისიამ დაამტკიცა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ — ქართულმა, რუსულმა და სამხრეთ ოსეთისამ — დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და ადამიანთა უფლებები. უმეტესწილად, ეს ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის არარეგულარულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა, მოხალისე და დაქირავებულმა შეიარაღებულმა ინდივიდებმა, თუმცა ძნელია დარღვევაზე პასუხისმგებელი მხარისა და დამნაშავეთა დადგენა. ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, უმეტესწილად, გამოიყენეს ერთნაირი იარაღი, უფრო ართულებს კონკრეტული ქმედებების განსაზღვრას. მათი უმრავლესობა, ნიშან-თვისებების მიხედვით, სამხედრო დანაშაულს განეკუთვნება“.**

თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილის თავდაჯერებულობას, ალბათ, ამავე დასკვნის 27-ე პუნქტი უმყარებს საფუძველს: **„ფაქტების საგულდაგულო გადამოწმების შემდგომ, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, კომისია იძლევა დასკვნას, რომ გენოციდის შესახებ განაცხადი, რომელიც თითქოსდა განხორციელებულ იქნა საქართველოს მხარის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში, არ დასტურდება. არც მისი კვალი და არც ფაქტობრივი სამხილია აღმოჩენილი. აქედან გამომდინარეობს, რომ საგანმანათლებლო და საზოგადოების ინფორმირების ზომები ისე უნდა განხორციელდეს, რომ აღმოუჩენელი და დაუდასტურებელი გენოციდის უსაბუთო მტკიცებამ არ გამოიწვიოს დაძაბულობის გაღვივება თუ შურისძიებისკენ წაქეზება. რაც შეეხება მტკიცებას სამხრეთ ოსეთის ან არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფების მიერ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით, კომისიამ აღმოაჩინა ეთნიკური ქართველების იძულებითი გადაადგილების შემთხვევები, რომლებიც საკუთარ სახლებში რჩებოდნენ საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას. ამასთან ერთად, ადგილი ჰქონდა სისტემატური ძარცვის ფაქტებს და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების დანგრევას. შედეგად, არსებობს ელემენტები, რომელთა საფუძველზეც ვასკვნით, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, ასევე, მას შემდეგაც“.**

ამ თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია დასკვნის 28-ე პუნქტი: **„საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დებულების თანახმად, სამხედრო მოქმედების ჩატარებისა და არამეომარი ხალხის დაცვისათვის, საქმე ეხება დარღვევებს, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს ადამიანების მიმართ სასტიკი მოპყრობის, საკუთრების დანგრევისა და იძულებით გადაადგილების ფაქტებს; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დარღვევები შეიცავს გაურკვეველ შეტაკებებს იარაღის ტიპისა და სამიზნის მიხედვით, რუსეთისა და საქართველოს მიერ ადეკვატური დაცვის ნაკლებობას, ფართოდ გავრცელებულ ძარცვის კამპანიებსა და ეთნიკური ქართველების დასახლებათა ნგრევას სამხრეთ ოსების მიერ, ასევე, სასტიკ მოპყრობას, გენდერულ სისხლის სამართლის საქმეებს, როგორიცაა გაუპატიურება, დახოცვა, მძევლების აყვანა და თვითნებური დაკავებები. ამასთან, რუსეთის ძალების უძლურებას, შეეჩერებინათ სამხრეთ ოსეთის ძალების დანაშაულებრივი ქმედებები, აღეკვეთათ შეიარაღებული არარეგულარული ჯგუფებისა და შეიარაღებული ინდივიდების არსებობა სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ცეცხლის შეწყვეტამდე და მას შემდეგ“.**

როგორც ხედავთ, კომისია რუსეთის მხარეს გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში კი არ ადანაშაულებს, არამედ **„რუსეთის ძალების უძლურებას“** უსვამს ხაზს. ძალიან ძნელია, დაიჯერო, რომ **„რუსეთის ძალებმა“** უძლურება გამოიჩინეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაშინ, როცა გორისკენ დაგეშილი ბანდფორმირებების ლიკვიდაციის ბრძანება გასცა გენერალმა ბორისოვმა და საკუთარი ქუდის მოპარვაში დაოსტატებული ტალიკ-ტალიკი ბიჭებიც კუდამოძუებულები გაიძურწნენ.

პრეზიდენტი სააკაშვილი ჩვენს დარწმუნებას ცდილობს, რომ საქართველოს უნდა გაესროლა. **„აბა, რა უნდა ექნა?“** — ჩვენ გვეკითხება და თვითონვე პასუხობს: **„ვინც არ გაისროლა, ის რუკიდან გაქრა... არავის ჭკუის სასწავლებელი ჩვენ არაფერი გვჭირს. მადლობლები ვართ ევროპის, რომ თქვა სიმართლე. ჩვენ არასდროს არ დავნებდებით“.**

ევროპამ სიმართლე თქვა და ეს სიმართლე საქართველოსთვის კატასტროფულია. სააკაშვილი დანებებას არ აპირებს. საქართველომ კი სრული მარცხი იწვნია შარშანდელ აგვისტოს ომში და, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ამბობს, გავიმარჯვეთო, ტალიავინის დასკვნაში კი წერია, რომ **„ამ კონფლიქტში გამარჯვებული არ არსებობს“**, მაინც შეიძლება დიდი გულისტკივილით ითქვას — შარშან „არსაკიძის შთამომავალმა“ სააკაშვილმა გაიმარჯვა, საქართველო კი დამარცხდა. დამარცხდა, რადგან, მოვიხმოთ ციტატა ტალიავინის ხელმოწერილი დასკვნის 37-ე პუნქტიდან: **„უცაბედი დანაკარგების პარალელურად, პოლიტიკური სიტუაცია უფრო რთულდება, ვიდრე აქამდე იყო. სიტუაცია რეგიონებში კვლავაც დაძაბული რჩება. ნებისმიერ ინციდენტს, შესაძლოა, მოჰყვეს უბედური შემთხვევა. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უპრეცედენტოდ დაბალ დონეზე დაეშვა. დამარცხებულთა შორისაა საერთაშორისო საზოგადოებაც, ძალისმიერი მუქარა და საფრთხე ამჯერად ევროპულ პოლიტიკას მიუბრუნდა. საერთაშორისო კანონმდებლობის ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელიც სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ეხება, უგულებელყოფილი იქნა. საქართველომ კონფლიქტი მოლაპარაკების გზით უნდა მოაგვაროს“.**

ესეც ევროპული სიმართლე. ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს, მოლაპარაკების გარდა. სწორედ ამას ითხოვდა ჩვენგან ევროპა, როდესაც მაღალი დონის დიპლომატებს საგანგებო მისიით გვიგზავნიდა. ვერ შევისმინეთ ევროპული გაფრთხილება, **ბარე სახელმწიფოს ორაზროვანი დაიმედებით გაბრუებულები** ტრიბუნებითა და დროშებით დავიტვირთეთ და „კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად“ გავემართეთ. რითაც დამთავრდა ეს „ბლიცკრიგი“, ყველასთვის ცნობილია და ვიღას აინტერესებს, სად გაქრა ის ტრიბუნები და დროშები.

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# როდის გახსნის პატარკაციშვილის ქვრივი საცირკო სეზონს და რატომ გაბრაზდა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი

**ოდესღაც ხმაურიანი და ბავშვებისთვის საყვარელი ადგილი დღეს ყველასგან მიტოვებული და მოწყენილია. დაკეტილი სალაროები და ირგვლივ გამეფებული სიჩუმე იმაზე მეტყველებს, რომ აქ, დიდი ხანია, წარმოდგენა დასრულდა. ახლა მთელ „საცირკო დასს" მხოლოდ დაცვის ერთი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე და რამდენიმე ადამიანი წარმოადგენენ, რომლებიც, კაცმა არ იცის, რისთვის სხედან კაბინეტებში, როცა ცირკში არაფერი ხდება. ისე, 2 წელზე მეტია, ეს ხალხი ცირკის ამოქმედებას ელის და სჯერა, რომ ეს დღე არცთუ შორსაა.**

ყველაფერი კი 2007 წლის შემოდგომაზე იმით დაიწყო, რომ საცირკო სეზონი არ გაიხსნა. როგორც ცირკის გენერალური დირექტორის მოადგილე დავით გომართელი „ფაქტნიუსთან" საუბარში აცხადებს, საცირკო სეზონის ჩაგდება იმდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა — 2007 წლის შემოდგომაზე არავის „ეცირკებოდა", თუმცა იმხანად ცირკს თავად ქართული პოლიტიკა ჰგავდა. სხვა თუ არაფერი, ცირკის მფლობელი, აწ გარდაცვლილი ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილი ადრე თუ მხოლოდ ცირკს აფინანსებდა, 2007 წლის შემოდგომაზე კულისებიდან ქართული პოლიტიკის არენაზე გამოვიდა და პოლიტიკური „საცირკო წარმოდგენაც" დაიწყო...

ისე, მოვლენები ფატალურად რომ არ განვითარებულიყო, ანუ ოლიგარქი ბრიტანეთში მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. იმ დღიდან მოყოლებული, ქართული ოპოზიციური ფრონტის ერთ-ერთ მთავარ „საცეცხლე წერტილად" ტელეკომპანია „იმედის", როგორც ოპოზიცია ამბობს, კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნება იქცა, თუმცა უცნაურია, ამ ხნის მანძილზე ოპოზიციის ბელადებს ცირკი ან, სულაც, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდი ყასიდადაც არ უხსენებიათ.

რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ „იმედი" პოლიტიკური იარაღია, ბავშვების პოლიტიკაში ჩართვა კი არცთუ კარგ ტონად ჩაითვლება.

მაშ ასე, რა ხდება ცირკსა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ცენტრში? რატომ შეწყვიტა გარდაცვლილი ოლიგარქის ოჯახმა საცირკო წარმოდგენები და ვის იმედზე დარჩნენ ავადმყოფი ბავშვები?

ამ კითხვებზე პასუხის მიღება „ფაქტნიუსმა" ცირკიდან დაიწყო. სხვათაშორის, ოლიგარქის ქონების გასაყოფად ატეხილ ყბადაღებულ დავაში, როგორც „ფაქტნიუსმა" გაარკვია, არც ცირკია ნახსენები და, მით უმეტეს, არც ლეიკემიის ცენტრი, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციაა. ამასთან, სასამართლოს განსჯის საგანს არ წარმოადგენს რიტუალების სასახლე, სასტუმროები ურეკში, რესტორანი ბათუმში და წილი „მაგთიში", „ბორჯომში", „გუდვილსა" და „მეგალაინში".

სიტყვამ მოიტანა და, გარდაცვლილი ბიზნესმენის ქვრივი, რომელიც უმეტეს დროს, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, დიდ ბრიტანეთში ატარებს, ასე ვთქვათ, ლონდონურ ქველმოქმედებაზე უარს არ ამბობს. სამაგიეროდ, თბილისურ ცირკს უდგას კრიტიკული დღეები.

„ამჟამად ჩვენთან აბსოლუტურად არაფერი ხდება, ვსხედვართ და ველოდებით, როდის გაიხსნება ცირკში ახალი სეზონი, თუმცა, საერთო უმოქმედობის მიუხედავად, ვცდილობთ, რამე გავაკეთოთ. იმედი გვაქვს, ცირკი მალე გაიხსნება," — ამბობს თბილისის ცირკის გენერალური დირექტორის მოადგილე დავით გომართელი.

**— ამ ხნის განმავლობაში იმ რამდენიმე თანამშრომელს, ვინც ცირკის, ასე ვთქვათ, სადარაჯოზე დარჩით, ხელფასს ვინ უხდის? ან, მაგალითად, კომუნალურ გადასახადებს როგორ იხდით?**

— სამი წელია, ქალბატონი ინა თავისი ჯიბიდან ურიცხავს ცირკს თანხას, საიდანაც ურიგდებათ ხელფასები თანამშრომლებს, ვიხდით კომუნალურ გადასახადებს და ა.შ.

ცნობისთვის: მას შემდეგ, რაც თბილისის ცირკმა მოსკოვისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, საკუთარი არც საცირკო დასი ჰყავს და არც — ცხოველები. უცხოური დასის მოწვევა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, ცირკი საქართველოში მომგებიანი ბიზნესი არაა.

„მაშინ, როცა პატარკაციშვილმა ცირკი იყიდა, კარგად აცნობიერებდა, რომ ცირკი მოგებას ვერ მოუტანდა და ეს ქველმოქმედებისთვის გააკეთა. ბატონმა ბადრიმ ცირკი ბავშვებისთვის იყიდა, რომ მათთვის დღესასწაულები მოეწყო," — ამბობს გომართელი და კატეგორიულად უარყოფს კულუარებში გავრცელებულ ხმას, რომ ცირკს მალე შესაძლოა, ახალი პატრონი გამოუჩნდეს...

ცირკს არა, მაგრამ ახალი პატრონი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდს უკვე გამოუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, თითქმის ორი წელია, ანუ მას შემდეგ, რაც ოლიგარქი გარდაიცვალა, კლინიკა მთლიანად ჯოზეფ ქეის ფონდისა და ქვეყნის ბიუჯეტის კმაყოფაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ 27 პაციენტის ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ყოველწლიურად 1 275 000 ლარს გამოყოფს.

ცნობისთვის: ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდი აწ გარდაცვლილი ოლიგარქის, ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით 5 წლის წინათ დაარსდა. ფონდი და მის ფარგლებში არსებული კლინიკა დღესაც ფუნქციონირებს, თუმცა ფონდის დირექტორს, პაატა ჩახნაშვილს ფონდზე საუბარი მაინცდამაინც არ სიამოვნებს.

„ადამიანი კეთილ საქმეს იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ვიღაცამ ამაზე დაწეროს და სხვას დაანახოს. თუკი დახმარება გსურთ, მიდით, ამ ბავშვებს ტკბილეული მიუტანეთ და მოეშვით ასეთი სტატიების წერას, ეს ხომ არაეთიკურია! იმაზეც იფიქრეთ, რომ ბოლოს ყველას თავისი მოეკითხება," — განაცხადა სატელეფონო საუბრისას ბატონმა ჩახნაშვილმა, რომელიც, სხვათაშორის, თავდაპირველად შეხვედრაზე დაგვთანხმდა, მაგრამ შემდეგ, როცა გაიგო, რაზეც გვსურდა საუბარი, გადაიფიქრა...

ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდთან არსებულ კლინიკაში 27 მუდმივი პაციენტია, თუმცა, როგორც კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი ასმათ შენგელაია ამბობს, ზოგჯერ პაციენტთა რაოდენობა იზრდება.

„ეს საქართველოში ერთადერთი ონკოჰემატოლოგიური ცენტრია, სადაც მწვავე ლეიკემიითა და ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებულ ბავშვებს ვმკურნალობთ. მკურნალობას კი სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ჯოზეფ ქეის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი პაატა ჩახნაშვილიც, წლებია, დიდ დახმარებას უწევს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. გარდა იმისა, რომ ეს ფონდი დიაგნოსტიკურ კვლევებსა და სხივური თერაპიის ხარჯებს აფინანსებს, ბავშვებს ზეიმებსაც უწყობს," — ამბობს ასმათ შენგელაია.

**ელენე მახარობლიშვილი**
www.fnews.ge

# მიშელ ობამას ზარმაცი და სულელი ქმარი

**შტატებში გამოიცა სკანდალური მკვლევარისა და ცნობილი ჟურნალისტის — კრისტოფერ ანდერსონის წიგნი, რომელშიც პრეზიდენტის ოჯახური პრობლემებია აღწერილი. შარშანდელი ნოემბრის იმ ღამეს, როდესაც ჩიკაგოში 200-ათასიანი ბრბო აშშ ახლად არჩეულ პრეზიდენტს ესალმებოდა, 44 წლის ბარაკ ობამა, მისი მეუღლე მიშელი და ქალიშვილები ტრიბუნიდან ისე ბედნიერად გამოიყურებოდნენ, ბევრს ნამდვილად იდეალური ოჯახის შთაბეჭდილებას დაუტოვებდნენ.**

„მე დღეს აქ არ ვიქნებოდი, უკანასკნელი 16 წლის მანძილზე ჩემი საუკეთესო მეგობარი, ჩვენი ქვეყნის პირველი ლედი მიშელ ობამა რომ არ მდგომოდა გვერდით", — ამ სიტყვებით გადაეხვია ცოლს აშშ პრეზიდენტი და მიყვარხარო, ჩასჩურჩულა.

არადა, თუ ზემოხსენებულ წიგნს — „ბარაკი და მიშელი: ამერიკული ოჯახის პორტრეტი" — დავუჯერებთ, იდეალური ფასადის მიღმა საკმარისზე მეტი პრობლემა იმალება. ერთ დროს ლამის განქორწინდნენ კიდეც და ასე რომ მომხდარიყო, ახლა ამერიკას ნამდვილად სხვა პრეზიდენტი ეყოლებოდა.

ამ ზაფხულს მიშელმა და ბარაკმა გაცნობის 20 წლისთავი იზეიმეს. პირველად 1989 წლის ივლისში შეხვდნენ, როდესაც ჰარვარდში იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის დასრულების შემდეგ ბარაკი პრაქტიკაზე ჩიკაგოს პრესტიჟულ საადვოკატო ფირმა „Sidley Austin"-ში მივიდა და ხელმძღვანელად გამოცდილი თანამშრომელი მიშელ რობინსონი დაუნიშნეს. წყალსადენის სპეციალისტის ქალიშვილს უკვე დამთავრებული ჰქონდა პრინსტონი და ჰარვარდი და სულაც არ ეხალისებოდა პირველკურსელის აღზრდა-განათლებით თავის ატკიება.

ობამას კი ერთი ნახვით შეუყვარდა. მიშელი უარზე იყო და თაყვანისმცემელს გული მოუკლა განცხადებით, რომ მასთან პაემანი არ აინტერესებდა, მაგრამ ბარაკმა მოხიბვლის ყველა მეთოდი გამოიყენა, მიშელი წერილებისა და ყვავილების ზღვაში ჩაძირა, დღეში უამრავჯერ ურეკავდა და, როგორც იქნა, დაითანხმა შეხვედრაზე. მთელ დღეს გაგრძელებულმა პირველმა პაემანმა სამუდამოდ შეცვალა მიშელის ცხოვრება. პიკანტური დეტალი: ობამას დედა თეთრკანიანი იყო, მიშელი კი იმ ოჯახში გაიზარდა, სადაც შავკანიანობით ამაყობდნენ. ამიტომ ის დიდხანს ვერ ბედავდა, მშობლებისთვის გაემხილა, რომ მისი შეყვარებული „არასრულფასოვანი შავკანიანია". მიუხედავად ყველაფრისა, ობამას ტაქტიკამ გაამართლა და 1992 წლის 3 ოქტომბერს წყვილი დაქორწინდა. ოთხი წლის შემდეგ ბარაკ ობამა მშობლიურ ილინოისში სენატორი გახდა. როგორც პოლიტიკოსს, წარმატებული კარიერის შექმნისთვის ყველა წინაპირობა ჰქონდა, მაგრამ, როგორც ქმარი, მიშელის აზრით, თავიდანვე არაფრად ღირდა.

მომავალ პირველ ლედის ქმრის აბსოლუტურად ყველაფერი აღიზიანებდა. მაგალითად, არ მოსწონდა, რომ ბარაკი სახლში სულ აქეთ-იქით ყრიდა თავის წინდებსა და საცვლებს, აბაზანაში იატაკზე აგდებდა სველ პირსახოცს და სახლის არანაირ საქმეს ხელს არ ჰკიდებდა.

ბარაკის ჩვევა, მუდმივად სიგარეტის ბოლში იყოს გახვეული და ერთი ღერიდან მეორეს უკიდებდეს, საერთოდ აცოფებდა მიშელს, რომელიც განუწყვეტლივ ბუზღუნებდა, რომ მთელი სახლი თამბაქოს სუნითაა გაჟღენთილი და ყველა ხალიჩა უამრავ ადგილას ამომწვარი.

როგორც ანდერსონი წერს, მიშელს არც ღამით ჰქონდა მოსვენება — ბარაკი არაადამიანურად ხვრინავდა, დილაობით კი პირიდან საშინელი სუნი ამოსდიოდა.

მიშელი მოდას მისდევდა და ჯინსებთან შეწყვილებული უღიმღამო პიჯაკების გამო დაუნდობლად ეჩხუბებოდა ქმარს. ბარაკი კი ბურტყუნებდა — რა გამიწყალე გული ათასი სისულელით, როცა მე მსოფლიოს შეცვლას ვცდილობო.

წიგნის ავტორი, მიშელის იმდროინდელი ახლობლების მონათხრობზე დაყრდნობით, ირწმუნება, რომ პირველი ლედი ქმარს, არც მეტი, არც ნაკლები, „ზარმაც სულელს" უწოდებდა.

1997 წლის ნოემბერში მიშელი დაორსულდა და მომდევნო წლის ივლისში გოგონა შეეძინა, მაგრამ მალიას დაბადებამ არამც თუ ვერ დააახლოვა ცოლ-ქმარი, პირიქით, კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს.

მიშელი სულ უფრო ხშირად ამბობდა, რომ პოლიტიკა დროის უმიზნოდ ფლანგვაა. მას სურდა, ბარაკი რომელიმე მსხვილი იურიდიული ფირმის პარტნიორი გამხდარიყო და ბევრი ფული ეშოვა. „ჩვენ ტაძრის თაგვებივით ღარიბები ვართ", — ირწმუნებოდა მისის ობამა და საკუთარ თავს „ძალიან უბედურ და მარტოხელა თაგვს" უწოდებდა.

ბარაკსაც საკმარისად ჰქონდა ცოლისადმი პრეტენზიები. სითბოს ნაცვლად მისგან იღებდა დავალებათა ჩამონათვალსა და წერილებს, რომლებშიც, მაგალითად, ეწერა: „თავს მიხედე, ქვედა საცვალი ისევ იატაკზე დატოვე". ობამა ცოლის საჩივრებს „უსამართლოს" უწოდებდა და მეგობრებს შესჩიოდა — „მკლავს თავისი განუწყვეტელი კრიტიკით".



2000 წელს მიშელი სულიერი და ფიზიკური ძალების ამოწურვის ზღვარზე იდგა. ცოლქმრული ცხოვრების მეცხრე წელს ის დარწმუნებული იყო განქორწინების გარდაუვალობაში. ოჯახი მეორე ქალიშვილმა, 2001 წლის 10 ივნისს დაბადებულმა ნატაშამ გადაარჩინა.

ნატაშა, რომელსაც სახლში საშას ეძახდნენ, სამი თვის ასაკში მენინგიტით დაავადდა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ბარაკი და მიშელი ბავშვის საწოლთან მორიგეობდნენ.

„ჩემი სამყარო ერთ წერტილამდე შევიწროვდა, — აღიარა ობამამ, — ამ ოთახის ოთხ კედელს მიღმა არავინ და არაფერი მაინტერესებდა — არც სამსახური, არც გეგმები, არც ჩემი მომავალი".

გულმოლბობილმა მიშელმა ქმარს უთხრა: „როგორ შეიძლება, ასეთ წვრილმანებზე ვიდაოთ?" და სულ მალე დათანხმდა მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას.

2004 წლის ივლისში ობამა ბოსტონში დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე პროგრამული სიტყვით გამოვიდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით გაითქვა სახელი. სახელმა კი თაყვანისმცემლები მოუმრავლა. ისინი მიტინგებზე ეტმასნებოდნენ, სტუმრად ეპატიჟებოდნენ და ჯიბეში უტენიდნენ წერილებს საკუთარი ტელეფონის ნომრით.

ბარაკმა ღირსეულად გაუძლო ამ ცდუნებას. 2006 წელს ცოლ-ქმარმა მოილაპარაკა, რომ ობამას პრეზიდენტობისთვის უნდა ებრძოლა.

„მიშელი ჩემი მთავარი მრჩეველი და დამხმარეა, — ამბობს ახლა ობამა, — მისი რჩევის მოსმენამდე არ ვიღებ არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას". და რაც ყველაზე ირონიულია, პრეზიდენტი ობამა გაცილებით მეტ დროს ატარებს ოჯახთან ერთად, ვიდრე ამას პრეზიდენტობამდე ახერხებდა.

მოკლედ, ყველაფერი ლევ ტოლსტოის კლასიკური ფორმულის მიხედვითაა: თავისებურად უბედური ყოფილი ოჯახი სამაგალითო საჩვენებელ ბედნიერ ოჯახად იქცა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ანკარა და ერევანი დამეგობრდნენ

**თურქეთმა და სომხეთმა, როგორც იქნა, ბოლო მოუღეს თითქმის საუკუნოვან გაუცხოებას და ციურიხში ხელი მოაწერეს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების დოკუმენტებს. „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროტოკოლი“ და „ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პროტოკოლი“ ახლა უკვე ხელმოწერილია თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების — ახმატ დავუტოგლუსა და ედვარდ ნალბანდიანის მიერ.**



მეორე დუკუმენტის თანახმად, ქვეყნებმა უნდა გახსნან საზღვარი, რომელიც 1993 წლიდან დაკეტილია. პროტოკოლები ძალაში შევა ორივე ქვეყნის პარლამენტების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ. ცერემონიას ესწრებოდნენ რუსეთის, საფრანგეთისა და სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროების პირველი პირები: სერგეი ლავროვი, ბერნარ კუშნერი და შამუელ ჟბოგარი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა და აშშ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ მათ დარბაზი კომენტარებისა და განცხადებების გარეშე დატოვეს.

როგორც ცნობილი გახდა, სომხეთის ოპოზიცია დოკუმენტების ახლანდელი სახით ხელმოწერის წინააღმდეგი იყო. მისი უკმაყოფილების მიზეზს სხვა სახელმწიფოთა საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთაღიარების საკითხი წარმოადგენს. ხელმოწერამდე ერევანში მოწინააღმდეგეთა მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთ-სომხეთის საზღვარი 1993 წლიდან ანკარის ინიციატივით დაიკეტა, ორ სახელმწიფოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ყველაფრის მიზეზი მთიანი ყარაბაღის საკითხში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერა და 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდის საერთაშორისო აღიარებისადმი თურქეთის მწვავე რეაქცია გახდა. თურქეთისა და სომხეთის წარმომადგენლები შვეიცარიაში, უკვე ორი წელია, აწარმოებენ დახურულ მოლაპარაკებებს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით. პირველი წინსვლა დაფიქსირდა 2008 წლის 6 სექტემბერს, როცა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე თურქეთ-სომხეთის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრაზე დასასწრებად სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის მიწვევით თურქეთის პრეზიდენტი აბდულაჰ გიული ერევანში ჩავიდა. სწორედ ამ მატჩზე დასწრებისას შეხვდნენ ერთმანეთს ორი მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტები. თურქეთში მომხდარს „ისტორიული მოვლენა“ უწოდეს. სწორედ ამ ვიზიტს ეწოდა სახელად „საფეხბურთო დიპლომატია“.

თამაშის დასრულების შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა სომხეთის პრეზიდენტი 2009 წლის 14 ოქტომბრისთვის დაგეგმილ საპასუხო მატჩზე მიიწვია. ანკარაში იმედოვნებენ, რომ ეს ვიზიტი საბოლოოდ დაარეგულირებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს, თუმცა სარქისიანმა წამოაყენა პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც მიიღებს თურქი კოლეგის მიწვევას — მხოლოდ საზღვრის გახსნის ან თურქეთის მხრიდან სომხეთზე ბლოკადის მოხსნის შემთხვევაში.

# ერაყის ომის დამთავრება აშშ-ს 156 მილიარდი დოლარი დაუჯდება

**ერაყიდან აშშ ჯარის გამოყვანა ქვეყნის ხაზინას 156 მილიარდი დოლარი დაუჯდება. კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს წინასწარი შეფასების მიხედვით, 2009-2014 წლების მანძილზე ერაყის ოპერაციის დასრულებას სწორედ ეს თანხა დასჭირდება.**



წლიური დანახარჯები ნელ-ნელა შემცირდება და წლევანდელი 69 მილიარდიდან 2014 წლისათვის 500 მილიონს გაუტოლდება.

ბიუჯეტის სამმართველოს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის გეგმის მიხედვით, ერაყის იანვრის არჩევნების დასრულებამდე იქ დაახლოებით 128 ათასი ამერიკელი სამხედრო იქნება. შემდეგ, 2010 წლის აგვისტოს დასასრულისთვის, კონტინგენტის რაოდენობა 50 ათასამდე შემცირდება. მანამდე ერაყში ამერიკული ძალების სარდალი რეი ოდიერნო აცხადებდა, რომ ჯარების გაყვანის ტემპი შესაძლოა, დაჩქარდეს და კონტინგენტის რაოდენობა 120 ათასამდე ოქტომბერშივე შემცირდეს.

ამერიკულ-ერაყული მოლაპარაკების თანახმად, ერაყში დარჩენილი ამერიკული ნაწილები ერაყის უშიშროების ძალებს დაუჭერენ მხარს, 2011 წელს კი დატოვებენ ქვეყნის ტერიტორიას. ზემოთ დასახელებული თანხა სულ ცოტათი ნაკლებია იმაზე, რაც უკვე დახარჯა ამერიკამ 2003 წლიდან ამ დრომდე ერაყულ კამპანიაზე. 2008 წლის ბოლოს გამოცხადდა, რომ ამ ომს 687 მილიარდი მოხმარდა.

# რადაში იუშჩენკოს დაჯავშნული «მერსედესების» წარმომავლობა დაადგინეს

**რეგიონების პარტიის წევრმა, უმაღლესი რადას დეპუტატმა ვალერი კონოვალიუკმა განაცხადა, რომ კიევმა სამხედრო-სამგზავრო თვითმფრინავი „ილ-76“ ვიქტორ იუშჩენკოს ორ დაჯავშნულ „მერსედესზე“ გაცვალა, რითაც უკრაინამ 20 მილიონი გრივნა იზარალა.**



მისივე თქმით, 2009 წელს უკრაინა აქტიურად ამარაგებდა საქართველოს იარაღით. თბილისმა შეიძინა ზალპური ცეცხლის უკრაინული „გრადის“ სისტემები, საჰაერო თავდაცვის კომპლექსები „C-200“ და რადიოლოკაციური დაზვერვის სისტემები.

კონტრაქტებით გათვალისწინებულია 12 ტანკის 43 მილიონ გრივნად გაყიდვა, ეს თანხა კი რამდენჯერმე ნაკლებია მათ საბაზრო ღირებულებაზე.

კონოვალიუკი რადაში უკრაინის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიწოდების საგამოძიებო კომისიას ხელმძღვანელობს და ისიც გაარკვია, რომ იარაღის გაყიდვის შედეგად მიღებული ფული „ჯარს კი არ ხმარდება, ჯერ საქმოსნების ჯიბეში მიდის, შემდეგ კი პირადად პრეზიდენტ იუშჩენკოსთან“. კომისიას მოპოვებულ მასალებზე პასუხი არც პროკურატურიდან მისვლია და არც უშიშროების სამსახურიდან. არადა, საქართველოსთვის იარაღის უკანონოდ მიწოდების საკითხის გამოძიებას კომისია კონოვალიუკის ინიციატივით 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე შეუდგა და ამ დრომდე უკრაინის მიერ საქართველოსთვის სხვადასხვა სახის იარაღის დაბალ ფასად მიყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებიც მოიპოვა. პარლამენტმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა აღნიშნული გამოძიების შედეგებს სრული უგულებელყოფით უპასუხეს. გენერალურმა პროკურორმა ალექსანდრე მედვედკომ განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში სხვა ქვეყნებს იარაღი მხოლოდ კანონიერ საფუძველზე მიეყიდებოდა. მისივე თქმით, დარღვევების აღმომჩენი საპარლამენტო კომისიის დასკვნები არ დასტურდება.

სამაგიეროდ, თავად კონოვალიუკს დაემუქრა სერიოზული პრობლემები — მის წინააღმდეგ სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის ბრალდებით საქმე აღიძრა. მოგვიანებით დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის მოტივით საქმე შეწყდა.

# მსოფლიო ახალი კრიზისის თესლს თესავს

**წამყვანი ამერიკელი ანალიტიკოსი ჰურელ რუბინი, რომელმაც თავის დროზე ახლანდელი ეკონომიკური ვარდნის დასაწყისი იწინასწარმეტყველა, ირწმუნება, რომ მსოფლიო უკვე შეუდგა ახალი ფინანსური კრიზისის თესლის თესვას.**



რუბინი დარწმუნებულია, რომ ცვალებად საფონდო ბირჟებსა და რეალურ ეკონომიკას შორის უფსკრული გაღრმავდება. გარდა ამისა, მისი აზრით, მომავალში მომხმარებელი საერთოდ გაძევდება ბაზრიდან და სავალე კაბალა დაწესდება. „კრიზისი არ დასრულებულა. მყიდველები განაგრძობენ მოთხოვნილებების შემცირებას ეკონომიის მიზნით. ფინანსური სისტემა ძლიერ დაზიანებულია. კორპორატიულ სექტორთან მიმართებაში კი ვერ ვხედავ კაპიტალის მოდინებას, ვინაიდან მოთხოვნილება შეთავაზებაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია“, — ამბობს ანალიტიკოსი. მისივე განცხადებით, უძრავი ქონების ფასები ჯერ კიდევ ეცემა, რაც კიდევ უფრო ართულებს ამერიკული ეკონომიკის ოდნავ გამოცოცხლებას. ამერიკაში უძრავ ქონებაზე ფასი იმდენად დაეცა, რომ საშუალო ფენის წარმომადგენლები მხოლოდ წინა წელთან შედარებით 13%-ით გაღარიბდნენ. ამასთან, რუბინის პროგნოზით, კერძო უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი შესაძლოა, კომერციულზეც გადავიდეს და ბანკებს თავისტკივილი გაუათმაგოს. ანალიტიკოსი ყველაფერ ამაში ფედერალურ რეზერვსა და აშშ ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომელთაც რეცესიის შედეგების შესასუსტებლად სახსრების ეკონომიკაში ჩაქცევა დაიწყეს.



# ნავთობის მარაგს პლანეტა 2030 წლამდე ამოწურავს

**ნავთობის უმსხვილესი საბადოების დაცლა უახლოეს ათწლეულებში მსოფლიოს ენერგეტიკული კრიზისის მომასწავებელია. ექსპერტების აზრით, ნახშირწყალბადის მოპოვება 2020 წლისთვის პიკს მიაღწევს, შემდეგ შემცირებისკენ წავა.**



ენერგეტიკული კვლევების ბრიტანული საბჭოს სპეციალისტების აზრით, „იაფი ნავთობის“ ერა ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. უკანასკნელი კვლევებით დასტურდება, რომ „შავი ოქროს“ 10 უდიდესი საბადო თითქმის დაცლილია.

ყველა საბადო, სადაც ნავთობი შედარებით იოლად მოიპოვებოდა, თითქმის ამოწურულია, ახალი საბადოების მოძიება და მათგან ნავთობის მოპოვება კი გაცილებით რთულ და ძვირადღირებულ მეთოდებს საჭიროებს.

„2030 წლისთვის წარმოების ვარდნის თავიდან ასაცილებლად ახლანდელი საბადოების ორ მესამედზე მეტს შემცვლელი უნდა მოეძებნოს“, — აღნიშნავენ ექსპერტები.

მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები განუწყვეტლივ დაობენ იმაზე, თუ რამდენ წელს ეყოფა კაცობრიობას უკვე არსებული მარაგი.

ზოგიერთის აზრით, მოპოვების პიკი უკვე ისტორიას ჩაბარდა, ზოგი კი თვლის, რომ ენერგეტიკულ კრიზისზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

# ბრიტანელმა მინისტრმა ნათესავი «ეხო მოსკვის» პირდაპირ ეთერში იპოვა

**ბრიტანეთის ენერგეტიკის საკითხთა და გარემოს დაცვის მინისტრმა ედ მილიბენდმა რადიო „ეხო მოსკვის“ პირდაპირ ეთერში მსმენელებთან საუბრისას ნათესავი იპოვა. ეთერში დარეკა ქალმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბრიტანელი მინისტრის ნათესავი სოფია მილიბანდია.**

მინისტრმა ქალთან გასაუბრება ვერ მოახერხა, რადგან ალექსი ვენედიქტოვმა უმალ შეაწყვეტინა ეთერის სტუმარს საუბარი და დაჰპირდა, რომ მოგვიანებით საელჩოს მეშვეობით დაუკავშირდებოდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ქალბატონი სულაც არ ხუმრობდა, როგორც ეს რადიოსადგურის თანამშრომლებს ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ. ედ მილიბენდმა დედას დაურეკა და გაარკვია, რომ სოფია მილიბანდის პაპა და მისი პაპის პაპა ძმები ყოფილან.

XX საუკუნის დასაწყისში ძმები ვარშავის ებრაულ კვარტალში ცხოვრობდნენ. მოგვიანებით მილიბენდის პაპის პაპის შვილიშვილი, ანუ თავად ედის პაპა ჯერ ბელგიაში გადასახლდა, შემდეგ კი — ბრიტანეთში, სოფია მილიბანდის პაპა კი რუსეთში გაემგზავრა.

ეთერის შემდეგ მინისტრი მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანის სპეციალისტს, 86 წლის სოფიას შეხვდა.

მოგვიანებით ედ მილიბენდმა განაცხადა, რომ ბავშვობიდან იცოდა შორეული ნათესავის სოფია მილიბანდის შესახებ და ძალიან გაუხარდა მასთან შეხვედრა.

„ვფიქრობ, მას ჩემი და დევიდის (მილიბენდის ძმა, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) საქმიანობაზე მეტად ის აინტერესებდა, რომ ნათესავები იპოვა და დარწმუნდა, მილიბენდების გვარში უკანასკნელი არ არის“, — განაცხადა მინისტრმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მათთვის, ვინც ტაძრის გარდა ყველგან დადის

**ვინც ტაძარში არ დადის, ვერ ხვდება, რას აკლებს საკუთარ თავს. ზოგს ჰგონია, რომ ცხოვრებისეულ პრობლემებს თავადაც გადაწყვეტს, ღმერთის დაუხმარებლად და ეკლესიასთან განხეთქილებაშია, არ ესწრება ლიტურღიას, ტაძარში იშვიათად ჩნდება, ძირითადად, დიდ დღესასწაულებზე — აღდგომას, შობას ან ნათლისღებას (ნაკურთხი წყლის წასაღებად). სწორედ ამ მტკივნეულ თემაზე გვესაუბრება დღეს მამა ზურაბი — წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი.**





**— ფაქტია, რომ საგრძნობლად გაძლიერდა ზეწოლა მართლმადიდებელ ქრისტიანებზე და, საერთოდ, რწმენაზე. რით ახსნით ამ გარემოებას?**

— წმიდა წერილზე, წმიდა მამათა სწავლებასა და წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ცოდვით დაცემული კაცობრიობა აპოკალიფსურ ეპოქაში შედის, რასაც ანტიქრისტეს გამეფება უნდა მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დაცემულ ყოფიერებაში ლუციფერული აზროვნებით მოწამლული ადამიანი გლობალური სულიერი წარწყმედისკენ მიექანება, რის გამოც გამრავლდა მკრეხელობა, ყოველგვარი უსჯულოება. სატანის მიწიერი მსახურები გამიზნულად ამცირებენ ჭეშმარიტ საღმრთო სჯულს — მართლმადიდებელ ქრისტიანობას და მის ერთგულ მიმდევრებს.

**— სამწუხაროდ, იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, ვინც ღვთის სახლში არ დადის. მათ ჰგონიათ, რომ ცხოვრებისეულ პრობლემებს თავადაც გაუმკლავდებიან, ღვთის დაუხმარებლად და ეკლესიაში იშვიათად ჩნდებიან, ძირითადად, დიდ დღესასწაულებზე. რას ურჩევთ მათ, ვინც ტაძრის გარდა ყველგან დადის?**

— ჩვენდა საუბედუროდ, თანამედროვე საზოგადოებაში ხშირად ისმის ეშმაკეული ხედვით გაამპარტავნებულთაგან ბოროტი ჟამისთვის ნიშანდობლივი და მოდად ქცეული ცინიკური, უხამსი განსჯა, თითქოსდა ქრისტიანული რელიგია პრიმიტიული აზროვნებისა და მონური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანთა სარწმუნოება იყოს.

**— ფანატიკოს მორწმუნეებს გულისხმობენ?**

— არა, ფანატიზმი სხვა სენია, ქრისტეს სამწყსოს დასცინიან და აკნინებენ. მათი აზრით, დამოკიდებულება ღმერთთან მხოლოდ შინაგანად არათავისუფალ, ანუ დაკომპლექსებულ, ლაჩარ, უმაქნის ადამიანებს სჭირდებათ, რადგანაც თავიანთი უნებისყოფობის, სიმხდალისა და უუნარობის გამო პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებას ვერ აღწევენ.

**— გამოდის, რომ ღვთის რწმენა ცხოვრებაში ხელმოცარულთა საქმეა?**

— მათ სურთ, ასე წარმოაჩინონ ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლები... თითქოსდა ის, ვინც პრობლემებით სავსე ყოფით ცხოვრებაში ვერაფერს აღწევს, იძულებულია, ყოვლისშემძლე, უზენაეს არსებად, განმრიგედ წარმოდგენილი უფლის კალთის ქვეშ ეძიოს ილუზორული თავშესაფარი, ხოლო ჭეშმარიტად თავისუფალ, უშიშარ, ანუ მარიფათიან კაცს, ვისაც ცხოვრების შიში არ აქვს და საკმაოდ გაწაფულია, არაფერში ესაჭიროება აბსტრაქციული ღმერთის ფორმალური რწმენა, რამეთუ სჯერა საკუთარი შესაძლებლობებისა და ყოველგვარ ცხოვრებისეულ სირთულეს უმკლავდება.

**— რას ეფუძნება ამგვარი თვალსაზრისი?**

— ასეთი თვალსაზრისი, ერთი მხრივ, ლუციფერული მზაობის აშკარა ნიშანია, მეორე მხრივ, ღვთისგან დაცილებულ ადამიანთა რელიგიური გაუთვითცნობიერებლობისა და სულიერი სიმწირის ნიშანი, რასაც ღვთივშთაგონებული მთავარმოციქული პავლეც ამოწმებს: „უფალი სულ არს, ხოლო სადა სული უფლისაი, მუნ ანნაურებაი (თავისუფლება) არს“. პავლე მოციქულის სწავლებიდან ვიგებთ, რომ ეკლესიაში შემოიპარებიან „ძმანი მტყუარნი“ (ანუ ცრუ ძმები, ცრუ ქრისტიანები), „რომელნი შემოვიდეს განმსტურობად ანნაურებასა მას ჩვენისა, რომელი მაქვს ქრისტე იესოს მიერ, რათა ჩვენ დაგვიმონენ“. როგორც ხედავთ, შორსმჭვრეტელი მოციქული პავლე აფრთხილებს ქრისტიანებს სამომავლოდ, რომ უფლის ტაძარში შემოპარულები, ქრისტიანის სახელს ამოფარებული ეშმაკის მსახურები იქნებიან, ამას ნიშნავს „ძმანი მტყუარნი“. ისინი შეეცდებიან, წარსტაცონ ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევრებს მაცხოვრისგან ბოძებული თავისუფლება და დაიმონონ, ანუ ეშმაკის მსახურებაში ჩააყენონ.

**— რატომ ცდილობენ, ქრისტესმიერი თავისუფლება რელიგიურ ფანატიზმად გაასაღონ?**

— საქმე ისაა, რომ თითოეული მორწმუნე უფლისგან ბოძებული უნიკალური თავისუფლების მქონე პირია, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ მონასთან. ქრისტესგან განდგომილება კი ამ ღვთისმიერი, ნამდვილი თავისუფლების დაკარგვას და ეშმაკის მონობას ნიშნავს.

**— მორწმუნეთა დასამცირებლად მათი პირიდან დაცინვასაც ხშირად გაიგონებთ, ღვთის მონები ხართო...**

— ქრისტეს მიმდევრები უნებო მონები არ არიან, პირიქით, უზენაესი ადამიანური ღირსებით — შემოქმედი უფლის მეგობრობით და უმაღლესი შემეცნებით დაჯილდოებული, დამოუკიდებელი ნებელობის მქონე პიროვნებები არიან, რაც თავად მაცხოვრის სიტყვებით დასტურდება: „თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა — ესე გამცნებ თქვენ. არღარა გეტყვი თქვენ მონად. რამეთუ მონამან არა იციან, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ“. სწორედ იესოს სწავლებიდან ვიგებთ, რომ ღვთის რწმენა ყოვლისშემძლეობის, ანუ აბსოლუტური უნარიანობის საწინდარია: „ხოლო იესომ უთხრა მას: უკეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“. საგულისხმოა, რომ ქრისტე სიმხდალის, შიშის მიზეზადაც მცირედ-მორწმუნეობასა და ურწმუნოებას ასახელებს: „და თავადმან უთხრა მათ: რაისა შეშინდით, მცირედ მორწმუნენო?.. რაისა ესოდენ მოშიშ ხარ?.. ვითარ არა გაქვს სარწმუნოებაი?“ აქედან გამომდინარე, სწორედ ღვთის რწმენა, ანუ ქრისტიანული სარწმუნოებაა ჭეშმარიტი უშიშროების საფუძველი და იესოს ნამდვილი მიმდევრები უშიშარი ადამიანები არიან, რაც ქრისტეს შემდგომი ისტორიიდანაც ნათლად ჩანს.

**— სამწუხაროდ, ხალხი უპირატესობას გამარჯვებულს, ანუ გმირს ანიჭებს და არა თავმდაბალ, ღვთისმოშიშ მორწმუნეს. ამაზე რას გვეტყვით?**

— ქრისტიან ღვთისმეტყველთა სწავლების თანახმად, ძე ღვთისას ამქვეყნად მოვლინებითა და მისი მოწამეობრივი აღსრულებით დასრულდა გმირობის საუკუნე და სულიერი გმირობის ეპოქა დაიწყო, რასაც საწყისი თავად მაცხოვარმა მისცა — მან თავი შესწირა ადამის მოდგმის ცოდვათა გამოსყიდვას, „კაცი ღმერთთან შეარიგა“ და საუკუნო წარწყმედისგან იხსნა. ამ მისტერიის გაგრძელება იყო ქრისტეს მოციქულთა და მოწაფეთა უშიშარი მოწამეობრივი ცხოვრება, რომელთაც საღმრთო სჯულის ქვეყნად გავრცელებას შესწირეს სიცოცხლე. მაგალითად, მთავარმოციქული პეტრე რომში აცვეს ჯვარს, თანაც თავდაღმა, მისივე თხოვნით...

**— რატომ ითხოვა ჯვარზე გაკვრა თავდაღმა?**

— არ სურდა, უფალს გასტოლებოდა... ანდრია პირველწოდებული წარმართებმა აწამეს და მოკლეს; მთავარმოციქულ პავლეს, სავლეყოფილს, თავი მოჰკვეთეს; მათე მახარებული ეთიოპიაში აწამეს, ხოლო მარკოზი — ალექსანდრიაში; პირველწამებული არქიდიაკვანი სტეფანე თალმუდისტმა ებრაელებმა ჩააქვავეს და მრავალი სხვა... ამას ემატება ქრისტესა და მისი სწავლების ერთგულებისათვის ვნებულთა და წამებულთა დიდი ლაშქარი; სწორედ მათმა წმიდა სისხლმა შეინარჩუნა ქრისტიანული სარწმუნოება. საქართველო ამ მხრივაც გამორჩეული ქვეყანაა.

**— სამშობლო და ქრისტეს სჯული ქართველისთვის ოდითგანვე განუყოფელი ცნებებია...**

— შეიძლება ადამიანმა წმინდანად არ იცხოვროს, მაგრამ რწმენა სრული სისავსით გამოავლინოს მოწამეობის დროს. მაგალითად, მეფე დემეტრე თავდადებული, რომელსაც საღვთო სჯულის საწინააღმდეგოდ ორი თანამეცხედრე ჰყავდა ოფიციალურად, მის სხვა სისუსტეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ასევე, ლუარსაბ ქართლის მეფის („მოწამეთა შორის საჩინო“), არჩილ მეფის („სამგზის სანატრელი“), არგვეთის მთავართა, ძმების — დავით და კონსტანტინე მხეიძეების, უსაჩინოესი მთავარსარდლის — შალვა ახალციხელის, ასი ათასი თბილისელი წამებულის და სხვა მრავალთა ღვაწლი.

სრულყოფილი რწმენა მხოლოდ წმინდანებს აქვთ, ხოლო წამებულებსა და აღმსარებლებში ქმედითად ვლინდება მხოლოდ მათი მარტვილობის (მოწამეობის) დროს.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი ქრისტიანი მტკიცე ნებისყოფისა და უშიშრობის მაგალითია...**

— ღვთივშთაბერილი მრწამსის გამო და ჭეშმარიტების დასამოწმებლად სიცოცხლის გაღება და ურყევი ერთგულება მართლაც რომ დიდი ნებისყოფისა და უშიშრობის მაგალითია, მაგრამ ხშირად მოგვიწევს დაცინვისა და დამცირების მოთმენა. ღვთის ერთგულების შენახვა და თავდადება უმაღლესი ნებელობის — სრულყოფილი რწმენის ნიშანია.

**— ქართველები ვთვლით, რომ განსაკუთრებული განსაცდელი მოგვივლინა უფალმა, ამაზე რას გვეტყვით?**

— საქართველო ქრისტესთვის უნჯად წამებული ერის სამკვიდრებელია, უფლისადმი ერთგულების კლასიკური ნიმუში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ღვთისმშობლის წილხვდომილი ქართველი ერის ღვთივკურთხეულობასა და ღვთივდაცულობას.

**— რას კარგავს ის, ვინც ტაძრის გარდა ყველგან დადის?**

— ყველას, ვინც ტაძარში იშვიათად ჩნდება, მინდა, შევახსენო, რომ ქრისტემ თავისი მოწამეობრივი სიკვდილით, წმიდა სისხლის ზვარაკებით, კაცთა მოდგმა პირველცოდვის ტყვეობიდან გამოიხსნა, კაცობრიობის ცოდვები იტვირთა, ადამის ნაშიერთ სასუფევლის ბჭენი გაგვიღო და ზეცად ამაღლებულმა მამა ღმერთის მარჯვნივ დაიკავა ადგილი. ვისაც ცხონება, ანუ უკვდავი სულის გადარჩენა სურს, ეკლესიას ზურგი არ უნდა აქციოს. მათ რომ იცოდნენ, რას აკლებენ თავიანთ თავს, დამოძღვრა არ დასჭირდებოდათ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არ იციან და ყველა სიავეც აქედან მომდინარეობს... მერწმუნეთ, ქრისტესთვის თავის გაწირვა, უფლის სახელისთვის მარტვილობა, უბრწყინვალესი და უდიდესია ყველა იმ ღვთაებრივ საიდუმლოთა შორის, რომელთა გამხელაც ინება დამბადებელმა ღმერთმა ადამის მოდგმისთვის.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ჩვენთვის წამებული მაცხოვრისთვის თავის გაწირვაზე უფრო აღმაფრთოვანებელი რა უნდა იყოს ამ სამყაროში? უფლისთვის მარტვილობა შემოქმედის აღტაცების საგანია და თითოეულ მისთვის თავდადებულს „ღმრთის ძედ“ აქცევს, ანუ იესო ქრისტეს მიამსგავსებს. მაცხოვრის სახელისთვის თავგანწირვა ადამიანის განმაღმერთებელი სულიერი ღვაწლია.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

# როგორ ვეზიაროთ

ზიარების წინ სამი დღის განმავლობაში უნდა იმარხულოთ. არ მიირთვათ ხორცი, რძე, კვერცხი, ანუ არასამარხვო საჭმელი და, რაც მთავარია, გულისხმიერად, შინაგანად უნდა იმარხულოთ.

გწამდეთ, რომ ეს საიდუმლო დადგენილია უფლის მიერ ვნების წინა საღამოს. წმიდა საიდუმლოს აღსრულებამდე უნდა განიწმინდოთ აღსარებით, სინანულით და ეკლესიაში ცოდვათა შენდობა მიიღოთ. მთავარია, არავისთან გქონდეთ მტრობა, ყველას შეურიგდით და მიუტევეთ.

წმიდა ნაწილებთან მიახლოებისას ისეთივე მოწიწება, შიში და ძრწოლა გქონდეთ, თითქოს თვით იესოს, მრისხანე მსაჯულს, მიეახლეთ.

# მფარველი ანგელოზი წუხს ჩვენი ცოდვების გამო

ერთხელ, როცა წმიდა ნიფონტი ეკლესიიდან თავის ქოხში ბრუნდებოდა, გზად ჭაბუკის სახემიღებული, მწარედ ატირებული ანგელოზი დაინახა. იგი ერთ სახლთან იდგა. ნეფონტიმ, რომელსაც ისეთი განათებული გონება ჰქონდა, რომ ანგელოზებს თავისი მეგობრებივით ესაუბრებოდა, ტირილის მიზეზი ჰკითხა. ანგელოზმა უპასუხა: „ერთი კაცის მფარველად ვარ მიჩენილი, ის კი ახლა მეძავთან ერთობა ამ სახლში. როგორ არ ვიტირო, როცა ვხედავ წყვდიადში ჩავარდნილ ღვთის ხატებას?“ ნეტარმა ჰკითხა: „რატომ არ დასჯი, რომ ცოდვა მიატოვოს?“ ანგელოზმა უპასუხა: „საქმე ისაა, რომ ვერ ვუახლოვდები. მას შემდეგ, რაც ცოდვას მიჰყო ხელი, ეშმაკების ტყვე გახდა და მასზე უფლება აღარა მაქვს, რამეთუ ღმერთმა თავისუფალი ნება მისცა. აჩვენა გზა ვიწრო და ფართო, რათა იმ გზით ევლო, რომლითაც მოისურვებდა“.



# სულისთვის სასარგებლო რჩევები

● ღმერთი ეძიე და არა მისი სამყოფელი.

● ცალი თვალით ღვთის წყალობას უყურე, მეორეთი — მის სიმართლეს.

● რაც უფრო შეიცნობ ღმერთს, მით უფრო დამდაბლდები, გეშინია მისი და გიყვარს.

● რაც რამ გაბადია, არა ადამიანთაგან, არამედ ღვთისგან ნაბოძებად ჩათვალე და მას აღუვლინე მადლობა.

● ღვთისმოსაობა ნიშნავს, არ შევცოდოთ, მაგრამ, თუ შევცოდავთ, მოთმინებით გადავიტანოთ მოწეული განსაცდელი, ვიტიროთ მოთმინების უკმარისობაზე, თუკი სათანადოდ ვერ ვუმკლავდებით გასაჭირს.

● გაიხსენე, რომ ღვთის გარეშე არაფერი კეთდება და შენს გულში სიმშვიდე დაისადგურებს.

● სანამ ცოდვით დავეცემით, ეშმაკები ღმერთს უდიდეს მიმტევებლად წარმოგვიდგენენ, დაცემის მერე კი — უმკაცრეს მსაჯულად.

● პატივის მისაღებად ყველაზე კარგი საშუალება პატივისგან განრიდებაა.

● გონება ყველა სათნოებას მიჰყავს ღვთის სიყვარულთან, მაგრამ უმთავრესი წმიდა ლოცვაა. ლოცვით ფრთოვანქმნილი კაცი ღმერთთანაა და ყოველივე არსებულზე მაღლა დგას.



# ლოცვა პატიმართათვის

**უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელმან წმიდა მოციქული შენი, პეტრე, ჯაჭვთა და საპყრობილისაგან უვნებელად განარიდე, სიმდაბლითა ჩვენითა გხადით შენ, კეთილმოწყალეობითა შენითა შეიწირე ლოცვა ჩვენი და შეუნდვენ ყოველნივე ცოდვანი მონათა (მხევალთა) შენთა საპყრობილესა შინა შთაგდებულთა, შეიწირე ლოცვა მათი კაცთმოყვარემან და მარჯვენითა შენითა ყოვლადძლიერითა იხსენ იგინი ყოველთა ბოროტთა გარემოდგომილებათაგან და განათავისუფლე საპყრობილისაგან, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე.**

# იესო ქრისტეს გარეგნული აღწერა მისი თანამედროვის — პუბლია ლენტულას მიერ



აი, რას წერს იუდეას მმართველი პუბლია ლენტულა ცეზარისადმი მიწერილ პირად წერილში იესო ქრისტესა და წმიდა მარიამზე: „ამ კაცის (იგულისხმება იესო) შესახებ ყოველდღე სასწაულები ისმის: აღადგენს მკვდრებს, კურნავს სნეულებს. იგი საშუალო სიმაღლისაა, გულკეთილი, მაგრამ, ამავე დროს, მეფური იერის; მხრებამდე დაშვებულ თმას ატარებს; თავზე თმა მწიფე კაკლისფერი აქვს და, ნაზარეთის მკვიდრთა ჩვეულებისამებრ, შუაზე გაყოფილი. ქვევით კი, მხრებამდე, თმა ღია ფერისაა და ბრწყინავს; წვერიც თმისფერი აქვს, მწიფე კაკლისფერი და ხუჭუჭი, არცთუ ძალიან გრძელი და შუაზე გაყოფილი. მისი მზერა მკაცრია და ისეთი ძალის, რომ არავის შეუძლია, თვალი გაუსწოროს. ამბობენ, მოცინარი არავის უნახავსო, მტირალი კი — ხშირად. იგი ჩნდება და ქადაგებს უაღრესად თავმდაბლად, მაგრამ, ამასთან, მისი იერსახე სიდიადის გამომხატველია. იგი თავდაუბურავი დადის... ბოროტი ებრაელები მისთვის ყოველგვარი ვნების მიყენებას ცდილობენ. მისი დედა ულამაზესი ქალია მათ შორის, ვინც კი ოდესმე ამ მხარეში უნახავთ. მრავალი ამბობს, რომ ის ღმერთია. ცეზარ, ის შენი მტერია!“

# სასწაულებრივი სტუმრობის მოწმენი

ერთხელ, შუაღამისას, ღირსი სერგი რადონეჟელი თავის სასენაკო კანონს აღასრულებდა და ღვთისმშობლის ხატის წინ დაუჯდომელს გალობდა, რაც ჩვეულებრივად მის ყოველდღიურ წესებში შედიოდა.

ლოცვა რომ დაასრულა, დასასვენებლად ჩამოჯდა. სწორედ ამ დროს იგრძნო მისმა წმიდა სულმა ზეციური მოვლენის მიახლოება და ღირს მიქაელს, თავის მესენაკეს, უთხრა: „იფხიზლე, შვილო, ამჟამად ჩვენ სასწაულებრივი სტუმრობის მოწმენი გავხდებით“.

ამ სიტყვების დამთავრება ძლივს მოასწრო და, მართლაც, ხმა მოესმათ: „ეს, ღვთისმშობელი მოვალს!“ ზეციური დედოფალი მოციქულების — პეტრესა და იოანე ღვთისმეტყველის თანხლებით მობრძანდა. მისი ენით გამოუთქმელი დიდების საოცარ ნათებას ღირსმა მამამ ვერ გაუძლო და ძირს განერთხა; სახიერი დედა მას ხელით შეეხო და მადლიანი სიტყვებით გაამხნევა: „ნუ გეშინია, რჩეულო ჩემო, შენს მოსანახულებლად მოვედი.

შესმენილია შენი ლოცვები შენს მოწაფეებზე. აწ აღარ იმწუხრ სავანეზე, ამიერიდან მას ყველანაირი სიუხვე ექნება, როგორც შენს სიცოცხლეში, ასევე, — მერეც.

ამ ადგილებთან მეც განუშორებლად ვიქნები და დავიცავ აქაურობას“. საუბარი დაამთავრა თუ არა, ღვთისმშობელი უხილავი გახდა. ბერი ძრწოლამ აიტანა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მას აღმატებული, საზეიმო განწყობა ჰქონდა, ხოლო მიქეა კვლავ დიდხანს იყო მკვდარივით ძირს გართხმული.

დიდ მოძღვარს შეეძლო, დაენახა ზეციური დედოფალი და მისი ხმა გაეგონა, მიქეამ კი, მოულოდნელობით თავზარდაცემულმა, ყოველივე ვერ დაინახა, მან მხოლოდ ზეციური ნათელი იხილა.

# კითხვა-პასუხი

**რამდენ ხანს უნდა ატარონ ძაძები ჭირისუფლებმა?**

— გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ატარონ ძაძები 40 დღის განმავლობაში ან არაუმეტეს ერთი წლისა. ერთი წლის შემდეგ ყველამ უნდა გაიხადოს სამგლოვიარო ტანისამოსი. შვილის, მეუღლის ან ძალიან ახლობელი ადამიანისადმი სიყვარული გამოხატეთ არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვითა და გარდაცვლილის სულისადმი ღვთივსათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით. გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები ორმოცამდე დაურიგეთ გაჭირვებულებს.

**რა შემთხვევაში სრულდება საეკლესიო წესი თვითმკვლელთათვის?**

— თვითმკვლელის ან მოუნათლავის აღსრულების დროს საეკლესიო წესების შესრულება კანონით აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალების გაცემა შეიძლება, მაგრამ, თუ თავი მოიკლა ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანმა, საეკლესიო კანონის თანახმად, მისთვის წესების შესრულება ნებადართულია.

**რა მიზნით შექმნა ადამიანი ღმერთმა, რისთვის ვარსებობთ?**

— იმისთვის, რომ შეიცნოს ღვთის ქმნილებები და თავად იხილოს ღმერთი და განადიდოს თავისი შემოქმედი. ყოველი ცოდვა საძაგელია უფლის წინაშე, მაგრამ ამპარტავნება მათ შორის უსაძაგლესია. თითოეული ადამიანი უნდა იშვას სულიწმიდითა და წყლით და გარდაიქმნას ახალ ადამიანად — ახალი გონებით, ახალი გულითა და განახლებული ნებით, ე.ი. საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს ყოვლისშემძლე ღვთის მადლით.

**რა უნდა ვქნათ, თუ უკვე მიტევებულ ცოდვას ხელმეორედ ჩავიდენთ?**

— გეშინოდეთ უკვე მიტევებული ცოდვით კვლავ დაცემის, მაგრამ, თუ უძლურების გამო ისევ შესცოდებთ, სასოს ნუ წარიკვეთთ, უფლის მოწყალება უსაზღვროა, წრფელი სინანულის ძალა კი — განუზომელი. ქრისტეს ეკლესია მონანულთა ეკლესიაა, მათი, ვინც დაღუპვას სინანულის გზით გაურბის.

**შეიძლება თუ არა ხელმეორედ მონათვლა?**

— ნათლისღების განმეორება დაუშვებელია. საქმის გამოსწორება, შეცოდებათა გამო დაკარგული საღმრთო მადლის დაბრუნება გულწრფელი სინანულით შეიძლება.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

## ნატო მამისაშვილი: მარხვის სიკეთე, სამწუხაროდ, გვიან გავაცნობიერე

**ნატო მამისაშვილს სიმსუქნე წლების განმავლობაში აწუხებდა. 50 წლისა 100 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ მუცელღმერთობის გამო ვერც დიეტას იცავდა და ვერც მარხვას ინახავდა. მე თუ ვიშიმშილებ, ღმერთს ამით რა შეემატებაო, თავს იმართლებდა ხოლმე და ჭარბ წონას არ უჩიოდა. სამწუხაროდ, მარხვის სიკეთე ქმრის გარდაცვალების მერე ნანახი სიზმრის წყალობით გააცნობიერა. აი, რა გვიამბო ქალბატონმა ნატომ.**

— 18 წლისა გავთხოვდი. ცოლად მეზობლის ბიჭს გავყევი. ერთმანეთი ბავშვობიდან გვიყვარდა. გამხდარი არც მაშინ მეთქმოდა, ჩაპუტკუნებული გოგო ვიყავი, მაგრამ ყოველი მშობიარობის მერე წონა მემატებოდა და გრამს ველარ ვიკლებდი.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— სამი. ყოველ მშობიარობაზე 15 კილომდე მოვიმატე, მაგრამ ნებისყოფა არ მეყო გასახდომად.

**— გიყვართ ჭამა?**

— სწორედ ჩემნაირ ადამიანზე იტყვიან, მუცელღმერთააო. შიმშილის ატანა წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. სოფელში გახდომა ძნელია. გუდის ყველი, თონეში გამომცხვარი შოთები, ნატურალური კარაქი, ცივად მოხარშული დედალი, თბილ-თბილი კვერცხები, უამრავი ხილი, ბოსტნეული, მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო. კაცს თუ ჭამა გიყვარს, ძნელია, თავი შეიკავო. დედამთილი ჩამაცივდა, მარხვა მაინც შეინახე, დიეტაზე ყოფნა თუ არ შეგიძლია, ღვთის შეწევნით ცოტას მაინც დაიკლებო.

**— ჭარბი წონა არ გაწუხებდათ?**

— როგორ არ მაწუხებდა, მაგრამ დიეტის დასაცავად ან მარხვის შესანახად ნებისყოფა არ მყოფნიდა და სხვების გასაგონად თავს ვიმართლებდი, თქვენ რა გაწუხებთ, მე ბედს არ ვუჩივი-მეთქი.

**— ეკლესიურად ცხოვრობდით?**

— ჩემი დედამთილი მორწმუნე ქალი იყო და სოფლის ტაძარში ხშირად დავდიოდით ხოლმე შაბათ-კვირას წირვა-ლოცვაზე დასასწრებლად, მაგრამ მარხვის შენახვას ვერ ვახერხებდი. ბევრჯერ ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. განსაკუთრებით მიყვარდა ხორციანი კერძები, ხილი და ბოსტნეული არ მაკმაყოფილებდა.

**— ქმარი არ გსაყვედურობდათ?**

— ისეთ გემრიელ კერძებს ვამზადებდი, რომ ჩემს სიმსუქნეს ველარ ხედავდა. საერთოდ, ვისაც ჭამა უყვარს, კეთებაც არ ეზარება; ჰოდა, მეც მთელი დღე სამზარეულოში ვფუსფუსებდი.

**— როდის გააცნობიერეთ მარხვის სიკეთე?**

— 50 წლის ასაკში დავქვრივდი. მაშინ უკვე 100 კგ ვიწონიდი.

**— რა დაემართა თქვენს მეუღლეს?**

— ავტოკატასტროფაში დაიღუპა. საბრალო, დიდ მარხვაში გარდაიცვალა. მოძღვარმაც და მეზობლებმაც მირჩიეს, ქელეხში სამარხვო სუფრა გააწყვეო, მაგრამ ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. არც ის გავითვალისწინე, რომ ჭირისუფლებმა მიცვალებულის დაკრძალვამდე ხორცი არ უნდა ჭამონ, მეზობლებს ქათმის ჩახოხბილი და მწვადები შევუკვეთე. ქელეხის წინა ღამეს უცნაური რამ მესიზმრა: დიდ სუფრასთან მარტო ვიჯექი. ყველა კერძი ხორცისგან იყო მომზადებული. პირზე ნერწყვი მომადგა შემწვარ-მოხრაკულის დანახვაზე. ჭამა დავაპირე თუ არა, უცებ თეფშებზე დადებული საჭმელი აყროლებულ, მატლიან ხორცად გადაიქცა. ისეთი სუნი დადგა, კინაღამ გული ამერია.

**— ეტყობა, მარხვაში ქელეხის ხორცით გადახდა რომ გადაწყვიტეთ, ამიტომ ნახეთ ასეთი სიზმარი...**

— თქვენ წარმოიდგინეთ, იგივე გრძნობა დამეუფლა ქელეხზეც... გადავხედე ხორციან კერძებს და სიზმარში ნანახი სურათი დამიდგა თვალწინ. თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი ზიზღი ხორცისადმი. მას შემდეგ, ღვთის ნებითა და შეწევნით, ვძლიე მუცელღმერთობას და მარხვას სისტემატურად ვინახავ. წონაშიც უმტკივნეულოდ დავიკელი. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი მარხვის სიკეთეს.

14 - 20 ოქტომბერი, 2009 წელი. №33
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# კველთიდან არხოტამდე

## ალგეთის ხეობა

**დღეს მანგლისში ჩასახლებულ გუდამაყრელ მთიულებს კველთა რატომღაც მანგლისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალმთაში, ეგულებათ, სადაც ერთი პატარა საყდრის ნანგრევებია, მაგრამ ეს ასე არაა. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე კველთა სწორედ დღევანდელი ალგეთია და განმარტებებშიც ზუსტად აქვს ნათქვამი: კველთის ხევის მარჯვენა მხარეს, მანგლისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და ხეკორდის დასავლეთითო. 1669 წლის საბუთშიც ასე წერია: „ალგეთს გაღმაო“. კველთის ძველი, მოზრდილი ეკლესიიდან დღეს აღარაფერია დარჩენილი საძირკვლის ერთი-ორი გალეული ქვის გარდა. მის ადგილზე რუსებმა ახალი გუმბათიანი ეკლესია ააშენეს, 1721 წლის აღწერით კი, აქ 3 მებატონე (საჩინოშვილი, თაყაშვილი, ბაბუნაშვილი), 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა ყოფილა.**


თხილოვანის ეკლესიის არქიტრავი

მანგლისის ტაძართან ახალგაზრდები — მათე აფციაური, გიორგი აფციაური და მიხეილ ბექაური — გველოდებიან. დანარჩენ სოფლებში, რომლებიც მანგლისს ზევითაა, ალგეთის ხეობაში, მათ უნდა გაგვიწიონ ეტიკობა. საერთოდ, ისტორიული საბუთებით, ამ სოფლებს კლდეკარის სოფლები ჰქვია. და აი, აქ ისევ ცოცხლდება წინა მოგზაურობის დროს წამოჭრილი საკითხი მანგლისის დიდი ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორული წარწერის თაობაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილის დასკვნა, რომ 1020 წელს, ანუ ტაძრის აგების დროს, ლიპარიტ III ბაღვაშს არაფერი ესაქმება მანგლისში და წარწერაში „ბაღვაშის“ ნაცვლად „ბაღათური“ უნდა წავიკითხოთ, ერთობ საეჭვოა.

რა თქმა უნდა, ბაღვაშთა საძვალე მათ მამულში — არგვეთში მდებარე კაცხის ეკლესია იყო და ასეც დარჩა. თუ გავიხსენებთ, X საუკუნეში, 989 წლამდე, ბაღვაშები არა მარტო თრიალეთსა და კლდეკარს, არამედ ერთხანს ტანას ხევსაც მართავდნენ. ამიტომაც არის, რომ ატენის მცირეგუმბათიან ეკლესიაზე დღემდეა შემორჩენილი რატი I ბაღვაშის წარწერა, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ატენი ბაღვაშთა ძვალთშესალაგი იყო. მართალია, ბაგრატ III-მ რატი ბაღვაში კვლავ მარგვეთში „გაისტუმრა“ და კლდეკარი სამეფო კარს დაუმორჩილა, მაგრამ გიორგი I-ის დროს ბაგრატიონთა და ბაღვაშთა ურთიერთობა კვლავ გამოსწორდა და მეფის ერთგულმა ლიპარიტ III-მ 1022 წელს თავიც დადო ბიზანტიასთან ომში. ასე რომ, მისი დაბრუნება კლდეკარში დიდ ეჭვს არ უნდა იწვევდეს და, მითუმეტეს, არც ისაა გასაკვირი, რომ მანგლისის ტაძრის 1020 წლის ქტიტორულ წარწერაში მოიხსენიება. მას სწორედ რომ „ესაქმებოდა“ მანგლისში. კლდეკარის ციხე-უღელტეხილი უმანგლისოდ ვერაფერი ხეირი იქნებოდა ერისთავთ-ერისთავისათვის, რადგან მანგლისიდან ხომ კლდეკარის გვერდის ავლით, ლაკვის ხევიდანაც, შეიძლებოდა ქციის ხეობაში გამავალ საქარავნო გზაზე გასვლა!.. აი, რად იწოდება მანგლისიდან დასავლეთით უგუდეთამდე და აძიკვამდე მდებარე სოფლები კლდეკარის სოფლებად. მანგლისი სწორედ ამ გზაგასაყარზე არსებული ქალაქი იყო.

* * *

ახლა ისევ ჩვენს მოგზაურობას დავუბრუნდეთ. მანგლისიდან დასავლეთით, ერთ კილომეტრში, მთავარი გზიდან ხელმარჯვნივ ვუხვევთ და მცირე ხეობას მივუყვებით. ვახუშტის თქმით, ეს **მჟავისხევია.** მას ხევის მარჯვენა ნაპირზე სოფელი მჟავისიც აქვს მონიშნული.


გიორგი ქავთარაძის სახლი კოდისწყაროში


შეხვეტილას სტელა

1721 წლის აღწერით, აქ 2 გამომღები და 2 ბოგანო ყმა ცხოვრობდა, მებატონეებად კი დავით აბაშიშვილი და ნოდარ სუფრაჯია დადგენილი. ასე რომ, მოსაზრება, თითქოსდა, ძველი მჟავისი ლაკვის ხეობაში მდებარე დღევანდელი საფუძრებია, სწორი არ არის.

მჟავისის ხევს კიდევ უფრო ზევით მივუყვებით და მალე ერთ მშვენიერ ალაგში შევდივართ. იმ დღეს ალგეთის მთელ ხეობაში ისეთი გრილი ქარი ქროდა, რომ სვიტერები და ქურთუკები ჩავიცვით, აქ კი არც ქარია და არც სიცივე — ყველაფერს იდილიური უშფოთველობის ბეჭედი აზის. ეს ნასოფლარი **თხილოვანია,** სადაც ჩვენი ერთ-ერთი მეგზურის, მიხეილ ბექაურის პაპის პაპის საფლავის ქვაც არის. სასაფლაო არც დიდია და, თითქოს, არც ძველი. აქ, დაახლოებით, საუკუნენახევრის წინათ მოსული გუდამაყრელები განისვენებენ. მათი შთამომავლები მერე მანგლისში ჩაიყვანეს და ამიტომ თხილოვანი ისევ დაცარიელდა.

...დევივით ღონიერი ალექსანდრე მაისურაძე, ჩვენი სახელდახელო ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად, კვარცხლბეკიდან ჩამოვარდნილ საფლავის ვეება ლოდს ეჭიდება და თავის ადგილზე ამაგრებს. მე და სოზარ გულბანი უკვე ეკლესიასთან ვართ. მის კედლებს აქა-იქ გვიანდელი შეკეთების კვალი ატყვია, მაგრამ ძირითადი ნაშენობა ძალიან ადრინდელია: დიდრონი, ტლანქად დამუშავებული ბაზალტის კვადრების ორპირ წყობას შუა მცირე დუღაბია, საკურთხევლის აფსიდის მოყვანილობა ნალისებრია, ბალავრის ქვა, რომელიც ერთადერთი, დასავლეთის, კარის თავზეა — ოდნავ მოჩარჩოებული. ამ ქვის ცენტრში იშვიათი სილამაზის დიდი, ტოლმკლავა ჯვარია გამოკვეთილი. მის ქვეშ წარწერის მცირე კვალია. ირგვლივ ტაძრის პერანგის თლილი, ვეება ქვები ყრია. ჩვენს წინაშეა საკმაოდ მონუმენტური ძეგლი (11X7მ), ისეთი, რომელიც სიძველეთა მოყვარულს აღაფრთოვანებს. ეს VIII-IX საუკუნეთა სუნთქვაა. ნეტავ მას, ვინც ამ სამოთხეში ცხოვრობდა და განისვენა...

მჟავისის ხევიდან უკან ვბრუნდებით და ისევ ალგეთს მივუყვებით აღმა. ცოტაც და, მისი ჩრდილოეთის შენაკადის — საყავრის ხევის მარჯვენა სანაპიროს მივდევთ. სოფელ **კოდისწყაროს** მივადექით. სოფელიო, ვამბობთ, თორემ ნასოფლარი უფრო ეთქმის. აქ ამჟამად მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს. ეს არის გიორგი ქავთარაძე თავისი მეუღლითა და ორი შვილით (რძლები და შვილიშვილები მხოლოდ ზაფხულობით ამოდიან). ადრე აქ ფშავიდან და გუდამაყრიდან მოსული 18 ოჯახი ცხვრობდა, მაგრამ აიყარა. მამისეული ფუძე მხოლოდ გიორგიმ არ მიატოვა და, დღეს რომ ფერმერს ვუწოდებთ, ის კაცია. მე მაინც გლეხად მივიჩნევ; იმიტომ, რომ ნამდვილი ქართველი სოფლელი კაცია — მუხლჩაუხრელი მეურნე. თერთმეტი მეწველი ძროხა და ორი ამდენი მოზარდეული ჰყავს, მოტოციკლეტიც აქვს, ხელის სათიბი მანქანაც და სატვირთო ავტომობილიც. წყალი ეზოში მოუდის, ჰაერს კი იმგვარს სუნთქავს, მანგლის-კოჯორი მონაგონია. ქვითკირის დიდი სახლი კი არ უდგას, არამედ სოფლური ხულები. ზოგი საცხოვრებელია, ზოგი — საბძელი, ზოგი — სამზარეულო და ა.შ. აივნის ბოძზე სატელიტური ანტენაც აქვს დამონტაჟებული. კვირაში ერთხელ ჩადის მანგლისში ან სულაც ქალაქში — კარაქი და ყველი ჩააქვს. ნასოფლარის ტყიან ბორცვზე შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევებსაც ის პატრონობს — ასუფთავებს და სანთელს ანთებს. ღმერთმა გააძლიეროს...

ნაეკლესიარი IX-X საუკუნეებისა იქნება. კედლები მეტრნახევრის სიმაღლეზეა შემორჩენილი და ისიც — აქა-იქ. დღევანდელი კოდისწყარო ძველი **მაწვნარა** უნდა იყოს. ამ სოფლის მოპირდაპირე მხარეს, ალგეთს გაღმა, ლაკვის მთის კალთებზე შეფენილი სოფელი რომ მოჩანს, **შეხვეტილაა.** ვახუშტის მიხედვით, ეს, შეიძლება, ძველი **არნაუთი** იყოს. ახლა იქ ავდივართ. პატარა სოფელია, აფციაურები, ბექაურები და წიკლაურები ცხოვრობენ. სოფელში 1913 წელს აგებული დარბაზეული ეკლესია დგას მხოლოდ (ხუროთმოძღვრულად დიდი ვერაფერი შვილია). ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველი დასახლება აქ არ უნდა ყოფილიყო. და აი, სოფლის ძირში, ალგეთის მარჯვენა, შემაღლებულ ნაპირზე, ტყეში, ვპოულობთ ხნიერ ნაეკლესიარს, რომელსაც აქაურები **„მამუკას ხატს“** უწოდებენ. კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზეც არ არის შემორჩენილი. იგი მხოლოდ ეკლესიის მიახლოებითი ზომების დადგენაში გვეხმარება: 7X4 მ. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. საკურთხევლის აფსიდის ზუსტი ფორმა ვერ დგინდება, მაგრამ აქ საინტერესო სულ სხვა რამეა: აფსიდის ჩრდილოეთ მონაკვეთიდან ერთიან ქვაში გამოთლილი მაღალი, ოთხწახნაგა სვეტია გადმოქანებული, თავზე ბუნივით შვერილი აქვს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზედ ჯვრიანი ქვა იქნებოდა ჩამოცმული. მამუკას ხატს იმიტომ უწოდებენ, რომ წარმართული „ქვარძალი“ ჰგონიათ — უშვილო ან ურძეო ქალები ამოდიან, ხელს ჰკიდებენ და ნაყოფიერებას შესთხოვენ თურმე.

...შებინდებამდე დიდი დრო არ რჩება, ვჩქარობთ და ნამტვრიანში ასვლაზე უარს ვამბობთ, არხოტში მისვლას ვამჯობინებთ, იგი აქედან სულ რაღაც 2 კილომეტრშია, ალგეთის აყოლებაზე.

**არხოტი** ადგილობრივთა მიერ გადარქმეული სახელია, თორემ ადრე **„ახოთი“** ერქვა ამ სოფელს. 1552 წლის ერთი საბუთის თანახმად, მეფე ლუარსაბ I-ს სწორედ აქ, ალგეთს გაღმა ახოთში, შეუწირავს სასახლე ადგილი მცხეთის ეკლესიისთვის.

არხოტში ამჟამად ქარქუზაშვილები, ქოზაშვილები, ვალიშვილები (და ერთიც ზესიძედ შესული ქავთარაძე) ცხოვრობენ. სოფელს მოშიშვლებული ბორცვიდან თავს დასცქერის სასაფლაოზე მდგარი XIII საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. იგი ნაგებია მუქი და ბაცი, სუფთად გათლილი, ბაზალტის კვადრებით, ეკლესია აღმოსავლეთ მონაკვეთში 5-წახნაგა შვერილი აფსიდით სრულდება. სამხრეთის ერთადერთი კარის ტიმპანში ყოფილა გრძელი ასომთავრული წარწერა. ეს ამ ადგილების ყველაზე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ისევე, როგორც ალგეთის ხეობის სხვა სოფლებში, არხოტშიც ძალზე ორიგინალური და მეტყველი საფლავის ქვებია. მათზე გუთანი, პურის თავთავი და სხვა გამოუცნობი რელიეფებია. ყოველი მათგანი XVIII საუკუნეზე გაცილებით ადრინდელია.

ეკლესიის დასავლეთ მხარეს დევს მრგვალი, პროფილირებული ბაზისი, რომელიც, შესაძლოა, მინაშენის ორთაღედის დამჭერ სვეტს იყრდნობდა. აქ ადრე, ასევე, აღმოჩნდა ქვა, რომელიც თბილისში გადმოიტანეს. მასზე არის ისეთივე წარწერა, როგორც თონეთის ქვაზე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ არხოტის წარწერა რამდენადმე ვრცელია და დათარიღების საშუალებასაც იძლევა: **„წმ. გიორგი კავთისაი. ქ. ესე ბრძანებაი ჩემი არს, რუსუდან: ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალი არს მამული მათი ნასყიდითა და შეწირულითა. საწესო ნუ შალოთ ბრძანებაი“.**

როგორც ვხედავთ, რუსუდან მეფის ამ „ხელშიც“ კავთაა ნახსენები. რა ხდება, რა უნდოდა თონეთსა და არხოტში კავთის წმიდა გიორგის ქვას, როცა კავთა კასპის რაიონშია? საქმე ის არის, რომ კავთის ხსენებაზე ჩვენ სოფელი კავთისხევი გვახსენდება, ის კი გვავიწყდება, რომ კავთის წმიდა გიორგის მთავარი ეკლესია X საუკუნის „თავკავთა“ მდინარე კავთურის სათავეს ზემოდან დასცქერის. იგი თრიალეთის ქედის თხემზეა თითქმის, მაგრამ თავკათა მარტოოდენ ამის გამო არ ჰქვია მას — იგი კავთის უმთავრესი სალოცავია მთელ საქართველოში. თავკავთიდან ჩრდილოეთით შიდა ქართლია, სადაც არა მარტო კასპის რაიონში გვხვდება კავთის წმ. გიორგის ეკლესიები (კავთისხევი, ხოვლე), არამედ ქარელის რაიონშიც (სოფ. დვანი). იგივეს თქმა შეიძლება თავკავთის სამხრეთით გაშლილ ქვემო ქართლზე, სადაც უთუოდ იქნებოდა არა მარტო კავთის წმ. გიორგის ეკლესიები, არამედ ამ სახელწოდებიდან გამომდინარე ერთი ან შეიძლება უფრო მეტი სოფელიც; ერთი და იმავე სახელწოდების სოფლები ხომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. უეჭველია, რომ კავთის წმ. გიორგის ეკლესია და სოფელი კავთა ქვემო ქართლშიც ყოფილა, რასაც არა მარტო ალგეთის ხეობის „ხელის“ წარწერები ადასტურებს, არამედ ბოლნისის რაიონში, ფოლადაურის ხეობაში მდგარი XII საუკუნის დიდებული საყდრის „თევდორეწმიდის“ სამხრეთ კედლის ერთ-ერთი სამშენებლო წარწერა: **„ესე ქვაი ბერმან კავთელმან დასუა, შეუნდვენ ღმერთმან!“**

მკითხველს ვპირდებით, რომ მომავალში, როცა ფოლადაურის ხეობას ვეწვევით, ამ ეკლესიის თაობაზეც ვისაუბარებთ.

**ბელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები




არხოტის ტაძარი და საფლავის ქვები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კავკასიის ფრონტი და სარიყამიშის ბრძოლა

**კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციები 1914 წლის ოქტომბერში დაიწყო. თურქეთის ჯარებმა ერზრუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით შეუტიეს; დეკემბერში კი დიდი შეტევა ოლთისის რუსთა დაჯგუფების გასანადგურებლად წამოიწყეს. ძირითადი ბრძოლები 10-22 დეკემბერს სარიყამიშში მიმდინარეობდა.**
**1914 წლის დეკემბერსა და 1915 წლის იანვარში სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას კავკასიის რუსულმა არმიამ შეაჩერა თურქთა ჯარების შეტევა ყარსზე, შემდეგ კი გაანადგურა ისინი.**

**სარიყამიშის (ახლა თურქეთის ტერიტორია) რაიონში კავკასიის რუსულმა არმიამ დაამარცხა რუსეთის ამიერკავკასიაზე თავდამსხმელი თურქეთის მე-3 არმია გენერალ ენვერ-ფაშას მეთაურობით. თურქებმა 90 ათასი ადამიანი და 60-ზე მეტი ქვემეხი დაკარგეს; ხოლო რუსულმა არმიამ სულ — 20 ათასი კაცი (დაღუპული, დაჭრილი და ავადმყოფი).**

ეს ოპერაცია 1914 წლის 9 დეკემბრიდან 1915 წლის იანვრამდე გაგრძელდა. თურქეთის სარდლობას განზრახული ჰქონდა, ალყა შემოერტყა და გაენადგურებინა კავკასიის არმიის (გენერალი გ. ე. ბერხმანი) სარიყამიშის რაზმი, შემდეგ კი ყარსი დაეკავებინა.

მე-9 და მე-10 კორპუსების მთავარი დარტყმა თურქებმა 9 დეკემბერს ჩრდილო-დასავლეთ სარიყამიშს მიაყენეს, სადაც იმყოფებოდა იალტის რაზმი გენერალ ნ. გ. ისტომინის (დაახლოებით 8 ბატალიონი) მეთაურობით. მოიგერია რა მტერი, 12 დეკემბერს ორი თურქული კორპუსი მკაცრ ყინვაში სარიყამიშის მისადგომებთან გამოვიდა. ფრონტიდან სარიყამიშს თურქთა მე-11 კორპუსი უტევდა. თურქული სარდლობა სარიყამიშის ჩრდილოეთიდან დარტყმით აღებას გეგმავდა და ამით გენერალ ბერხმანის ზურგში მოქცევას აპირებდა, მოუჭრიდა რა მას უკან დასახევ გზას.

ჩრდილოეთიდან თურქთა ძალების სარიყამიშთან მიახლოების მომენტში ქალაქში მხოლოდ მცირერიცხოვანი საჯარისო ნაწილები იმყოფებოდნენ. ამ დროს სარიყამიშში გავლით იმყოფებოდა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ბუკრეტოვი. ის სათავეში ჩაუდგა ქალაქში თავმოყრილ რაზმს და გმირულად მოიგერია თურქთა მე-10 კორპუსის შემოტევა. 14 დეკემბერს ქალაქის დამცველებს კაზაკთა პირველი პოლკი მიეშველა. სარიყამიშის დაცვას გენერალი მ. ა. პრჟევალსკი ხელმძღვანელობდა. მალე დაცვის გასაძლიერებლად ფრონტიდან დამატებითი ძალებიც მოვიდნენ.

კავკასიის ფრონტის მეთაურმა, გენერალმა ა. ზ. მიშლაევსკიმ ოპერაცია წაგებულად მიიჩნია და უკან დახევის ბრძანება გასცა, მაგრამ უკან დახევა დაგვიანებული აღმოჩნდა, რამდენადაც თურქთა მე-10 კორპუსმა გადაჭრა სარიყამიშის გზა — ყარსის შოსე. ამით სარიყამიშის რაიონში კავშირი რუსულ ჯარებსა და ტფილისს შორის გაწყდა. შეწყდა, ასევე, რადიონფორმაციებიც, რადგან ერთადერთი რადიოსადგური თურქებმა ააფეთქეს. უკან დახევა 20-გრადუსიან ყინვაში თოვლით დაფარული მთებით სარიყამიშელთათვის დაღუპვის ტოლფასი იყო. ქალაქის დამცველებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ. უკან დახევის ბრძანების მიუხედავად, ისინი ჯიუტად იცავდნენ ქალაქს.

რუს ჯარისკაცთა შეუპოვრობამ და თავიანთი ბაზის დაცვის ინიციატივამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ოპერაციაში, რომლის წარმატებაც ძაფზე ეკიდა. ვერ შეძლეს რა ერთბაშად სარიყამიშის აღება, ორი თურქული კორპუსი ყინულის ალყაში მოექცა, რაც მათთვის საბედისწერო შეიქნა. თურქულმა ჯარებმა მხოლოდ ერთ დღეში, 14 დეკემბერს, 10 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, რომლებმაც ძლიერ ყინვას ვერ გაუძლეს და გაიყინნენ. 17 დეკემბერს სარიყამიშის ასაღებად თურქთა ბოლო მცდელობა, რასაც რუსთა კონტრშეტევები დაუპირისპირდა, თურქთა მარცხით დასრულდა. ენვერ-ფაშამ გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა და მთავარი დარტყმა ყარაურღანზე გადაეტანა, რომელსაც სარიყამიშის რაზმის ნაწილები იცავდა.


გენერალი ნ.იუდენიჩი


გენერალი მ.ა. პრჟევალსკი

19 დეკემბერს სარიყამიშთან შეტევაზე გადასულმა რუსულმა ჯარებმა მთლიანად მოიქციეს ალყაში გათიშული მე-9 თურქული კორპუსი. სამდღიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მისმა ნარჩენებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. თურქთა მე-10 კორპუსის ჯარისკაცებმა უკან დახევა მოასწრეს, მაგრამ არდალანთან, მიიღეს რა შევსება იალტის რაზმისგან, მოწინააღმდეგეს მაინც ვერ გაუმკლავდნენ და დამარცხდნენ.

25 დეკემბერს კავკასიის არმიის მეთაურად გენერალი ნ. ნ. იუდენიჩი დაინიშნა, რომელმაც კონტრშეტევის ბრძანება გასცა ყარაურღანთანაც. 1915 წლის 5 იანვრისათვის, გადაისროლეს რა მე-3 არმიის ნარჩენები 30-40 კმ-ზე, რუსებმა შეწყვიტეს თურქთა დევნა, თუმცა ოცგრადუსიან ყინვაში მდევარი აღარც კი იყო საჭირო — ენვერ-ფაშამ 78 ათასი კაცი, თავისი შემადგენლობის 80% დაკარგა. რუსთა დანაკარგმა კი 26 ათასი კაცი შეადგინა. სარიყამიშის შემდეგ ომმა კავკასიის ფრონტზე პოზიციური ხასიათი მიიღო. ომის წლებში ერთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და ეროვნული საკითხი გააქტიურდა. აჭარის ინტელიგენტური წრეები ჰაიდარ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის სახიფ-ეფენდი მეხეშიძის, რ. დიასამიძის, ო. გურგენიძის, ა. მიქელაძის, ყედემ-აღა ზაქარიაძის და სხვათა შემადგენლობით ენერგიულად იბრძოდნენ, რათა მოსახლეობაში ხოჯებისა და მოლების ისლამისტური საქმიანობა გაექარწყლებინათ და აჭარა მკვიდრად შემოეყვანათ ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში. **თურქი დამპყრობლები თავის მხრივ სისტემატურად აწყობდნენ თავდასხმებს მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის მიწა-წყალზე, ჟლეტდნენ მოსახლეობას, ანგრევდნენ და აპარტახებდნენ სოფლებს. ქართველი ხალხი აჭარელ თანამემამულეთა დასახმარებლად ენერგიას და სახსრებს არ იშურედა.**

**თურქეთის ხელისუფლება აგენტებს გზავნიდა აფხაზეთში. შეძლებულ მემამულეებს დიდ პრივილეგიებს აღუთქვამდა, თუ ისინი აფხაზეთიდან რუსეთის გამოდევნასა და ამ მხარის თურქეთისათვის მიერთებაში დაეხმარებოდნენ. ზოგი აფხაზი ნაციონალისტი აჰყვა კიდეც პანთურქისტულ პროპაგანდას.**

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში თანდათან ტოვებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა უფროსი თაობა. 1912 წლის პირველ ივნისს გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი. მისი დაკრძალვა ნამდვილ სახალხო გლოვად იქცა. ერის დიდ მოამაგეს, ქართული ენის ამაგდარ ქომაგს, დაუცხრომელ მებრძოლს საქართველოს პროგრესისათვის სამუდამო განსასვენებელი ხალხმა მთაწმინდაზე მიუჩინა.

1913 წელს გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით დაიტირა ეს უანგარო და უნიჭიერესი პატრიოტი მოაზროვნე. ეროვნული მოღვაწისადმი ხალხის ღრმა პატივისცემა ჩაქსოვილია თბილისელ მუშათა იმ გვირგვინში, რომელიც დიდუბის პანთეონში დღესაც ამკობს განსვენებულის საფლავს.

1915 წლის 25 იანვარს სოფ. სხვიტორში სამუდამოდ დადუმდა აკაკის ქნარი. სახალხო პოეტი, რომელსაც ქვეყნის „უგვირგვინო მეფის" ტიტული ჰქონდა მინიჭებული, დიდი პატივით დაკრძალეს მთაწმინდაზე.

1915 წელსვე წმიდა ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლა უნივერსიტეტის 86 აუდიტორია) გარდაიცვალა ქართული პოეზიის არწივი — ვაჟა ფშაველა. „ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ფენდა მთელ საქართველოს. გაფრინდა „მთის არწივი". ვაჟა მოგვიკვდა, ფშაველა!" — თქვა გამოსათხოვარ სიტყვაში კორნელი კეკელიძემ.

მსოფლიო ომის დაწყებამ ამ თაობის წინაშე პრაქტიკულად დააყენა სამშობლოს მომავალი ბედ-იღბლის საკითხი. **რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას საკუთარი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ, მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას ყველა მეომარ ქვეყანაში და მონარქიული რეჟიმის მოსპობის შემდეგ დემოკრატიული წყობილების დამყარებას.** ამ ლოზუნგს, როგორც ანტიპატრიოტულს, რუს ხალხში გავლენა არ ჰქონია. რუსეთის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა იდგა „ობორონცულ", ე.ი. საკუთარი მთავრობის დახმარების პოზიციაზე. ასეთივე თვალსაზრისზე იდგნენ, ძირითადად, მენშევიკი სოციალ-დემოკრატებიც.

**რუსების გამარჯვებამ სარიყამიშთან საბოლოოდ დააცხრო თურქთა აგრესია ამიერკავკასიაში და გაამყარა კავკასიის არმიის პოზიციები. სარიყამიშის ოპერაციამ აჩვენა, რომ ამ ბრძოლაში მთავარი და გადამწყვეტი როლი უმაღლეს სარდლობას კი არ შეუსრულებია, არამედ ჯარების ინიციატივასა და ჯარისკაცთა მამაცობასა და თავგანწირვას.** „სარიყამიშის ოპერაცია" თურქთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა. თურქეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში წარმატებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. **საქართველოს იმ დროს რჩეული ოფიცრობა ჰყავდა; ესენი იყვნენ: გიორგი მაზნიაშვილი, გიორგი კვინიტაძე (ჩიქოვანი), აბელ (ბალო) მაყაშვილი, შალვა მაღლაკელიძე, ვასილ გაბაშვილი (გაბაევი), სეით რაზმაძე, ივლიანე ყიფიანი და სხვ.**

**მაგალითად, სარიყამიშის ოპერაციაში თურქთა ერთი დივიზია გენერალ-მაიორ გაბაშვილის რაზმმა მთლიანად გაანადგურა.**

**ვასილ დავითის ძე გაბაშვილი (1868-1947) რუსეთის იმპერიის გენერალი გახდა. იგი რუსეთში ცნობილი იყო გაბაევის გვარით და იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სამსახურში იდგა. 1916 წელს ვ. გაბაშვილი გენერალ-ლეიტენანტი გახდა; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და პირველ მსოფლიო ომებში. 1916-1917 წლებში იგი გახლდათ ტფილისის სამხედრო კომენდანტი; გამორჩეული სამსახურისათვის და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოები: წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი — 1906 წელს; წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენი — 1908 წელს; 1911 წელს დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო 1918-21 წლებში იყო ქართული არმიის კორპუსის მეთაური; 1921 წლიდან გადადგა.**

**დასასრული შემდეგ ნომერში**



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მკვლელობაში ბრალდებული სისხლის აღებას უარყოფს

**ეს მკვლელობა სვანეთში ცხრა წლის წინათ, გიორგობის დღესასწაულამდე ორი დღით ადრე მოხდა. გამოძიების მასალების მიხედვით, საქმე სისხლის აღებასთან გვაქვს. კაცი მოკლეს, შემდეგ კი მოკლულის ნათესავმა შური იძია, თუმცა ასე არ ფიქრობს ბრალდებულის სანათესაო. მათ ყველაფერი გააკეთეს დაკავებულის გასამართლებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.**



მკვლელობა მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში 2001 წლის 21 ნოემბერს მოხდა. 26 წლის ემზარ ჭკადუას მკვლელობაში ეჭვმიტანილი 28 წლის გენრი ჭკადუა სამართალდამცავებმა დანაშაულის ჩადენიდან ხუთი წლის შემდეგ — 2006 წლის 16 აგვისტოს სამეგრელოში, ჯვარში, დააკავეს.

**საქმის მასალების მიხედვით, 1995 წლის აგვისტოში ემზარ ჭკადუამ ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებელი გასროლით მოკლა სოფელ ხაიშში მცხოვრები გიორგი ჯაში, რომელიც გენრი ჭკადუას დეიდაშვილი აღმოჩნდა. სხვა ნათესავებთან ერთად, ისიც მტრობდა დამნაშავეს და სამაგიეროს გადახდით იმუქრებოდა,** თუმცა მსჯავრდებულის დეიდა — მზია ჯაში შურისძიების ფაქტს გამორიცხავს: **„ჩემი შვილი 1994 წელს მოკლეს და არა — 1995 წელს, როგორც ეს საქმის მასალებში წერია. როცა ჩემი შვილი მოკლეს, მაშინ ჩემი დისშვილი 15 წლისა იყო. ემზარი ნარკობარიგა იყო და მტრები ჰყავდა. ამ საქმის გამომძიებელ მჭედლიანს ვუთხარი, რომ ემზარ ჭკადუა მათ მოიშორეს, რადგან მათ შესახებ ბევრი იცოდა. როდესაც ემზარ ჭკადუა მოკლეს, მაშინვე თქვეს — ვინ მოკლავდა, თუ არა ჯაშის რომელიმე ნათესავიო. ჩემი შვილის მკვლელობა დღესაც გაუხსნელია.**

**სასამართლო სხდომაზე პროკურორ ტერენტი კოკაიას ვუთხარი, მე დღესაც არ ვიცი, ჩემი შვილი ვინ მოკლა და შენ რის საფუძველზე მიმტკიცებ, რომ ემზარ ჭკადუა გენრი ჭკადუამ მოკლამეთქი...“**

მისივე თქმით, ემზარ ჭკადუა მკვლელობისთვის დააკავეს, მაგრამ საბოლოოდ იგი არა მკვლელობისთვის, არამედ იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებისთვის გაასამართლეს.

**საქმის მასალების მიხედვით, 2001 წლის 21 ნოემბერს გენრი ჭკადუა ხაიშის საკრებულოს ცენტრში იმყოფებოდა, სადაც მან ემზარ ჭკადუას მოჰკრა თვალი და ჯაშის მკვლელობისთვის სამაგიეროს გადახდა განიზრახა. სახლიდან იარაღი გამოიტანა და ენგურის ხიდით გაღმა ხაიშში გადავიდა. მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარე ტყეში ხელსაყრელი ადგილი შეარჩია და შინ მიმავალ ემზარ ჭკადუას დაუდარაჯდა.**

**დაახლოებით საღამოს 7 საათზე გენრი ჭკადუამ ხიდზე მომავალი ემზარ ჭკადუა შენიშნა, იარაღი მოიმარჯვა და ორჯერ ესროლა. ჭკადუა მარჯვენა იღლიასა და წელის არეში დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა, გენრი ჭკადუა კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

საბრალდებო დასკვნაში მკვლელობის დროდ 19.00 საათია მითითებული, თუმცა მკვლელობის მეორე დღეს, ანუ 2001 წლის 22 ნოემბერს, პოლიციის შეტყობინებაში ჭკადუას მკვლელობის დროდ 24 საათია დაფიქსირებული (?). გამოძიებამ გენრი ჭკადუას მიმართ სს საქმე მოკლულის ბიძაშვილის, ირაკლი ჭკადუას ჩვენების საფუძველზე აღძრა. მან თქვა, რომ ემზარ ჭკადუა სწორედ გენრი ჭკადუამ მოკლა.

**„2001 წლის 21 ნოემბერს მე და ემზარი ხაიშის ცენტრში პირად საქმეზე ვიმყოფებოდით. ჩვენი სოფელი ხაიშის ცენტრიდან დაახლოებით 2 კილომეტრით არის დაშორებული. როცა ჩვენს საქმეს მოვრჩით, წამოვედით. გამოვიარეთ თუ არა ენგურის ხიდი, შევჩერდით. ემზარმა ცხენზე შემსვა, მოტრიალდა და, სანამ თვითონაც შეჯდებოდა, იქვე თანასოფლელი რაჯი ჭკადუა დაინახა. მე გზას გავუდექი. ამ დროს ორჯერ გასროლის ხმა გავიგონე. ემზარის მიმართულებით მივიხედე და შევნიშნე, მიწაზე დავარდა. მასთან მივედი, თან ამ დროს დავინახე ხიდზე აჩქარებით მიმავალი გენრი ჭკადუა. მან ესროლა ემზარ ჭკადუას. სხვა იქ არავინ მინახავს. მე აშკარად გავარჩიე ხიდზე მიმავალი გენრი ჭკადუა. იგი გარბოდა გაღმა ხაიშისაკენ,“** — ამბობს ირაკლი ჭკადუა, თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ანუ როდესაც გენრი ჭკადუა დააკავეს, ირაკლი ჭკადუამ პირველი ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ემზარ ჭკადუას მკვლელის ვინაობა მისთვის უცნობია: **„ხიდზე ვიღაც გარბოდა, მაგრამ ვერ ვიცანი, ვინ იყო. ვინაიდან ბნელოდა და ძლიერ თოვდა, მისი აღნაგობა და ჩაცმულობაც ვერ გავარჩიე.“**

მორიგ დაკითხვაზე ირაკლი ჭკადუამ ისევ შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ მას უცნობი პიროვნება დაემუქრა, — თუ გენრი ჭკადუას საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემ, ოჯახს ამოგიხოცავო; მესამე დაკითხვაზე კი პირველი ჩვენების სისწორე დაადასტურა.

ერთი სიტყვით, ამ საქმეში შეცვლილი ჩვენებები უხვადაა. გამონაკლისი არც მოკლულის ძმა ომარ ჭკადუა აღმოჩნდა. თუ იგი თავის პირველ ჩვენებაში ამბობდა, რომ მისი ძმა სწორედ გენრიმ მოკლა, ამ უკანასკნელის დაკავების შემდეგ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ არ იცის, ვინ არის მისი ძმის მკვლელი. ამასთან, დასძინა, რომ მათ ოჯახებს შორის, სვანური ტრადიციისამებრ, საუბარიც შედგა: **„ყველაფერი გავარკვიეთ, დავრწმუნდი, რომ გენრი ჭკადუას ჩემი ძმა არ მოუკლავს.“**

გარკვეული დროის შემდეგ ომარ ჭკადუამ მკვლელობაში კვლავ გენრი ჭკადუა დაადანაშაულა და, ირაკლი ჭკადუას მსგავსად, განაცხადა, რომ უცნობი პიროვნება ოჯახის ამოხოცვით დაემუქრა, თუ გენრის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემდა.

მოკლულის დეიდა ნორა ჭკადუა ამბობს, რომ მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე გაღმა ხაიშში მყოფი გენრი ჭკადუა ნახა: **„2001 წლის 21 ნოემბერს შინ ვიყავი, დაახლოებით საღამოს 5 საათი იქნებოდა, აივანზე ვიდექი, სტვენა მომესმა, გავიხედე და გენრი ჭკადუა დავინახე, რომელიც გაღმა ხაიშში იყო და თავის დეიდაშვილს — ონისე ჩილეჩავას ეძახდა. სახლში შევედი. რამდენიმე წუთის შემდეგ გასროლის ხმა გავიგონე. გარეთ გავედი და ჩემი მეზობლებისაგან შევიტყვე, რომ ემზარი გენრი ჭკადუას მოუკლავს.“**

პროცესზე მან განაცხადა, რომ გამოძიებას თავდაპირველად არასწორი ჩვენება მისცა: **„მაშინ რა ჩვენებაც მივეცი, იმას არ ვეთანხმები. ეს იყო ჭორიდან გამომდინარე. ჩემი თვალით რაც არ მინახავს, რა ვთქვა. როცა სროლა გავიგონე, სახლში ვიყავი“.**

ამ საქმის გარშემო სხვა მოწმეებიც დაკითხეს; მათ შორის, იმ სასადილოში, რომლის მახლობლადაც მკვლელობა მოხდა, მომუშავე ელენე ჭკადუაც. იგი ამბობს, რომ მკვლელობის დღეს, საღამოხანს, სასადილოში ირაკლი და ემზარ ჭკადუები ნასვამები შემოვიდნენ და იქ თითქმის ერთი საათი დაჰყვეს. ამის შემდეგ ქალმა მამაკაცები გააცილა და სასადილოსკენ მიბრუნდა.

**„ის-ის იყო სასადილოსკენ გამოვბრუნდი, რომ გასროლის ხმა გავიგონე. მივხვდი, რომ ირაკლისა და ემზარს რაღაც შეემთხვათ. მათკენ სირბილით წავედი. ხიდიდან 10-15 მეტრში საცალფეხო გზაზე ემზარ ჭკადუა ეგდო. სროლის შემდეგ და სროლამდეც ხიდსა და სამანქანო გზის მონაკვეთზე არავინ დამინახავს,“** — განაცხადა ელენე ჭკადუამ.

დაკავებულის მეზობელი ნონა ჭკადუა ამბობს, რომ მკვლელობის დღეს მისი ქმარი გენრის შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა. შემდეგ ქალმა მათ სუფრა გაუშალა და მამაკაცები მარტო დატოვა. მეზობლისგან მისი მეუღლე დაახლოებით ღამის 11 საათზე დაბრუნებულა.

მაგრამ სასამართლომ მათი ჩვენებები იმ მოტივით არ გაიზიარა, რომ, მხარეთა შორის სვანური ტრადიციით მომხდარი შერიგების გამო, მოწმეები გენრი ჭკადუასთვის პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობდნენ.

თავად განსასჯელმა დანაშაული არ აღიარა. მან თქვა: **„ემზარ ჭკადუას არ ვიცნობდი... ემზარ ჭკადუა არ მომიკლავს, როცა ჩემი დეიდაშვილი — გიორგი ჯაში შემოაკვდა ემზარ ჭკადუას, მე არასრულწლოვანი ვიყავი და რაიმე შურისძიებაზე არ მიფიქრია. ემზარის მკვლელობის დღეს, დილით, შემატყობინეს, რომ ახლობელთან წასულ დედაჩემს ფეხი უტკენია. მაშინვე წავედი დედის წამოსაყვანად. შემდეგ ჩემი მეზობლის — ანზორ ჭკადუას დახმარებით შეშა დავჩეხე და, რადგან ძალიან თოვდა, დავაბინავე კიდეც. შემდეგ სახლში შევედით და სუფრას მივუსხედით... სახლიდან ფეხი არ გამიდგამს“. მან ისიც აღნიშნა, რომ გამოძიებას არ დამალვია“.**

მსჯავრდებულის დეიდის — მზია ჯაშის თქმით, **„ოდითგანვე მთის წესებით ირჩეოდა საქმეები. ემზარ ჭკადუას დეიდამ, ნორა ჭკადუამ თქვა, რომ ყველა მე შევიყვანე შეცდომაში; ჩვენ ვიცით, რომ გენრი მკვლელი არ არისო. ჩვენი, სვანური წესით ხატზე დაფიცება უტყუარია“.**

გენრი ჭკადუა 2007 წლის 30 აპრილს მესტიის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და მოსამართლე ნუგზარ ბურდულმა მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შემდეგ ოჯახმა განაჩენი გაასაჩივრა, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვერდიქტი უცვლელი დატოვა. ბოლოს მოსარჩელეებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს. თუმცა ამ ინსტანციამ საქმის განხილვაზე უარი თქვა და განაჩენი ძალაში დატოვა. დაკავებულის დეიდამ განაცხადა, რომ ისინი სტრასბურგის სასამართლოს მიმართავენ.

# მევალეებისგან შეწუხებულმა ძმისშვილმა ბიძა ფულის გამო მოკლა

**ეს მკვლელობა თბილისში მოხდა მიმდინარე წლის აპრილში. სორდია დილით საკუთარ საწოლში თავგაჩეხილი იპოვეს. მეზობლები, ოჯახის წევრები მომხდარს ვერაფრით ხსნიდნენ, რადგან ამბობდნენ, რომ მოკლულს მტრები არ ჰყავდა.**
**გამოძიებამ მკვლელობის მოტივი მალევე ახსნა — მოკლულს წინა დღით იპოთეკური სესხი აუღია, აღებულ თანხას — 10 200 დოლარს სახლში ინახავდა. ამის შესახებ დამნაშავესთვის ცნობილი იყო. მართალია, სორდია საიქიოს გზას გაუყენა, მაგრამ ფულს ვერ მიაგნო. მოკლულის გაოგნებულ ოჯახს წინ კიდევ ერთი შოკი ელოდა – მკვლელობაში ბრალდებული მოკლულის ძმისშვილი აღმოჩნდა.**

მკვლელობა ნუცუბიძის ერთ-ერთ მიკრორაიონში მოხდა. 4 აპრილს, საღამოს, გენო სორდიას ძმისშვილი – ბესო სორდია ესტუმრა. მათ მთელი დღე ერთად გაატარეს. ძმისშვილმა ნაგვიანევი სტუმრობა იმით ახსნა, რომ სახლში მევალეები ჰყავდა და ვერ ბრუნდებოდა. ბიძამ ძმისშვილს დარჩენა შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო — გვიანობამდე დავრჩები და მერე წავალო.

იმ ღამით ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე ფეხბურთის მატჩს უჩვენებდნენ, რომელსაც ბიძა-ძმისშვილმაც უყურა. შუაღამეს, როცა გადაცემა დასრულდა, მასპინძელმა ძმისშვილს სასტუმრო ოთახში უსიტყვოდ გაუშალა საწოლი, თვითონ კი თავის საძინებელს მიაშურა.

**ფიქრებში წასულ ბესო სორდიას არ დაეძინა. ადგა. ბიძის ოთახში შევიდა და მძინარეს თავში სკამი ჩაარტყა. ეგონა, მოკლა, ამიტომ მშვიდად შეუდგა ფულის ძებნას. თანხა ბიძის საწოლში, ლეიბის ქვეშ ეგულებოდა, თუმცა მოლოდინი გაუცრუვდა. რა აღარ ილონა, მაგრამ ფულს მაინც ვერ მიაგნო.**

**მომაკვდავის ხროტინმა საგონებელში ჩააგდო. მიხვდა, რომ მსხვერპლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სამზარეულოში გაზის მილი გადაჭრა, მაგრამ მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია. ბიძას ბალიში დააფარა სახეზე და გაგუდა. ამის მერე ხელმოცარულმა ბინის კარი ჩაკეტა და წავიდა. გასაღები გზაზე შემხვედრ ჭაში ჩააგდო, თვითონ ტაქსი გააჩერა და შინისკენ გაემართა.**

სამართალდამცველებმა იგი მკვლელობის მეორე დღეს — 5 აპრილს დააკავეს. მან მაშინვე აღიარა დანაშაული.

დაკავებულს მეუღლე და 4 შვილი ჰყავს. მუშაობდა „საქართველოს ბანკში“, სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა. ეკონომიკური კრიზისის დროს, ბევრის მსგავსად, ისიც სამსახურის გარეშე დარჩა. კერძო ბიზნესის წამოწყება სცადა, მაგრამ საქმე ჩაუვარდა და ვალებიც დაედო. როგორც ამბობს, მევალეები გასაქანს არ აძლევდნენ, არ იცოდა როგორ დაეფარა ვალი. ყველაფერი ეს ბიძის მკვლელობის მიზეზი გახდა — თანხა მასთან ეგულებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, **ბესო სორდიას ერთ-ერთ ბიძას — თემურ სორდიას გულის ოპერაცია დასჭირდა. იგი თავის ძმასთან, აწ გარდაცვლილ გენო სორდიასთან გადავიდა საცხოვრებლად (მოკლული განქორწინებული იყო, მარტო ცხოვრობდა. იმავე კორპუსის მე-9 სართულზე კი მისი ყოფილი ცოლი, შვილი და რძალი ცხოვრობდნენ).**

**2009 წლის 26 მარტს თემურ სორდია და მოკლულის შვილი ირაკლი სორდია თურქეთში გაემგზავრნენ, სადაც ბიძისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. მკურნალობისთვის საჭირო თანხა ნათესავებმა შეაგროვეს. მათ შორის, ავადმყოფს დისშვილმა 10000 დოლარი მისცა. მალე გაირკვა, რომ დამატებით მკურნალობისთვის 10100 დოლარი იყო საჭირო. ძმის დასახმარებლად გენო სორდიამ თავისი ბინა იპოთეკით დატვირთა. ამაში კი მას ძმისშვილი ბესო სორდია დაეხმარა. თანხას შიდა ქართლიდან დევნილი აპროცენტებდა. სესხი 4 აპრილს აიღეს და ხელშეკრულებაც გააფორმეს, მაგრამ სორდიამ თანხის იმავე დღეს გადარიცხვა ვერ მოასწრო. მას ხელზე 10200 დოლარი მისცეს, რაც სახლში წაიღო და ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ გადამალა.**

**მართალია, ბესომ იცოდა, რომ ბიძა ფულს სახლში ინახავდა, მაგრამ სამალავის შესახებ არაფერი იცოდა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლელობის მეორე დღეს სორდია დააკავეს. მანამდე კი იგი მოწმის სახით დაკითხეს. როგორც მისი მამიდაშვილი იხსენებს, ბიძის მკვლელობა სწორედ ბესომ შეატყობინა — „დავიღუპეთ, დაგვაქციესო“.

თავად ბრალდებული გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მკვლელობის დეტალებზე დაწვრილებით საუბრობს.

**„1 თუ 2 აპრილს დამირეკა ბიძაჩემმა და მთხოვა, მეშოვა თანხა პროცენტით. მან იცოდა, რომ მე მყავდა ნაცნობები, რომლებიც თანხას აპროცენტებდნენ, რაზეც ფორმდებოდა იპოთეკური სესხები.**

**ბინა ნახეს და მოეწონათ. გადაწყდა, რომ იპოთეკური სესხით ბიძაჩემს ფულს მისცემდნენ. მერე ნოტარიუსთან წავედით. ხსენებულმა პირებმა ბიძაჩემს 12 ათასი დოლარი მისცეს. უფრო სწორად, ამ თანხაზე გაფორმდა ხელშეკრულება. ბიძაჩემმა ხელზე აიღო 10200 დოლარი. ამის მერე ბიძაჩემმა სახლამდე მიმაცილა და თვითონაც შინ წავიდა. სახლის გადაფორმებას და სხვა პროცედურებს დიდი დრო დასჭირდა, ამიტომ თურქეთში ფულის გადარიცხვა ვერ მოხერხდა. ფული ბიძაჩემმა წაიღო სახლში. შინ მისვლის შემდეგ მეუღლესთან მქონდა საუბარი ჩემს ვალებთან დაკავშირებით. პასუხად მითხრა, მეტის ატანა არ შემიძლია და თავს მოვიკლავო. ამასთან, ორშაბათს ფული შესატანი მქონდა და მევალეებიც მაწუხებდნენ.**

▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 5 წელი... შოკოლადის ქურდობისთვის



**15 წლის მურაზ მახმუდოვი შოკოლადის ქურდობისთვის ორჯერ დააკავეს. საქმეში სახალხო დამცველის აპარატი რომ არ ჩარეულიყო, მოზარდს 5 წლით დააპატიმრებდნენ.**

მურაზ მახმუდოვი პოლიციამ 7 მაისს საბავშვო საკონდიტრო ნაწარმის ქურდობისთვის დააკავა. დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა მას 90 ცალი „სისი-ბოქსის" მოპარვაში სდებდა ბრალს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოში პროკურორი ინგა გოგია მოზარდის დაპატიმრებას ითხოვდა.

მურაზ მახმუდოვის მიმართ სს საქმე აღიძრა 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რაც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**„7 მაისს, დაახლოებით დღის სამ საათზე, მახმუდოვი მივიდა ქეთევან ახსაბაძის სავაჭრო კონტეინერთან და ფარულად დაეუფლა საბავშვო საკონდიტრო ნაწარმს. კერძოდ, მუყაოს ყუთში ჩალაგებულ ცხრა ლარად ღირებულ 90 ცალ „სისი-ბოქსს" და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა, თუმცა იგი დიდუბე-ჩუღურეთის სს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს",** — განაცხადა პროკურორმა.

პროცესზე მოსამართლე მერაბ ჯორბენაძეს გამომძიებელმა ნიკოლოზ ჯამასპაშვილმა შუამდგომლობით მიმართა, რომ მახმუდოვისთვის პატიმრობა შეეფარდებინათ.

**„მე მოვითხოვე მისი დაპატიმრება იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებას და არ გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. აღსანიშნავია ისიც, რომ მახმუდოვმა დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის დროს",** — აღნიშნა გამომძიებელმა ჯამასპაშვილმა.

ბრალდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დავით არაბულმა მოსამართლეს თხოვნით მიმართა, არ დაეკმაყოფილებინა გამომძიებლის ეს შუამდგომლობა.

**„მახმუდოვის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიების არც ერთი სახე, არც პატიმრობა და არც გირაო, რადგან ზარალი მცირე ოდენობისაა და თან არასრულწლოვანთან გვაქვს საქმე",** — განაცხადა ადვოკატმა.

მახმუდოვის დედამ — დარეჯან ალოიანმა სასამართლოს სთხოვა, შვილი მისი მეთვალყურეობის ქვეშ გაეთავისუფლებინათ. საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ დააკმაყოფილა დარეჯან ალოიანის თხოვნა, ამგვარი გადაწყვეტილება კი იმით დაასაბუთა, რომ განსასჯელი არასრულწლოვანია, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და იზრდება მარტოხელა დედასთან.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პროკურორმა ინგა გოგიამ მიღებული ვერდიქტი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მოზარდის დაპატიმრება კატეგორიულად მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დავით ერქვანიას ადვოკატმა დავით არაბულმა მიმართა თხოვნით, მხედველობაში მიეღო ზარალის სიმცირე — 9 ლარი, და მოზარდი მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ დაეტოვებინა, თუმცა მოსამართლემ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და 15 წლის მოზარდის დარბაზში დაპატიმრება ბრძანა. მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ მახმუდოვი ადრე წვრილმანი ქურდობიათვის იყო დაკავებული და მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ პირობით გაშვებული.

სააპელაციო სასამართლომ საქმე კვლავ სასამართლოს გადაუგზავნა. ამჯერად საქმეში სასამართლოს გადაწყვეტილებით აღშფოთებული სახალხო დამცველის აპარატი ჩაერთო და არასრულწლოვანის მდგომარეობის გასარკვევად ფსიქოლოგთან ერთად ციხეში მოინახულა. გამოკვლევის შემდეგ სასამართლოს წარუდგინეს დასკვნა, რომლის თანახმადაც მოზარდი ამ მდგომარეობამდე ოჯახში შექმნილმა მძიმე სოციალურმა პირობებმა მიიყვანა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაცემულ დასკვნაში წერია, რომ ერთადერთი გამოსავალი, რაც მახმუდოვის ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს, მისი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსებაა და არა ციხეში გაშვება.

**„ეს დასკვნა წარვუდგინეთ მოსამართლეს და ყველანაირად ვეცადეთ, გადაგვერჩინა 15 წლის მოზარდი, რომ კრიმინალად არ ჩამოყალიბებულიყო. მივმართეთ გენერალურ პროკურატურასაც, მაგრამ გენერალურმა არც განიხილა, ისე გადაუგზავნა განსახილველად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბავშვი გარკვეული დროით ქუთაისის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსდეს",** — ამბობს ადვოკატი არაბული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროკურორი ინგა გოგია საქმეს ჩამოაშორეს, ვინაიდან მას არასრულწლოვანთან მუშაობის სპეციალური კურსები არ გაუვლია, რის გამოც სასამართლო პროცესზე არასრულწლოვანისთვის ბრალის წარდგენის უფლება არ ჰქონდა.

# ხანძარი უნივერსიტეტში და შეურაცხადი ბრალდებული

**შარშან, გაზაფხულზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ოთახში ხანძრის გაჩენისთვის ამავე უნივერსიტეტის თანამშრომელი, 55 წლის თამარ ჭყონია დააკავეს. არავინ დაინტერესებულა ამ დანაშაულებრივი ქმედების მოტივით — არც პროკურატურას და არც სასამართლოს დაუსვამს კითხვა, რამ მიიყვანა 55 წლის ქალბატონი ამ მძიმე მდგომარეობამდე.**



**„შეურაცხყოფილმა თამრიკომ გადაწყვიტა, გაენადგურებინა ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო",** — ამბობენ მისი მეგობრები.

2008 წლის 19 მარტს თბილისის სს კოლეგიის მოსამართლე გიორგი ჩემიამ 55 წლის თამარ ჭყონიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჭყონიას ადვოკატი ავთო თეთრაშვილი დაკავებული ქალბატონის გათავისუფლებას გირაოთი ითხოვდა, თუმცა ადვოკატის ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. თამარ ჭყონიას მიმართ სს საქმე 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით — სხვისი ქონების განზრახ დაზიანებისთვის — აღიძრა.

საპატრულო პოლიციის გამომძიებელი ლევან გამყრელიძე თავის დადგენილებაში *(სტილი დაცულია)* წერს: **„2008 წლის 17 მარტს თამარ ჭყონიამ განიზრახა ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით შეიძინა საწვავი და მივიდა ჭავჭავაძის გამზირ №1-ში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. სადაც უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის კაბინეტის ფანჯრებს შეასხა საწვავი და „სპიჩკის" გამოყენებით წაუკიდა ცეცხლი.**

**ცეცხლის წაკიდების შემდეგ ჭყონიამ გადაწყვიტა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. თუმცა იგი უნივერსიტეტში მომუშავე მძღოლმა, თემურ მაჭახაშვილმა შეამჩნია, რომელმაც დაცვის თანამშრომლების დახმარებით მოახერხა მისი შეჩერება. ხოლო პატრულ ინსპექტორების მოსვლის შემდეგ იგი დააკავეს".**

მისივე თქმით, ჭყონიამ თავისი ქმედებით უნივერსიტეტს 2237 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი მიაყენა. მანვე მოითხოვა ჭყონიასთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება. გამომძიებლის ამ მოთხოვნას დაეთანხმა თბილისის პროკურატურის საპროცესო განყოფილების პროკურორი დავით ახვლედიანიც.

თავად თამარ ჭყონიამ პროცესზე დანაშაული აღიარა და მოინანია კიდეც.

**„თამარ ჭყონიამ ჩემთან განაცხადა, რომ მას თავის მოკვლა სურდა. იმ დროს აბსოლუტურად არაადეკვატური იყო – როგორ აღმოვჩნდი იქ, რატომ მივასხი საწვავი საკუთარ თავს და შენობას, არ მახსოვს, ყველაფერს გაუკონტროლებლად ვაკეთებდიო. ის ძალიან ნანობს ჩადენილ დანაშაულს. ჭყონიამ დაკავების შემდეგაც სცადა თვითმკვლელობა",** — ამბობს ადვოკატი თეთრაშვილი.

მისივე თქმით: **„ბრალდებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რის საფუძველზეც დაკავებულს უნდა შეფარდებოდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. მე კი წარმოვადგინე მრავალი მტკიცებულება, რის საფუძველზეც მის მიმართ არ უნდა განხორციელებულიყო საპატიმრო ღონისძიება. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ჩემიამ სასამართლო პროცესზე განაჩენის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა, სადაც თქვა, რომ ჭყონია დაპატიმრებულია. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რის საფუძველზე მიიღო ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ. მან პირდაპირ და უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა".**

**ნანა ტონია,** პროფესორი: **„დღემდე გაოგნებულები ვართ. თამრიკოს მთელი უნივერსიტეტი იცნობდა. ამ ფაქტმა ყველა შეძრა. როგორც ვიცი, ის ხელშეკრულებით მუშაობდა და ვერ გეტყვით, ემუქრებოდა თუ არა გათავისუფლება. თამრიკო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და გადაწყვიტა, გაენადგურებინა ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო. მან თავზეც გადაისხა საწვავი... თამრიკომ სასამართლოს წინაშე მოინანია დანაშაული. ის არ იყო საზოგადოებისთვის საშიში და არც მისი დაპატიმრება წარმოადგენდა აუცილებლობას".**

ადვოკატის მოთხოვნით, თამარ ჭყონიას ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა. ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ თამარ ჭყონია სულიერად დაავადებულია. იგი ქალთა კოლონიაში სამთვიანი პატიმრობის შემდეგ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**სახლში დიდხანს ვერ გავჩერდი. გარეთ გამოვედი. ვფიქრობდი, როგორ მეშოვა თანხა. გადავწყვიტე, ფული გენოსთვის წამერთმია".**

ამ მიზნით ბიძას გვიან საღამოს ესტუმრა. წინასწარ შემუშავებული გეგმა – კარის გაღებისთანავე თავში ჩაერტყა ბიძისთვის, სისრულეში ვერ მოიყვანა. ამბობს, რომ ვერ შეძლო. მასპინძელს გვიანი სტუმრობის მიზეზიც აუხსნა – სახლში მევალეები ელოდებოდნენ.

**„დარჩენა შემომთავაზა. ვუთხარი, რომ გვიანობამდე დავრჩებოდი და მერე წავიდოდი. ფეხბურთი დაიწყო და ერთად ვუყურებდით. ღამის ორ საათზე ბიძაჩემმა ბალიში და საბანი გამომიტანა. „ზალაში" დავწექი. გენომ კი თავის ოთახში დაიძინა.**

**ვალებზე ფიქრი არ მასვენებდა და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ბოლოს გადავწყვიტე, ფული წამეღო, ამისთვის კი ბიძაჩემი უნდა მომეკლა.**

**ავდექი. სამზარეულოდან პატარა სკამი გამოვიტანე. მივედი ბიძაჩემის ლოგინთან და მძინარეს თავში ჩავარტყი.**

**ლეიბის ქვეშ ხელი შევყავი, მაგრამ ვერაფერი ვნახე. ამ ხნის განმავლობაში ბიძაჩემი ხროტინებდა. თავიდან სდიოდა სისხლი. როცა მივხვდი, რომ თავში ჩარტყმით არ მოკვდა, ავიღე სამზარეულო დანა და გაზის მილი გადავჭერი, რომ გაგუდულიყო. ამის შემდეგ გამოვედი ბინიდან. კარი გასაღებით ჩავკეტე და ფეხით წამოვედი. გზაში, დაახლოებით 50 მეტრში, გასაღები ჭაში ჩავაგდე. გამვლელი ტაქსი გავაჩერე და ვარკეთილში წავედი",** — ამბობს თავის ჩვენებაში ბრალდებული.

სორდიას მკვლელობაზე სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით აღიძრა (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში). საქალაქო სასამართლოში სორდიას პროცესის განხილვა გასულ კვირას დაიწყო. სამწუხაროდ, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ციალა რატიანი მკვლელობასთან დაკავშირებით კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. იგი მოვლენების განვითარებას ელოდება.

„საქართველო და მსოფლიოს" ინფორმაციით, პროცესზე განსასჯელი უფრო საინტერესო დეტალების გახმიანებას აპირებს. ჩვენს მკითხველს მის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით მასალებს მოგვიანებით შევთავაზებთ.

# 30 წლის დარაჯმა გოგოს გამო მეგობარი მოკლა

**„მე ცოლს ვშორდებოდი და მირანდა უნდა შემერთო. ნავაძე კი მეუბნებოდა, – ეს გოგო მე დამითმეო." გოძიაშვილის ქუჩაზე ერთ-ერთი კერძო ფირმის დარაჯმა, 30 წლის ვაჟა ელბაქიძემ შელაპარაკების ნიადაგზე ამავე ფირმის დარაჯი, 25 წლის კონსტანტინე ნავაძე დანის ერთი დარტყმით მოკლა. მოკლული და ბრალდებული მეგობრები იყვნენ. როგორც ელბაქიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესზე განაცხადა, მკვლელობის მოტივი გოგონა იყო, რომლის დათმობასაც მეგობარი სთხოვდა.**

ელბაქიძე ნავაძის მკვლელობის ფაქტს არ უარყოფს. იგი აღიარებს, რომ მეგობარი მოკლა, თუმცა აცხადებს, რომ ეს იყო შემთხვევითობა და არა წინასწარ განზრახული მკვლელობა. როგორც პროკურორი აცხადებს, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

**„2008 წლის რვა ნოემბერს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, გოძიაშვილის ქ. №20-ში მდებარე შპს „გეიმის" ნასვამ დარაჯებს — ვაჟა ელბაქიძესა და კონსტანტინე ნავაძეს შელაპარაკება მოუვიდათ. ნავაძემ ელბაქიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც შემდგომ გინებასა და ჩხუბში გადაიზარდა. ელბაქიძემ ნავაძის მოკვლა განიზრახა და მას გულმკერდის არეში დანით ჭრილობა მიაყენა; შედეგად ნავაძე გარდაიცვალა,"** — აღნიშნავს პროკურორი.

პროკურორისაგან განსხვავებით, თავად განსასჯელი საკმაოდ ვრცლად და დეტალურად ჰყვება მომხდარის შესახებ. მისი თქმით, ნავაძესთან წინა დღესაც ჰქონდა კონფლიქტი.

**„მე და ნავაძემ სამი-ოთხი დღით ადრე მირანდას გამო ვიჩხუბეთ. მე ცოლს ვშორდებოდი და მირანდა უნდა შემერთო. ნავაძე კი მეუბნებოდა, — ეს გოგო მე დამითმეო. რვა ნოემბერს ერთად დავლიეთ და შევრიგდით... მოგვიანებით მე და მირანდა ერთად მივედით სამსახურში. ნავაძე ცუდ ხასიათზე დაგვხვდა. თან მისი ვალიც მქონდა 30 ლარი. მირანდას უთხრა, მაღაზიაში ერთად წავიდეთ სიგარეტის საყიდლადო, მაგრამ მე მირანდა არ გავუშვი. ამის გამო წავიჩხუბეთ. ნავაძემ ბოთლი დაამტვრია. მე მეორე ბოთლიც მივაწოდე, რომელიც მერე საწოლის თავზე გადავამტვრიე. შუშისნამსხვრევებიან ლოგინზე დამაგდო და მახრჩობდა, მაგრამ მირანდამ გაგვაშველა.**

**მერე, როცა ცოტათი დაწყნარდა, შევთანხმდით, დილით გავარკვევდით ყველაფერს და დასაძინებლად წავიდა. მე კი ცოცხის მოსატანად გავედი, მაგრამ ნავაძე გარეთ დამხვდა და ოთახში შემყვა. იქაც ვიკამათეთ, მერე ერთმანეთს ცემა დავუწყეთ. ის მეუბნებოდა, — ეს გოგო მე უნდა დამითმოო.**

**მახრჩობდა, მე მაგიდას მოვუსვი ხელი, დანა ავიღე, მინდოდა, მკლავში დამერტყა, მაგრამ გულში მოხვდა. როგორც კი ვნახე, დაჭრილი იყო, პირსახოცი მივაფარე, ნაცნობებს დავუძახე და მანქანით საავადმყოფოში წავიყვანე, გზაში ვყვიროდი: ღმერთო, არ მოკლა-მეთქი. იქ კი პოლიციამ დამაკავა, გაქცევა არც მიცდია და არც დამიმალავს რამე,"** — გაიხსენა პროცესზე განსასჯელმა.

მირანდა ტეფნაძე კი ამბობს, რომ ჩხუბს შეესწრო, მაგრამ ნავაძის მკვლელობას — არა.

მოკლულის ოჯახის წევრების თქმით, კონსტანტინე ნავაძეს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები ჰყავს. იგი ერთი წელი მუშაობდა დარაჯად იმ ფირმაში, სადაც მკვლელობა მოხდა.

**„ჩვენ არ გვაინტერესებს ამ მკვლელობის არანაირი მოტივი. ფაქტია, რომ ამ ადამიანს ჩემი ძმის მოკვლა უნდოდა. როცა არ გინდა, ვინმე მოკლა, დანას გულში არ დაარტყამ. ჩვენ ვითხოვთ, რომ პასუხი აგოს იმ დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინა,"** — ამბობს მოკლულის და თეა ნავაძე.

სასამართლომ ელბაქიძეს 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი დღემდე იხდის სასჯელს.

გვერდები მოამზადეს **მაკა ქობალიამ და სალომე გოგოხიამ**

14 - 20 ოქტომბერი, 2009 წელი. №33
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# როგორ შევარჩიოთ ტელევიზორი?

## რით განსხვავდება თხევადკრისტალური ტელევიზორი პლაზმურისგან?

## თხევადკრისტალური ტელევიზორი



**სტატისტიკური მონაცემებით, ყოველდღიურად 4-6 საათს ტელევიზორთან ვატარებთ. ამიტომაც ტელემწარმოებელი კომპანიები ძალას არ იშურებენ ამ მიმართულებით ახალი ტექნოლოგიების დასანერგად.**

მომხმარებელმა რომ სწორად შეარჩიოს სასურველი ტელევიზორი, უნდა იყოს ამ მხრივ ინფორმირებული, გაითვალისწინოს მნიშვნელოვანი დეტალები, ტექნოლოგიები, ტიპები, პრინციპები, რათა ურთიერთშედარების შემდეგ არჩევანი საუკეთესოზე გააკეთოს.

ტელევიზორის სხვადასხვა ტიპი განსხვავდება მათი დამზადების ტექნოლოგიით. ამ თვალსაზრისით საჭიროა ორი ძირითადი პრინციპის გათვალისწინება:

1. თუ მთლიან სურათს დავყოფთ უმცირეს ფერად წერტილებად, ადამიანის თვალი მათ ისევ მთლიან სურათად აღიქვამს. რეალურად ნებისმიერი ტელევიზორი ამ პრინციპზე დაყრდნობით აჩვენებს სურათს. ფერად წერტილებს პიქსელებს ეძახიან.

2. თუ მოძრავ სცენას დავყოფთ ძალიან ბევრ სურათად და მათ ვაჩვენებთ ძალზე სწრაფად, ადამიანის თვალი სურათებს ისევ მოძრავ სცენად აღიქვამს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ თვალი ვერ ასწრებს სურათის ცვლილების აღქმას, სწორედ მაშინ ხედავს ადამიანი მოძრავ სცენას, ანუ ვიდეოს.

LCD (Liquid Crystal Display) თხევადკრისტალური დისპლეით დამზადებული ტელევიზორები საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე მსოფლიოში. LCD ტელევიზორები მალე შეცვლის კინესკოპურ ტელევიზორებს. ეს ტექნოლოგია კინესკოპური ტელევიზორისგან იმით განსხვავდება, რომ არ იყენებს ფოსფორის ელემენტებს და ეყრდნობა სინათლის თხევადი კრისტალებით ბლოკირებას. სინათლეს, რომელსაც გამოსცემს ფლუროცენტის ლამპა, ბლოკავს ან ატარებს თხევადი კრისტალები. თავად კრისტალები არ გამოსცემს შუქს. თხევადი კრისტალები ორ მინას შორის ბადისებურადაა განლაგებული. განსხვავებული ელექტროვოლტაჟით შესაძლებელია მათი კონტროლი. სწორედ ეს ფუნქცია აქვს თხევადკრისტალურ ტელევიზორს.

თუ ეკრანზე ღია ფერებია საჭირო, კრისტალები მეტ სინათლეს ატარებს; თუ პირიქით — მუქი ფერია საჭირო, — ნაკლებს და ასე წარმოიქმნება შავ-თეთრი გამოსახულება. ეკრანზე გამოსახულება რომ ფერადი იყოს, რა თქმა უნდა, (თხევადკრისტალურ) LCD ტელევიზორსაც აქვს სამი ფერის ფილტრი, რომელთა მეშვეობითაც უკვე ფერადი გამოსახულება მიიღება. თხევადკრისტალური ტელევიზორების დიდი უპირატესობა ისაა, რომ მათ არ სჭირდება დიდი მანძილი ეკრანზე გამოსახულების საწარმოებლად. ამის გამო შესაძლებელია დიდი ზომის ტელევიზორების კომპაქტურად წარმოება. შესაძლებელია მათი კედელზე ჩამოკიდებაც.

## უპირატესობა და სხვაობა ორ ტექნოლოგიას შორის

**თხევადკრისტალური** ტექნოლოგიის დიდი უპირატესობა არის მისი ზომები, კომპაქტურობა, ნათელი ფერები და ა.შ. ამ ტექნოლოგიით წარმოებას ბიძგი მისცა კინესკოპური ტიპის ტელევიზორის უარყოფითმა მხარეებმა. ასეთ ტელევიზორებს არ აქვს გამოსხივება, სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. მათი მუშაობის ვადა 10-საათიანი მუშაობის რეჟიმის შემთხვევაში 17 წლის ტოლფასია.

თხევადკრისტალური ტელევიზორები იწარმოება 15-80 ინჩის ფარგლებში, რადგან უფრო დიდი ზომები ფასთა კონკურენციას ვერ უწევს სხვა ტექნოლოგიებს.

**პლაზმურთან** შედარებით (ტრილიონობით), თხევადკრისტალური ტელევიზორის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ფერთა ნაკლები რაოდენობა (მილიარდობით). აღსანიშნავია დინამიკური კონტრასტულობაც, რომელიც პლაზმურ ტელევიზორს უფრო მეტი აქვს, ვიდრე თხევადკრისტალურს.

ორივე ტექნოლოგიის ყველაზე დიდი „კოზირი“ მათი ზომაა. სამომხმარებლო ბაზარზე დღეს უკვე იყიდება 120-ინჩიანი პლაზმური ტელევიზორი.

ძირითადი უარყოფითი მხარეები ელექტროენერგიის მოხმარებით შემოიფარგლება.

აუცილებელია, მომხმარებელმა იცოდეს, რომ ეკრანზე გაჩერებული კადრის დატოვება დიდი ხნით (მთელი ღამის განმავლობაში) არ შეიძლება.

## პლაზმური ტელევიზორი

**PLASMA ტექნოლოგიით წარმოებული ტელევიზორი, ძირითადად, დიდი ზომისაა და ვიწრო. ამ ტელევიზორის მთავარ ელემენტს პლაზმა წარმოადგენს. პლაზმა ეს არის იონიფიცირებული აირი. როგორც ვიცით, არსებობს ნივთიერებების სამი ფიზიკური ფორმა: მყარი, თხევადი და აირი. პლაზმას ნივთიერებების მეოთხე ფორმას ეძახიან. ის მაშინ წარმოიქმნება, როდესაც აირს დამატებით ელექტრონებთან უწევს კავშირი. პლაზმის ყველაზე ნათელი მაგალითია ცეცხლი.**

პლაზმურ ტელევიზორში, ძირითადად, გამოიყენება სამი ტიპის აირი: არგონი, ქსეენონი და ნეონი. აირები მოთავსებულია ორ მინას შორის. ელექტროვოლტაჟის საშუალებით შესაძლებელია დამატებითი ელექტროდების წარმოქმნა, რომლებთან ურთიერთობისას აირები განიცდის იონიზაციას და გამოყოფს ულტრაიისფერ სხივებს, რომლებიც ადვილად შეიძლება გარდაიქმნას ადამიანის თვალისთვის აღსაქმელ სინათლედ. ვოლტაჟი ძალზე სწრაფად იცვლება (წამში რამდენიმე ათასჯერ), შესაბამისად, შეიძლება მუქი და ღია გამოსახულების მიღება, ხოლო სამი აირი სამ ფერს (წითელს, მწვანეს და ლურჯს) გამოყოფს; შესაბამისად, წარმოიქმნება ყველა სხვა დანარჩენი ფერი. პლაზმური ტელევიზორი იწარმოება შედარებით დიდი ეკრანის ზომებით, 40 ინჩიდან, რადგან ნაკლებ ზომებში წარმოება უფრო ძვირი იქნებოდა, ვიდრე LCD თხევადკრისტალურის.

## კომპანია „სონის“ ბრენდი ნოუთბუქი SONY Vaio VGNNR 140

**Vaio „სონის“ ფირმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და დახვეწილი ნოუთბუქია. მისი გარესაფარი დამზადებულია მკვრივი პლასტმასისგან, მთლიანად ვერცხლისფერია.**

კლავიატურის ზემოთ მოთავსებულია 2 პატარა დინამიკი, სტერეოჟღერადობა, რა თქმა უნდა, მაღალხარისხიანია და დახვეწილი. აქვს 4 USB, iLINK — სხვადასხვა ციფრული და აუდიო-ვიდეოაპარატურის შესაერთებლად, ასევე, ყურსასმენისა და მიკროფონის შესაერთებლად PCMCI. ამ რესურსით შეიძლება სპეციალური ინტერნეტბარათებით სარგებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო კავშირს. გარე პანელზე პორტებთან ერთად განთავსებულია კვების ელემენტი და ინდიკატორი, SD, M2 და PRO მეხსიერების ბარათების წამკითხველი. საბაზისო მეხსიერებაა 128 მეგაბაიტი, ამას ემატება გაზიარებული 123 მეგაბაიტი და საბოლოო ჯამში 251-მეგაბაიტიანი ვიდეომეხსიერება და DDR2 ტიპის 1-გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერება, რაც საშუალებას იძლევა, ისარგებლოთ DOOM3, FARCRY, HALF, LIFE და სხვა მსგავსი თამაშებით. WIDE (ფართო) ეკრანის გარჩევადობა 1024X800, რაც გაძლევთ საშუალებას, უყუროთ 16X9 რეჟიმში გადაღებულ ვიდეოფილმებს ან დაათვალიეროთ ამავე რეჟიმში გადაღებული სურათები.

მომხმარებელს შეუძლია. ისარგებლოს გრაფიკული პროგრამებითაც, მაგალითად: Adobe Photoshop, Corel Draw და სხვ. ალტერნატიული პროგრამებით. ფაილების ორგანიზებისათვის და ჩასაწერად თქვენს განკარგულებაშია 160-გიგაბაიტიანი მყარი დისკი და DVD ჩამწერი, სადაც ნებისმიერი ფორმატის დისკის ჩაწერაა შესაძლებელი. ოპერატიული სისტემა Vista Home Premium მოიცავს სხვადასხვა სახის სააპლიკაციო და სამომხმარებლო პროგრამას. NR 140 პროგრამა გთავაზობთ 2007 წლის საოფისე ნაკრებს, ანტივირუსისა და სხვა სასარგებლო პროგრამების დემოვერსიებს.

## გეიმერების არჩევანი, ანუ რომელია საუკეთესო ნოუთბუქი თამაშებისათვის



სათამაშოდ საუკეთესოა SAMSUNG-A003, რომელსაც აქვს მიკროპროცესორი Gore 2 Duo T7300, 2,00 Chz, ვიდეოადაპტერი NVIDIA GeForce Go8400 128 მბ და ოპერატიული მეხსიერება 2 გბ DIMM-ს მხარდაჭერით. მას აქვს რთულ პროგრამებთან სამუშაო ყველა რესურსი და საკმაოდ ძლიერი მოთხოვნების მქონე კომპიუტერული თამაშების მხარდაჭერა. 16:9 ფორმატის WXGA ეკრანი და კლასიკური ტიპის ანტიბაქტერიული კლავიატურა, რომელიც დამზადებულია SILVER NANO ტექნოლოგიით. წინა პლანზე მას აქვს მუშაობის რეჟიმების ინდიკატორი, რომლის ნათება ზომიერია და სიბნელეში გამაღიზიანებლად არ მოქმედებს. დინამიკების ზომები საკმაოდ მოკრძალებულია, მიუხედავად ამისა, მისაღები აკუსტიკა 7,1 ხმის გარემოცვის მხარდაჭერის მქონეა. დამატებითი გარე დინამიკების გარეშე აღნიშნული შიდა დინამიკები ფილმების ყურების დროს დისკომფორტს არ ქმნის. მულტიმედიური HDMI პორტი განსაკუთრებით იმ მომხმარებლისთვისაა საჭირო, ვინც ვიდეოკამერიდან ნოუთბუქში სხვადასხვა ვიდეოფაილის გადაწერით არის დაკავებული. აქვს, ასევე, VGA გამოსასვლელი, რაც საჭიროა ნებისმიერი ბიზნესკონფერენციის ჩასატარებლად, დიდ ეკრანზე ფილმებისა და ქსელური თამაშების საჩვენებლად. კომუნიკაციისთვის ნოუთბუქი იყენებს WiFi ტექნოლოგიის a და b სტანდარტს, რაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება ახალი თაობისთვის. პროგრამული უზრუნველყოფა შეიცავს Microsoft office 2007-ის 30-დღიან დემოვერსიასა და სტანდარტულ სააპლიკაციო პროგრამებს. ელემენტების ხანგრძლივობა მუშაობის რეჟიმში 4-5 საათია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ მცირდება მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა



**ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რა იწვევს მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას. კვლევები 40 წლის განმავლობაში ტარდებოდა.**

მონაწილენი, ძირითადად, 40-დან 69 წლის ასაკის მამაკაცი პაციენტები იყვნენ, სულ — 19 ათასი. მათგან 13501 გარდაცვლილის დიაგნოზი სამი პარამეტრით განისაზღვრა: ერთი კატეგორიის მამაკაცებს სისხლში ქოლესტერინი ჰქონდათ მომატებული, მეორე კატეგორიისანი იყვნენ მაღალწნევიანები, მესამე კატეგორიას კი მწეველები შეადგენდნენ. სიცოცხლის საშუალო ასაკი 74 წლით განისაზღვრებოდა. ექიმების ვარაუდით, თუ ისინი დროულად გააკონტროლებდნენ საკუთარ ჯანმრთელობას — სიგარეტს გადააგდებდნენ, წნევას დაირეგულირებდნენ და ქოლესტერინის დოზასაც დაბლა დაწევდნენ კვების პროდუქტების დახმარებით, სიცოცხლეს საშუალოდ 84 წლამდე გაიხანგრძლივებდნენ.

# ტრანსპორტის ხმაური წნევაზე მოქმედებს

**ფრანგი მეცნიერების მტკიცებით, ტრანსპორტის ხმაური, ისევე, როგორც ხშირი დასწრება ავტორალზე, იწვევს ჰიპერტონიული დაავადების გაჩენას.**

ამ თვალსაზრისით სკონეს პროვინციაში 28 ათასი მცხოვრები გამოიკვლიეს.

დადგინდა, რომ ავტომაგისტრალებთან ახლოს მოსახლეთა შემთხვევაში, სადაც ხმაური 60 დეციბელია, ჰიპერტონიული დაავადებები 25 პროცენტით მეტ პაციენტში გვხვდება, ვიდრე ქალაქიდან მოშორებით დასახლებულ პუნქტებში, ხოლო ისეთ ადგილებში, სადაც მაჩვენებელი 64 დეციბელს აღემატება, წნევა 90 პროცენტით იმატებს.

მეცნიერთა აზრით, მუდმივი ხმაური ორგანიზმში იწვევს ქრონიკული სტრესის გაჩენას, რომელიც ბოლოს ჰიპერტონიულ დაავადებაში გადადის.

# ნესვი სტრესს ხსნის

**ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნესვი სტრესს ხსნის. კვლევებში მონაწილეობდა 30-55 წლამდე ასაკის 70 მოხალისე. ისინი ყოველდღიურად მიირთმევდნენ ნესვის ექსტრატს.**



ერთი თვის კვლევების შემდეგ დადგინდა, რომ ამ უცნაური თერაპიის შემდეგ პაციენტთა ორგანიზმში იკლო დაძაბულობის მაჩვენებელმა და იმატა თავდაცვისუნარიანობამ სტრესების მიმართ.

მეცნიერთა აზრით, შედეგს ნესვის შემადგენლობაში არსებული სუპეროქსიდანტის ფერმენტი განაპირობებს. სწორედ ის იწვევს ორგანიზმში ასეთ რეაქციას.

სპეციალისტთა რჩევით, სეზონურად ნესვი აუცილებლად უნდა ჩავრთოთ კვების რაციონში, რათა ეს ფერმენტი გამომუშავდეს. ეს კი ჯანმრთელობის შენარჩუნების წინაპირობაა.

# H1N1 გრიპი დამარცხებულია!

**ადამიანს აქვს ძლიერი იმუნიტეტი H1N1 გრიპის დასამარცხებლად. უბრალოდ, თუ ორგანიზმი შესუსტებულია, შეიძლება ჩაიტაროთ პროფილაქტიკური აცრა. ამ შემთხვევაში არანაირი ვირუსი და პანდემია არ გემუქრებათ, — აცხადებენ შვეიცარიელი და ავსტრალიელი მეცნიერები. მათ ამ მიმართულებით ერთობლივი კვლევები აწარმოეს.**



სპეციალისტთა აზრით, H1N1 გრიპი ჩვეულებრივ სეზონურ გრიპს განეკუთვნება და სულაც არ იყო საჭირო ასეთი ხმაურის ატეხა. მეცნიერები თვლიან, რომ ექსპერიმენტში H1N1 გრიპით დაავადებულ ყველა მონაწილეს უკვე პირველი ვაქცინის შემდეგ იმუნურ სისტემაში გაუჩნდა ამ გრიპის საწინააღმდეგო ანტისხეულები. ამიტომაც მივიდნენ დასკვნამდე, რომ დაავადების დასამარცხებლად თუნდაც მხოლოდ ერთი დროული აცრა იქნება საჭირო.

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

# შიდსის რისკი ნაკლებია

**ამერიკელი და ტაილანდელი მეცნიერები კლინიკური კვლევების საფუძველზე მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორი სრულიად ახალი პრეპარატის კომბინაციამ საუკეთესო შედეგი გამოიღო იმუნოდეფიციტის სინდრომით დაავადებულთა მკურნალობის თვალსაზრისით.**



მეცნიერები ფიქრობენ, რომ მიღებული ვაქცინით პროფილაქტიკური მკურნალობის შემთხვევაში შიდსის გაჩენის რისკი ნაკლები იქნება იმ ქვეყნებში, სადაც მისი მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალ ნიშნულზეა. კვლევებში მონაწილეობდა 16 ათასი მოხალისე. ამ პრეპარატთა კომბინაციით ჩატარებული იმუნიზაციის — აცრების შედეგი იმედისმომცემია.

# ნაკლები დასხივება კომპიუტერული კვლევების დროს

**ამერიკელმა რადიოლოგებმა შეძლეს, კომპიუტერული ტომოგრაფიის კვლევისას დასხივება 2/3-ით შეემცირებინათ პაციენტებისთვის, ვინც გულის ანგიოგრაფიულ კვლევას იტარებდა.**



ეს, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებს შემდგომში მათ ჯანმრთელობაზე, რადგანაც გული ორგანიზმის მთავარი სასიცოცხლო ორგანოა და მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.

# ველოტრენაჟორები რეანიმაციაში

**ინგლისელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეანიმაციაში მყოფ ინტენსიური თერაპიის პაციენტთათვის აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში მათი სწრაფი გამოჯანმრთელებისათვის.**



კვლევებით დადგინდა, რომ პაციენტები, რომლებიც აქტიურ ფიზიკურ დატვირთვას არ ერიდებოდნენ და კონკრეტულ ვარჯიშს ასრულებდნენ, სპეციალისტების დახმარებით უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდნენ. ასეთი თერაპიის შემდეგ ექიმები ფიქრობენ, რომ მძიმე პაციენტების რეანიმაციაში ყოფნის დრო 2 დღემდე შემცირდება, რაკი მათი ფიზიკური მაჩვენებლები ბევრად უკეთესია, ვიდრე იმ პაციენტებისა, ვინც რეანიმაციაში გაუნძრევლად იწვა.





# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

**ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.**

**კოორდინატებია:**
**თელავი,**
კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24

**თბილისი,**
აწყურის 31ა.

**ბათუმი**, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს,
10-დან 14 საათამდე).





# წერილები ბიჭიკო გაგნიძეს

# გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო



**ლეილა კვერნაძე, ექიმი:** ვიყავი დაავადებული ჰიპერტონიითა და პარკინსონით. 3 თვის განმავლობაში ვიმკურნალე ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატით. მთელი ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩემი საერთო მდგომარეობა. წამლის მიღებისას ვიცავ დიეტას, რაც თავისებური სტიმულია გამოჯანმრთელების თვალსაზრისით. წნევა დამირეგულირდა და არანაირი პრეპარატი აღარ მჭირდება. ვგრძნობ, რომ კიდურებში ძალა მომეცა, ყველაფერთან ერთად, თითქოს გავახალგაზრდავდი კიდეც.

ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ვიღებ ბუნებრივ მცენარეულ წამალს და ვიცი, რომ ის ორგანიზმს არ ავნებს. მკურნალობას ამ კურსით გავაგრძელებ სრულ გამოჯანმრთელებამდე. მადლობა უბადლო მკურნალს!

**ეთერ წვერიკმაზაშვილი:** 7 წლის განმავლობაში ვიყავი მძიმე ავადმყოფი. მაწუხებდა სახსრების ტკივილი, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი ისეთ ფორმაში, რომ სიარული მიჭირდა და 10 წუთში ვიღლებოდი. როგორ აღარ ვიმკურნალე, მაგრამ წამლის მიღების შეწყვეტის შემდეგ კვლავ ტკივილები მტანჯავდა. მატერიალურადაც გამიჭირდა. ბოლოს ახლობელმა მირჩია, მესინჯა ბიჭიკო გაგნიძის წამალი. მივაკითხე და იმ დღიდანვე დავიწყე მკურნალობა.

სახსრებში ტკივილები მალევე მომეხსნა. მივხვდი, რომ ეს პრეპარატი ჩემთვის უებარი რამ იყო. ერთი თვის შემდეგ მართლაც არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე. შევძელი ქუჩაში მარტო სიარული, ბაზარში წასვლა და ტვირთით უკან დაბრუნება.

თვენახევრის შემდეგ თავს ველარ ვცნობდი. კვლავ განვაგრძე წამლის მიღება. სულ ცოტა ხნის წინათ გამოკვლევები ჩავიტარე და აღმოჩნდა, რომ გაგნიძის პრეპარატმა ბევრ სხვა დაავადებაზეც დადებითად იმოქმედა. მჯერა ამ წამლის შესაძლებლობების.

**არსენ თუთბერიძე:** 72 წლის კაცს ბევრი ტკივილი და ავადმყოფობა გამომივლია. ჩემს დაავადებებს ასაკს მივაწერდი და არც იმედი მქონდა, სიბერეში გამოვჯანმრთელდებოდი. ჩემმა შვილმა მირჩია, გაგნიძის წამალი კუჭის წყლულის დაავადების სამკურნალოდ მიმეღო. შედეგი საოცარი იყო: წყლული საერთოდ გამიქრა, წნევა დამირეგულირდა, სახსრებიც აღარ მტკივა.

უბნის პოლიკლინიკაში ანალიზებისთვის მისულმა ჩემი მკურნალი ექიმი გავაკვირვე. მკითხა, სადმე საზღვარგარეთ ხომ არ იმკურნალეო. რომ გაიგო, რომ სახალხო მკურნალ გაგნიძის წამალმა ასეთი კარგი შედეგები მომცა, ძალიან გაუკვირდა და გაეხარდა ჩემი მდგომარეობა. ეს მართლაც საოცარი წამალია, რომელიც, ალბათ, ყველა ხანდაზმულს დაAIმედებს.

**ვახტანგ მაცაბერიძე:** დიდი ხანია, ღვიძლი მაწუხებს. მკურნალობა დაავადების გამოვლენისთანავე დავიწყე. თითქმის ყოველწლიურად ექიმის მითითებებს ვასრულებდი. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ნაღვლის ბუშტში კენჭები აღმომაჩნდა. პარალელურად ამ დაავადების სამკურნალო მედიკამენტების მიღებამ ღვიძლი უფრო გამიღიზიანა. წამლის შეწყვეტისთანავე მეწყებოდა შეტევები. იძულებული გავხდი, ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გამეკეთებინა. ამ მხრივ ცოტა შვება ვიგრძენი, მაგრამ ასაკთან ერთად ღვიძლის არეში ტკივილები მემატებოდა. მუდმივმა დიეტამ უფრო დამასუსტა, ისე, რომ წნევა დამივარდა და თითქმის მწოლიარე ავადმყოფი გავხდი.

ბიჭიკო გაგნიძის წამალმა ძალა შემმატა, ტკივილები გამიქრა და უკვე მეორე თვეა, თავს ენერგიულად და ჯანმრთელად ვგრძნობ. ამჟამად მესამე კურსს გავდივარ, რათა სრულ გამოჯანმრთელებას მივაღწიო. მჯერა, რომ გაგნიძის პრეპარატი უებარია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 14-დან 20 ოქტომბრამდე?

### 14 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„წიგნები აზრთა ხომალდებია, რომლებიც დროის ოკეანეში მოგზაურობენ და ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას გადასცემენ“.**
**ფრენსის ბეკონი**

**1882 წელს** დაიბადა ირლანდიის პირველი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი იმონ დე ვალერა.
**1890 წელს** დაიბადა აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი დუაით ეიზენჰაუერი.
**1806 წელს** იენასთან ბრძოლისას ნაპოლეონმა პრუსიის არმია დაამარცხა.
**1809 წელს** ვენის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა ავსტრია-საფრანგეთის ომი.
**1851 წელს** ინგლისში დაარსდა საინფორმაციო სააგენტო „რეიტერი.“
**1926 წელს** ლონდონში პირველად დაიბეჭდა ალან მილნის წიგნი „ვინი პუჰი.“
**1963 წელს** ერაყში დააპატიმრეს სადამ ჰუსეინი.
**1964 წელს** სკკპ ცკ-ის პლენუმმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გენერალური მდივანი ნ. ხრუშჩოვი და აირჩია ლ. ბრეჟნევი.
**1971 წელს** დედამიწაზე პირველად ჩამოიტანეს მარსის ფოტოსურათები.
**1989 წელს** საეჭვო ვითარებაში დაიღუპა ქართული ოპოზიციის ლიდერი მ. კოსტავა.

### 15 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„მომავლის სამყარო ჩვენი ცნობიერების შემზღუდველ ბარიერებთან სასტიკი ბრძოლის სამყარო იქნება“.**
**ნორბერტ უინერი**

**1814 წელს** დაიბადა დიდი რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი.
**1844 წელს** დაიბადა გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე.
**1570 წელს** დაარსდა ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი დედაქალაქი ფხენიანი.
**1917 წელს** პარიზში სიკვდილით დასაჯეს ჰოლანდიელი სუპერჯაშუში მატა ჰარი.
**1946 წელს** ციხეში, სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ, თავი მოიკლა ფაშისტური ავიაციის ხელმძღვანელმა ჰერმან გერინგმა.
**1990 წელს** მიხეილ გორბაჩოვს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

### 16 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„თავისუფლების სიკეთისთვის ვინც იღუპება, იგი მარადის ჩაითვლება კეთილშობილად!“**
**ლორდ ჯორჯ გორდონ ბაირონი**

**1854 წელს** დაიბადა ირლანდიელი მწერალი ოსკარ უაილდი.
**1863 წელს** დაიბადა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსტინ ჩემბერლენი.
**1555 წელს** ინგლისის დედოფლის — სისხლიანი მერის ბრძანებით, კოცონზე დაწვეს ლონდონისა და უორჩესტერის პროტესტანტი ეპისკოპოსები.
**1793 წელს** თავი მოჰკვეთეს საფრანგეთის დედოფალს — მარია ანტუანეტას.
**1815 წელს** ნაპოლეონი წმიდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო.
**1923 წელს** დაარსდა კინოკომპანია „უოლტ დისნეი კომპანი.“
**1946 წელს** ნიურნბერგის ციხეში გერმანული ფაშიზმის 10 ლიდერი ჩამოახრჩეს.
**1998 წელს** ლონდონში დააპატიმრეს ჩილეს ყოფილი დიქტატორი ა. პინოჩეტი.

### 17 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ჭკვიანებმა მოსალოდნელი უბედურება უნდა განჭვრიტონ, მამაცები კი მას უნდა გაუმკლავდნენ“.**
**პიტაკუსი**

**1760 წელს** დაიბადა ფრანგი მოაზროვნე და სოციოლოგი კლოდ სენ-სიმონი.
**1912 წელს** დაიბადა რომის პაპი იოანე პავლე I.
**1483 წელს** რომის პაპმა სიქსტე IV-მ შექმნა ესპანური ინკვიზიცია, რომელსაც ესპანეთიდან არაბებისა და ებრაელების განდევნა დაევალა.
**1902 წელს** გამოუშვეს პირველი „კადილაკი.“
**1918 წელს** უნგრეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
**1933 წელს** ალბერტ აინშტაინი აშშ-ში გერმანელი ლტოლვილის სტატუსით ჩავიდა.
**1956 წელს** ინგლისში პირველი ატომური ელექტროსადგური გაიხსნა.

# უცნაური დამთხვევები

**მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ორმა ცნობილმა მოაზროვნემ, ნობელის პრემიის ლაურეატმა ვოლფგანგ პაულიმ და ფსიქოლოგმა კარლ გუსტავ იუნგმა შექმნეს დამთხვევათა კონცეფცია და მას „სინქრონი“ უწოდეს. დროის, სივრცისა და გარემოებების კორელაციის ჩვეულ ჩარჩოებს აშკარად გაცილებულ მოვლენებს ისინი ერთიანი მძლავრი ველის არსებობის დადასტურებად მიიჩნევდნენ, რომელიც თავისი საკუთარ სტრუქტურით ყოველდღიური მოვლენების ჯაჭვს აგებს.**



ასეთი ძალის არსებობა სავსებით შეესაბამება უცნაურ დამთხვევებს კაცობრიობის ისტორიაში, მოცემულ შემთხვევაში კი ლინკოლნისა და კენედის მკვლელობათა შორის არსებულ კავშირებს.

ჩრდილოეთ შტატების კავშირის ბელადი და მონათა გამათავისუფლებელი აბრაამ ლინკოლნი 1865 წელს ვაშინგტონში, ფორდის თეატრში გამართული წარმოდგენისას, კეფაში მიბრჯნით გასროლით მოკლეს. მისმა მკვლელმა ჯონ უილკს ბუთმა სამოქალაქო ომის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პირველად აიღო ხელში პისტოლეტი.

1963 წლის ნოემბერში დალასის ქუჩებში ავტომანქანით მგზავრობისას პრეზიდენტ ჯონ კენედისაც თავში ესროლეს. მისმა მკვლელმა ლი ჰარვი ოსვალდმა დანაშაულის იარაღად ოპტიკურსამიზნიანი შაშხანა გამოიყენა.

ორივე მკვლელობა პარასკევს მოხდა და ორივე დამნაშავე სამხრეთელი იყო, მაგრამ ეს ჯერჯერობით უმნიშვნელო დამთხვევებია, რადგან გაცილებით საინტერესოა ბოროტმოქმედთა დაბადების თარიღები: ლი ჰარვი ოსვალდი ლინკოლნის მკვლელის დაბადებიდან ზუსტად 100 წლის თავზე მოევლინა ამ ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ ჯონ კენედი და მისი სახელგანთქმული წინამორბედი კონგრესში ზუსტად 100 წლის სხვაობით აირჩიეს და მათ საპრეზიდენტო არჩევნებსაც სწორედ ერთი საუკუნე აშორებს ერთმანეთს. პრეზიდენტის პოსტზე ლინკოლნისა და კენედის შემცვლელები ორივენი გვარად ჯონსონები იყვნენ. ამასთან, ორივეს დაბადების თარიღს ზუსტად 100 წელი აშორებს. კენედის პირადი მდივანი გვარად ლინკოლნი იყო, ხოლო ეიბ ლინკოლნის მდივანს ჯონი ერქვა. ლინკოლნი ფორდის სახელობის თეატრში დაიღუპა, ხოლო კენედი თავისი სიკვდილის დღეს ფორდის ქარხნის მიერ გამოშვებულ ავტომანქანაში იჯდა. ლიმუზინს, რომლითაც პრეზიდენტი თავის მეუღლესთან — ჯეკი კენედისთან ერთად მგზავრობდა, „ლინკოლნ კონტინენტალი“ ერქვა... თეატრში ჩადენილი ბოროტმოქმედების შემდეგ ბუთი გაიქცა და შეეცადა, თავი სასაქონლო საწყობისთვის შეეფარებინა, სადაც დაიღუპა კიდეც, ხოლო ოსვალდი, რომელმაც მსხვერპლს საწყობის სარკმლიდან ესროლა, თეატრში ლამობდა დამალვას და იქ დააკავეს.

1858 წლის ნოემბერში საგაზეთო პუბლიკაციაში ლინკოლნის კანდიდატურა იმჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტის ძველმა მეგობარმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელმა, სახელად ჯონ კენედიმ წამოაყენა...

# ლიტერატურული წინასწარმეტყველებანი

**ეს წინასწარმეტყველებანი ახდა, თუმცა, რამდენიმე ვერსიის მიუხედავად, მათ ახსნა ვერ მოუძებნეს...**



ედგარ პომ თავის მოთხრობაში „ნანთაქეთელი არტურ გორდონ პიმის ამბავი“ მკითხველს ჩაძირული გემიდან გადარჩენილ მეზღვაურებსა და იუნგაზე მოუთხრო. გადარჩენილებს შიმშილით სიკვდილი დაემუქრათ და კენჭი ყარეს, რათა ერთი კაცის სიცოცხლის საფასურად დანარჩენები ეხსნათ. მსხვერპლი იუნგა რიჩარდ პარკერი აღმოჩნდა და ის შეჭამეს. მოთხრობის დაწერიდან 46 წლის შემდეგ ოკეანეში ჩაძირული ხომალდის გადარჩენილმა და დამშეულმა ეკიპაჟმაც კენჭი ყარა. მოგვიანებით სასამართლოზე დამტკიცდა კანიბალიზმის ფაქტი, რომლის მსხვერპლიც აღმოჩნდა... იუნგა რიჩარდ პარკერი.

ბრედ სტაიგერი თავის წიგნში „რეალობის თამაში“ ქლოქეთელ ჩარლზ ინგერსოლზე ჰყვება. მის მონათხრობს კი საფუძვლად დაედო 1948 წელს სტუდია „ქასთელ ფილმზის“ მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი სახელგანთქმულ გრანდ-კანიონზე. ფილმში მკაფიოდ ჩანს კანიონზე გადახრილი ინგერსოლი, რომელიც 35 მმ-იანი კინოკამერით პანორამას იღებს. ახლა კი თავად ამ უცნაური ამბის გმირზე მოგითხრობთ: ჩარლზი კანიონის სანახავად 1955 წელს, კინოკამერის შეძენის შემდგომ, გაემგზავრა. იქიდან დაბრუნებულმა კი შემთხვევით თვალი მოჰკრა ძველ დოკუმენტურ ფილმს გრანდ-კანიონის შესახებ და დაინტერესებულმა შეიძინა იგი. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფილმში კანიონის გადაღებისას საკუთარი თავი იხილა, თანაც 1955 წელს შეძენილი კამერით! როგორც უკვე ვახსენეთ, ფილმი 1948 წელს გადაიღეს და გამოვიდა, რომ ინგერსოლმა მასში მონაწილეობა იქამდე შვიდი წლით ადრე მიიღო, სანამ რეალურად გაემგზავრებოდა კანიონის სანახავად და გადასაღებად!

მორგან რობერტსონმა ნოველა „ამაოება“ 1898 წელს დაწერა. მასში მოთხრობილია, როგორ დაიღუპა ოკეანეში უზარმაზარ აისბერგს შეჯახებული ლაინერი „ტიტანი“ და ასობით ადამიანი. ნოველის დაწერიდან 14 წლის შემდეგ ანალოგიური გარემოებებისას დაიღუპა მსგავსი სახელწოდების სამგზავრო ლაინერი „ტიტანიკი.“

# უკვდავი... მოკვდავი?

**ფუტუროლოგ რეი ქერზვეილის აზრით, ორი ათეული წლის შემდეგ უკვდავება ფანტასტიკის სფეროს გასცდება. ქერზვეილი დარწმუნებულია, რომ ეს დრო შესაბამისი ნანოტექნოლოგიების შესაქმნელად სავსებით საკმარისია.**



იმ ტექნოლოგიათა შორის, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, უმთავრეს ადგილს ორგანოთა გადანერგვა დაიკავებს. ადამიანებს მეცნიერთა მიერ შემუშავებულ დეტალებს „ჩაუნერგავენ“ და ეს რეალობაა, რადგან ხელოვნური კუჭქვეშა ჯირკვალი და ნეიროიმპლანტანტები უკვე არსებობს.

**„მე და ბევრ სხვა მეცნიერს მიგვაჩნია, რომ 20 წლის შემდეგ შევძლებთ ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩვენს სხეულებში ჩადებული პროგრამის გადაწერას, რის შედეგადაც თავდაპირველად შევანელებთ, შემდეგ კი უკუღმა დავატრიალებთ დაბერების პროცესს. აი მაშინ კი ნანოტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემს, მარად ვიცოცხლოთ,“** — ამბობს 61 წლის ფუტუროლოგი.

**„ნანობოტები შეცვლიან სისხლის უჯრედებს და თავიანთ სამუშაოს ათასჯერ უფრო ეფექტურად შეასრულებენ... 25-ოდე წლის შემდეგ ოლიმპიური სპრინტის გარბენას 15 წუთში — ამოუსუნთქავად ანდა წყლის ქვეშ 4 საათზე მეტხანს უჟანგბადოდ დაყოვნებას შევძლებთ,“** — დასძენს ქერზველი.



ამგვარად, პროთეზებიან და ხელოვნურორგანოებიან კიბორგებად ვიქცევით...

# ბერიას საიდუმლო ექსპედიცია



**პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდიდან ერთი წლის შემდეგ ლავრენტი ბერიამ საიდუმლო სხდომაზე წამოაყენა მოულოდნელი წინადადება 1908 წელს ტუნგუსის მეტეორიტის ჩამოვარდნის რაიონში ექსპედიციის მოწყობის შესახებ.**

რა თქმა უნდა, თავად მეტეორიტი ლავრენტი პავლეს ძეს არ აღელვებდა. ექსპედიციის მოწყობის საჭიროებას იგი იმით ამართლებდა, რომ, ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ტაიგის თავზე ატომური აფეთქება მოხდა.

ფანტასტი მწერლის — ალექსანდრე კაზანცევის გვარი ბერიას არ უხსენებია, თუმცა სწორედ კაზანცევმა, რომელიც თავდაცვის ერთ-ერთ დაწესებულებას ხელმძღვანელობდა, წამოაყენა იდეა, რომ ტაიგის თავზე მარსელების ატომურძრავიანი ხომალდი აეფეთქებინათ...

ჯერ კიდევ ექსპედიციის გაგზავნამდე ბერიამ განკარგულება გასცა, შეეგროვებინათ მთელი ინფორმაცია აფეთქების თანმხლებ გეოფიზიკურ ეფექტებზე.

გულდასმით გაანალიზდა 1908 წლის 30 ივნისის მონაცემთა ჩანაწერები გერმანულ და რუსულ მეტეოსადგურებზე.

ამ მონაცემებმაც დაადასტურა, რომ აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა ჰაერის ტალღამ რამდენჯერმე შემოუარა დედამიწას! იმავე დროს, სეისმური რხევები მხოლოდ ციმბირის სეისმოსადგურებმა დააფიქსირეს. შესაბამისად, დადგინდა, რომ აფეთქების ენერგია რამდენიმე ათეულ მეგატონას შეადგენდა.

1949 წლის ზაფხულში „ბერიასეული" ექსპედიციის წევრები გეოლოგების სტატუსით თვითმფრინავით ვანავარას დასახლებაში ჩაიყვანეს, იქიდან კი ორადგილიანი ჰიდროთვითმფრინავით რამდენიმე რეისით ჩეკოს ტბაზე გადასხეს, საიდანაც ფარინგტონის მთამდე 10 კმ-ღა რჩებოდა. „გეოლოგებს" კატეგორიულად ეკრძალებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა 1908 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა, თუ იქაური მკვიდრები ამაზე საუბარს თავად მოისურვებდნენ, ექსპედიციის წევრებს მათი მოსმენა ნებადართული ჰქონდათ.

ექსპედიციის შედეგები და დასკვნები არასოდეს გამოქვეყნებულა, თუმცა მოსკოვში დაბრუნებულმა ჯგუფის ხელმძღვანელებმა, ბერიას ბრძანებით, მიღებული შედეგების ანგარიში თითო-თითო ეგზემპლარად ჩამოაყალიბეს. ეს ანგარიშები უკვალოდ გაქრა ბერიას კაბინეტიდან...

# დაუჯერებელი... ფაქტები

**დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარი კაცი ძველი ასირიის მეფე ასურბანიპალი იყო. ის ჩვ. წ. აღ.-მდე 631 წელს აღესრულა და ნინევიის განძთსაცავში 5 მლნ ათიკური ტალანტი დატოვა, რაც თანამედროვე ფულზე გადაანგარიშებით 1 566 მლრდ დოლარს უდრის.**



არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ სათამაშოთა შორის უძველესი 3 000 წლისაა. ის ძველი სპარსეთის ტერიტორიაზე იპოვეს და ამჟამად ლუვრშია დაცული. უძველესი სარეკლამო ტექსტი ძველბერძნულ ქალაქ მემფისის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ჩვ. წ. აღ.-მდე 500 წლით ადრე გაკეთებული წარწერა იტყობინება: „მე, კუნძულ კრეტაზე მცხოვრები რინო, ღმერთების ნებით, სიზმრებს ავხსნი."

ჩრდილოეთ გვატემალაში აღმოაჩინეს ტაძართა ნანგრევები, რომელთა სიმაღლე 25-სართულიან შენობას უტოლდება. ეს ტაძრები ჩვ. წ. აღ.-ით 300-დან 900 წლამდეა აგებული. დომინიკის კუნძულზე (მცირე ანტილიის კუნძულები) ქალები და მამაკაცები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. მეხამრიდებს ძველ ეგვიპტეში ჩვ. წ. აღ.-მდე 1300 წლის წინათ იყენებდნენ და მათ ოქროსბუნიკიანი ანძის ფორმა ჰქონდა. ბევრ პრეისტორიულ გამოქვაბულში აღმოჩენილია... ტუჩსაცხები.

ერთხელ კოლუმბიის უნივერსიტეტის თანამშრომლებს ავთვისებიანი სიმსივნეების გამოსაკვლევად თაგვის რძე დასჭირდათ. ამისათვის კი 20 ათასი თაგვის „მოწველა" მოუხდათ.

ყველაზე პატარა არმია მონაკოს საგრაფოშია. ის ორი ოფიცრისა და 60 კარაბინერისგან შედგება.

თებრიზში (ირანი) „სურნელოვანი" მეჩეთი დგას: აგებისას მის კედლებს სითხეში ათავსებდნენ, რომელსაც მუშქი ჰქონდა დამატებული. არომატი დღესაც შენარჩუნებულია.

# სამყაროთა ახალი ომი



**კანადელმა პალეონტოლოგმა ჰანს ლარსონმა დინოზავრთა პოპულაციის აღდგენა, უფრო სწორად, ქათმის ემბრიონებისგან მათი გამოყვანა გადაწყვიტა. ლარსონი ქათმებს მილიონობით წლის წინათ გაწყვეტილი დინოზავრების მახასიათებლებს განუვითარებს. პალეონტოლოგი დარწმუნებულია, რომ ქათმის ემბრიონის განვითარების პროცესში გარკვეულ გენეტიკურ „ბერკეტებზე" ზემოქმედებით შესაძლებელია უძველეს ხვლიკთა ანატომიის მიღება.**

დინოზავრთა მოშენებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მეცნიერი არ აპირებს, რადგან მისი მიზანი ევოლუციის პროცესის დემონსტრირებაა. თუკი დინოზავრთა ანატომიური მახასიათებლები ქათმებს ექსპერიმენტის პროცესში აღმოაჩნდებათ, ე. ი. ფრინველები უძველესი ხანის ხვლიკების პირდაპირი შთამომავლები ყოფილან. „ქათმოზავრების" გამოყვანის იდეა ლარსონს ამერიკელ კოლეგასთან, ჯეკ ჰორნერთან საუბარმა შთააგონა. ჰორნერი ხომ ფილმ „იურული პერიოდის პარკის" შემქმნელებს კონსულტაციებს უწევდა...



# არაბი და ვინჩი



**იტალიელი მეცნიერების აზრით, დიდი მოაზროვნე და მხატვარი და ვინჩი არაბთა შთამომავალი იყო. ახლახან მკვლევარებმა ამ ჰიპოთეზის დასაბუთება სცადეს.**

მოახდინეს ლეონარდოს მარცხენა ხელის თითის ანაბეჭდის იდენტიფიცირება, რომელიც კრაკოვის ერთ-ერთ მუზეუმში დაცულ ქალის პორტრეტზე შემორჩა. გულდასმით ჩატარებულმა ანალიზმა მეცნიერებს საშუალება მისცა, ევარაუდათ, რომ ოსტატის წინაპრები ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში დაიბადნენ, რადგან და ვინჩის თითის ანაბეჭდის ფორმა იქაური მოსახლეობის 60 პროცენტის „თითის რუკას" წააგავს.

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 14-დან 20 ოქტომბრამდე?

### 18 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ამპარტავნული სურვილი იმის წარმოჩენისა, რომ საიდუმლო მოგანდეს, ჩვეულებრივ, ამ საიდუმლოს გამჟღავნების მიზეზი ხდება".**
**სემუელ ჯონსონი**

**1896 წელს** სრული კრახით დასრულდა ა. ჩეხოვის პიესის „თოლიას" პრემიერა, რის შემდეგაც მწერალმა დაიფიცა, რომ სცენისთვის აღარასოდეს არაფერს დაწერდა.
**1896 წელს** „ნიუ-იორკ ჯორნალში" პირველი კომიქსები დაიბეჭდა.
**1926 წელს** გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში" პირველად გამოქვეყნდა ლენინის პოლიტიკური ანდერძი.
**1927 წელს** შეიქმნა ინგლისური კომპანია „ბი-ბი-სი."
**1934 წელს** დაიბადა საბჭოთა მწერალი-ფანტასტი კირ ბულიჩოვი.
**1939 წელს** დაიბადა ამერიკელი ტერორისტი, აშშ პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელი ლი ჰარვი ოსვალდი.
**1947 წელს** საბჭოთა კავშირში პირველი ბალისტიკური რაკეტა გაუშვეს.
**1667 წელს** ჰოლანდიელებმა ამერიკაში დააარსეს ქალაქი ბრუკლინი.
**1867 წელს** რუსეთმა ამერიკას 7,2 მლნ დოლარად ალასკა მიჰყიდა.
**1967 წელს** საბჭოთა სადგური „ვენერა-4" პირველად დაეშვა ვენერაზე.
**1918 წელს** შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა.
**1941 წელს** იაპონიის პოლიციამ დააპატიმრა რუსი მზვერავი რიჰარდ ზორგე.
**1993 წელს** ლატვიაში გამოუშვეს ახალი ფულის ერთეული — ლატი.

### 19 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ახლა მიწაზე კოჭლი და ბრმა ხელისუფლება დააბიჯებს".**
**ფიოდორ კარპოვი**

**1735 წელს** დაიბადა აშშ მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი.
**1859 წელს** დაიბადა ფრანგი ოფიცერი ალფრედ დრეიფუსი, რომლის წინააღმდეგ ჯაშუშობის ბრალდებით აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ საფრანგეთი პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა.
**2001 წელს** რუსეთში მიუზიკლ „ნორდ-ოსტის" პრემიერა გაიმართა.
**1781 წელს** ინგლისელებმა ამერიკელებს იორკთაუნი დაუთმეს, რითაც აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დასრულდა.
**1812 წელს** ნაპოლეონის არმიამ მოსკოვიდან უკან დახევა დაიწყო.
**1987 წელს** გათენდა „შავი ორშაბათი" — მსოფლიოს ყველა ბირჟამ კოლაფსი განიცადა.
**1999 წელს** გადაწყდა ლა-მანშის სრუტის ქვეშ მეორე, საავტომობილო ტრანსპორტისთვის გათვალისწინებული, გვირაბის გაყვანა.
**2003 წელს** დედა ტერეზა წმინდანად შერაცხეს.

### 20 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„სანამ ცოცხალნი ვართ, შევეცადოთ, სიკვდილს უმცირესი რამ დავუტოვოთ გასანადგურებლად".**
**პლინიუს უმცროსი**

**1884 წელს** დაიბადა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდ ჰენრი პალმერტონი.
**1854 წელს** დაიბადა ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი არტურ რემბო.
**1891 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოსი, ნეიტრონის აღმომჩენი ჯეიმს ჩედვიქი.
**1999 წელს** აღმოაჩინეს გაყინული მამონტის ნაშთი, რომლის კლონირებასაც მეცნიერები აპირებენ.
**1671 წელს** ახალ საფრანგეთში (ჩრდილოეთ ამერიკა) ყველა მარტოხელა კაცს ნაბრძანები ჰქონდა, ცოლად შეერთო მხოლოდ ფრანგი ქალიშვილი.
**1822 წელს** გამოიცა ინგლისური გაზეთის — „სანდი თაიმსის" პირველი ნომერი.
**1911 წელს** რ. ამუნდსენის ექსპედიცია სამხრეთ პოლუსისკენ დაიძრა.
**1944 წელს** შედგა იაპონელი კამიკაძეების პირველი საბრძოლო გაფრენა.
**1967 წელს** კალიფორნიის შტატის სამხრეთით (აშშ) ვიდეოფირზე გადაიღეს გიგანტური თოვლის კაცი.
**1968 წელს** ჯონ კენედის ქვრივი ჟაკლინ კენედი ცოლად გაჰყვა ბერძენ მილიონერ არისტოტელე ონასისს.
**1999 წელს** პაპუა-ახალი გვინეის სანაპიროებთან ჩაიძირა ინდონეზიური ხომალდი, რის შედეგადაც 247 მგზავრი დაიღუპა.
**2003 წელს** ქაბულის სასახლის სარდაფებში ალექსანდრე მაკედონელის განძი აღმოაჩინეს.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სად აირჩევენ „მის პლასტიკურ ოპერაციას“?

**9 ოქტომბერს უნგრეთში პლასტიკური ქირურგების პაციენტთა სილამაზის კონკურსი დაიწყო. ორგანიზატორების თქმით, „Miss Plastic Hungary 2009“ მსოფლიო სილამაზის კონკურსების ისტორიაში ამ სახის პირველი ღონისძიებაა.**



კონკურსზე დაიშვებოდნენ მონაწილეობის მსურველები 18 წლის ასაკიდან, რომელთა ავადმყოფობის ისტორიაში ერთი პლასტიკური ოპერაცია მაინცაა დაფიქსირებული, მხოლოდ აუცილებლად ოპერაცია და არა სხეულის კორექციისთვის გამიზნული სხვადასხვა სახის პროცედურა. ყველაზე ხშირად კონკურსანტთა შორის თმაგადანერგილებს, ლიპოსაქციაგამოვლილებს და სილიკონიანებს შეხვდებოდით. კონკურსის ყველა მონაწილე ორ ასაკობრივ ჯგუფში გადაანაწილეს — 30 წლამდე და 30 წლის ზემოთ. 50 მონაწილე ნახევარფინალში გავიდა, ფინალამდე კი მხოლოდ 20-მა მიაღწია. გამარჯვებული ყველა ასაკის კონკურსანტს შორის ერთადერთი უნდა ყოფილიყო და მას საჩუქრად ბინა ელოდა. მეორე და მესამე ადგილებზე გამსვლელებს, ასევე, „ოქროს“, „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს“ პრიზიორთა პლასტიკურ ქირურგებს ძვირფასი საჩუქრები გადაეცათ.

# სამთავრობო სხდომა წყალქვეშ

**მალდივის რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გლობალური დათბობისკენ საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად სხდომა წყალქვეშ გამართოს.**



როგორც ცნობილი გახდა, მალდივის მინისტრები სპეციალურ მომზადებას გადიან ყვინთვაში, რათა 17 ოქტომბერს 6 მეტრის სიღრმეზე წყალქვეშ გამართონ სამთავრობო სხდომა. სხდომის თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტი მოჰამედ ნაშიდი იქნება. მას სწავლების კურსი არ დასჭირდა, ვინაიდან უკვე სერტიფიცირებული მყვინთავია.

სხდომის დროს მინისტრები ერთმანეთს სპეციალური დაფებისა და პირობითი სიგნალების საშუალებით დაეკონტაქტებიან. თითოეულ მინისტრს სხდომაზე თან უნდა ახლდეს დაივინგის პერსონალური ინსტრუქტორი და სამხედრო დაცვა. ყვინთვით სხდომას ხელისუფლების 14 წევრი, ანუ ყველა დაესწრება, იმ ერთადერთის გარდა, რომელსაც ყვინთვა სამედიცინო დასკვნის მიხედვით ეკრძალება.

სხდომაზე მინისტრები მიიღებენ მიმართვას, რომელიც მსოფლიო ქვეყნების ხელისუფლებებს მოუწოდებს, შეამცირონ მავნე გამონაბოლქვები. დეკემბერში ამ მიმართვას კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილებებისადმი მიძღვნილ სამიტზეც წარადგენენ.

სექტემბრის დასაწყისში ნაშიდი ამბობდა, რომ მალდივის დელეგაცია ბიუჯეტის სახსრების დაზოგვის მიზნით კოპენჰაგენში წასვლას არ აპირებს, მაგრამ რატომ შეიცვალა ეს პოზიცია პრეზიდენტმა, ცნობილი არაა. შეგახსენებთ, რომ გაეროს ექსპერტთა ჯგუფის აღიარებით, 2100 წლისთვის ზღვის დონის 18-59 სანტიმეტრით მოსალოდნელი აწევა მალდივის კუნძულების სრულად ჩაძირვას გამოიწვევს. ეს კი ნიშნავს, რომ თუ კლიმატის ცვლილებებს მსოფლიო ვერ შეაჩერებს, ასწლეულის ბოლოს მალდივის 330 ათას მოქალაქეს საკუთარი ტერიტორია ცისქვეშეთის ნაცვლად მხოლოდ წყლისქვეშეთში დარჩება. ახლა მალდივი ამ საშინელ პერსპექტივას მხოლოდ კლიმატის ცვლილებების შეჩერების მცდელობით კი არა, სხვა, გაცილებით რეალური მეთოდებითაც ებრძვის. მაგალითად, როგორც ახლახან მოჰამედ ნაშიდმა განაცხადა, ის უარს არ იტყოდა ავსტრალიის, ინდოეთის, ინდონეზიის ან შრი-ლანკას ტერიტორიის ნაწილის შეძენაზე.

# რისთვის აპატიმრებენ საუდის არაბეთში?

**საუდის არაბეთში მაზენ აბდულ-ჯავადს ჯერ რიგიანად გაროზგავენ, შემდეგ კი ციხეში მიაბრძანებენ. მან მონაწილეობა მიიღო ლიბანის ტელეარხ „LBC“-ის თოქშოუში, რომელიც საუდის არაბეთშიც გადაიცემა და მაყურებელს უამბო, რომ პირველი სექსი 14 წლის ასაკში ჰქონდა, შემდეგ კი ჟურნალისტებს თავისი საძინებელი დაათვალიერებინა.**



საუდის არაბეთში სექსზე სახალხოდ საუბარი კატეგორიულად აკრძალულია. სწორედ ამის გამო აღნიშნული შოუს მაყურებელთაგან ორასამდე კაცმა აბდულ-ჯავადს სამართალდამცავ ორგანოებში უჩივლა. შედეგად აგვისტოში შოუს მთავარი გმირი დააპატიმრეს და 1000 ღვედის შემდეგ ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მაზენ აბდულ-ჯავადის ადვოკატი ირწმუნება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა არ იცოდა, სექსზე საუბრები ეთერში თუ გადაიცემოდა და ცდილობს, როგორმე მიაღწიოს მისთვის სასჯელის შემსუბუქებას.

# როგორ ავაშენოთ ელექტროსადგური?

**მალავიის მკვიდრმა უილიამ კამკვამბამ მოაგროვა ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდა და, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთგენერატორიანი ელექტროსადგური ააშენა.**





ქარის დანადგარის აშენების იდეა კამკვამბას 2002 წლიდან აწვალებდა. მაშინ ის სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სკოლიდან გარიცხეს. 14 წლის მოზარდმა გადაწყვიტა, თვითგანათლებას შესდგომოდა და ადგილობრივი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარიც გახდა. სწორედ იქ ნახა პირველად ქარის ელექტროსადგურის ფოტოსურათი.

„ყველა დამცინოდა, როცა ვამბობდი, რომ ქარის წისქვილის აშენებას ვაპირებდი. ფიქრობდნენ, რომ გავგიჟდი“, — ამბობს კამკვამბა. მას შემდეგ ბიჭი სურათზე გამოსახული ელექტროსადგურის ნაწილებისთვის სათანადო მასალას, მათ შორის, მოტოციკლეტებისა და ტრაქტორების ნაწილებს, პლასტიკურ მილებს და ავტომანქანების ძველ აკუმულატორებს ნაგავსაყრელებზე აგროვებდა.

პირველი საქარე გენერატორის მშენებლობას სამი თვე მოანდომა, შემდეგ კი კიდევ ოთხი ააშენა.

ყველაზე მაღალი 11 მეტრს აღწევს.

მათგან მიღებული ენერგია კამკვამბას საცხოვრებელ დასახლებას ელექტროენერგიითაც ამარაგებს და წყლის გადატუმბვის ფუნქციასაც ასრულებს.

ამჟამად 22 წლის უილიამ კამკვამბა სამხრეთ აფრიკის ელიტურ სკოლაში ლიდერობის აკადემიაში სწავლობს. მისი სწავლის საფასურს სპონსორები იხდიან.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ საქარე გენერატორებით უამრავი პიროვნება დაინტერესდა, მათ შორის, ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა წყაროების მომხრე, აშშ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორიც.

„Associated press“-ის ყოფილმა კორესპონდენტმა აფრიკაში ბრაიან მილერმა კამკვამბას შესახებ დაწერა წიგნი სახელწოდებით „ქარის მომთვინიერებელი“, რომელიც შტატებში სექტემბრის ბოლოს გამოქვეყნდა.

# დავბერდებით თუ გავახალგაზრდავდებით?

**როგორც იქნა, სიბერის დამამუხრუჭებელი წამალიც გამოიგონეს. მეცნიერებმა „ბიოლოგიური საათის“ მიმართულების შეცვლითა და დაბერებულ-ჩამომჭკნარი კუნთების აღდგენის შედეგად გაახალგაზრდავების მექანიზმი აამუშავეს.**




ამერიკელი მეცნიერებისა და კოპენჰაგენის უნივერსიტეტთან არსებული სპორტული მედიცინისა და ჯანსაღი დაბერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა ადამიანის კუნთოვან ქსოვილზე ლაბორატორიულ პირობებში მეთოდის დემონსტრირება უკვე მოახდინეს. მათი მტკიცებით, ბიოლოგიური სიგნალების სწორი ნაკრების მიწოდების შემთხვევაში ადამიანის დაბერებულ კუნთოვან ქსოვილს აღდგენის უნარი აქვს.

# რამდენს იწონის გოგრა?

**ოჰაიოელმა მათემატიკის მასწავლებელმა კრისტი ჰარპმა მსოფლიოში ყველაზე დიდი — 782-კილოგრამიანი გოგრა გაზარდა. ამის შესახებ სხვადასხვა სფეროში მსოფლიო რეკორდების მარეგისტრირებელი ორგანიზაცია „World Records Academy“ იუწყება.**



„World Pumpkin Commonwealth“-ის მიერ ორგანიზებულ მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგრების კონკურსზე პირველი ადგილისა და მსოფლიო რეკორდისთვის ჰარპმა 2500 დოლარი მიიღო.

კრისტი ჰარპსა და მის მეუღლეს უკვე რვა წელია, უზარმაზარი გოგრები მოჰყავთ. რეკორდსმენის თქმით, ამ საქმის მთავარი საიდუმლო საუკეთესო თესლის არჩევა და შემდეგ ნარგავის სასუქით სათანადო მომარაგებაა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგრის თესლი 28-29 ოქტომბერს აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი გიგანტური გოგრების მოყვარულთა ოჰაიოს კლუბის საიტზე გაიმართება. კლუბის დირექტორმა ალან გიბსონმა აღნიშნა, რომ რეკორდსმენი გოგრის ერთი მარცვლის ღირებულებამ შესაძლოა, 500 დოლარს მიაღწიოს. წინა რეკორდი 2007 წელს როდ-აილენდის მკვიდრმა ჯო ჯუტრასმა დაამყარა. მის მიერ მოწეული გოგრა 766 კილოგრამს იწონიდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ ითამაშებს ფეხბურთს ჰომოსექსუალებთან?

**პარიზულმა საფეხბურთო კლუბმა „პარი ფუტ გეიმ“ კლუბ „კრეტეი ბებელს“ ადგილობრივი საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობასთან უჩივლა. საქმე ისაა, რომ „კრეტეი ბებელმა“ ჩემპიონატის მორიგ მატჩზე „პარი ფუტ გეისთან“ თამაშზე უარი განაცხადა. მუსლიმანური „კრეტეი ბებელის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, მატჩზე უარის თქმის მიზეზი ის გახდა, რომ „პარი ფუტ გეიში“ ჰომოსექსუალები თამაშობენ.**




ალნიშნული მატჩი 4 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ პარიზის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ერთი დღით ადრე ელექტრონული ფოსტით წერილი მიიღო.

წერილში ეწერა, რომ გუნდი, რომლის წევრებიც ისლამს მისდევენ, ვერ ითამაშებენ ჰომოსექსუალებთან, ვინაიდან ეს გუნდის პრინციპების დარღვევა იქნება.

პარიზელთა აზრით, მოწინააღმდეგეთა ამგვარი ქმედება არღვევს რასიზმისა და ჰომოფობიის საწინააღმდეგო კანონმდებლობას.

„პარი ფუტ გეის“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მის გუნდში ჰომოსექსუალების გარდა „ჰეტეროსექსუალები, შავკანიანები, თეთრკანიანები, ჩრდილოაფრიკელები და სხვადასხვა რელიგიის მიმდევარნიც“ თამაშობენ.

ადგილობრივ რადიოსადგურთან ინტერვიუში „კრეტეი ბებელის“ ანონიმურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს უარი საბოლოოა, ვინაიდან მუსლიმანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, არ შეხვდნენ მოწინააღმდეგეს, რომლის ფილოსოფიასაც არ ეთანხმებიან.

# რატომ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი ზღარბით?

**კაცობრიობამ ფეხბურთის სათამაშო ინსტრუმენტად, დიდი ხანია, ბურთი აღიარა, ამ ინსტრუმენტის როლში ზღარბის გამოყენებისას კი, გარდა იმისა, რომ ეკლები აუცილებლად შეგერჭობათ, გაგასამართლებენ კიდეც.**



პოლონეთში ანალოგიური დანაშაულისთვის სამი ახალგაზრდა უკვე გაასამართლეს და თითოეულს სასჯელის სახით 30-საათიანი იძულებითი შრომაც მიუსაჯეს. კიდევ კარგად გადარჩნენ. პოლონეთში ხომ ზღარბები განსაკუთრებული დაცვის ობიექტები არიან და მათი მკვლელობის ან დაჭრისთვის ადგილობრივი კანონი სასჯელს ითვალისწინებს.

ახლა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ მილიჩის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზღარბის წამებისათვის გასამართლებულ ახალგაზრდებს ინტერნეტით ზღარბების დაცვის საგანმანათლებლო პროგრამის გავლაც მოუწევთ. აღნიშნული პროგრამა ველურ ბუნებაში მცხოვრები ცხოველების დაცვის ორგანიზაცია „შევარდენმა“ მოამზადა. სწორედ ამ ორგანიზაციის სასარგებლოდ უკვე სახელგანთქმული „ფეხბურთელები“ დაახლოებით 50 ევროს ეკვივალენტურ ჯარიმასაც გადაიხდიან.

ბრალდებულებმა კანონის დაცვის ქვეშ მყოფი ზღარბის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაში თავი დამნაშავედ ცნეს. სასჯელს კი იოლად უმუშევრობის ხარჯზე გადაურჩნენ.

# რამდენი მუსლიმანია მსოფლიოში?



**მუსლიმანთა რაოდენობამ მსოფლიოს მასშტაბით 1,57 მილიარდს მიაღწია. ამერიკული კვლევის ცენტრის — „The Pew Forum on Religion & Public Life“ — მონაცემებით, დედამიწის მკვიდრთაგან ყოველი მეოთხე ისლამის მიმდევარია.**

ყველაზე მეტი (დაახლოებით 203 მილიონი) მუსლიმანი ინდონეზიაში ცხოვრობს. მეორე ადგილზე პაკისტანია (174 მილიონი), მესამეზე — ინდოეთი (161 მილიონი), მეოთხეზე კი — ბანგლადეში (145 მილიონი). სულ აზიაში მუსლიმანთა საერთო რაოდენობის 62%-ია კონცენტრირებული. ევროპაში მეცნიერებმა 38 მილიონი მუსლიმანი დაითვალეს (მთელი რაოდენობის 5%). მსოფლიო მუსლიმანთა 90% სუნიტია, მხოლოდ 10% — შიიტი. წინა კვლევის მიხედვით, მსოფლიოში ყოველი მეხუთე მოქალაქე მუსლიმანი იყო. ამჟამად დედამიწაზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგია ქრისტიანობაა, მას 2 მილიარდზე მეტი აღმსარებელი ჰყავს. ისლამი ამ მხრივ მეორე ადგილზეა, მომდევნო ადგილს კი ინდუიზმი იკავებს.

# ვის უნდა 53 მილიონი?

**9 ოქტომბრის ღამეს სენსაციური ამბავი გახმაურდა, ცენტრალური ჩინეთის მკვიდრმა, რომლის სახელიც, ცხადია, არ ხმაურდება, ლატარეაში 53 მილიონი აშშ დოლარი მოიგო.**



როგორც ლატარეის ბილეთების რეალიზაციის პროვინციულ ცენტრში ამბობენ, ამ ბედნიერმა ქვეყანაში ყველა რეკორდი მოხსნა და ყველაზე დიდი ჯეკპოტი მოიგო. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 27 ნოემბერს სწორედ ასევე გახმაურდა ქალაქ ცზიაიუიგუანის მკვიდრის მიერ 17 მილიონი აშშ დოლარის მოგების ამბავი.

მოგების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ცენტრის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და დეტალურად განიხილეს ბედნიერი ბილეთის მფლობელის ვინაობის საიდუმლოდ შენახვისა და მისთვის თანხის გადაცემის საკითხები.

ორი წლის წინათ ჩინეთის მოქალაქემ ლატარეაში 14 მილიონი დოლარი მოიგო და იმ დროისთვის რეკორდი დაამყარა. მაშინდელმა გამარჯვებულმა ამისთვის საკუთარი სისტემა შეიმუშავა და ხუთნახევარ დოლარად იყიდა ერთბაშად 20 ბილეთი, რომლებზეც ერთი და იგივე ორნიშნა ციფრები იყო. ამის შემდეგ ლატარეის ორგანიზატორებმა ყველა მონაწილეს მოუწოდეს, თამაში მხოლოდ გართობად აღექვათ და რეალურად შეეფასებინათ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები.

ლატარეას ჩინეთმა მწვანე შუქი 1987 წელს აუნთო. ამონაგები სპორტის, განათლების, ჯანდაცვისა და ინვალიდთა მოვლის სფეროებს ხმარდებოდა. ლატარეის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ შემოსავლიდან, სულ მცირე, 35% საზოგადოებრივ კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს.

უკანასკნელი წლების მსხვილმა მოგებებმა ჩინეთში ლატარეა ძალზე პოპულარულ გასართობად აქცია. შარშან მთელი ქვეყნის მასშტაბით 100 მილიარდი იუანის საერთო ღირებულების ბილეთები გაიყიდა, რაც, თავის მხრივ, ახალი რეკორდი გახდა ბოლო 20 წლის მაჩვენებლების მიხედვით.

# მიშელ ობამას ბებიის ბებიის ბებიის ბებიის ბებია 475 დოლარად შეაფასეს

**გენეოლოგი მეგან სმოლენიაკისა და „The New York Times“-ის ცნობით, 1850 წელს აშშ ამჟამინდელი პირველი ლედის წინაპარი 475 დოლარად შეაფასეს. ის სამხრეთ კაროლინის მემამულის ანდერძში მოიხსენიება როგორც „ზანგის გოგო მალვინა“.**



მემამულის გარდაცვალების შემდეგ მონა გოგონა მალვინა ჯორჯიაში, მემამულის ქალიშვილისა და სიძის — კრისტიანა და ჰენრი შილდსების ფერმაში გადაიყვანეს. 1859 წელს 15 წლის მალვინას 40-ს მიტანებული უცნობი თეთრკანიანი მამაკაცისგან ბავშვი შეეძინა. ბავშვს დოლფუს შილდსი ერქვა და მიშელ ობამას პაპის პაპის პაპის პაპა გახლდათ. 1870 წლის ჩანაწერებში დოლფუს შილდსი და მალვინას კიდევ სამი შვილი მულატებად მოიხსენიებიან. მალვინა შილდსი 1938 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მოწმობაში მშობლების გრაფა გახაზულია. ყოფილმა მონამ, როგორც ჩანს, არ იცოდა, ვინ იყვნენ მისი დედ-მამა. დოლფუს შილდსი მონობის გადავარდნის შემდეგ ბირმინჰემში, ალაბამას შტატში გადასახლდა და წარმატებულად ისწავლა დურგლობა. 1900 წელს მას ბირმინჰემში უკვე საკუთარი სახლი ჰქონდა, 11 წლის შემდეგ კი — სადურგლო კომპანიის მფლობელი იყო. დოლფუსს სეგრეგაციის პერიოდში „თეთრებთან“ ჰქონდა ურთიერთობა, მისი სადურგლო „თეთრების“ კვარტალში მდებარეობდა და ადგილობრივი მცხოვრებნი მისი მუდმივი კლიენტები იყვნენ. 1950 წელს დოლფუსი 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დოლფუსის შვილიშვილი — მხატვარი პერნელ შილდსი — მიშელის პაპის პაპა — 1950 წელს ჩიკაგოში გადასახლდა. სწორედ ამ ქალაქში დაიბადა 1964 წლის 17 იანვარს აშშ მომავალი პირველი ლედი მიშელი.

# რას ერჩის კომპიუტერი ბრიტანეთის ავიახაზებს?

**მორიგი კომპიუტერული აბდაუბდის წყალობით, აშშ-დან ინდოეთში გადაფრენის საფასური 20-ჯერ შემცირდა და ავიაკომპანია ბრიტანეთის ავიახაზების ათასობით მგზავრმა ბილეთები 800-ის ნაცვლად 40 დოლარად შეიძინა, მაგრამ მგზავრობა ვერ მოასწრეს — ავიაგადამყვანმა ბილეთები გაყალბებულად გამოაცხადა.**

BRITISH AIRWAYS

კომპანიამ არ მოინდომა, მილიონებად ღირებული საჩუქარი გაეკეთებინა თავისი კლიენტებისთვის და აბსოლუტურად ყველა შეკვეთა გააუქმა.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ყველაფერი კომპიუტერულ სისტემაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის ბრალი იყო და ფასდაკლებით ბილეთები სულ ორი საათის განმავლობაში იყიდებოდა, მაგრამ ინფორმაცია უსწრაფესად გავრცელდა მოგზაურთა ინტერნეტფორუმებზე. შეკვეთების გაუქმების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ აღშფოთებულმა მგზავრებმა აშშ ტრანსპორტის სამინისტროს მიმართეს. ახლა ამ საქმეს ეს სამინისტროც შეისწავლის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაც.

# შვარცენეგერმა პირველი გეიპოლიტიკოსის სახელობის დღესასწაული დააწესა

**კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელმაც შტატების ისტორიაში პირველად საკუთარი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის აღიარების შემდეგ თანამდებობაზე არჩეული ამერიკელის ჰარვი მილკის სახელი უნდა უკვდავყოს.**

უკვე დამტკიცებული კანონის თანახმად, ამიერიდან ყოველწლიურად მთელი შტატი აღნიშნავს მილკის დაბადების დღეს — 22 მაისს, თუმცა ეს დღესასწაული კალიფორნიაში დასვენების დღედ არ ცხადდება.

ჰარვი მილკის ბიოგრაფია საყოველთაოდ ცნობილი გას ვან სენტას მიერ გადაღებული ფილმის წყალობით გახდა. მასში მთავარი როლი შონ პენმა შეასრულა და იმდენად კარგად, რომ 2009 წელს „ოსკარით“ დააჯილდოვეს. ჰარვი მილკი 1978 წელს სან-ფრანცისკოს საკანონმდებლო ორგანოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრად აირჩიეს. იმავე წლის 27 ნოემბერს კი ის ქალაქის მერთან — ჯორჯ მოსკონესთან ერთად მოკლეს. მკვლელმა დენ უაიტმა ციხეში ხუთი წელი გაატარა და გათავისუფლების შემდეგ თავი მოიკლა. 2009 წლის აგვისტოში აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უკვე გარდაცვლილი ჰარვი მილკი თავისუფლების მედლით დააჯილდოვა.

# რატომ ურჩია ნოდარ დუმბაძემ პილოტს თვითმფრინავის მთაწმინდისთვის შეჯახება

**„ნიანგი“ 1923 წლის 3 ივნისს გამოვიდა. მას შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. ჟურნალმა ყველაფერს და ყველანაირ დროს გაუძლო, გარდა დღევანდელობისა. სამგზის ლტოლვილს ამჟამად იძულებითი შესვენება აქვს, ხან ვის შეეკედლა და ხან — ვის. როგორც ირკვევა, ადგილმდებარეობის ცვლამ და ზოგჯერ უსახლკაროდ დარჩენამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე. დალოცოს ღმერთმა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია. მისი თანადგომითა და დახმარებით მოგვეცა საშუალება, გაგაცნოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის ანი და ჰოე.**



**— ჩვენო საყვარელო „ნიანგო“, გეყოფა ახლა, 86 წელი შეგისრულდა, შენც დაისვენე და ჩვენც დაგვასვენე!**
**— სანამ თქვენ იქნებით ამ ქვეყანაზე, რა დამასვენებს?!**

**ჯ.ლოლუას ნახატი**

„ცნობილია, რომ ქართველ ხალხს ხუმრობა მეტად ეხერხება და უყვარს,“ — ამ მარტივი წინადადებით იწყებს „ნიანგი“ თავის რთულ მოღვაწეობას. დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ გაჩნდა ჟურნალის სახელწოდება. „სარედაქციო კოლეგია დიდხანს ფიქრობდა ჟურნალისთვის რაიმე ორიგინალური სახელის გამოგონებაზე, მაგრამ ამაოდ...“

სწორედ ამ დროს ამუშავდა ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა. ქარხნის გახსნის ზეიმზე საპატიო სტუმრებად მიუწვევიათ იმდროინდელი უსახელო, მაგრამ სახუმარო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები. წარმოების დათვალიერების დროს ერთ მიყრუებულ მაღაროში სილიბისტრო თოდრია („ნიანგის“ პირველი რედაქტორი) გადაჰყრია რაღაც უზარმაზარ ცხოველს და უყვირია: „აქ ნიანგია!“ და სახელიც გაჩნდა. ასე დაიწყო პატარა „ნიანგის“ დიდი და რთული მოღვაწეობა. დღეს იგი 86 წლისაა. ეს იმათ საყურადღებოდ, რომელთაც ჟურნალის სახელწოდება რუსული „კროკოდილიდან“ ნათარგმნი ჰგონიათ. ზოგმა შეიძლება არც კი იცოდეს და ზოგს მინდა, შევახსენო, რომ სილიბისტრო თოდრია დაკრძალული იყო მთაწმინდის პანთეონში.

ჟურნალის სანაქებოდ და ჩვენს სატრაბახოდ უნდა ითქვას, რომ მთავარი რედაქტორები და სარედაქციო კოლეგიის წევრები მუდამ გამორჩეული ადამიანები იყვნენ. რჩეულთა შორის რჩეული ნოდარ დუმბაძე გახლდათ. იგი გაჭირვებაშიც არ კარგავდა იუმორს. აქვე ამის დასადასტურებლად ერთი ამბავი მინდა, მოვიგონო.

მოსკოვიდან მომავალ თვითმფრინავს მწერალთა დელეგაცია მოჰყვებოდა, მათ შორის ნოდარიც იყო. თბილისს რომ მოუახლოვდნენ და თვითმფრინავი დასაჯდომად მოემზადა, მოულოდნელად შეზანზარდა. ატყდა განგაში, სტიუარდესებისა და ეკიპაჟის წევრების წინ და უკან სირბილი. თურმე „შასი“ არ იხსნებოდა. ნოდარი სავარძელში იჯდა და ყველაფერ ამას თვალყურს ადევნებდა. მოსალოდნელი ტრაგედიის წინ სიჩუმე ნოდარს დაურღვევია: „ლიოტჩიკ! თუ ძმა ხარ, ეგ თვითმფრინავი პირდაპირ მთაწმინდას დაუმიზნე. აქ ვინცა ვართ, ყველას იქ გვინდა დასაფლავება და ბარემ იოლად გამოვალთ, პრიამო ნა მთაწმინდუ“. გარდაცვალებიდან 25 წლისთავზე ნოდარ დუმბაძის ოცნება სინამდვილედ იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელობასთან შედარებით იმდროინდელი რედაქტორები ბეწვის ხიდზე გადიოდნენ. კარგი ხუმრობაც უნდა ცოდნოდათ და შეცდომაც არ უნდა დაეშვათ. ყველანაირი ხუმრობა კომუნისტების სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო. პატარა შეცდომა და ცეკას ბიუროზე ამოყოფდნენ თავს. ეს კი რასაც ნიშნავდა, იმ თაობის ხალხმა კარგად ვიცით. ასეთ ქარცეცხლში გაიარეს გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ, ვახტანგ ჭელიძემ, ელგუჯა მაღრაძემ, ნიკო შველიძემ, ნოდარ დუმბაძემ, ზურღან გემაზაშვილმა, ზაურ ბოლქვაძემ. აქ ჩამოთვლილი რვა რედაქტორიდან სამი ბეწვის ხიდიდან გადმოვარდა და კისერიც მოიტეხა. უფრო ზუსტად, მოხსნეს, სიმართლის თქმა როგორ გაბედეო. ზოგმა კი თავი აარიდა მწვავე კრიტიკას.

მახსოვს, ელემენტარული კორექტურა გაიპარა. სტამბის მისამართი იყო „ლენინის ქ. №14“. შეცდომით დაიბეჭდა „ლენინი 14“. ცენტრალურმა კომიტეტმა ახსნა-განმარტებითი ბარათი მოითხოვა და ტელეფონითაც შეგვატყობინეს, ჩვენ ერთი ლენინი გვყავსო. რა თქმა უნდა, იოლად გადავრჩით. ასეთი რამ ოცდაათიან წლებში დახვრეტის ტოლფასი იყო. ამ შემთხვევაში ყველაზე საშიში მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი იყო, კარგად უნდა გცოდნოდა, რაზე ხუმრობდი, რათა შენი ხუმრობა უკანასკნელი არ აღმოჩენილიყო, ზეპირად ნათქვამიც კი.

საინტერესოა 1938 წლის არქივი. ჟურნალის რედაქტორები ხშირად იცვლებოდნენ. წოდებაც ამაზე მიგვანიშნებს. პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის აღმასრულებელი სანდრო ეული (ქურიძე), რომელიც „ნიანგში“ გადმოსვლამდე ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, როგორც ირკვევა, მაინცდამაინც ქველმოქმედებითა და იუმორით არ გამოირჩეოდა. ერთხელ მასთან მეგობარი მისულა თხოვნით: ძალიან მიჭირს და, იქნებ, სადმე სამსახურში მომაწყოო. ამ დროს თბილისში ახალი წესი შემოიღეს — რუსთაველის გამზირზე ღერძულა ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში ფეხით მოსიარულეს 10 მანეთით აჯარიმებდნენ. ხაზზე მოსეირნე მილიციელი კი თვალდაცეცებით ეძებდა მსხვერპლს. ბატონმა სანდრომ მეგობარს ურჩია: „დილით ადრე ადექი, ათჯერ გადაკვეთე თეთრი ხაზი და სანამ მილიციელი მოვა, შენ უკვე 100 მანეთის პატრონი იქნებიო“.

მაშინდელი ჟურნალის რუბრიკები: „ცხელ-ცხელი ამბები“, „განცხადებები“, „აფიშები“ მართლაცდა სასაცილო უნდა ყოფილიყო. მაგალითად: „წაღვერი. წაღვერის კეთილმომწყობმა რომანოზ ცხადაძემ აბანო გაზაფხულამდე დაკეტა; ამ „ღონისძიებას“ იმით ასაბუთებს, რომ მოსალოდნელია ზამთარში ცხელი აბანოდან გამოსული ხალხის გაციებაო“.

„ჩხოროწყუ. რაისაგზაო ბიუროს გამგემ ჭეჟიამ ხელმომწერებზე მოსულ ჟურნალ-გაზეთებს თავის კანტორაში მიუჩინა ბინა ასეთი წარწერით: „ვინც მოასწრებს, მისია“. ჟურნალ-გაზეთების დატაცებაში ყველა გამვლელ-გამომვლელს აქვს მონაწილეობის მიღების უფლება“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კრიტიკა მასწავლებლებისადმი.

„გამოცდილი მასწავლებელი ვამზადებ ექსტერნათ და თათარიახნათ სტუდენტებს უმაღლესი სკოლისათვის რუსულშიდ, მათემატიკაშიდ, გეომეტრიკაშიდ, ქართულშიდ და ფრანციცულშიდ და, აგრეთვე, ყველა საგნებში ვასწორებ ფოჩერკს ლამაზათ და კოხტათ.

მისამართი: ბრმა ნაწლავის ჩიხი №215“.

ძვირფასო მკითხველო! ახლად გამოჩეკილ „ნიანგს“ შემდგომში გამოუჩნდნენ აქტიური მკითხველები და სარედაქციო კოლეგიის წევრები. ესენი იყვნენ ცოცხალი კლასიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი, უჩა ჯაფარიძე, სიკო ფაშალიშვილი.

ახლა კი, დროებით მიძინებულ „ნიანგს“ ამხნევებს და არ ივიწყებს ცოცხალი კლასიკოსი, მისი ერთგული მეგობარი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი.

**ჟანი სიხარულიძე**










**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20 ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

საქართველო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net